პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის მუშათა და გლეხთა დელეგაცია
- შეწყდა მიმოსვლა პოლონეთ-ლიტვის სადემარკაციო ხაზზე
- რუმინეთში გრძელდება მემაღაროეთა გაფიცვა
- კლაუზენბერგში (რუმინეთი) 41 დღეა გრძელდება პოლიტპატიმრების შიმშილობა
- დასავლეთ ბელორუსიაში (პოლონეთი) პოლიციამ დაშალა უღარიბეს გლეხთა კომიტეტები
- პოლიციის თავდასხმა პიონერების ბანაკზე ამერიკაში
- გერმანელი ფაშისტები გადატრიალებას ამზადებენ

კვირა, 11 აგვისტო 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 183 (2529)

ვემზადოთ აპარატის წმენდისათვის

ახლოვდება საბჭოთა აპარატის წმენდის დრო. უკვე სწარმოებს სამზადისი ამ მორიგ უაღრესი მნიშვნელობის საქმის წარმატებით შესასრულებლად, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს სამზადისი ყველგან ერთი ტემპით და საჭირო აქტიობით სწარმოებს. ამავე დროს ყველასათვის აშკარაა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს წინასწარ ორგანიზაციულ ღონისძიებათა ჩატარებას ამა თუ იმ საქმეში. საბჭოთა აპარატის წმენდამ უნდა გაანთავისუფლოს პროლეტარულ სახელმწიფოს დაწესებულებები ისეთ ხალხისაგან, რომლისათვისაც უცხოა ჩვენი საზოგადოებრიობა, რომელიც საქმის არცოდნით ან ბოროტი განზრახვით ზიანს აყენებს სოციალისტურ მშენებლობას. საბჭოთა აპარატის წმენდა მიზნად ისახავს ყველა გადაგვარებულის, ნეპმანისა და კულაკის ყველა მოსარჩლის და ბოროტმოქმედის დაუზოგავად გაძევებას ჩვენი დაწესებულების კედლებიდან. ეს არც თუ ისე ადვილი საქმეა. რაც უნდა აქტიურად და ენერგიულად იმუშაონ შემმოწმებელ კომისიებმა, ისინი მაინც ვერ მიაღწევენ ამ მიზანს, თუ თვით მუშა-მოსამსახურეთა მასებმა უცხოველესი მონაწილეობა არ მიიღეს აპარატის წმენდაში.

მუშაობენ თუ არა ჩვენი მასიური ორგანიზაციები, პირველ ყოვლისა კი პროფესიონალური კავშირები ამ მიმართულებით? რა ღონისძიებებია მიღებული იმისათვის, რომ საბჭოთა აპარატის წმენდის ამოცანები სწორად და სრულად იქნას გარკვეული მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასებში, რა ნაბიჯია გადადგმული იმისათვის, რომ ამ მასებმა უშუალო ენერგიული მონაწილეობა მიიღონ წმენდაში? თუ ასე მივუდგებით საკითხს, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ბევრგან ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ან სრულიად არაფერი გაუკეთებიათ აპარატის წმენდის მოსამზადებლად. იქმნება იმის საშიშროება, რომ ფუსფუსი და გაცხელებული საქმიანობა დაიწყება მაშინ, როცა წმენდა კარზე მიადგება ამა თუ იმ დაწესებულებას. აშკარაა, ეს თავის უარყოფით გავლენას მოახდენს საქმეზე.

ყველამ იცის, რომ საბჭოთა აპარატის წმენდას, ისე როგორც ყოველ ჩვენს სწორ ნაბიჯს, გააფთრებულ აშკარა თუ მალულ წინააღმდეგობას უწევენ ანტიპროლეტარული ელემენტები, ჩვენი კლასობრივი მტრები. ჯერ წმენდა არც კი დაწყებულა, მაგრამ ისინი, ვინც დაინტერესებულია ხელი შეუშალოს ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმეს, ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ, ქმნიან ყოვლად უსაფუძვლო ნერვიულ განწყობილებას აპარატის მუშაკთა შორის და სხვ. ამის გამო ბევრგან საქმე ისე წარმოუდგენიათ, თითქო საბჭოთა აპარატის წმენდა ხელაღებით მიმართული იქნება ყველა მოსამსახურეთა წინააღმდეგ. ბევრი, რომელიც გრძნობს გამწმენდ კომისიის ცოცხის მოახლოებას, ცდილობს „ბედის“ თანამოზიარეთა გამოძებნას, პატიოსან, ერთგულ საბჭოთა მუშაკების განწირულთა წრეში მოქცევას. საჭიროა სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ყველა იმათ, ვინც პროვოკაციული საშუალებებით მოინდომებს აპარატის წმენდის შეფერხებას.

იმისათვის, რომ წმენდამ მიიღოს ჩვენი დაწესებულებების გენერალური შემოწმების ხასიათი, რომ ამ საქმეში მართლაც უცხოველესი მონაწილეობა მიიღონ თვით მუშა-მოსამსახურეთა მასებმა, საჭიროა გამოიძებნოს ისეთი ფორმები, რომელნიც გააადვილებენ წმენდის წარმატებით ჩატარებას. ამ მიზნით ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ის გამოცდილება, რომელსაც გვაძლევს მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების აპარატის წმენდის პრაქტიკა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამა თუ იმ დაწესებულებაში, სადაც წმენდა მოსალოდნელია, მოსამსახურეთა სპეციალური ჯგუფების გამოყოფას. ამ ჯგუფების დანიშნულება იქნება ყოველნაირად შეუწყოს ხელი წმენდის მომზადება - ჩატარებას. ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს ის არანორმალური მდგომარეობა, რომ, როცა საბჭოთა აპარატის წმენდაზეა ლაპარაკი, ხშირად ივიწყებენ ამ საქმეში მუშათა მონაწილეობის უდიდეს მნიშვნელობას. ეს ნაკლი აქედანვე უნდა იქნას გათვალისწინებული. საჭიროა ფაბრიკა - ქარხნებში გამოიყოს მუშათა ბრიგადები, რომელნიც დახმარებას გაუწევენ გამწმენდ კომისიებს. დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა კი უნდა ჩაატარონ საანგარიშო მოხსენება ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ამასთანავე საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება იმისათვის, რომ მუშათა ფენებიდან შერჩეულ იქნას კადრები, რომელნიც შესცვლიან გაწმენდილებს. აპარატის წმენდასთან დაკავშირებით მუშათა დაწინაურების საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს და ის გაცილებით მეტი სერიოზულობით ისმება ჩვენს წინაშე. თუ არ მივიღეთ ზომები დაწინაურებულ მუშების მოსამზადებლად ახალი საქმისათვის, საჭირო შედეგს ვერ მივაღწევთ. უნდა მოეწყოს დასაწინაურებელ მუშათა გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსები. ყველა ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭიროა დრო და სათანადო მუშაობა. წმენდა კი მოახლოებულია. ამიტომ არ უნდა დავკარგოთ არც ერთი დღე, საქმეს აქედანვე უნდა შევუდგეთ, რომ თავიდან ავიცილოთ ის ზედმეტი სიჩქარე და უთადარიგობა, რომელსაც უთუოდ ექნება ადგილი, თუ წინასწარი მუშაობა შესაფერისად არ იქნა ჩატარებული.

თვითეულ პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ ორგანიზაციამ უნდა დაუსვას თავის თავს კითხვა, რა გააკეთა მან საბჭოთა აპარატის წმენდის მოლოდინში და აქედან შესაფერი პრაქტიკული დასკვნა უნდა გამოიტანოს.

მშრომელი მასები და ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა გაიმსჭვალონ იმის შეგნებით, თუ რა დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს პარტია საბჭოთა აპარატის წმენდას. მხოლოდ წინასწარი მუშაობის შესაფერისად ჩატარებით, მხოლოდ მუშა - მოსამსახურეთა მასების ენერგიული მონაწილეობით, გავსწმენდთ და გადავახალისებთ ჩვენ პროლეტარულ სახელმწიფოს აპარატს, რომ უფრო მტკიცედ, უფრო სწრაფი ტემპით განვაგრძოთ სვლა სოციალისტური მშენებლობის გზით.

სად უნდა ვეძიოთ მიზეზი?

(თბილის - მანგლისის გზაზე მომხდარ უბედურ შემთხვევის გამო)

ამა წლის 4 აგვისტოს თბილის-მანგლისის გზაზე მომხდარმა უბედურებამ სამართლიანად ააშფოთა ფართო საზოგადოება. საზოგადოებრივი აზრი, პრესა და დაინტერესებული ორგანოები ცდილობენ ამ კატასტროფის მიზეზების გამოძებნას. თითქო ყველა დაინტერესებულია იმაში, რომ გამორკვეულ იქნას ნამდვილი მიზეზი, თუ რისთვის მოხდა ასეთი უბედურება და ვის მიუძღვის ამაში ბრალი. მართლაც თითქო საკმარისი უნდა იყოს ამოდენი მსხვერპლი, რომ იმ ორგანოებმა, რომლებიც ავტომობილების მოძრაობას ხელმძღვანელობენ, ახლა მაინც გაახილონ თვალი და მიიღონ ნამდვილი ზომები ასეთი აღმაშფოთებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად მომავალში.

გაზეთებიდან ვიცით, რომ ამ მიზნით სასწრაფოდ იქნა დანიშნული კომისია, რომელმაც უკვე დაათვალიერა ის ადგილი, სადაც კატასტროფა მოხდა და ჩამოართვა ჩვენება ყველას, ვისგანაც ეს საჭირო იყო. საქმე გადაცემულია გამომძიებელზე. მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ ყველაფერი არაფრით გათავდეს. ან, უკეთეს შემთხვევაში, რომელიმე „მეისრეს“ (ე. ი. შოფერს) მცირე სასჯელი გადაუწყვიტონ და რამდენიმე დღის ან კვირის შემდეგ ესეც აპატიონ. ვამბობ, ყველაფერი ეს მოსალოდნელია. ამას გვეუბნება გამოცდილება. ამის უტყუარი ნიშნები ჩვენ უკვე გვაქვს ამ საქმეშიაც.

მიაქციეთ ყურადღება უპირველეს ყოვლისა შემდეგ ფაქტებს: 1) ყველა წერილებში თუ შენიშვნებში, რომლებიც დაიბეჭდა თბილისის გაზეთებში უკანასკნელი კატასტროფის შესახებ, მიზეზს ხედავენ მხოლოდ და მხოლოდ შოფერებში (ე. ი. „მეისრეებში“), რომლებმაც დროზე არ მისცეს გამაფრთხილებელი ნიშანი და რომლებიც სათანადოდ არ იცავდნენ ავტომობილის მოძრაობის წესს და სხვა და სხვა. 2) ამავე დროს [illegible] ჩანს ტენდენცია შოფერების სრულიად გამართლების თუ არა, მათი ბრალის ძალზე შემცირებისა. ასე, მაგ., ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ინსტრუქტორს — მამულიას განუცხადებია შემდეგი: [illegible], „შოფერი ფავლენიშვილი კარგად არ იცნობდა გზის პირობებს (მაშასადამე მისი ბრალი მცირდება — ფ. მ.). წინასწარი გამოკვლევით, ვართანოვს კატასტროფაში ბრალი არ მიუძღვისო, და შემდეგ თითონვე უმატებს: „თუმცა იგი (ვართანოვი) მას წინად ყოფილა გასამართლებული მსგავს შემთხვევისათვისო“. (იხ. „კომუნისტი“, № 178, 6-8). ასეთივე აბდაუბდას ამბობს და ასეთსავე დაბნეულ ახსნა-განმარტებას იძლევა ერთი მცირე შენიშვნის ავტორი გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში (№ 178 7-8). „ვართანოვმა, რომელიც მიდიოდა მარცხენა მხრით, რაც, რა თქმა უნდა, **არ არის სწორი** (ხაზს მე ვუსვამ. — ფ. მ.) შეასრულა თავისი ამოცანა, მით, რომ მაშინვე შემოაბრუნა მანქანა გზატკეცილის მარჯვენა მხარეზე. ფავლენიშვილი კი დაიბნა და იმის მაგიერ, რომ შემოებრუნებინა მარჯვნივ, გადაუხვია მარცხნივ, რამაც გამოიწვია მეორე მანქანასთან დაჯახება“. შემდეგ ამისა ავტორი განაგრძობს: „მართალია, ფავლენიშვილი **მეორეჯერ მოგზაურობდა ქალაქ-გარეთ და არ იყო საკმარისად მომზადებული ასეთი მგზავრობისათვის**, მაგრამ ეს არ არის მიზეზი კატასტროფისა. კატასტროფის მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ფავლენიშვილი არ იყო გავარჯიშებული (неприспособленность), მას არ ჰქონდა მოხერხება, სიმშვიდე, ინიციატივა, რომ სწრაფად და დაუყოვნებლად გარკვეულიყო შექმნილ მდგომარეობაში“-ო.

ამნაირად შოფერი ფავლენიშვილი გამოყავთ პირდაპირ ავადმყოფ ადამიანათ, რომლისთვის ავტომობილის ჩაბარება ნამდვილ დანაშაულს წარმოადგენს. მაგრამ შენიშვნის ავტორი აქედან შესაფერ დასკვნას როდი აკეთებს. ასეთ დასკვნას ის არ იძლევა იმას შემდეგაც კი, როცა მას მოყავს ავტოტრანსპორტის ერთ-ერთ პასუხისმგებელ თანამშრომლის შემდეგი სიტყვები: „ფავლენიშვილს — უთქვამს ავტოტრანსპორტის პასუხისმგებელ თანამშრომელს შენიშვნის ავტორისათვის — ჩვენი მგზავრობის დროს მუდამ, იყო ეს საჭირო თუ არა, მანქანა გადაყავდა ერთი სიჩქარიდან მეორეზე და მრავალჯერ გვიხდებოდა შენიშვნის მიცემაო“. ასეთი იყო ფავლენიშვილის მხრით მანქანის მართვა პირველი მგზავრობის დროს ქალაქ გარეთ და ამას შემდეგ მას ანდობენ დიდ მანქანას, ხალხით დატვირთულს. ისეთ მიხვეულ-მოხვეულ დაკლაკნილ და მაღალ ფერდობიან გზაზე, როგორიც არის თბილის-მანგლისის გზატკეცილი.

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს შენიშვნის ავტორს აქედან შესაფერი დასკვნა არ გამოჰყავს. კატასტროფაში ბრალი ედება არა მარტო შოფერ ფავლენიშვილს, არამედ იმათაც, ვინც ასეთ ყოვლად შეუფერებელ შოფერს, როგორიც აღმოჩნდა ფავლენიშვილი, ანდობს დიდი მანქანის მართვას. შენიშვნის ავტორი ერიდება პირდაპირ დასკვნის გამოტანას და სამაგიეროდ საკითხი გადააქვს სულ სხვა სფეროში. სახელდობრ, კატასტროფის მთავარ მიზეზათ მას მიაჩნია ის, რომ ამიერ - კავკასიაში არ არსებობს **ფსიქო-ტეხნიკური კაბინეტი** შოფერების გამოსაკვლევად. მისი აზრით, რომ ასეთი კაბინეტი გვქონებოდა, კატასტროფა არ მოხდებოდაო. ასე საკითხის დაყენება საქმის მიფუჩეჩებაა და მეტი არაფერი. საკვირველია, რომ არც ერთი წერილის ავტორი და არც თვით კომისია სრულებით არ შეეხებიან იმას, ასრულებს თუ არა ავტოტრანსპორტის სამმართველო იმ წესებს, როგორიც ავტომობილების მოძრაობის, ისე თვით შოფერების კვალიფიკაციის შესახებ, რაც სავალდებულოა ავტოტრანსპორტის სამმართველოსათვის. რომ შოფერები პასუხისმგებელნი არიან საერთოდ ავტომობილების ავარიების დროს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიაც უშუალო დამნაშავენი სწორედ შოფერები არიან, როგორც ერთი, ისე მეორე, — ეს ყოველ ეჭვს გარეშეა, და ვერავითარი სოფისტიკა იმათ ვერ გაანთავისუფლებს სასტიკი პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ განა ეს სპობს პასუხისმგებლობას იმ დაწესებულებათა და პირთა, ვინც ავტოტრანსპორტის სათავეში სხედან? ვისაც უწინარეს ყოვლისა, კანონით ევალებათ დაიცვან და უკლებლად გაატარონ ცხოვრებაში ის წესები, რომლებიც გამომუშავებული და დაკანონებულია იმათთვის? აშკარაა, რომ არა. პირიქით, სწორედ ამით აწევთ კისერზე მთელი პასუხისმგებლობა იმ კატასტროფაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ახლახან. ეს ჩემთვის პირადათ ეჭვს არ იწვევს.

სწორედ ამ ერთი თვის წინად შემოწმებული იქნა მ.-გ. ინსპექციის მიერ ავტოტრანსპორტის ორგანოების მუშაობა. თუ რამდენად ატარებენ ისინი ცხოვრებაში იმ დადგენილებას, რომლებიც ეხებიან ავტომობილების მოძრაობის საქმეს, და გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ თითქმის არც ერთი მუხლი ამ დადგენილებისა ცხოვრებაში გატარებული არ ყოფილა. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ამ მხრით, ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში მდგომარეობა ოდნავადაც არ გამოსწორებულა, ე. ი. არ გაუმჯობესებულა. ეს დადგენილება კი სულ ერთიანად მიმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება შემცირებული იქნას ავტომობილების კატასტროფა.

ამის შემდეგ რა საფუძველი გვაქვს ჩვენ, რომ მთელი პასუხისმგებლობა მარტო შოფერებს გადავაბრალოთ? ესაა სწორედ, რომ ყველგან და ყოველთვის მხოლოდ „მეისრე“ გვევლინება დამნაშავის როლში. მოხდება თუ არა სადმე კატასტროფა, მაშინვე იგზავნება კომისია, რომელიც ან მიაფუჩეჩებს საქმეს, ან დამნაშავეებს აღმოაჩენს მხოლოდ შოფერებში. და თუ შემდეგ ამ დამნაშავეებს გადასცემენ სასამართლოში, იქ უკანასკნელებს უთუოდ აღმოუჩნდებათ მფარველები. ამნაირად ისინი, ვინც დანაშაული ჩაიდინა, ვინც სიცოცხლეს გამოასალმა ხალხი, სრულებით დაუსჯელნი რჩებიან. ავიღოთ მაგალითისათვის თუნდაც შოფერი ვართანოვი, რომელიც ამას წინად ყოფილა გასამართლებაში მსგავსი შემთხვევისათვის და, ალბათ, განთავისუფლებული სასჯელიდან ვისიმე შუამდგომლობით, ან თვით სასამართლოს სისუსტით. აიღეთ ეხლა შოფერი ფავლენიშვილი. ეს ადამიანი პირდაპირ შეუფერებელი და უვარგისი ყოფილა თავისი ფუნქციისათვის. ამას ადასტურებს თვით ავტოტრანსპორტის პასუხისმგებელი მუშაკი, რომელიც გზავნის შოფერებს სამუშაოდ და ანდობს მათ ათეულ და ასეულ ადამიანთა სიცოცხლეს. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ; მე გეკითხებით თქვენ: ვინაა უფრო მეტი დამნაშავე ამ კატასტროფაში, რომელიც თბილის-მანგლისის გზაზე მოხდა, შეუფერებელი ფავლენიშვილი, თუ ავტოტრანსპორტის სამმართველო? — დეე თვით მკითხველებმა გასცეს ამაზე პასუხი.

უმთავრესი დასკვნა, რომელიც ჩვენ აქედან უნდა გამოვიტანოთ, მდგომარეობს იმაში, რომ ავტომობილების ავარიების მიზეზებს ჩვენ ზერელად ვიკვლევთ. მხოლოდ „მეისრეებს“ ვამჩნევთ და ვერ ვხედავთ უფრო ნამდვილ დამნაშავეებს. ერთი სიტყვით, ამ ავარიების მიზეზი უფრო ღრმაა, ვინემ ბევრს ჰგონია.

უბედურება ისაა, რომ ჩვენ, უმეტეს შემთხვევაში, ფორმალურად ვიქცევით: ვნიშნავთ კომისიებს, ვახდენთ გამოძიებას, მაგრამ ეს გამოძიება არ მიგვყავს ბოლომდის, არ ვაკეთებთ შესაფერ დასკვნებს. ამას უნდა მოეღოს ბოლო. ბოლო უნდა მოეღოს უპასუხისმგებლობას ყველგან და ყველაფერში. გასრისეს ქუჩაში ადამიანი, გაჭყლიტეს ბავში, გააფუჭეს და დაამტვრიეს ძვირფასი მანქანა და სხვა და სხვ. და ხედავთ, რომ ამისთვის არავინ პასუხს არ აგებს არც ნივთიერად, არც მორალურად. ვართანოვმა გამოიწვია ავტომობილის კატასტროფა, მაგრამ იგი კვლავ ავტომობილს მართავს, და მას აბარია ათეულ და ასეულ ადამიანთა სიცოცხლე. იგი არ აფასებს ადამიანის სიცოცხლეს. დღეს ერთი გაჭყლიტა და გამოასალმა სიცოცხლეს და ხვალ მეორე. იგი დარწმუნებულია, რომ ამისათვის არ აგებს პასუხს. მეორე მხრივ ფავლენიშვილი დარწმუნებულია იმაში, რომ მან არ იცის შოფერის ხელობა, მაგრამ მას მაინც აგზავნიან შოფერის ადგილზე, ამიტომ იგი მსჯელობს ასე: თუ მისი უფროსები იქცევიან ასე ზერელად და მსუბუქად, ის რისთვის უნდა მოიქცეს სხვანაირად? რისთვის უნდა მოკიდოს ხელი საქმეს სერიოზულად?

აქედან აშკარაა, რომ საქმე თავიდან უნდა დავიწყოთ, ის სათავიდან უნდა გამოსწორდეს. მაშასადამე, მეორე არსებითი დასკვნა, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიტანოთ იმ უბედური შემთხვევიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 4 აგვისტოს, უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ ამ კატასტროფის მიზეზების გამოკვლევა არ უნდა შემოიფარგლოს მარტო შოფერების როლით. გამოკვლევა გაცილებით უფრო ღრმად უნდა შეეხოს საქმეს, რათა გამორკვეულ იქნას კატასტროფის ნამდვილი მიზეზები, რომ ბოროტება ძირიანად აღმოიფხვრას.

შეუძლებელია აქვე ორიოდე სიტყვით არ შევეხოთ ჩვენს სასამართლო ორგანოებს, სახელდობრ იმათ მეტისმეტ ლმობიერებას, იმათ სირბილეს იქ, სადაც ეს საჭირო არაა. ხშირად სასამართლოებს გამოაქვთ მეტად რბილი განაჩენები ასეთ შემთხვევებში, მაგრამ კიდევ უფრო დაუშვებელია ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკების საქციელი შოფერების მიმართ. არის შემთხვევები, როცა, მაგალითად, დანაშაულის ჩადენისათვის ატუსაღებენ შოფერს. მას მაშინვე გამოუჩნდება მფარველი, რომელიმე პასუხისმგებელი მუშაკის სახით და იწყება ლაპარაკი ტელეფონში — მილიციასთან, პროკურორთან, სასამართლოსთან, ლაპარაკი მუქარით დამნაშავე შოფერის დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ძლიერ უშლის ხელს ავტომობილების და ტრამვაის კატასტროფასთან ბრძოლას, რადგანაც ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგი მრავალ შემთხვევაში ცუდ გავლენას ახდენს, როგორც მილიციის, ისე სასამართლოს ორგანოებზე. აშკარაა, რომ ასეთ მოვლენებს ბოლო უნდა მოეღოს.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა ჩვენს უკულტურობაზე, რაც ქმნის შესაფერ ნიადაგს ყველა ასეთ კატასტროფებისათვის. ოდნავადაც არ მინდა ვისმეს ვაწყენინო, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით ამ კატასტროფაში ბრალი უნდა დავდო რამდენიმეთ მაინც თვით მგზავრებსაც. ავიღოთ, თუ გნებავთ ექსკურსიები. ვინ არ იცის მათი აღმზრდელობითი და სხვადასხვა გვარი მნიშვნელობა, მაგრამ ექსკურსიების მოწყობა —ხელმძღვანელობა ჩვენ კიდევ არ გვაქვს მოგვარებული. აქაც მრავალი ნაკლი გვაქვს, რაც აიხსნება ჩვენი უკულტურობით. ჩვენ ვიცით შემთხვევები, როცა რამდენიმე ექსკურსანტი დაიღუპა ამ ცოტა ხანში იმიტომ, რომ ექსკურსია ვერ იყო სათანადოთ მოწყობილი. აქ ჩანს ყველაზე უფრო ჩვენი კულტურული ჩამორჩენა, მაგრამ ის ისეთი მოვლენაა, რომელთანაც ჩვენ ხანგრძლივად მოგვიხდება ბრძოლა. ის შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ ნაწილ - ნაწილად, არა ერთბაშათ. დეე ეს მწარე გაკვეთილები ნუ ჩაივლიან ჩვენთვის უშედეგოდ. ჩვენ უნდა შევისწავლოთ და გამოვიყენოთ ისინი.

ფ. მახარაძე.

ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა ჰააგაში

საფრანგეთის დელეგაციამ კატეგორიულად გაილაშქრა იუნგის გეგმის გადასინჯვის წინააღმდეგ

იმპერიალისტური სახელმწიფოები იცავენ თავიანთ პრივილეგიებს ჩინეთში

ბრძოლა ჰააგაში

კომისიების არჩევა

ჰააგა, 9 აგვისტო. 7 აგვისტოს ჰააგის კონფერენციის დახურულ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება საფინანსო და პოლიტიკური კომისიების შექმნის შესახებ. საფინანსო კომისიაში შედის კონფერენციაზე წარმოდგენილ ყველა სახელმწიფოს ორ-ორი წარმომადგენელი, ხოლო იმ საკითხებს, რომელნიც მხოლოდ კონფერენციის მომწვევ ექვს სახელმწიფოს (ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას, ბელგიას, იტალიას და იაპონიას) შეეხებიან, გადასწყვეტენ ამ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, კომისიისაგან დამოუკიდებლად. პოლიტიკურ კომისიაში შედის, ზემოთჩამოთვლილ სახელმწიფოთა ორ-ორი წარმომადგენელი. დანარჩენი სახელმწიფოები კი პოლიტიკურ კომისიაში არ შედიან. საფინანსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბელგიის ფინანსთა მინისტრი გუტარი. პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ჰენდერსონი. უფრო მცირე სახელმწიფოების, განსაკუთრებით პოლონეთის, არ დაშვებას პოლიტიკურ კომისიაში გერმანიის დელეგაცია თავის გამარჯვებად მიაჩნია.

8 აგვისტოს დილით მოხდა დელეგაციების ხელმძღვანელთა კერძო მოლაპარაკება. შტრეზემანმა და ზალესკიმ სხვადასხვა დროს ინახულეს ბრიანი. ბრიანთან საუბრის დროს ზალესკიმ საყვედური გამოსთქვა პოლონეთის წარმომადგენელთა არ დაშვების გამო პოლიტიკურ კომისიაში და ირონიულად შენიშნა: — პოლონეთის დელეგაცია ხომ 100.000 მარკისათვის არ ჩამოსულა ჰააგაში, როცა ის აკლდება იუნგის გეგმით „დაუესის გეგმასთან შედარებით“ (ადს).

საფინანსო კომისიაში

ჰააგა, 9 აგვისტო. სარეპარაციო კონფერენციის საფინანსო კომისიაში განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი უთანხმოებამ ერთის მხრივ ინგლისსა და მცირე კრედიტორებს, ხოლო მეორის მხრივ, საფრანგეთსა, იტალიასა და ბელგიას შორის. სნოუდენმა ისევ აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობას არ შეუძლია მიიღოს იუნგის გეგმა, თუ ყოველწლიური გადასახდელი თანხების განაწილება არ შეიცვლება; სნოუდენმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ინგლისი, როგორც საქონლის გამტანი ქვეყანა, დაინტერესებულია ნატურით გადახდის შეწყვეტაში. სნოუდენმა წარადგინა წინადადება — დაარსდეს ქვეკომისია იმ საფუძვლების განსახილველად, რომლებიც დაუწესა პარიზის ექსპერტთა კონფერენციამ გადასახდელ თანხების განაწილებისათვის.

ფრანგმა შერონმა განაცხადა: საფრანგეთის დელეგაციას არ შეუძლია მიიღოს სნოუდენის წინადადებაო.

„იმ ექვს სახელმწიფოდან — სთქვა შერონმა.— რომლებმაც მოიწვიეს ეს კონფერენცია, ხუთმა მოიწონა ექსპერტების მიერ რეპარაციების მოსაგვარებლად ჩატარებული მუშაობა. განსახილველია მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც იუნგის გეგმამ მთავრობის განსახილველად დასტოვა, და არა საფრანგეთის წილი სარეპარაციო გადასახდელში. საფრანგეთის დელეგაციას არ შეუძლია შესცვალოს თავისი პოზიცია, რომელიც ხაზგასმით ნათლად არის გამოთქმული“.

რუმინელმა ტიტულესკუმ და სერბიელმა მარინკოვიჩმა გაიმეორეს თავიანთი მთავრობების მოთხოვნები გადასახდელი თანხების განაწილების გადასინჯვის შესახებ. იტალიელმა პირელიმ და ბელგიელმა ჟასპარმა მხარი დაუჭირეს საფრანგეთს, გერმანიის დელეგაციამ თავი შეიკავა რაიმე განცხადებისაგან.

ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისის შეჯახების გამო მოლაპარაკების განგრძობა გადაიდო. შეეცდებიან ერთმანეთს დაუახლოვონ ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციები. (ადს).

პოლიტიკურ კომისიაში

ჰააგა, 9 აგვისტო. ჰააგის კონფერენციის პოლიტიკური კომისიის სხდომაზე ჰენდერსონმა წინადადება შეიტანა, რომ კომისიის მუშაობის პროგრამაში შევიდეს ორი საკითხი: პირველი — რეინის ოლქის ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ, ხოლო მეორე — შემთანხმებელი კომისიის შესახებ რეინის ოლქში. დაიწყო პირველი საკითხის განხილვა. კომისიამ დაადგინა — შექმნას ქვეკომისია, რომელიც განიხილავს ოკუპაციის შეწყვეტასთან დაკავშირებულ ისეთ ტეხნიკურ საკითხებს, როგორიცაა ჯარის გადაყვანა, საოკუპაციო ჯარის მიერ დაკავებული შენობების გერმანიის ხელისუფლებისათვის გადაცემა და სხვ.

ქვეკომისიაში ალბათ მონაწილეობას მიიღებენ გერმანიისა და ოკუპანტი სახელმწიფოების, ესე იგი საფრანგეთის, ბელგიის და ინგლისის წარმომადგენელნი. (ადს).

ჰააგა, 9 აგვისტო. პოლიტიკური კომისიის დღევანდელ სხდომამ წყნარად ჩაიარა, რადგან ყველა საკითხი, რომლებსაც იხილავდნენ, წინასწარ იყო შეთანხმებული მთავარი დელეგაციების ხელმძღვანელებთან.

საერთო კამათი რეინის ოლქისათვის ეგრედწოდებული „კონსტიტუციის (ფაქტიური მდგომარეობის შექმნა) და შერიგების კომისიის“ შექმნის ირგვლივ (ამ სახელწოდების ქვეშ იმალება საკონტროლო კომისია, რომელსაც ფრანგები მოითხოვენ) მონაწილეობა მიიღეს ბრიანმა, შტრეზემანმა, ვირტმა, ინგლისელმა ფიპელსმა და ბელგიელმა ჰიმენსმა. გერმანიის წარმომადგენლები საჭიროდ სცნობდნენ ასეთ კომისიას და აღნიშნავდნენ, რომ მისი ფუნქციები სავსებით შეუძლია შეასრულოს იმ კომისიამ, რომელიც შექმნილია ლოკარნოს შეთანხმებათა მიხედვით. ამაზე ბრიანმა უპასუხა, რომ გერმანიის უნდობლობა არ არის დასაბუთებული, რადგან ეს კომისია უნდა შეიქმნას „არა კონტროლის მიზნით არამედ პროცედურის გასაადვილებლად“. ბრიანმა განაცხადა, რომ კონფერენციის წარმატებით დამთავრება დამოკიდებულია საფინანსო კომისიის შედეგებზე. კომისიამ დაადგინა—შექმნას იურიდიული ქვე-კომისია იმის გამოსარკვევად—არის თუ არა არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში უფლებრივი წინასწარი პირობები „შერიგების კომისიის“ დასაარსებლად.

იურიდიულ კომისიაში შედის 6 იურიდიული ექსპერტი. პოლიტიკურ კომისიაში შემავალი სახელმწიფოების რიცხვის მიხედვით. (ადს).

ინგლისური და ფრანგული პრესის კომენტარიები

ლონდონი, 9 აგვისტო. კონსერვატიული და ლიბერალური ინგლისური პრესა ერთსულოვნად იწონებს იმ პოზიციას, რომელსაც დაადგა სნოუდენი ჰააგის კონფერენციაზე. „დეილი ტელეგრაფ“-ი სწერს, რომ საჭიროა საბოლოოდ გაუქმდეს სარეპარაციო გადასახდების ნატურით შეტანა. „ტაიმს“-ი აქებს სნოუდენის „გამბედაობას და დახელოვნებას“, მაგრამ ამავე დროს აცხადებს — „არ შეიძლება საქმე კრიზისამდე იქნას მიყვანილიო“.

„მორნინგ პოსტ“-ი მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ „ინგლისი, საფრანგეთი და იტალია გერმანიის წინაშე აშკარად ამჟღავნებენ მათ შორის არსებულ წინააღმდეგობებსო“. (ადს).

პარიზი, 9 აგვისტო. მთელი ფრანგული ბურჟუაზიული პრესა სასტიკად ილაშქრებს სნოუდენის წინააღმდეგ. პრესა ინგლისის მოთხოვნებს უწოდებს „დაუსაბუთებელს“, ხოლო სნოუდენის განცხადებებს — „მეტად თავდაუჭერელს“. გაზეთები აცხადებენ, რომ სნოუდენის პოზიცია ჩაშლას უქადის ჰააგის კონფერენციას და გადაჭრით აღნიშნავს, რომ იუნგის გეგმის გადასინჯვა „დაუშვებელიაო“. მაგრამ ამავე დროს გაზეთების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სნოუდენის მიერ წამოყენებული მოთხოვნები სინამდვილეში მოასწავებენ მხოლოდ ერთგვარ მანევრს, რომლითაც ინგლისი მიზნათ ისახავს დაითანხმოს საფრანგეთი იმაზე, რომ საერთაშორისო ანგარიშების გამსწორებელი ბანკი იმყოფებოდეს ლონდონში, აგრეთვე მიიღოს საფრანგეთისაგან დაპირება იმის შესახებ, რომ იუნგის გეგმის საბოლოო მიღებამდე შესწყდეს რეინის ოლქის ოკუპაცია.

ფრანგული პრესა მეტად პესიმისტურად აფასებს კონფერენციაზე შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ ამავე დროს მას არა სჯერა კონფერენციის ჩაშლის შესაძლებლობა

ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის გარშემო

იაპონური გაზეთების ცნობა

ტოკიო, 9 აგვისტო. როგორც „ნიცი-ნიცი“ და „ტოკიო ასახი“ ნანკინიდან იუწყებიან, საბჭოთა კავშირის მოულოდნელი მტკიცე პოზიციის გამო, ნანკინის მთავრობამ მიმართა ყველა სახელმწიფოს, რომელთაც კელოგის პაქტზე ხელი უწერიათ, განცხადებით, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ ჩინეთ-საბჭოთა მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრება აიხსნება იმ უსაფუძვლო მოთხოვნით, რომელიც წამოაყენა საბჭოთა კავშირმა და რომელიც შეეხება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე საბჭოთა თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის აღდგენას. ჩინეთის მთავრობა აცხადებს, რომ ის არასოდეს არ დათანხმდება ამ პირობაზე, ამიტომ მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრებისათვის პასუხისმგებლობას იგი საბჭოთა მთავრობას აკისრებს. მთელი პრესა ათავსებს ხარბინიდან გადმოცემულ ცნობას იმის შესახებ, რომ ჩუ შაო-იანს აქვს რწმუნება აწარმოოს მოლაპარაკება არა მარტო აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის, არამედ ჩინეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, აგრეთვე ჩინეთ-საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებაც. (ადს).

ჩუ შაო-იანი სცდილობს კონტაქტი დაამყაროს მელნიკოვთან

ტოკიო, 9 აგვისტო. როგორც სიმბუნრენგოს სააგენტო მანჯურიიდან იუწყება, ჩუ შაო-იანი სცდილობს კონტაქტი დაამყაროს მელნიკოვთან და მას სურს—თუ ამას ვერ მიაღწევს, მოსკოვს გაემგზავროს. (ადს).

დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქეები ჯერ კიდევ არ გაუთავისუფლებიათ

ტოკიო, 9 აგვისტო. ხარბინიდან გადმოცემული ცნობით, მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრებამ ცაისა და მელნიკოვს შორის მეტისმეტად გაამწვავა მდგომარეობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. საბჭოთა მოქალაქეები და მუშები აღელვებულნი არიან, ისინი, ვინც რჩება აღმ.-ჩინეთის რკინის გზის სამსახურში, აცხადებენ, რომ შეუძლებელია დღევანდელ პირობებში ნორმალური მუშაობაო. ელდიტუნის სადგურზე მოხდა შეტაკება ხუნხუზების ორ ჯგუფს შორის.

გერმანიის საკონსულოს წარმომადგენლებმა საპყრობილეში ინახულეს საბჭოთა 39 მოქალაქე, რომელნიც დაპატიმრებულ იქნენ საკონსულოზე თავდასხმასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ არ გაუნთავისუფლებიათ 90 საბჭოთა მოქალაქე, რომელნიც 3 აგვისტოს დააპატიმრეს. გრძელდება საბჭოთა მოქალაქეების დათხოვნა მუნიციპალიტეტიდან და სხვა დაწესებულებებიდან. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ადმინისტრაციამ ჩინეთის ხელისუფლებას გადასცა [illegible] განყოფილებას ზოგიერთი დაწესებულება და სხვა. (ადს).

იაპონიის პრემიერი საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ

ტოკიო, 10 აგვისტო პრესის წარმომადგენლებს პრემიერმა ხამაგუჩიმ განუცხადა, რომ იაპონია, საფრანგეთი და იტალია საზღვაო შეიარაღებათა საკითხის შესახებ წინასწარ მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მიღწეულ იქნება წინასწარი შეთანხმება ინგლისსა და ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორისო. ხამაგუჩიმ დაუმატა, რომ მთავრობას ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია ინგლისის, ამერიკის და იაპონიის საზღვაო შეიარაღებათა პროპორციის შესახებ. (ადს).

იმპერიალისტები იცავენ თავის პრივილეგიებს ჩინეთში

ლონდონი, 9 აგვისტო. ოფიციალურად ადასტურებენ, რომ სახელმწიფოებმა, რომლებიც ექსტერიტორიალობის უფლებით სარგებლობენ ჩინეთში, პასუხი გასცეს ნანკინის მთავრობის ნოტაზე ექსტერიტორიალობის უფლების გაუქმების შესახებ. სახელმწიფოების საპასუხო ნოტები ერთნაირია შინაარსით. სახელმწიფოებს მოჰყავთ სხვადასხვა მოტივები და უარს აცხადებენ ნანკინის მთავრობის თხოვნის დაკმაყოფილებაზე. (ადს).

ვაშინგტონი, 10 აგვისტო. საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის დროებით აღმასრულებელმა კოტონმა გამოაცხადა, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობამ უარყოფითი პასუხი გასცა ნანკინის მთავრობის მარტის ნოტას, რომელშიაც ნანკინი მოითხოვდა ექსტერიტორიალობის პრივილეგიების გაუქმებას. კოტონი არ უარჰყოფს, რომ ამ საკითხზე მას თათბირი ჰქონდა საფრანგეთის, ინგლისის და პოლონეთის წარმოადგენლებთან. როგორც ხმა დადის, ამ სახელმწიფოებმა ჩინეთს ამგვარივე ნოტები გაუგზავნეს (ადს).

პოლიციის თავდასხმა პიონერების ბანაკზე

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. იუსტიციის სამინისტროს პოლიტიკური პოლიცია თავს დაესხა ნორჩ პიონერთა ბანაკს სან-ფრანცისკოში (კალიფორნია). პოლიცია ღამით შეიჭრა ბანაკში, წამოაყენა მძინარე ბავშვები, ბევრი მათგანი დააპატიმრა, აგრეთვე წაიღო ლიტერატურა. ნიუ-იორკში 15 წლის გარრი ეისმანს, რომელმაც ახალგაზრდათა ბურჟუაზიული ორგანიზაციის—ბოი-სკაუტების საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მიიღო მონაწილეობა, მიუსაჯეს მცირეწლოვანთა გამასწორებელ კოლონიაში 6 თვით გაგზავნა. სასამართლოში პოლიციელებმა უჩვენეს, ვითომ ეისმანმა (რომელიც სიმაღლით 4 ნახევარ ფუტამდე იქნება) მუცელში ფეხი ჰკრა პოლიციელის ცხენს, როდესაც ცხენოსანი პოლიცია დემონსტრაციის მონაწილეთა რიგებში შეიჭრა. (ადს).

მაკდონალდის პოლიტიკის წინააღმდეგ

ლონდონი, 9 აგვისტო. მუშათა პარტიის ორგანოში „დეილი ჰერალდ“-ში დაიბეჭდა მუშკორ ვილკინსონის წერილი. ვილკინსონი ჰგმობს მაკდონალდის მთავრობას ელჩების დანიშვნის დაყოვნებისათვის.

ალბათ ეს წერილი მხოლოდ იმიტომ დაიბეჭდა, რომ ერთ-ერთია იმ მრავალ წერილთაგან, რომელნიც ასეთსავე განწყობილებებს გამოხატავენ. ვილკინსონი, სხვათა შორის, სწერს:

„როგორც ჩანს, მთავრობა ასეთ დიდ სიფრთხილეს იჩენს იმისათვის, რომ ოპოზიციას ასიამოვნოს. მთავრობა ავიწყდება, რომ ეს ზიანს აყენებს თვით მუშათა პარტიას და ცუდ გავლენას ახდენს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობაზე“. (ადს).

განათლების მუშაკთა უნიტ. კავშირის ყრილობა

პარიზი, 9 აგვისტო. 7 აგვისტოს ბეზანსონში გაიხსნა განათლების მუშაკთა უნიტარული კავშირის ყრილობა.

კავშირის მდივანმა თავის მოხსენებაში, რომელიც შეეხებოდა განათლების მუშაკთა საფრანგეთის კავშირის მუშაობას უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ კავშირმა ფართოდ გაშალა ომის საწინააღმდეგო აგიტაცია და იგი ყოველთვის პროტესტს აცხადებდა მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ. (ადს).

„გრაფ ცეპელინ“-ის გადაფრენა

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. 9 აგვისტოს შუაღამისას დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინი“ შეუდგა დედამიწის გარშემო შემოვლას. იგი გაემართა ნიუფაუნდლენდის კუნძულების ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ. შემდეგში დირიჟაბლი შეამჩნიეს ნიუ-იორკის აღმოსავლეთით, ამ ქალაქიდან 700 მილის მანძილზე. იგი მიდის ფრიდრიხსჰაფენში, ხოლო იქიდან გაემართება აღმოსავლეთისაკენ, გაივლის საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილს, ციმბირს, იაპონიას და კვლავ ამერიკაში მოვა. (ადს).

გაფიცვების ტალღა

ინგლისი

გენერალური საბჭოს ქვე-კომისია მანჩესტერში

ლონდონი, 9 აგვისტო. არის ფარული ცდა—დაიწყონ მოლაპარაკება საფეიქრო ფაბრიკების პატრონებსა და პროფკავშირებს შორის. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ფეიქართა წარმომადგენლები ამ დღეებში შეხვდებიან მრეწველთა წარმომადგენლებს. მანჩესტერში უკვე ჩავიდა გენერალური საბჭოს ქვე-კომისია, რომელშიაც შედიან ტილეტი, სუელსი და ხიქსი. კომისიას სურს გაეცნოს მდგომარეობას და, თუ საჭირო შეიქნა, იკისროს შუამავლობა. (ადს).

ინდოეთი.

ჯუტის ფაბრიკების მუშათა გაფიცვა

ლონდონი, 9 აგვისტო. კალკუტიდან მიღებული ცნობით, ჯუტის ფაბრიკების მუშათა გაფიცვა თანდათან ფართოვდება: იგი უკვე 210.000 კაცს მოედო. იმ რაიონში, სადაც გაფიცვაა, შესვლა აეკრძალა პროფკავშირის ხელმძღვანელ ქალის დას გუნტას. იმ სისხლიან ამბავთან დაკავშირებით, რომელიც 6 აგვისტოს მოხდა, კოურპორში დააპატიმრეს 200-მდე კაცი. (ადს).

პოლონეთი

მელითონეთა გაფიცვა

ვარშავა, 9 აგვისტო. ტეშინში გრძელდება მელითონეთა გაფიცვა. მრეწველობის სხვა დარგების მუშათა პროფკავშირები მოუწოდებენ მუშებს—გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა, მელითონეთა მხარის დასაჭერად. ზემო სილეზიაში, ფრანგების კამპანიის საწარმოებში გაფიცულია რამდენიმე ათასი მუშა. ვარშავის ლითონის მრეწველობაშიაც თანდათან მწიფდება კონფლიქტი, რომელსაც გაფიცვა უნდა მოჰყვეს. (ადს).

კლასობრივი ბრძოლა რუმინეთში

რუმინეთის მემაღაროეთა გაფიცვა გრძელდება

ვენა, 9 აგვისტო. ბუქარესტიდან გადმოცემული ცნობით, ლუპენში მემაღაროეთა გაფიცვა გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები სცდილობენ ჩაშალონ იგი. იმ შეტაკებათა გამო, რომლებიც ამას წინად მოხდა, სწარმოებს მასიური დაპატიმრება, **უმთავრესად უნიტარული პროფკავშირების მომხრეთა შორის.** ამათ სთვლიან მეთაურებად ხელისუფლება და სოციალ-დემოკრატები, თვით ბურჟუაზიული პრესაც-კი აღიარებს, რომ მემაღაროეთა გამოსვლა აიხსნება მათი უკიდურესი გაჭირვებით, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შრომის სამინისტრომ ნება მისცა მრეწველებს—გაეჭიანურებიათ მოლაპარაკება. ეს მოლაპარაკება უნდა შეხებოდა იმ კოლექტიური ხელშეკრულების განახლებას, რომელსაც ვადა ნახევარი წლის წინად გაუვიდა.

მსხვერპლთა დიდი რიცხვი აიხსნება იმით, **რომ ჯარისკაცები ისროდნენ ყოველივე გაუფრთხილების გარეშე.** ოფიციალურ ცნობაში მთავრობა ამტკიცებს, ვითომ პირველად მუშებმა ასტეხეს სროლა და ვითომ 20 ჯარისკაცი დაიჭრა. (ადს).

ვენა, 9 აგვისტო. ბუქარესტიდან გადმოცემული ცნობით, ნაყოფი ვერ გამოიღო რუმინეთის ხელისუფლების ცდამ, რომლის მიზანიც იყო ლუპენში გაფიცვის ლიკვიდაცია. მუშები მტკიცედ შეხვდნენ გაფიცვას და აცხადებენ, რომ განზრახვა აქვთ ბრძოლა ბოლომდე განაგრძონ. **გაფიცვა მოედო უშიშროების ტეხნიკის სამუშაოებსაც. ეშინიათ მაღაროების ჩამონგრევისა და მათი წყლით ამოვსების.** (ადს).

მელითონეთა გაფიცვა

ვენა, 9 აგვისტო. ბუქარესტიდან გადმოცემული ცნობით, რეშიცში ფოლადის ჩამომსხმელ უდიდეს ქარხნებში გაფიცვა გამოცხადდა. გაფიცვა გამოიწვია იმან, რომ ადმინისტრაციამ უარი განაცხადა მუშათა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომელიც სამუშაო ხელფასის მომატებას შეეხება. (ადს).

პოლიტპატიმართა შიმშილი

ვენა, 9 აგვისტო. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, **პოლიტპატიმართა იმ გაფიცვამ, რომელიც კლაუზენბერგში 41 დღე გრძელდება, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ყველა საზოგადოებრივ წრეებზე სემიგრადში.** სოციალ-დემოკრატიული გაზეთები, არც კი იხსენიებენ გაფიცვას, უნგრელი უმცირესობის გაზეთები კი ერთსულოვნად მხარს უჭერენ ამნისტიას 12 პოლიტპატიმრისათვის, რომელნიც შიმშილობენ. მათში 9 მეტად საშიშ მდგომარეობაშია.

28 დღეა, რაც გრძელდება დაპატიმრებულთა გაფიცვა გალაცში. გარდა ამისა, მიშლეაში გაფიცვა გამოაცხადა სამმა მუშა-ქალმა. ამათ სასჯელი გადაეწყვიტათ კომუნისტური პროპაგანდისათვის. (ადს).

მოკლული მუშების დაკრძალვა

ვენა, 9 აგვისტო. რუმინეთიდან გადმოცემულ ცნობით, 8 აგვისტოს ლუპენში დაკრძალეს მოკლული მუშები. დაკრძალვაზე დაუშვეს მხოლოდ ახლო ნათესავები. დაჭრილი მუშებიდან ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა და ერთიც მკვდარი იპოვეს 40 კილომეტრის მანძილზე იმ ადგილიდან, სადაც მუშათა დახვრეტა მოხდა. **გრძელდება გაფიცვა, აგრეთვე ჯარის კონცენტრაცია ჟილავას რაიონის მთავარ პუნქტებში.** უნგრელი უმცირესობის პრესა რუმინეთში ეხება ლუპენის ამბებს და ხაზგასმით აღნიშნავს მემაღაროეთა შემაძრწუნებელ სიღატაკეს. ლიბერალური პრესა მთავრობას აბრალებს „მემაღაროეთა შორის რეპრესიების გზით რევოლიუციონურ-კომუნისტური მოძრაობის დანერგვას“. საიდუმლო პოლიციის ორგანო „უნივერსულ“-ი სწერს „უნგრელი ნაციონალისტების მახინაციებზე“. გაზეთის სიტყვით, ისინი „მუშებში მღელვარებას იწვევენ“. ოფიციოზური „დრეპტატე“ სწერს, რომ „მთავრობა არ არის ამ ამბებში პასუხისმგებელი, რადგან შეუძლებელია მუშათა გაჭირვების ლიკვიდაცია აჩქარებით“. (ადს).

მიმოსვლის შეწყვეტა

პოლონეთ-ლიტვის სადემარკაციო ხაზზე

კოვნო, 10 აგვისტო. ლიტვის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ 8 აგვისტოს პოლონეთის ხელისუფლებამ, უცნობი მიზეზით, უცეხას და ოლიტას რაიონში აკრძალა მიმოსვლა პოლონეთ-ლიტვის სადემარკაციო ხაზზე.

ლიტველ გლეხობას, რომლის მიწებზედაც გადის ამ რაიონის სადემარკაციო ხაზი, დიდი ზარალი მოსდის, რადგან მინდვრად მუშაობა აღარ შეუძლია.

პრემიერმა ვოლდემარასმა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს დრუმონდს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აღნიშნავს, რომ პოლონეთმა დაარღვია კენიგსბერგის შეთანხმება ადგილობრივი მიმოსვლის შესახებ სადემარკაციო რაიონში (ადს).

მშრომელთა საერთაშორისო სოც. შეჯიბრება

კიევის მუშების პასუხი ჰამბურგელ რკინისგზელებს

კიევი, 10 აგვისტო. კიევის მთავარ სახელოსნოების მუშებმა საერთაშორისო სოც. შეჯიბრებაში გამოწვევის საპასუხოდ ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს ჰამბურგელ რკინისგზელებს:

„ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ მთლიანად ვიღებთ თქვენს გამოწვევას და ვესალმებით თქვენს ინიციატივას საერთაშორისო სოციალისტური შეჯიბრების საქმეში. ჩვენ ვკისრულობთ ყველა ძალებისა და საშუალებების მობილიზაციას დიად სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად და პირობას ვაძლევთ, რომ მტკიცედ ვიდგომებით საბჭ. კავშირის სოციალისტური მშენებლობის სადარაჯოზე“.

კიეველი პროლეტარები სთხოვენ ჰამბურგელ რკინისგზელებს ინახულონ საბჭ. კავშირი.

ბრიანსკის მუშების მოწოდება

ბრიანსკი, 10 აგვისტო. ქარხანა „წითელი პროფინტერნის“ მუშებმა მსოფლიო პროლეტარიატს მიმართეს მოწოდებით—ყოველთვის მზად იყონ საბჭოთა კავშირის დასაცავად.

„ჩვენ ვიმუშავებთ ჩვენი ძლიერების განსამტკიცებლად,—ნათქვამია მოწოდებაში,—თქვენ კი უზრუნველჰყავით ჩვენთვის მშვიდობიანი შრომა“.

გადაწყვეტილია დელეგაციის გაგზავნა უცხოეთში საერთაშორისო სოც. შეჯიბრების შესახებ ხელშეკრულების დასადებად.

პოლონეთის მუშათა და გლეხთა დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 10 აგვისტო. მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის, დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის მუშათა და გლეხთა დელეგაცია. დელეგაციის შესახვედრად სადგურზე შეგროვდნენ პროფესიონალური, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენელნი, მოსკოვის მშრომელ პოლონელთა დელეგატები, პოლონელი პიონერები და სხვ. შეკრებილნი განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ ლანცუცკის, პიონერების წარმომადგენელმა ლანცუცკის გამოუცხადა, რომ იგი არჩეულია საპატიო პიონერად, და გადასცა მას წითელი ხელსახვევი. სადგურის მახლობლად მდებარე მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელიც გაიხსნა მოსკოვის საგუბერნიო პროფსაბჭოს მდივნის დროფინის სიტყვით. შემდეგ დელეგაციას რმდასის ცენტრალური და მოსკოვის კომიტეტის სახელით მიესალმა ამხ. ვოსკრესენსკაია, ხოლო „სერპ ი მოლოტ“-ის ქარხნის მელითონე მუშების სახელით—ამხ. ხრისანოვი.

ამხ. ლანცუცკის სიტყვა

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. ლანცუცკი, რომელსაც მიტინგმა ოვაცია გაუმართა. ლანცუცკიმ განაცხადა, რომ დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა იმ გუმბერაზული მშენებლობის გასაცნობად, რომელიც გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანაში გაიშალა. მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომლებსაც პოლონეთის ფაშიზმი საბჭოთა კავშირის და პოლონეთის მშრომელთა დაახლოვებას უქმნის, მუშებმა და გლეხებმა მაინც მოახერხეს თავიანთი წარმომადგენლების გამოგზავნა საბჭოთა კავშირში.

„1 აგვისტოს,—სთქვა ლანცუცკიმ,—პოლონეთი ნამდვილ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. მუშათა კლასის წინააღმდეგ გამოიტანეს ტყვია-მფრქვეველები და ტანკები და გამოიყვანეს სამხედრო ნაწილები, რომლებიც განუწყვეტლივ დადიოდნენ მუშათა უბნებში. მიუხედავად ამისა, ვარშავის პროლეტარიატმა 1 აგვისტოს მაინც მოაწყო დემონსტრაცია და აგაგებინა ყველას, რომ იგი მზად არის საბჭოთა კავშირის დასაცავად. პოლონეთის მუშათა კლასმა პოლონელ ფაშისტებს მოაგონა, რომ ეხლა 1920 წელი არ არის. პოლონეთის ფაშიზმი ვეღარ შესძლებს შეცდომაში შეიყვანოს მასები და გამოიყვანოს ისინი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამოწვდილი მახვილი ომის დამწყებთა წინააღმდეგ შებრუნდება“.

ამხ. ლანცუცკი პოლონეთის პროლეტარიატის სახელით სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს და მადლობას უცხადებს მას იმ დახმარებისათვის, რომელიც საბჭოთა მუშებმა ლოძის გაფიცულებს აღმოუჩინეს. სიტყვის დამთავრების შემდეგ ამხ. ლანცუცკიმ შესძახა: „გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“

ლანცუცკის სიტყვა ხალხმა ხანგრძლივი ტაშით დაფარა.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ფეიქართა, მელითონეთა, ხისდამმუშავებელთა და მეტყევეთა წარმომადგენელნი. დელეგაციის თავმჯდომარედ არის საფეიქრო ქარხნის „შიბლერ და გრომან“-ის უპარტიო მუშა ამხ. მაცი, რომელსაც 25 წლის საწარმოო სტაჟი აქვს. თებერვლის რევოლიუციის წინ იგი 5 წლის განმავლობაში გადასახლებული იყო იაკუტიაში.

დელეგაციის მდივნად არის სტანისლავ ლანცუცკი, რომელიც აირჩიეს დასავლეთ უკრაინის მუშებმა. დელეგაციის პრეზიდიუმში შედის აგრეთვე ფეიქარი ქალი ვოროვიაკი, რომელმაც 22 წელიწადი იმუშავა ვიძევსკის მანუფაქტურაში. (ადს).

საუბარი დელეგაციის წევრებთან

მოსკოვი, 10 აგვისტო. მოსკოვში ჩამოსულ პოლონელთა დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. მაცმა, დელეგაციის მდივანმა ამხ. სტანისლავ ლანცუცკიმ და დელეგაციის პრეზიდიუმის სხვა წევრებმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

„პოლონეთის მუშებმა და გლეხებმა ორჯერ სცადეს თავიანთი წარმომადგენლების გამოგზავნა საბჭოთა კავშირში, მაგრამ უშედეგოდ. პირველი ცდა მოხდა 1927 წელს, როდესაც ვარშავის, ლოძის და დომბროვის რაიონში არჩეულ იქნა 80 დელეგატი; მათ უარი უთხრეს საბჭოთა კავშირში შესასვლელი ვიზების მიცემაზე. არჩეული მუშები დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან და პოლიციამ მათ დევნა დაიწყო. მხოლოდ 10 დელეგატმა მოახერხა საბჭოთა კავშირში მოსვლა და ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულში მონაწილეობის მიღება. მეორედ პოლონეთის მუშებმა თავიანთი დელეგაციის გამოგზავნა საბჭოთა კავშირში სცადეს 1928 წელს, ლოძის გაფიცვის შემდეგ. დელეგაციას არ მისცეს საბჭოთა კავშირში შესვლის ნებართვა.

ეხლანდელი დელეგაცია წარმოადგენს იმ ამხანაგების მხოლოდ ნაწილს, რომლებიც არჩეულ იქმნენ მასიურ საქარხნო-საფაბრიკო კრებებზე ვარშავაში, პოზნანში და დომბროვის რაიონში, აგრეთვე დასავლეთ უკრაინაში, დასავლეთ ბელორუსიაში და მრავალ სასოფლო-სამეურნეო რაიონში. პოლონეთის მუშებმა და გლეხებმა აირჩიეს 100 დელეგატი. არჩეულ დელეგატებს პოლონეთის მუშებმა და გლეხებმა დაავალეს—დაწვრილებით გაეცნონ მშრომელთა მდგომარეობას საბჭოთა კავშირში. პოლონეთის მუშებმა სთხოვეს თავიანთ დელეგატებს, მადლობა გამოუცხადონ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს იმ დახმარებისათვის, რომელიც მან აღმოუჩინა ლოძის მუშებს უკანასკნელი გაფიცვის დროს. ეს იყო ერთად-ერთი დახმარება საზღვარგარეთელი პროლეტარიატისაგან, ვინაიდან არც ამსტერდამის ინტერნაციონალმა და არც პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ თავი არ შეიწუხეს იმ მხრით, რომ გაფიცულებისათვის საჭირო ნივთიერი დახმარება გაეწიათ. მეტიც: პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ არ მიიღო საბჭოთა კავშირის მუშების მიერ გამოგზავნილი დახმარება და მით ხელი შეუწყო დამქირავებლებს, რომ მით დაეშლათ გაფიცვა.

პოლიტპატიმრებმა დელეგაციის წევრებს დაავალეს—გამოუცხადონ მადლობა რმდას და მის ყველა წევრებს იმ რეგულიარული დახმარებისათვის, რომელსაც ისინი აწვდიდნენ მათს ოჯახებს. პოლიტიკური პატიმრები აცხადებენ, რომ, პოლონეთის ფაშიზმის საშინელი რეპრესიების მიუხედავად, ისინი ხელს არ აიღებენ პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის საქმისათვის ბრძოლაზე. (ადს).

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს კომიტეტის პლენუმი

ბაქო, 10 აგვისტო. 9 აგვისტოს დაამთავრა თავისი მუშაობა აზერბაიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს კომიტეტის გაფართოვებულმა პლენუმმა წარმოების კომუნისტ-მუშათა მონაწილეობით.

პლენუმმა განიხილა საკავშირო კომპარტიის (ბ) პასუხისმგებელი ინსტრუქტორის ამხ. პშენიცინის მოხსენება აზერბეიჯანის პარტიული ორგანიზაციის გამოკვლევის შედეგების შესახებ და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი.

პლენუმმა დაწვრილებით განიხილა ბაქოს და აზერბეიჯანის პარტიულ ორგანიზაციაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კამათი, რომელმაც ორ საღამოს გასტანა და რომელშიაც უმთავრესად პარტიულმა მუშებმა მიიღეს მონაწილეობა, შეეხებოდა თვითკრიტიკის დევნის საკითხს. პარტიულმავე მუშებმა მოიყვანეს პირწავარდნილი ბიუროკრატიზმის, შინაურულობის, ერთმანეთის დაფარვის და გახრწნის მრავალი მაგალითი, ძველი ხელმძღვანელობის დროს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აპარატის ზოგიერთი საფეხურების მუშაობაში. ყველა მუშა მოითხოვდა ძველი პარტიული ხელმძღვანელობის გაბედულ განახლებას, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ უმსგავსოებათა ძაფები თავს იყრიან ცენტრალური კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელთან; მუშები მოითხოვდნენ აგრეთვე საბჭოთა, პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკების განახლებას და მათ ადგილას მუშათა კლასის საუკეთესო კადრების სწრაფ დაწინაურებას.

ბაქოს კომიტეტის პლენუმი ერთხმად შეუერთდა აზერბეიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ამას წინად მიღებულ დადგენილებას. ბაქოს კომიტეტის პლენუმმა ამავე დროს მიიღო შემდეგი დამატებანი:

1. ახლო დღეებში მოწვეულ იქნას პარტიის სარაიონო კომიტეტების გაფართოვებული პლენუმები წარმოების პარტიული მუშების მონაწილეობით და ამ პლენუმებზე აირჩიეს რაიონული კომიტეტების პრეზიდიუმები;

2. ეთხოვოს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, რომ ამ პლენუმებზე მომხსენებლად გამოგზავნოს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტების პრეზიდიუმის წევრები;

3. ბაქოს საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკების განახლების მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს ბაქოს საბჭოს პრეზიდიუმის ახლო ხანში გადარჩევა.

ბაქოს კომიტეტის ახალ პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 11 წევრი, 6 კანდიდატი. პრეზიდიუმში შევიდნენ: ამხ. გიკალო, არტაკი, ფლოროვი, ბარინოვი, სტოლიაროვი და წარმოების მუშები: ამხ. მახმუდ ბუნიათ-ზადე (მბეჭდავი), მეჯიდოვი (სურახანის მექანიკური განყოფილების ზეინკალი), მამედ უსეინი (ბაბი-ეიბათის მეორე სარეწაოს მუშა), დაბაღიანი, (შმიდტის სახელობის ქარხნის მჭედელი), მატვეევი (ორთქლმავლის მემანქანე ლი), მატვეევი (ორთქლმავლის მემანქანე ბა ბალაჯარაში), ალიევი ალეკპერ (ბალახანის მესამე სარეწაოს ზეინკალი).

კანდიდატებად პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. შატუნოვსკაია, სუმიანცევი, ვასინა (გემის მექანიკოსის თანაშემწე), რასულოვი (მბურღავი ბინაგადიდან).

ბაქოს კომიტეტის მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. გიკალო, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ—ამხ. მახმუდ-ბუნიათ-ზადე, სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგედ—ამხ. სტოლიაროვი (პარტიის მოსკოვის კომიტეტის მუშაკი).

ამხ. ბარინოვის და ბუნიათ-ზადეს გარდა, პრეზიდიუმის მთელი დანარჩენი შემადგენლობა ახალაი, რომელიც წინად არ შედიოდა პრეზიდიუმში.

პლენუმის დეპეშები

გაფართოებულმა პლენუმმა გაგზავნა შემდეგი შინაარსის მისასალმებელი დეპეშები:

საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას, საკ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიას და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტს

„ბაქოს კომიტეტის პლენუმმა წარმოების კომუნისტ-მუშების მონაწილეობით მოისმინა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორის ამხ. პშენიცინის მოხსენება აზერბეიჯანის და ბაქოს ორგანიზაციის გამოკვლევის შედეგების შესახებ და განიხილა რა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენებების გამო გამოტანილი დადგენილება და სიხარულით ეგებება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის თავის დროზე და სამართლიან ჩარევას აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) საქმეებში. პლენუმი აღნიშნავს ჩვენი პარტიის შტაბის—საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლენინურ გამჭრიახობას და ბოლშევიკურ სიმტკიცეს. პლენუმი და წარმოების მუშები—ბაქოელი ბოლშევიკები საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე პირობას სდებენ, რომ სწრაფად და დაუზოგავად გამოასწორებენ წარსული ხელმძღვანელობის შეცდომებს და ამოფხვრიან გახრწნისა და ბოროტმოქმედების ფესვებს. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) პარტიული ორგანიზაციის უდიდეს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ათეული და ასეული დაწინაურებული ბოლშევიკი მუშების ყოფნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის უმთავრესი დასაყრდენია.“

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას

„აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს კომიტეტის პლენუმი, რომელიც შეიკრიბა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მიერ აზერბეიჯანის კომპარტიის შესახებ გამოტანილ უკანასკნელ გადაწყვეტილებათა განხორციელების საკითხის განსახილველად, მხურვალე და ძმურ სალამს უძღვნის საბჭოთა საქართველოს მშრომელთა სახელოვან ავანგარდს—საქართველოს კომუნისტურ პარტიას მისი ც. კ.-ის სახით. ბაქოს კომიტეტი, რომელიც შეუდგა ძველი ხელმძღვანელობის შეცდომათა გამოსწორებას, დარწმუნებულია, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელთა რიგების უფრო მეტად შემჭიდროება წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მათი გამარჯვების გარანტიას.

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიას! დეე, განმტკიცდეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია!“

სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას

„აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბა- [illegible] შეიკრიბა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მიერ აზერბეიჯანის კომპარტიის შესახებ გამოტანილი უკანასკნელ გადაწყვეტილებათა განხორციელების საკითხის განსახილველად, მხურვალე და ძმურ სალამს უძღვნის საბჭოთა სომხეთის მშრომელთა სახელოვან ავანგარდს—სომხეთის კომუნისტურ პარტიას მისი ც.-კ.-ის სახით. ბაქოს კომიტეტი, რომელიც შეუდგა ძველი ხელმძღვანელობის შეცდომათა გამოსწორებას, დარწმუნებულია, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელთა რიგების უფრო მეტად შემჭიდროება წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე გამარჯვების გარანტიას.

გაუმარჯოს სომხეთის კომპარტიას! დეე, განმტკიცდეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია!“

უკანასკნელი ცნობები

შორეულ აღმოსავლეთის ბანკის განყოფილების დახურვის გამო

შანხაი, 9 აგვისტო. ცნობამ შორეული აღმოსავლეთის ბანკის ყველა განყოფილების დახურვის შესახებ ჩინეთში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა შანხაის უცხოელთა და ჩინელთა წრეებზე. ყველანი გააკვირა განსაკუთრებით 6 დღის ვადამ, რომელიც ბანკის გამგეობამ დანიშნა, განყოფილებათა ლიკვიდაციისათვის. ამავე დროს გამოქვეყნდა მელნიკოვის დეპეშა, რომელშიაც იგი უარს აცხადებს ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლებთან შემდგომ შეხვედრაზე. ამის გამო შანხაი-

გერმანელი ფაშისტები გადატრიალებას ამზადებენ

ბერლინი, 9 აგვისტო. ნაციონალ-სოციალისტები (ფაშისტები, გიტლერის მომხრენი) და მათი მომხრე ჯგუფები მეტად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ. მათი აგიტატორები დადიან მცხოვრებლებს შორის, რომელთა მიმხრობის იმედი აქვთ, და უცხადებენ, რომ მალე მოხდება ფაშისტური გადატრიალებაო. აგიტატორები არწმუნებენ მათ, რომ გადატრიალება „კარგად არის მომზადებული“ და მას მხარს უჭერს რეიხსვერის ნაწილი. (ადს).

მაკდონალდის დაბრუნება ლონდონში

ლონდონი, 9 აგვისტო. მაკდონალდმა შესწყვიტა თავისი შვებულება, რომელსაც იგი ატარებდა შოტლანდიაში და დაბრუნდა ლონდონში. პოლიტიკურ წრეებში ამას ხსნიან კრიტიკული მდგომარეობით, რომელიც ჰააგის კონფერენციაზე იქმნება ინგლისის დელეგაციის პოზიციის გამო. ფიქრობენ, რომ მაკდონალდი ამ დღეებში გაემგზავრება ჰააგში (ადს).

უთანხმოება ნანკინსა და მუკდენს შორის

ტოკიო, 9 აგვისტო. იაპონიის პრესა იუწყება, რომ ნანკინსა და მუკდენს შორის ძლიერდება უთანხმოება საბჭოთა კავშირთან კონფლიქტის მოგვარების საკითხში. ნანკინში უკმაყოფილონი არიან იმით, რომ თითქოს მუკდენში ძლიერდება მოსკოვთან კონტაქტის დამყარების მისწრაფება. ამასთან დაკავშირებით ნანკინის მთავრობამ ხარბინში გაგზავნა საკანონმდებლო პალატის თავმჯდომარის მოადგილე ჩან ჩი და მას დააკისრა მთლიანი ხაზის შემუშავება საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში.

ვემზადოთ საბჭოთა აპარატის მუშაობის გენერალური შემოწმებისათვის

წმენდის შედეგათ უნდა მივიღოთ ჯანსაღი, მოქნილი, იაფი და მასებთან ახლო მდგომი აპარატი

მხოლოდ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის დახმარებით შეიძლება ამ ამოცანის შესრულება

დავრაზმოთ მუშათა და გლეხთა მასები

საბჭოთა აპარატის წმენდისა და შემოწმების გარშემო

ნაციონალურ კომპარტიების (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს, დედა ქალაქების კომიტეტებს, საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

საბჭოთა აპარატის პირადი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად და მისი მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად მე-16 საკავშირო პარტკონფერენციამ საჭიროდ სცნო, პროფკავშირთა მონაწილეობით და მშრომელთა ფართო მასების უშუალო კონტროლით, მოხდეს საბჭოთა აპარატის მუშაობის შემოწმება და წმენდა.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ „ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ბრძოლა აპარატის გასაუმჯობესებლად და გასაიაფებლად, მასებთან დასაახლოებლად ეხლანდელ პირობებში პარტიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი“ და „კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ ფორმას წარმოადგენს“.

სახელმწიფო, სამეურნეო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის შემოწმება და წმენდა, რომელიც ამჟამად ტარდება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მიერ და რომელსაც პირველხარისხოვანი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ამიერ-კავკასიის ყველა პარტიული და პროფესიონალურ ორგანიზაციის მთავარი ყურადღების საგანს უნდა შეადგენდეს.

იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, რომლებიც მე-16 პარტკონფერენციამ დაუყენა პარტიის და საბჭოთა საზოგადოებრიობას წინაშე საბჭოთა აპარატის წმენდის და შემოწმების საქმეში, პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იქნებიან წმენდის მუშაობაში ჩაბმულნი ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო ფენები.

ამასთან დაკავშირებით, ამიერ-კავკასიის ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ ქვედა-საფეხურის პროფკავშირთა, კავშირის, საბჭოთა ორგანიზაციების საშუალებით, ღარიბთა ჯგუფების, მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებების, პრესის და კედლის გაზეთების და სხვათა საშუალებით და ფართოდ გაშლილი თვითკრიტიკის ნიადაგზე უნდა დარაზმოს მუშურ-გლეხური მასების აქტიობა როგორც იმ მიზნით, რომ ამ მასებმა უშუალო მონაწილეობა მიიღონ აპარატის შემოწმებისა და წმენდაში, ისე იმ მიზნით, რომ სახელმწიფო აპარატში დაწინაურებულ იქნენ რევოლიუციის ერთგული, ფაბრიკებსა და ქარხნებში ქვედა-საფეხურის სამუშაოზე აღზრდილი მუშების და გლეხების ახალი კადრები.

პარტიულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ფართო მასების ჩაბმა და ქვედა-საფეხურის პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების გულდასმით მომზადება, ამავე დროს, პირადი შემადგენლობის წმენდასთან ერთად, უნდა უზრუნველჰყონ საბჭოთა აპარატის მუშაობის შემოწმება.

„რადგან პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ჯეროვნად აფასებენ და აქეზებენ ყოველ პატიოსან და კეთილსინდისიერ მუშაკს, წმენდა უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად უნდა მოხდეს მუშაობის ხარისხის შეფასების მიხედვით და არა მარტო კლასობრივი წარმოშობის ნიშნების მიხედვით. პროლეტარული წარმოშობა და კომუნისტური პარტიის წევრობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიქცეს წმენდისაგან დაზღვევად“ (მე-16 პარტკონფერენციის რეზოლიუციიდან):

საბჭოთა აპარატის წმინდის ამოცანების განსახორციელებლად საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი რესპუბლიკების ცენტრ. კომიტეტებს წინადადებას აძლევს:

1. ფართოდ განემარტოს მასებს აპარატის წმენდის და შემოწმების პოლიტიკური მნიშვნელობა, მისი ამოცანები და მეთოდები, ამასთან წმენდის მომზადებასა და ჩატარებაში უშუალო მონაწილეობისათვის ჩაბმულ იქნას მასიური ორგანიზაციების ფართო აქტივი (პროფაქტივი, საბჭოების სექციების წევრები, ღარიბთა ჯგუფები, მსუბუქი კავალერია, დელეგატი ქალები და სხ.).

ამ მიზნით მუშათა კრებებზე არჩეულ უნდა იქნან წმენდის ხელისშემწყობი ჯგუფები, ამასთან შემმოწმებელი კომისიები იოგვლივ უნდა შეიქმნან მუშა-აქტივისტების კადრები ცალკე დავალებათა შესასრულებლად და მათი საშუალებით უნდა მოეწყოს ახსნა-განმარტებითი მუშაობა მასებში, განცხადებების საჩივრების მიღება და სხ..

სოფლად აპარატის წმენდის დროს პარტიულმა კომიტეტებმა ფართოდ უნდა გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოჯამაგირეთა და გლეხობის ღარიბ და საშუალო მასებს შორის (მომხსენებლების გაგზავნა სოფლად, გლეხური გაზეთების სპეციალური ნომრების გამოშვება, რომლებიც მიეძღვნება წმენდას და სხ.), ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას მკაფიო კლასობრივი ხაზის გატარება სოფლად და უკუგდებულ უნდა იქნას კულაკური ელემენტების ცდა—გამოიყენონ წმენდა თავიანთი მიზნებისათვის.

2. აპარატის წმინდას მიეცეს შესამოწმებელი დაწესებულების მუშაობის სისტემის მასიური შემოწმების ხასიათი, წმენდა უნდა წარმოადგენდეს დაწესებულების მუშაობას. მისი ავადმყოფური მოვლენების და დეფექტების კრიტიკას და ამ დეფექტების მიზეზების გამოაშკარავებას, რისთვისაც საჭიროა შესამოწმებელი დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოხსენებანი ფართოდ იქნან განხილული საერთო კრებებზე და პრესაში.

3. ყოველგვარი საშუალებით შეეწყოს ხელი შესრულებას შემოწმებისა და მუშაობის კონტროლის საქმეში მასების ჩაბმის იმ ახალ ფორმებს, რომლებიც წმენდის პროცესში გამოაშკარავდებიან, ამასთან მიღებულ იქნას ზომები დადებითი ფორმების შესასწავლად და განსამტკიცებლად.

4. ხელი შეეწყოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს შემმოწმებელი კომისიების გულდასმით შერჩევაში; კომუნისტებთან ერთად ამ კომისიებში ჩაბმულ იქნან ყოველ რაიონში პატივცემული და პატიოსანი უპარტიო მუშები და გლეხები. შერჩეულ იქნას კანდიდატების (კომისიაში გასაყვანად) დასახელება საწარმოებებიდან მუშათა კრებებზე და ხელი შეეწყოს შემმოწმებელი კომისიების მჭიდრო კავშირის დამყარებას ფართო მასებთან, განსაკუთრებით იმ საწარმოებების და რაიონების მუშებთან, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად არიან დაკავშირებულნი შესამოწმებელი დაწესებულებების მუშაობასთან.

5. წმენდის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაწინაურებულთა მდგომარეობის გამორკვევას, რისთვისაც გაცნობილ უნდა იქნას მათი მუშაობის ხასიათი, ადმინისტრაციის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამოკიდებულება დაწინაურებულთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმისადმი და ამა თუ იმ დაწესებულების მუშაობის რაობის შეფასება დაწინაურებულთა მიერ.

დაწესებულებათა პირადი შემადგენლობის შემდგარი გაუმჯობესებისათვის და დაწინაურების საქმეში წარმოებული მუშაობის თავის დროზე სრულად გაშლისათვის პარტკომები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ იმ გეგმის დამუშავებას და შედგენას, რომლის მიხედვითაც დაწინაურებულნი უნდა იქნან შერჩეული და მომზადებული განსაზღვრული, კონკრეტული მუშაობისათვის სახელმწიფო აპარატში, მე-16 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა თანახმად.

საქ. კომპარტიის (ბ) ა-კ. საოლქო კომიტეტი.

წმენდის ამოცანები და ჩატარების წესი

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყველა რწმუნებულს და საქართვ. კომპარტიის (ბ) სამაზრო კომიტეტებს

მე-16 პარტკონფერენციის დადგენილებით, საბჭოთა აპარატის წმენდა ჩატარებულ უნდა იქნეს შემდეგი ნიშნების მიხედვით: გახრწნა, გადაგვარება, კულაკებთან და ნეპმანებთან შეზრდა, აქტიური, მტრული დამოკიდებულება პროლეტარიატთან, მავნებლობა, ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება, სიზანტე მუშაობაში, პროტექციონიზმი, გაფლანგვა, მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჩივრებზე პასუხის თავის დროზე არ გაცემა, აგრეთვე მედიდური და უხეში მოპყრობა საქმეზე მომსვლელებთან, მაღლამდგომ ორგანიზაციათა დირექტივების არ შესრულება, დაუდევრობა, მექრთამეობა, შრომის დისციპლინის დარღვევა, დაკავებულ თანამდებობასთან შეუფერებლობა, მდარე კვალიფიკაცია, სპეცჭამიობა, მუშკორთა დევნა, დემობილიზაციით განთავისუფლებულ მეთაურთა შემადგენლობის არასწორად გამოყენება და შეგირდთა ჯავშნის არ შესრულება.

წმენდის ორგანიზაცია

1. ავტონომიურ რესპუბლიკებში და მაზრებში უნდა შეიქმნას ცენტრალური და სამაზრო კომისიები მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულის თავმჯდომარეობით და შემდეგი შემადგენლობით: სამაზრო პროფბიუროს, მაზრის პროკურატურის, შრომის ინსპექციის, ალმასკომის წარმომადგენელი, 2 დაზგის მუშა, ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა, კომკავშირის და ქალთა განყოფილების წარმომადგენლები.

2. თავის მხრივ სამაზრო კომისიებს შეუძლიათ თემის ორგანიზაციების გასაწმენდად შექმნან კომისიები სამაზრო კომისიის წევრის თავმჯდომარეობით; სათემო კომისიაში უნდა შევიდნენ სათანადო თემის ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა წარმომადგენლები. კომისიის პირად შემადგენლობას და მის წევრთა რიცხვს განსაზღვრავს და ამტკიცებს წმენდის ხელმძღვანელი სათანადო კომისია.

3. წმენდა უნდა მოხდეს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებული საბჭოთა აპარატის წმენდის ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომისიის გეგმით და საერთო ხელმძღვანელობით. აპარატის წმენდის ჩამტარებელი ქვედა საფეხურის კომისიების მთელი საინფორმაციო მასალა და მუშაობის გეგმები უნდა გადაეგზავნოს რესპუბლიკანურ კომისიას.

4. პირველ რიგში წმენდა უნდა მოხდეს იმ დაწესებულებებში, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან მშრომელებთან. ასე, მაგალითად, 1 იანვრამდე შემოწმებული უნდა იქნან მიწადმოქმედების, იუსტიციის, ფინანსების, შრომის კომისარიატის, ალმასკომის და მილიციის ორგანოები. მაზრებში წმენდა უნდა დაიწყოს ა.-წ. 10 ოქტომბრიდან, ხოლო თემებში 20 სექტემბრიდან.

5. წმენდის წარმატებით ჩატარება შეუძლებელია პარტიულ, პროფესიონალურ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მასების მონაწილეობის გარეშე ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მოსამზადებელი მუშაობა ქალაქებში, თემებში და სოფლებში — აღნიშნულ ადგილებში მთელი საზოგადოებრივობის დარაზმვის საშუალებით.

6. მუშა - მოსამსახურეთა კრებებზე და სასოფლო ყრილობებზე უნდა ჩატარდეს მოხსენებები და საუბრები მომავალი წმენდის ამოცანების შესახებ და ამ მიზნისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ყოველგვარი ყრილობა და კონფერენცია. მოწვეულ უნდა იქნას მაზრის აქტივი წმენდის მიზნების პოპულარიზაციისათვის და იმის ახსნა - განმარტებისათვის, თუ რა როლს ითამაშებს ფართო საზოგადოებრივობა არანორმალურ მოვლენათა გამომჟღავნების საქმეში ზემოდ გათვალისწინებული ნიშნების მიხედვით.

7. წმენდის საქმეში ჩაბმულ უნდა იქნან პრესის, მუშკორთა, გლეხკორთა წარმომადგენელნი, მსუბუქი კავალერია, ხოლო სადაც შესაძლებელია, წარმოების მუშები, მუშათა ბრიგადები, აგრეთვე კლუბები, წითელი კუთხეები და სახალხო სამკითხველოები; მათ უნდა მიეცეთ სათანადო ინსტრუქციები და დავალებები განსაზღვრული დაწესებულების დეფექტების გამორკვევის ცალკე საკითხებზე.

8. დიდ დაწესებულებებში სამაზრო კომისიებმა უნდა გამოჰყონ სამეულები ასეთი შემადგენლობით: ადგილკომის თავმჯდომარე, დაწესებულების ხელმძღვანელი და უჯრედის მდივანი. ამ სამეულებთან, რომელთა დანიშნულებას შეადგენს დახმარების გაწევა სამაზრო კომისიებისათვის, მიმაგრებულ უნდა იქნან ქალთა კომისიების, კომკავშირის, მუშების და გლეხების წარმომადგენელნი. იქ, სადაც რაიმე მიზეზით არ შეიძლება სამეულების შექმნა, სამაზრო კომისიებმა მათ ნაცვლად უნდა დაიხმარონ სათანადო დაწესებულების ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელნი.

9. სათემო კომისიები, სადაც ისინი მოქმედებენ, იმ რაიონებში, რომლებზედაც მათი რწმუნებები ვრცელდება — თემში და სოფლად, ხელმძღვანელობენ მთელ მოსამზადებელ მუშაობას. აღნიშნულ ადგილებში მათ უნდა დარაზმონ გლეხთა საზოგადოებრივობა, უნდა მოიწვიონ გლეხთა აქტივისა და ღარიბი გლეხობის ჯგუფები, აგრეთვე მოჯამაგირეთა კრებები, რომელზედაც უნდა გააკეთონ მოხსენებები წმენდის ამოცანებისა და იმ დაწესებულებათა მუშაობის შესახებ, რომელნიც გლეხობას ემსახურებიან — სამოსამართლო, დაზღვევის, საფინანსო, კოოპერატიული, საადგილ - მამულო და სხვა დაწესებულებების მუშაობის შესახებ.

10. ყველგან უნდა მოეწყოს საჩივრებისა და განცხადებების მიღება, დაწესდეს კომისიის წევრთა მორიგეობა შესამოწმებელ დაწესებულებათა მოსამსახურეების სახელის გამტეხ ყოველნაირი მასალის შესაკრებად.

წმენდის წესი

1. უნდა შესდგეს მუშაობის სწორი გეგმა.

2. შემმოწმებელი კომისია უნდა შეუდგეს იმ მასალის გაცნობას, რომელსაც მიიღებს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოებისაგან, პროფესიონალურ ორგანიზაციებისაგან, პარტიის და კომკავშირის უჯრედებისაგან, საერთო და შინაური გაზეთების რედაქციებისაგან, არქივიდან, კერძო მოქალაქეთაგან, დასასრულ, კომისია უნდა გაეცნოს ხელისშემწყობი კომისიის დასკვნას ან დახასიათებას.

3. წმენდის ჩამტარებელმა კომისიამ წმენდის დაწყების წინ უნდა მოიწვიოს კრება, რომელზედაც მოსმენილ უნდა იქნას დაწესებულების ადმინისტრაციის მოხსენება სათანადო ორგანიზაციის მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

4. თემებში და სოფლებში ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების მეშვეობით და მთელი გლეხთა აქტივის მოწვევით მოსახლეობას უნდა ეცნობოს წმენდის დაწყება. ქალაქებშიაც შესამოწმებელ დაწესებულებაში მოსმენილ უნდა იქნას დაწესებულების ხელმძღვანელის ან საერთოდ პასუხისმგებელი მუშაკის მოხსენება. გარდა ამისა, გლეხური გაზეთის და სპეციალური მოწოდება - განცხადების გამოქვეყნების საშუალებით, მოსახლეობას უნდა ეცნობოს წმენდის დაწყების შესახებ.

5. შემოსულ მასალასთან გაცნობის შემდეგ შემმოწმებელი კომისია უნდა შეუდგეს წმენდას. წმენდა უნდა მოხდეს საჯაროდ; მოსამსახურეთა შესახებ მიღებული მასალის ყურადღებით შესწავლის შემდეგ მოსამსახურენი მიწვეულ უნდა იქნან კრებაზე, სადაც უნდა გაიარონ შემოწმება. კომისია სპეციალურ ანკეტებს არ შემოიღებს, დასაკითხავად გაწვეულ არ უნდა იქნან ისეთი პირები, რომლებზედაც მიღებული არ არის სახელის გამტეხი მასალა. ასეთი პირები შემოწმებულად უნდა ჩაითვალონ.

6. აპარატის წმენდა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გამოყენებული ანგარების მიზნებისათვის, პირადი ჯავრის ამოსაყრელად, ინტრიგებისა და კინკლაობისათვის.

7. ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში აპარატის წმენდას კომისიები მეტად ფრთხილად უნდა მიუდგნენ, არ უნდა გამოიწვიონ ნაციონალური გრძნობების გაღიზიანება, მკვიდრი ეროვნების დათხოვნილი პირები შეცვლილ უნდა იქნან იმავე ეროვნების მუშაკებით.

წმენდის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცრუსპეცობას და ოჯახურ ურთიერთობას.

დაუშვებელია გატაცება გაწმენდილთა რიცხვით, წმენდის ჩამტარებელმა კომისიებმა ანგარიში უნდა გაუწიონ განთავისუფლებული ადგილების შევსებას მუშებითა და გლეხებით, რომელნიც წინასწარ მომზადებულ უნდა იქნან საპასუხისმგებლო მუშაობისათვის. კომისიებმა ბოლო უნდა მოუღონ მექანიკური დაწინაურების შესაძლებლობას.

აპარატის წმენდამ ცალკე თანამშრომელთ უნდა დაადოს სათანადო სასჯელი იმ დასაბუთებული განცხადების ხასიათისა და ნიშნების მიხედვით, რომელიც მათ გაწმენდილთა სათანადო კატეგორიაში მოაქცევს.

8. მუშაკის შემოწმების შემდეგ, კომისიას გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება სამუშაოდან მოხსნის შესახებ შემდეგი კატეგორიებით:

I) პირველ კატეგორიას ეკუთვნიან კლასობრივად უცხო და საბჭოთა ხელისუფლების მავნე პირები, რომლებსაც ერთმევათ საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში სამუშაოდ შესვლის უფლება.

II) მეორე კატეგორიას ეკუთვნიან ის პირნი, რომელნიც მოხსნილ უნდა იქნან თანამდებობიდან განსაზღვრულ დაწესებულებასა და ადგილში, მაგრამ უფლება აქვთ მიღებულ იქნან სამუშაოდ სხვა ადგილას და სხვა თანამდებობაზე.

III) მესამე კატეგორიას ეკუთვნიან ის პირნი, რომელნიც მოხსნილი იქნებიან თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნებიან სხვა თანამდებობაზე.

ამ სამი კატეგორიის შესახებ შრომითი სიებში შეტანილ უნდა იქნას დასაბუთებული სათანადო აღნიშვნა. დანარჩენთ პირდაპირ აღუნიშნავენ „შემოწმებულია კომისიის მიერ“.

პირველი კატეგორიის მიხედვით დათხოვნილ მოსამსახურეთ ერთმევათ გასასვლელი დახმარების, სოციალური დაზღვევის პენსიის, უმუშევრობის დახმარების მიღების უფლება და დასასრულ შეტანილ უნდა იქნან შავ სიაში.

შენიშვნა: პარტიის წევრების შესახებ მიღებული მასალა უნდა გადაეგზავნოს კომპარტიის (ბ) საკონტროლო კომისიებს, თუ შემმოწმებელ კომისიას საჭიროდ მიაჩნია პარტიული სასჯელის დადება. სამუშაოდან მოხსნის საკითხი შეთანხმებულ უნდა იქნას პარტკომიტეტთან.

9. იმ მოსამსახურეს, რომელიც მოხსნილი იქნება შემმოწმებელი კომისიის მიერ, ხელზე უნდა მიეცეს ამონაწერი დადგენილებიდან და გამოეცხადოს მოხსნის მიზეზი.

10. საჩივრების შეტანის ვადა არის ორი კვირა კომისიის დადგენილების ამონაწერის ხელზე მიღების დღიდან. საჩივარი შეტანილ უნდა იქნას იმ კომისიაში, რომელმაც გამოიტანა დადგენილება მოხსნის შესახებ.

11. შემმოწმებელი კომისიის დადგენილების ასლი უნდა გადაეგზავნოს რესპუბლიკანურ კომისიას.

12. შემმოწმებელი კომისიის დადგენილება ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა მოიყვანოს სისრულეში.

13. კომისიაში მიღებული საჩივრები სამი დღის ვადაში უნდა გაეგზავნოს ცენტრალურ კომისიას.

შენიშვნა: სათემო კომისიებმა საჩივრები უნდა გადაუგზავნონ სამაზრო კომისიას, ხოლო ამ უკანასკნელმა — სათანადო მაღლამდგომ ინსტანციას.

14. შემმოწმებელმა კომისიებმა უნდა მოიწვიონ საერთო კრებები ინფორმაციის მისაწოდებლად წმენდის შედეგების შესახებ, შემდეგ წმენდის დამთავრება და შედეგები უნდა გამოცხადდეს გაზეთებში.

რაიონებში — თემებში, სოფლებში წმენდა უნდა მოხდეს ყველა დაწესებულებაში ერთდროულად, ხოლო ქალაქებში: ფინსახკომში, იუსტიციის სახ. კომისარიატში, შრომის სახალხო კომისარიატში, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში, ალმასკომში და მილიციაში.

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

საბჭოთა აპარატის პირადი შემადგენლობის შემოწმებისა და წმენდის დამხმარე კომისიების მუშაობის შესახებ

1. დამხმარე კომისიები დაუყოვნებლივ უნდა შესდგნენ იქ სახალხო კომისარიატებისა დაწესებულებებისა, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც წმენდა პირველ რიგში უნდა მოხდეს. სხვა ორგანოებთან ასეთებული კომისიები მოეწყობიან იმ გეგმის მიხედვით, რომელსაც დასახავს რესპუბლიკის ცენტრალური კომისია.

2. დამხმარე კომისიები მუშაობენ სათანადო უწყებებსა და დაწესებულებებში წმენდის ჩამტარებელი კომისიების ხელმძღვანელობით, ხოლო სადაც ასეთი კომისიები არ არსებობენ —წმენდის ცენტრალურ რესპუბლიკანურ ან საოლქო კომისიებთან.

3. დამხმარე კომისია უნდა შესდგებოდეს 3—5 კაცისაგან — ეს დამოკიდებულია დაწესებულების და ორგანიზაციის სიდიდეზე, მისი ნაწილების და თანამშრომლების სიმრავლეზე; კომისიაში შევლენ: ა) პარტუჯრედის, ბ) საქარხნო - საფაბრიკო ადგილკომის, გ) ადმინისტრაციის, დ) კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წარმომადგენლები.

4. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს სათანადო საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მოსამსახურეთა საერთო კრება.

5. დამხმარე კომისიები მოწოდებულნი არიან იმისათვის, რომ აქტიურად დაეხმარონ აპარატის პირადი შემადგენლობის შემოწმებას და წმენდის დროს დათხოვნილთა ადგილზე ახალი კადრების დაწინაურებას.

6. დამხმარე კომისიას ევალება:

I. პირადი შემადგენლობის შემოწმების ხაზით:

ა) მოსამზადებელ - ახსნა - განმარტებითი კამპანიის ორგანიზაცია და მასში მონაწილეობა, რისთვისაც საჭიროა წმენდის ამოცანებისა და მიზნების ფართო პოპულარიზაცია, საერთო კრებების მოწვევა, საუბრებსა და კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობა შინაური (კედლის გაზეთებისა) და საერთო პრესის მუშაკებთან თათბირების გამართვა, ლიტერატურისა და ლოზუნგების გავრცელება და სხვ. საგიტაციო ახსნა - განმარტებითი კამპანიის გაშლა, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნან უსიტყვო აგიტაციის ფორმები — პლაკატები, ლოზუნგები და, საერთოდ, საზოგადოებრივ - კულტურული ზეგავლენის ყველა საშუალება. მუშა - მოსამსახურეების გაცნობა წმენდის საკითხებთან, რისთვისაც დამუშავებულ უნდა იქნან მე-16 პარტკონფერენციის დადგენილებანი ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხების შესახებ. პროფკავშირთა მე-8 ყრილობის გადაწყვეტილებანი და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციები.

ბ) ისეთი მასალის შეკრება, რომელიც ახასიათებს დაწესებულების მუშაობას მთლიანად, მის სტრუქტურულსა და სხვა დეფექტებს, აპარატის ცალკე ნაწილების მუშაობას, მუშაკთა დატვირთვის ხარისხს და ამ მუშაკთა თავის დროზე დატვირთვის საკითხს, მუშაკთა მართებულად გამოყენებას, იმ წყაროებს, რომელნიც იწვევენ არა საღ ურთიერთობას. (თუ ამას ადგილი აქვს) ხელმძღვანელობასა და აპარატს შორის, საერთოდ — თანამშრომელთა შორის, საქმის გაჭიანურებისა და პარალელიზმის ფაქტებს და სხვ. დამხმარე კომისიებს წესრიგში მოჰყავთ შრომითი სიები და ადგენენ სათანადო დახასიათებებს.

გ) სათანადო აპარატის საზოგადოებრივი აზრის გამოაშკარავება წმენდის ორგანიზაციისა და მისი ჩატარების საკითხების შესახებ, რისთვისაც საჭიროა საზოგადოებრიობის ორგანოებთან ამ საკითხების დამუშავება, საერთო და სპეციალურ კრებებზე მათი ფართოდ განხილვა და კედლის გაზეთებში დისკუსიების გამართვა.

დ) აქტიური მონაწილეობა თვით წმენდაში, რისთვისაც საჭიროა სხვების (აპარატის ზემდგომ და ქვემდგომ რგოლების) გამოძახების მოწყობა და ჩატარება, მონაწილეობა იმ დათვალიერებაში, რომელსაც მოაწყობენ პრესა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მოწყობა ადმინისტრაციის მოხსენებებისა მუშათა კრებებზე, თანამოხსენებების გაკეთება ამ კრებებზე, ხელის შეწყობა ამა თუ იმ აპარატის უეცარი რევიზიის ჩატარებაში და მასში მონაწილეობა, განცხადებათა მიღების საქმის მოწყობა, (საჩივრის ყუთი, კომისიის წევრთა მორიგეობა), წმენდის საუწყებო კომისიის დავალებით მასალის შეგროვება და შემოწმება, აპარატის შიგნით ცალკე გამოკვლევების მოწყობა და ჩატარება (ეს გამოკვლევები უნდა შეეხებოდნენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ურთიერთობა აპარატის ცალკე ნაწილებსა და მოსამსახურეთა ცალკე კატეგორიებს შორის, შრომის დისციპლინის მდგომარეობა, თვითმოქმედების შევიწროება, საქმეზე მოსულებთან დამოკიდებულება ზემდგომი ორგანიზაციების დირექტივების სისწორით და თავის დროზე შესრულების თვალსაზრისით, დაწესებულების აპარატის მშრომელებთან დაახლოება, მოსახლეობის საჭიროებათა და მოთხოვნილებათა სრული გათვალისწინება და ამ საჭიროება - მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხი, აპარატის გამარტივება და რაციონალიზაცია, აქტიობა საზოგადოებრივ მუშაობაში დაწინაურებულებთან და ადგილებთან დამოკიდებულება).

საგამოკვლევო მიზნებისათვის დამხმარე კომისიები იყენებენ სათანადო დაწესებულების მოსამსახურეთა აქტივს, მიმაგრებულ ბრიგადებს და მსუბუქ კავალერიას. მთელი ეს აქტივი ნაწილდება ჯგუფებად და თვითეულ ჯგუფს ეძლევა გარკვეული დავალება ცალკე საკითხების მიხედვით.

ე) ასეთივე მონაწილეობა ვადამდი წმენდისა ან სანიმუშო წმენდის განხორციელების დროს.

ვ) ბრძოლა წმენდის დამახინჯებასთან ფორმალური მიდგომის, ნათლიმამობის, პირადი ანგარიშების, გასწორების, სპეცჭამობის, მხილების და სხვა გზით. წმენდა უნდა შეეხოს მხოლოდ იმ პირებს, რომელთა შესახებაც არსებობს სახელის გამტეხი მასალა.

ზ) ხელის შეწყობა წმენდის საუწყებო კომისიისათვის ამა თუ იმ აპარატის წმენდის შედეგების სტატისტიკური აღრიცხვის საქმეში.

თ) თვალყურის დევნება და თავის დროზე მითითება იმაზე, რომ წმენდამ არ შებოჭოს აპარატის შემოქმედებითი სიძლიერე და არ მოახდინოს მისი მუშაობის დეზორგანიზაცია.

II. წმენდის დროს დათხოვნილთა ადგილებზე ახალი კადრების დაწინაურების საქმეში

ა) პარტიული და პროფესიონალური ორგანოებისათვის ხელის შეწყობა კურსების შექმნაში დაწინაურებულების მოსამზადებლად.

ბ) ხელის შეწყობა იმავე ორგანოებისათვის მუშების, მუშა-ქალების, ახალგაზრდობის და მოსამსახურეების დაწინაურების საქმეში, განსაკუთრებით იმათგან, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ მუშაობაში, კერძოდ, საბჭოთა სექციებში, მუშათა ბრიგადებში, გამომკვლევ ჯგუფებში, მუშგლეხინის საჩივართა ბიუროებში და სხვ.

გ) ხელის შეწყობა ახალგაზრდა სპეციალისტების გამოყენების საქმეში.

დ) ხელის შეწყობა დემობილიზაციის წესით დათხოვნილ მეთაურთა შემადგენლობის მიზნის შესაფერისად დაწესებულებებს შორის განაწილების საქმეში.

7. თავიანთ მუშაობას დამხმარე კომისიები ანხორციელებენ მუდმივი და შეუწყვეტელი კონტაქტით სათანადო აპარატის პარტიულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციებთან (საკავშირო კ. პ. (ბ) და ახალგაზრდა ლენინური კომკავშირის უჯრედებთან, ადგილკომებთან და მათ ორგანოებთან, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიასთან).

8. ხელის შემწყობი კომისიის პირველ აქტს უნდა შეადგენდეს მუშაობის დაწვრილებითი კალენდარული გეგმის შედგენა და ამ გეგმის ასლის გადაგზავნა რესპუბლიკანურ კომისიაში.

9. საჩივრები დამხმარე კომისიის მოქმედების შესახებ და განცხადებანი მისი ცალკე წევრების წინააღმდეგ უნდა გადაეცეს წმენდის საუწყებო კომისიას, შეიძლება აგრეთვე გადაეგზავნოს რესპუბლიკანურ კომისიას.

10. კვირაში ერთხელ დამხმარე კომისიები საინფორმაციო მასალას მოსამზადებელი მუშაობის მსვლელობის შესახებ უდგენენ რესპუბლიკანურ კომისიას—ცენტრში, ხოლო ადგილებზე—მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცენტრალური საკონტროლო კომისიის რწმუნებულს. ეს უკანასკნელი რესპუბლიკანურ კომისიას ორ კვირაში ერთხელ უგზავნის საინფორმაციო ბიულეტენებს.

11. დამხმარე კომისიის მუშაობა შეწყდება სათანადო აპარატის წმენდის დამთავრების შემდეგ.

საბჭოთა აპარატის წმენდის ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომისია.

სოციალიზმის მშენებლობის პროგრამა

(საბჭოთა კავშირის ხუთწლიანი გეგმა)

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანმა გეგმამ სამართლიანათ მიიღო სოციალიზმის გაფართოებულ პროგრამით აღმშენებლობის სახელწოდება. ეს მოვლენა აიხსნება თვით ხუთწლიანი გეგმის შინაარსის სიმდიდრით, იმ მიღწევებით, რომლებსაც გვძლევს მისი განხორციელება, როგორც მეურნეობის საერთო ზრდის და მშრომელი მასის ეკონომიურ მდგომარეობის საგრძნობლათ გაუმჯობესების, ისე სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის თვალსაჩინოთ გაძლიერების სახით, კაპიტალისტური ელემენტების შესუსტების ნიადაგზე. უკეთ რომ ვსთქვათ, დიდი ინტერესი, რომელიც გამოიწვია და იწვევს დღესაც ხუთწლიანი გეგმა, არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის მშრომელ მასაში, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასში, აიხსნება იმ გარემოებით, რომ გეგმის პრაქტიკულად განხორციელება ძლიერ ეკონომიურ-მატერიალურ საძირკველს ჩაუყრის ახალ აღმშენებლობის საქმეს ჩვენში და მით თვალსაჩინოდ დაუმტკიცებს ყველას მარქსისტული თეორიის სისწორეს, სოციალიზმის აღმშენებლობის შესაძლებლობას და რეალობას. ის, რაც დიდი დროის განმავლობაში თეორიული მსჯელობის საგანს შეიცავდა, დღეს მილიონების ყოველდღიურ პრაქტიკულ შემოქმედების ობიექტად იქცა.

ჩვენი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა მაჩვენებელია იმისა, რომ სოციალიზმის იდეას ხორცი ესხმება სინამდვილეში და, რა გასაკვირია, თუ ყოველ ქვეყნის მშრომელთა ყურადღებას იპყრობს ის. ეს პროცესი შეუმჩნეველი არ რჩება არც ბურჟუაზიისათვის, როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეშეც.

ამ ნიადაგზე კლასიურ ბრძოლის გამწვავება ისტორიული აუცილებლობაა. მაგრამ ბურჟუაზიის მხრივ წინააღმდეგობის გაძლიერებას, ჩვენ დაუპირდაპირებთ მუშათა კლასის და მშრომელი მასის აქტიობას ზრდას და საერთო ძალღონით გადავლახავთ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში არსებულ დაბრკოლებებს.

კომუნისტური პარტია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ფართო მშრომელი მასები გაიმსჭვალონ ხუთწლიანი გეგმის მნიშვნელობისა და მისი განხორციელების აუცილებლობის იდეით. ამის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა ხუთწლიანი გეგმის პოპულარიზაცია.

1. მე-15 ყრილობის დირექტივა

ხუთწლიან გეგმას საფუძვლათ დაედო საკ. კ. პ. (ბ) მე-15 ყრილობის დადგენილებანი სახალხო მეურნეობის განვითარების გარშემო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს კონკრეტიულ ღონისძიებათა ჯამს, გათვალისწინებულს მე-15 ყრილობის პოლიტიკურ დირექტივების განხორციელებისათვის. ამიტომ მისი სისწორით შესწავლა და სათანადო შეფასება შეუძლებელია აღნიშნულ დირექტივის გათვალისწინების გარეშე.

მე-15 ყრილობამ, რომელმაც ჯამი გაუკეთა ჩვენი სამეურნეო განვითარების განვლილ პერიოდს, აღნიშნა დიდი მიღწევები, რაც გამოიხატა მასში, რომ სახალხო მეურნეობამ ამ დროისათვის (1928 წ.) არა მხოლოდ დაასრულა თავისი აღდგენის პროცესი, ე. ი. ომამდის არსებულ დონესთან გათანასწორების პროცესი, არამედ საგრძნობლად გადააჭარბა მას. სწორმა ლენინურმა პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა დანგრეული მეურნეობის აღდგენის პროცესის წარმატებით დამთავრება ხანმოკლე დროის განმავლობაში. ამ პროცესს მეურნეობის რაოდენობით ზრდის გარდა ახასიათებდა თვისებრივი ზრდაც. ეს ჩანს იქიდან, რომ ამ დროის განმავლობაში ჩვენს სახალხო მეურნეობაში, ჩქარის ტემპით ვითარდებოდა მსხვილი მრეწველობა, ძლიერდებოდა სოციალისტური სექტორი, იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება და შრომის ხელფასი. საფუძველი ეყრებოდა მთელ რიგ ისეთ საწარმოო დარგებს, რომლებიც წინად საერთოდ ან სრულიად არ არსებობდნენ, ან მეტად უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ სახალხო მეურნეობაში. ასეთია, მაგ., ქიმიური მრეწველობა, ავიაცია, მანქანების დამამზადებელი წარმოება და სხვა; მთელი რიგი საწარმოო დარგებისა გადახალისებულ იქნა ახალ ტეხნიკურ ბაზაზე. საგრძნობი მიღწევები იქნა მიღებული აგრეთვე ელექტრომრეწველობის განვითარების საქმეშიც. რის მეოხებითაც ჩვენში საფუძველი ჩაეყარა მეურნეობისათვის აუცილებელ იაფ-ფასიან ენერგიას. მე-15 ყრილობამ აღნიშნა, რომ თავის მხრივ აღდგენითი პერიოდის ეს მიღწევები იძლევიან ეკონომიურ, ტეხნიკურ და ორგანიზაციულ შესაძლებლობას შემდგომ წინსვლისათვის. მხოლოთ საკითხზე იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყვეს შემდეგი განვითარების ტემპი და ხასიათი, მე-15 ყრილობამ ერთხმათ აღიარა სამი უმთავრესი პრინციპი, რომელიც საფუძვლათ დაედვა ხუთწლიან გეგმას. პირველყოვლისა ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია იმის შესახებ, რომ ყველაფერი უნდა იქნას გაკეთებული სახალხო მეურნეობის შემდეგი განვითარებისათვის, რომელსაც თან უნდა ახლდეს მშრომელი მასის ეკონომიური და კულტურულ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, რაც წარმოადგენს საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთ უმთავრეს განმასხვავებელ თვისებას კაპიტალისტურ მეურნეობისაგან; მეორე პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სახალხო მეურნეობის შემდეგ განვითარებაში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპი უნდა წარმოადგენდეს მთავარ მიზანს, მესამე განვითარების მიმართულება უნდა იქნას ისეთი, რომ მან მოგვცეს შედეგათ მეურნეობის სოციალისტური ელემენტების საგრძნობი გამარჯვება კაპიტალისტურ ელემენტებზე. მე-15 ყრილობაზე ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში უკანასკნელ ორ მთავარ საკითხის შესახებ მოცემულია შემდეგი დირექტივა:

მე-15 ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს განაგრძოს შეუსუსტებელი ტემპით სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, რომელმაც უკვე მოიტანა თავისი პირველი დადებითი შედეგები. ს. ს. რ. კ. ინდუსტრიალურ ძლევამოსილების ყოველმხრივათ გამაგრებასთან ერთად, პარტიამ უნდა განაგრძოს ფართე განვითარება არსებულ ფინანსიურ-ეკონომიურ რესურსების გამოყენებით, საწარმოო ძალთა წარმოების, კერძოთ ფოლადის და მანქანების დამზადება. ყრილობა სცნობს, რომ კერძო კაპიტალისტურ მეურნეობის მიმართ საჭიროა და შესაძლებელიცაა მიღებულ იქნას პოლიტიკა უფრო მეტად გადამწყვეტ სამეურნეო შევიწროებისა. წინასწარი პირობები კაპიტალისტურ ელემენტებზე შემდეგ შეტევისათვის შექმნილ წარმატებებით ეკონომიური განვითარების დარგში“.

ამრიგათ, ხუთწლიან გეგმაში მე-15 ყრილობის დირექტივის მიხედვით წითელ ზოლივით უნდა იქნას გატარებული და სინამდვილეში განხორციელებული სახალხო მეურნეობის არა მხოლოდ საერთო რაოდენობითი ზრდა, არამედ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის იდეა და სოციალისტური ელემენტების გაძლიერება, როგორც მრეწველობაში, ისე სასოფლო მეურნეობაშიც, კერძო-კაპიტალისტურ წარმოებაზე გადამჭრელი შეტევით. **ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოებრივობის** გაძლიერების საქმე შეიცავს პარტიული პოლიტიკის ქვაკუთხედს ჩვენი განვითარების დღევანდელ საფეხურზე. ამ ორი უმთავრესი ამოცანის გადაჭრის გარეშე შეუძლებელია ჩვენი, როგორც სოციალისტური ქვეყნის შემდეგი წინსვლა.

თუ ჩაუკვირდებით ხუთწლიან გეგმას, დავინახავთ, რომ ეს უმთავრესი საკითხები სრულებით დაცულია მასში. ხუთწლიანი გეგმის შემადგენელი ნაწილები სრულებით დამორჩილებულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და მეურნეობის სოციალისტური სექტორის გაძლიერების საქმისადმი. ეს გულისხმობს იმას, რომ ამ მიმართულებით წავა ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდეგი განვითარება და ზრდა. საბჭოთა კავშირის ხუთწლიანი გეგმის მნიშვნელობა არ ამოიწურება მხოლოდ აღნიშნული თვისებებით. ხუთწლიან გეგმას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე **ნაციონალურ რესპუბლიკების ეკონომიურ-კულტურულ აღორძინების საქმეშიც.** ამიტომ, 5-წლიანი გეგმის ზემოთ აღნიშნულ მთავარ საკითხებთან ერთად, ჩვენ შევეხებით უკანასკნელ საკითხსაც, ამიერ-კავკასიის და კერძოთ კი საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმის უმთავრეს მომენტების განხილვით.

2. სახალხო მეურნეობის საერთო ზრდის ჩქარი ტემპის მაჩვენებლები

შემუშავებულია ხუთწლიანი გეგმის ორი ვარიანტი: გამოსავალი (отправной) და ოპტიმალური. განსხვავება მათ შორის უდრის 20 პროც., ანუ ერთი წლის აღმშენებლობას. საკ. კ .პ. (ბ) მე-16 პარტკონფერენციამ ხუთწლიანი გეგმის ოპტიმალური ვარიანტი მიიღო საფუძვლათ, რადგან ჩვენი მშენებლობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თითქმის ყოველი სამეურნეო წელი მეტ ეფექტს იძლევა მეურნეობის ზრდის საქმეში, ვიდრე ეს გათვალისწინებული არის. მაგალითისათვის საკმაო იქნება აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ 1927-28 სამეურნეო წლისათვის მრეწველობის ზრდა გათვალისწინებული იყო 12 პროც.-ით. მაგრამ ნამდვილათ კი ის უდრის 23 პროც., ე. ი. თითქმის ორჯერ უფრო მეტს, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო. ასეთმა გამოცდილებამ უკარნახა კონფერენციას მიეღო ხუთწლიანი გეგმის ოპტიმალური ვარიანტი.

რა რაოდენობითი ცვლილებებს შეიტანს ხუთწლიანი გეგმის განხორციელება ჩვენს სახალხო მეურნეობაში? აი ის საკითხი, რომელიც გამორკვეულ უნდა იქნას პირველ რიგში, რომ შემდეგ შევეხოთ **ამ მიღწევათა თვისობრივი, ანუ სოციალურ-კლასიური მხარეების შესწავლა.**

ადვილი გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს კაპიტალურ დაბანდებების რაოდენობას მეურნეობის საერთო ზრდაში. ამ დაბანდებათა სიდიდეზეა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ყველა შემადგენელ ნაწილების ზრდის საქმე, ისე როგორც მისი რეკონსტრუქცია, საერთოდ. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობა თვალსაჩინოთ განირჩევა, არა მხოლოდ გასულ ხუთწლის კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობიდან, არამედ ყველა იმ დაბანდებებიდან, რომელთაც კი ადგილი ჰქონია თვითეული ხუთი წლის განმავლობაში, საერთოდ, რუსეთის მეურნეობის ისტორიის მთელ მანძილზე. შეიძლება კიდევ უფრო მეტის თქმა, რადგან ამას მოწმობს უტყუარი ფაქტები, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ისეთი ჩქარი ტემპი, როგორიც გვაქვს დღეს ჩვენ, არასოდეს არ ყოფილა ევროპის არც ერთ მოწინავე ქვეყანაში.

განვითარების ჩქარი ტემპის ხელისშემწყობ პირობებს ჩვენ ქვემოთ შევეხებით, ხოლო აქ საჭიროა მოვიყვანოთ ცნობები კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობის შესახებ.

მთელ სახალხო მეურნეობაში, როგორც ეს გათვალისწინებულია ხუთწლიან გეგმით, მორიგ ხუთი წლის განმავლობაში დაბანდებული იქნება 64,6 მილიარდი მან., 26 მილიარდის ნაცვლად, რომელიც დაბანდებული იყო განვლილი ხუთი წლის განმავლობაში 1923—4—1927—8 წლამდე. ამრიგათ, გასულ ხუთ წელთან შედარებით, მორიგ ხუთი წლის განმავლობაში პროცენტული შედარებით კაპიტალური დაბანდება იზრდება 148,7 პროც. *).

კაპიტალური დაბანდების ასეთი დიდი რაოდენობა იწვევს სახალხო მეურნეობის ძირითად ფონდების, საერთო პროდუქციის, ყოველწლიურ სახალხო შემოსავლის და სხვ. შესაფერ ცვლილებებს. მაგ., სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდები (ამაში შედის საწარმოო ძალების და მეურნეობის ყოველგვარი მოწყობილობა მიწის გამოკლებით და სხვა) ხუთი წლის განმავლობაში გაიზრდება 70 მილიარდიდან 128 მილიარდ მან., პროცენტულად ძირითად ფონდების ზრდა უდრის 82,8 პროცენტს. აღნიშნულ რაოდენობით კაპიტალური დაბანდება იწვევს სახალხო მეურნეობის სათანადო ზრდას. მთელი მეურნეობის, მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წლიური საერთო პროდუქციის ღირებულება იზრდება 18,3 მილიარდ მანეთიდან 43.2 მილიარდ მანეთამდე. პროცენტულად პროდუქციის ზრდა უდრის 136 პროცენტს. ამ ცვლილებებთან დაკავშირებით იზრდება აგრეთვე სახალხო შემოსავალი, რაც მეურნეობის და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების წინსვლის საუკეთესო მაჩვენებელია.

ხუთი წლის განმავლობაში სახალხო შემოსავალი იზრდება 24 მილიარდ მანეთიდან 49,7 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. სახალხო შემოსავლის ზრდა უდრის 103 პროცენტს. სახალხო მეურნეობის ზრდის მაჩვენებლათ უნდა იქნას მიჩნეული აგრეთვე საქონლის თვითღირებულების შემცირება, ფასების დაკლება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, რაც შედეგია წარმოების რეკონსტრუქციის, საწარმოთა უკეთ შეიარაღების მექანიკური ძალით და სხვა. ამ მხრივ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი: მრეწველობის ნაწარმოებს თვითღირებულება შემცირებული იქნება 32 პროცენტით, გასაყიდი ფასები კი დაკლებული იქნება 24 პროცენტით. შრომის მექანიკური ენერგიით შეიარაღების ზრდის სურათს გვაძლევს ის გარემოება, რომ ხუთწლიანი გეგმის მიხედვით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საშუალოდ მექანიკური ენერგიის დახარჯვა კილოვატ საათებში გაიზრდება თითო მუშა ხელზე 402-ან 588-დე, ე. ი. 46 პროცენტით; ენერგიის ზრდა წარმოების უკეთ ორგანიზაციისა და შრომის ამხანაგურ დისციპლინის განმტკიცებასთან ერთად იწვევს სამრეწველო შრომის ნაყოფიერების ზრდას 110 პროცენტით, რაც თავის მხრივ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს.

სახალხო მეურნეობის გაძლიერების ერთ-ერთ უმთავრეს მაჩვენებლათ ითვლება აგრეთვე ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავლის) სიდიდე. მორიგი ხუთწლიანი გეგმის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ჯამი ამ ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 51 მილიარდ მან. ეს მაშინ, როდესაც გასულ ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტი არ აღემატებოდა 19 მილიარდ მანეთს.

ასეთია ის უმთავრესი მიღწევები, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად მაჩვენებლებს სახალხო მეურნეობის საერთო ზრდის ხუთწლიანი გეგმის მიხედვით. მაგრამ, რომ უფრო ნათელი იქნას სურათი იმის შესახებ, თუ როგორი იქნება თავისი ძლიერებით ჩვენი მეურნეობა ხუთი წლის შემდეგ, საჭიროა აღვნიშნოთ კიდევ შემდეგი: ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული საამშენებლო პროგრამა იმდენათ გრანდიოზულია თავისი სიდიდით, რომ ხუთი წლის ბოლოს მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქციის 35 პროცენტი უნდა მოგვცენ იმ ახალმა საწარმოო ერთეულებმა, რომლებიც აშენებული იქნება ამ ხუთი წლის განმავლობაში. დანარჩენი კი მოდის ძველ საწარმოო დაწესებულებებზე, რაც გულისხმობს ამ უკანასკნელთა სრულიად გადახალისებას ახალი ტეხნიკურ ბაზაზე, ე. ი. მათ სრულ სოციალისტურ რეკონსტრუქციას. თუ ეს გარემოება ერთ მხრივ მიგვითითებს საამშენებლო პროგრამის გრანდიოზულობაზე და განვითარების ჩქარ ტემპზე, სამაგიეროთ, მეორე მხრივ ის გვიჩვენებს აგრეთვე იმასაც, თუ რამდენათ რთული და ძნელი იქნება მორიგ ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, განვლილ ხუთი წლის სამეურნეო საამშენებლო პროგრამასთან შედარებით, რომლის გატარების დროსაც საქმე გვქონდა უმთავრესად დანგრეულ მეურნეობის აღდგენასთან და არა ახლის შექმნასთან. სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციის 35 პროცენტის, ახალ საწარმოო დაწესებულებებისაგან მიღება გულისხმობს იმას, რომ თავისი მძლეოსნობის მიხედვით ამ ხუთი წლის განმავლობაში აგებული იქნება ერთი მესამედი არსებული საწარმოების, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში შენდებოდა. გარდა უკვე აღნიშნულ მოვლენებისა, რომლებიც მოწმობენ განვითარების ჩქარი ტემპის არსებობასაც მეურნეობის საერთო ზრდასთან ერთად, ჩვენ მოგვეპოვება აგრეთვე მისი გამორკვევისათვის ისეთი საშუალება, როგორიცაა საბჭოთა მეურნეობის და ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნების მეურნეობის ერთ განსაზღვრულ დროის განმავლობაში ზრდის ტემპის შედარება.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესის დამთავრების შემდეგ, ჩვენში წარმოების ზრდის ტემპის მხოლოდ უმნიშვნელო შემცირებას აქვს ადგილი. მაგალითად წარმოების საერთო პროდუქცია 1927-28 წელში გაიზარდა 23,3 პროც-ით, მხოლოდ 1928-29 წ. ზრდა გათვალისწინებულია 21-23 პროც-მდე. საშუალოდ ყოველ შემთხვევაში მრეწველობის პროდუქციის ყოველწლიური ზრდის ტემპი შეედრება 20 პროც-ს მომავალშიაც, მიუხედავათ იმისა, რომ მეურნეობის აღდგენის დრო განვლილ და მისი რეკონსტრუქციის პერიოდში შევედით. თუ რამდენათ დიდი და ძლიერია განვითარების აღნიშნული ტემპი, ეს ნათლად შეგვიძლია დავინახოთ იქიდან, რომ ისეთი მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნის მრეწველობის განვითარების ტემპი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, არასდროს არ გასცილებია ყოველწლიურ ზრდის 9.7 პროც.; მხოლოდ უკანასკნელ წლების განმავლობაში უცვლელათ სდგას 4-5 პროც-ის დონეზე. ასე მაგ.: ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის პროდუქციის ყოველწლიური ცვლილება საშუალოდ 1913 წ. ფასებში, შეადგენდა:

1859 წ.	6,1	1899 წ.	4,3
1869 წ.	1,6	1914 წ.	2,5
1879 წ.	9,7	1909 წ.	4,3
1889 წ.	6,0	1914 წ.	3,1

(Мотылев, «Проблемы развития СССР»).

აქედან შეგვიძლია დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, რომ ლენინის ერთ-ერთი პოლიტიკური ანდერძი, მოწინავე ქვეყნების დაწევის და გასწრების შესახებ, განხორციელებული იქნება ჩვენი პარტიის მიერ, რასაც მოწმობს ჩვენი დღევანდელი განვითარების ტემპი.

ლენინის გენიალობა მდგომარეობს იმაში, რომ მან უაღრესად შეიარაღებულს სოციალურ მოვლენათა დიალექტიური გაგების მახვილი იარაღით, შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა მოძრაობის მიმართულება და შესაფერი სამოქმედო დასკვნები გაეკეთებია. ასე მოიქცა ის მეურნეობის საბჭოთა სისტემის განვითარების **ტემპის შეფასებაშიც** ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ამ განვითარების ფაქტს ადგილი არ ჰქონია, რადგან იმ დროს ჩვენი ქვეყნის რევოლიუციონურ შემოქმედების უმთავრეს ფონს სამხედრო ფრონტი წარმოადგენდა. ევროპის მოწინავე ქვეყნის დაწევის და გასწრების ლოზუნგი ლენინმა მოგვცა იმიტომ, რომ ის ხედავდა არა მხოლოდ მისი განხორციელების ისტორიულ აუცილებლობას სოციალიზმის გამარჯვებისათვის, არამედ მისი განხორციელების რეალურ შესაძლებლობასაც. ამ უკანასკნელს ლენინი ჰპოულობდა **საბჭოთა სამეურნეო სისტემის უპირატესობაში კაპიტალისტურ სისტემის მიმართ.**

რაში მდგომარეობს მეურნეობის ის უპირატესობანი, რომელთა ზეგავლენით განვითარების ტემპი ჩვენში უფრო ძლიერი და მაღალია, ვიდრე თვით ისეთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორიცაა თანამედროვე ამერიკა, რომ თავი დავანებოთ ევროპის ქვეყნებს? ეს უპირატესობანი მრავალ მხრივია, მხოლოდ მათგან ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ: **წარმოების ნაციონალიზაცია ანუ განსაზოგადოებრივება, მასზე კაპიტალისტურ კერძო საკუთრების მოსპობითა და მუშათა სახელმწიფოზე გადაცემით. მიწის ნაციონალიზაცია, რაც წარმოებას ანთავისუფლებს მიწის რენტისაგან, მხოლოდ გლეხობას გამოსასყიდ ვალდებულებისაგან.**

გეგმიანი მუშაობა განსაკუთრებით მრეწველობის დამორჩილება ერთ გეგმიან ხელმძღვანელობისათვის. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. წარმოების განთავისუფლება კაპიტალისტურ სახის კრიზისებისაგან და რევოლიუციონური ენტუზიაზმი მუშათა კლასის, რომელმაც იცის, რომ ქმნის თავისი შრომით საზოგადოებრივ ღირებულებას არა კაპიტალისტებისათვის, არამედ თავისი სახელმწიფოსა და თავისი თავისათვის.

აი, ის უპირატესობანი საბჭოთა მეურნეობისა კაპიტალისტურზე, რომლებმაც შექმნეს ობიექტიური პირობები განვითარების მაღალი ტემპის უზრუნველყოფისათვის და რაც თავისი მხრივ გვაძლევს საშუალებას ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი სახალხო მეურნეობა უაღრესათ გავაძლიეროთ.

3. ინდუსტრიალიზაციის პრობლემა

ჩვენი რევოლიუციის ერთ-ერთ უმთავრეს ლოზუნგს შეიცავს, ლოზუნგი ევროპის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების დაწევისა და მათი გასწრების შესახებ.. ამ ლოზუნგის პოლიტიკური მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი განხორციელებით ჩვენ პრაქტიკულად უმტკიცებთ მთელ მსოფლიოს წარმოების სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურზე, ისე როგორც სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობას. საბჭოთა კავშირის სამეურნეო ცხოვრების ჩქარი განვითარებით სოციალიზმის იდეამ საქვეყნოდ უნდა ჩააბაროს ხელმწიფის გამოცდები. ამასთან დაკავშირებით საბ. კავშირის სამეურნეო ცხოვრების ზრდა იქცევა თავისი მნიშვნელობით მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის დამაჩქარებელ ფაქტორათ. ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი პარტია ასეთი სიფრთხილით და დიდი ენერგიით ჰკიდებს ხელს აღნიშნულ ლოზუნგის განხორციელების საქმეს. ამ პრინციპზეა აგებული ხუთწლიანი გეგმა, რომელშიდაც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის როგორც **აგრარულ - ინდუსტრიალურ ქვეყნის, ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად გადაქცევა.** რაც თავისი მხრივ გვიახლოებს ევროპის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიურ დაწევის და მათი გასწრების ლოზუნგის განხორციელებას. ხუთწლიან გეგმაში განვითარების ეს პროცესი გათვალისწინებულია **ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპით გატარების** საფუძველზე, რაც აიხსნება იმით, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელი მისი განხორციელება. ჩვენი ქვეყნის გადაქცევა აგრარულ-სამრეწველო ქვეყნიდან სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად, მოითხოვს ქალაქის მრეწველობის ხვედრითი წონის საგრძნობლათ გადიდებას მთელ სახალხო მეურნეობაში. ეს კი შესაძლებელია ინდუსტრიალიზაციის გატარებით. საკითხის გამორკვევისათვის იმის შესახებ, თუ რა ადგილი აქვს დათმობილი ხუთწლიან გეგმაში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესს და ამ ხუთი წლის განმავლობაში რა ადგილს დაიჭერს თავისი ხვედრითი წონით მრეწველობა, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრია. სახალხო მეურნეობაში, საჭიროა ვიცოდეთ ის, თუ რა ადგილი ჰქონდა მას ხუთწლიანი გეგმის განხორციელებამდე სასოფლო მეურნეობასთან შედარებით.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის აგრარულ-სამრეწველო ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ სახალხო მეურნეობაში თავისი ხვედრითი წონით მეტი ადგილი უჭირავს სასოფლო მეურნეობას ვიდრე მრეწველობას, ეს ჩანს იქიდან, რომ სასოფლო მეურნეობის პროდუქციის ყოველწლიური ღირებულება, მისი ძირითადი ფონდი და სხვა—ქალაქის მრეწველობაზე უფრო მეტია. მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ასეთ ურთიერთ დამოკიდებულების სურათს სახალხო მეურნეობაში ნათლად მოწმობენ შემდეგი ცნობები: მრეწველობის ხვედრითი წონა ტრანსპორტთან ერთად სახალხო მეურნეობის ძირითად ფონდებში 49 პროცენტს უდრიდა 1927 — 28 სამეურნეო წლის ბოლოს. სახალხო შემოსავალი კი მთელი ქვეყნის მეურნეობის უმთავრეს შემადგენელ ნაწილებს შორის ამავე დროისათვის ნაწილდებოდა ასე:

მრეწველობის	31,6
საამშენებლო საქმის	5,1
სასოფლო მეურნეობა	45,8
ტრანსპორტი	5,1
ვაჭრობა	11,1

ხუთწლიანი გეგმის განხორციელებამ მრეწველობის ასეთი მდგომარეობა სახალხო მეურნეობაში უნდა შესცვალოს იმ მხრივ, რომ მისი ხვედრითი წონა საგრძნობლათ გაიზარდოს. მაშინ ჩვენ გვექნება უფლება ვსთქვათ, რომ საბჭოთა ქვეყანა წარმოადგენს სამრეწველო - აგრარულ ქვეყანას, ეს პროცესი თავის მხრივ შეიცავს ინდუსტრიალიზაციის შინაარს. რაკი ასეა, მაშინ თავის თავათ ცხადია, რომ ხუთწლიან გეგმაში საწარმოო მატერიალურ საშუალებათა განაწილება თავისი ხასიათით უნდა უზრუნველყოფდეს ინდუსტრიალიზაციის გატარებას. **ინდუსტრიალიზაცია, კონკრეტიული ეკონომიური პოლიტიკის ენაზე შეიცავს მეტი თანხის, კაპიტალის, ენერგიის მოხმარებას მრეწველობისათვის, განსაკუთრებით მისი იმ ნაწილისათვის, რომელიც მძიმე ინდუსტრიათ, საწარმოო საშუალებათა დამზადების დარგათ ითვლება.**

ჩქარის ტემპით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესს ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ნათლათ მოწმობს კაპიტალური დაბანდებების განაწილების ხასიათი სახალხო მეურნეობის შემადგენელ ნაწილებს შორის. 64.6 მილიარდ მან., რომელიც დახარჯული იქნება ხუთი წლის განმავლობაში მთელ მეურნეობაზე, ორი-მესამედი მოხმარდება მხოლოდ მრეწველობას და ტრანსპორტს, ელექტროფიკაციის დამატებით. ამ მხრივ, ესე იგი ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპის უზრუნველყოფის მიზნით, მეტათ მნიშვნელოვანია ის მოვლენა, რომ იმ კაპიტალურ დაბანდებებიდან, რომელიც მოხმარდება მრეწველობას 78 პროც. დახარჯული იქნება **მძიმე ინდუსტრიის** განვითარებაზე, 22 პროც. კი მოხმარდება **მსუბუქ მრეწველობას.** მაშასადამე, კაპიტალური თანხების განაწილების ხასიათი ერთ მხრივ —ქალაქის წარმოებასა და სოფლის მეურნეობას, ხოლო მეორე მხრივ კი—მძიმე და მსუბუქ მრეწველობის შორის, სრულიად უზრუნველყოფს პარტიის მიერ აღებულ კურსს ქვეყნის ჩქარი ტემპით ინდუსტრიალიზაციის გზით წაყვანაზე.

ძირითად თანხების ამ სახით განაწილება მრეწველობის ხვედრითი წონას სახალხო მეურნეობაში საგრძნობლათ სცვლის. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 27-28 სამეურნეო წლისათვის, მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის ძირითად ფონდებში არ აღემატება 49 პროცენტს. მხოლოდ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შემდეგ კი, ესე იგი 1932 — 33 სამეურნეო წლისათვის ის მიაღწევს 56 პროცენტს. აქედან ჩვენ ადვილათ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენათ იცვლება სახალხო მეურნეობის და მრეწველობის დამოკიდებულება ამ უკანასკნელის სასარგებლოთ ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე. ამავე მოწმობს სხვა თვისებრივი ცვლილებები ჩვენს სახალხო მეურნეობაში.

ქვეყნის ჩქარის ტემპით ინდუსტრიალიზაციის პროცესს კონკრეტიულ გამოხატულებას წარმოადგენს აგრეთვე მძიმე ინდუსტრიის პროდუქციის ზრდა მსუბუქი წარმოების და სასოფლო მეურნეობის პროდუქციასთან შედარებით. ზემოთ აღნიშნულ კაპიტალურ თანხების განაწილების ხასიათთან დაკავშირებით განსაკუთრებით მეტათ იზრდება მსხვილი ინდუს-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

---

*) ცნობები მოგვყავს საბჭოთა კავშირის ხუთწლიან გეგმის პირველ ტომიდან და საკ. კ. პ. (ბ) მე-16 პარტკონფერენციის რეზოლიუციიდან.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის

ამხ. ა. ანდრეევის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

როგორ იქნა შესრულებული ცეკას პლენუმის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იყო სოფლად მუშაობის შესახებ ჩრდილოეთ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ გაკეთებულ მოხსენების გამო

ამხანაგებო, მე მინდოდა ჩემს მოხსენებაში პასუხი გამეცა ორ კითხვაზე: პირველი შეეხება ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებათა შესრულების ზოგიერთ შედეგებს, ხოლო მეორე იმას, თუ როგორია ჩვენი მომავალი მუშაობის გეგმა სახალხო მეურნეობის ამაღლების და სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. რასაკვირველია, პლენუმის დადგენილებათა გახატარებლად წარმოებული მუშაობის ჯამის გაკეთების თვალსაზრისით არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეს დადგენილება უკვე გატარებულია. ისინი ჯერ კიდევ მეტად ხანგრძლივ და დაუღალავ მუშაობას მოითხოვენ, მაგრამ ახლაც შეიძლება ცოტა რამ ითქვას ამ დადგენილებათა განხორციელების შედეგებზე.

ჩრდ.-კავკ. სოფლის მეურნეობის რაოდენობითი ზრდა

მე პირველად შევჩერდები ჩრდილოეთ-კავკასიის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ზოგიერთ წმინდა თვისობრივ მაჩვენებლებზე. ესენი შემდეგია: თუ სათეს სივრცეს ავიღებთ, აქ 1928 წელს ისეთი მდგომარეობა იყო, რომ იგი შეადგენდა ომის წინადროინდელის 82,9 პროცენტს. ჩვენი გეგმა, რომელიც ამ წლის შემოდგომის და გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის დავისახეთ, მდგომარეობს იმაში, რომ ეს დონე ყველა სექტორში უნდა ავსწიოთ 13 პროცენტით იმ ვარაუდით, რომ მივიღოთ აბსოლიუტური სათესი სივრცე 10.545 ათასი ჰექტომეტრის რაოდენობით. თუმცა მშრალი შემოდგომა ხელს არ უწყობდა თესვას და არც დაგვიანებული გაზაფხული იყო ხელსაყრელი, თანაც ზოგიერთმა ოლქმა თესვა ორი კვირით დააგვიანა, მაგრამ მაინც გეგმა გადაჭარბებით გვაქვს შესრულებული: წინასწარი ცნობებით *), სასარგებლო სივრცე უდრის 10.720 ათას ჰექტარს. თუ წარსულში დაუთესავად დარჩენილ სათეს სივრცეს ჩავთვლით, მაშინ სათესი სივრცის გადიდება უდრის 12 პროცენტს, ხოლო, თუ მხედველობაში მივიღებთ მთელ სასარგებლო სათეს სივრცეს — 17 პროცენტს, ე. ი., სხვანაირად რომ ვსთქვათ, ჩვენ ამჟამად მოსავალს ავკრებთ 17 პროცენტით უფრო მეტი სივრციდან, ვიდრე შარშან, ამრიგად, წელს, ომის წინადროსთან შედარებით, გვექნება 95 პროცენტი.

მე მინდოდა, ამხანაგებო, ორიოდე სიტყვა მეთქვა იმ დავაზე, რომელიც ჩვენ გვქონდა შემოდგომის სათესი სივრცის შესახებ, როდესაც ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ა. ი. რიკოვს მოჰყავდა ციფრები იმის დასამტკიცებლად, რომ დათესილია 10 პროცენტით ნაკლები, ხოლო ამაზე ადრე ზოგიერთნი ლაპარაკობდნენ 18,4 პროცენტის შესახებ. გაზაფხულზე შეკრებილი ცნობები ადასტურებენ, რომ ჩვენ მართალი ვიყავით, როდესაც ვამბობდით, რომ შემოდგომაზე დათესილის სივრცე იმდენივეა, რამდენიც წინა წელს იყო.

ეხლა, თუ ავიღებთ იმას, თუ როგორი გავლენა მოახდინა შემოდგომის და გაზაფხულის თესვის კამპანიამ ჩრდილოეთ-კავკასიაში მარცვლეულის პრობლემის გადაწყვეტაზე, გვაქვს შემდეგი ციფრები: ნათესის 17 პროცენტით საერთო გადიდების დროს მარცვლეულის ნათესი გადიდებულია არა ნაკლებ 25 პროცენტისა, ე. ი. ყველაფერი ეს რომ ჰექტარებზე გადავიყვანოთ, მარცვლეულის დარგში, წინა წელთან შედარებით მივიღებთ გადიდებას 1 ნახევ. მილიონით, სულ კი გვექნება 7 მილიონი ჰექტარი. შეკრებილი პურის ანგარიშზე რომ გადავიყვანოთ, იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც ამჟამად გვაქვს, მარცვლეულის პროდუქცია დაახლოვებით გვექნება 1.000.000 ტონით იმაზე მეტი, რაც წარსულ წელს გვქონდა.

რაც შეეხება იმას, თუ როგორი პირი უჩანს მოსავალს, ამჟამად მდგომარეობა ისეთია, რომ შემოდგომის ნათესი აღემატება 3 ბალს, ხოლო გაზაფხულის ნათესი შეადგენს 3 და 3,4 ბალს. პირველ რიცხვისთვის საბოლოოდ არა გვაქვს გამორკვეული მდგომარეობა, მაგრამ მოსავალი საშუალომდე და ზოგიერთ ოლქში საშუალოზე უკეთესამდეც მიაღწევს, და მთელ ჩრდილოეთ-კავკასიაში შარშანდელზე უფრო კარგი მოსავალი იქნება, თუმცა უნდა ვსთქვა, რომ იმ გვალვამ, რომელიც 10 დღის განმავლობაში ჩრდილოეთ-კავკასიაში იდგა, ჩვენი მეტად ფრთხილი ვარაუდით, დაგვაკლო 1.250.000 ტონაზე არა ნაკლები, ვინაიდან თავდაპირველად მოსავალს მეტად კარგი პირი უჩანდა და ბევრ რაიონში იგი 4 ბალს აღემატებოდა.

ეხლა ნება მიბოძეთ შევჩერდე სათესი სივრცის სოციალურ განაწილებაზე და იმაზე, თუ როგორ იცვლებოდა ეს განაწილება უკანასკნელი თესვის კამპანიებში. ყველაფრიდან სჩანს, რომ კულაკმა შეამცირა სათესი სივრცე. ძალიან გაადიდა თავისი სათესი სივრცე ღარიბმა და საშუალო გლეხობამ. რაც შეეხება სოციალისტურ სექტორს, ამ მხრით ჩვენ გვაქვს შემდეგი ციფრები კოლექტიურ მეურნეობათა მიმართ: წარსულ წელს მათი ნათესი უდრიდა 711 ათას ჰექტარს, წელს კი უდრის 1.200 ათას ჰექტარს. ეს შეადგენს მთელი დათესილი სივრცის 11,8 პროცენტს. ამაში არ შედიან საბჭოთა მეურნეობები. მეორე მაჩვენებელი არის ის, რომ კოლექტიური მეურნეობის განსაზოგადოებულ ნაწილში გვაქვს ზრდა 2 ნახევ.-ჯერ. რაც შეეხება საბჭოთა მეურნეობებს, აქ მდგომარეობა ასეთია: 1928 წელს საბჭოთა მეურნეობებს დათესილი ჰქონდათ 98 ათასი ჰექტარი, წელს აქვთ 216 ათასი. საერთოდ, სოციალისტური სექტორი ამჟამად შეადგენს მთელი ნათესი სივრცის 18,8 პროცენტს.

ცოტა ხანს შევჩერდები თვისობრივ მაჩვენებლებზე იმ ზეგავლენის თვალსაზრისით, რომელიც მათ ჰქონდათ მოსავალზე თესვის უკანასკნელი ორი კამპანიის განმავლობაში. 1928 წელს ანეული უდრიდა 1.454 ათას ჰექტარს, წელს კი უდრის 2.219 ათას ჰექტარს, ანუ ზრდა 56 პროცენტს შეადგენს. რაც შეეხება მარცვლის გაწმენდას, გაწმენდილი მარცვლის რაოდენობა შეადგენს მთელი დათესილი მარცვლის 77 პროცენტს. ეს ბევრად მეტია იმაზე, რის იმედიც ჩვენ გვქონდა. წამალში გატარებული მარცვალი შეადგენს მთელი დათესილი მარცვლის 42 პროცენტს. ეს პროცენტი რამდენიმედ მცირეა, იმიტომ, რომ მთელი მარცვალი არ მოითხოვს წამალში გატარებას. საერთოდ, ამ მხრივ ჩვენი მიღწევა ექვსჯერ აღემატება შარშანდელ მდგომარეობას და სჭარბობს გეგმით ნავარაუდევს.

ხარისხოვანი თესლის შესახებ უნდა ვთქვა, რომ შარშან ამ თესლით დათესილი სივრცე უდრიდა 300 ათას ჰექტარს, წელს კი ეს რიცხვი გადიდებულია ორჯერ და უდრის 614 ჰექტარს.

რაც შეეხება მოსავლიანობისათვის ბრძოლის დანარჩენ ღონისძიებებს აგრომინიმუმის განხორციელების თვალსაზრისით, აქ საბოლოო ანგარიშების მოხდენა იმის შესახებ, თუ როგორი იყო ბრძოლა სხვადასხვა მავნებლების წინააღმდეგ, ჯერ კიდევ მეტად ძნელია, ვინაიდან შეუძლებელია იმის ჩამოთვლა, თუ რამდენი მავნე ბალახისაგან გაიწმინდა მინდორი და სხვ. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ უდიდესი გარდატეხა მოხდა მოსახლეობაში. ის საუკუნოებრივი სიზარმაცე, ის მამაპაპური წესი, რომელიც წარმოშობილი იყო ხელსაყრელი ბუნებრივი და საყოფაცხოვრებო პირობებით, უკვე დაიმსხვრა.

უდიდესი მუშაობა გაშალა კომკავშირმა. კომკავშირელებმა 7 ოლქში მოაწყეს 807 კოლექტიური მეურნეობა და ახალგაზრდობის სამი კომუნა. მათ კოლექტიურ მეურნეობაში ჩააბეს 7.314 ახალგაზრდა. კომკავშირის უჯრედებისა და ახალგაზრდობის ძალებით 7 ოლქში გაწმენდილ და გარკვეულ იქნა 700 ათასი ფუთი სათესლე მარცვალი, მოწყობილ იქნა მავნებლებთან მებრძოლი 809 რაზმი და ბრიგადა, რომლებმაც ამოჟლიტეს ხუთ მილიონამდე მინდვრის თაგვი. კომკავშირელებმა დიდი მუშაობა გაშალეს აგრონომიული ცოდნის ჩანერგვისა და გავრცელების საქმეში —მუშაობს 875 სასოფლო-სამეურნეო წრე. შეგროვდა 50 ათას მანეთამდე მეტი სატრაქტორო რაზმის მოსაწყობად. კომკავშირის 190 რაზმმა ქალაქიდან შეაკეთა 2.553 სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

დამახასიათებელია, რომ თაგვის კუდების და საწამლავით მორწყული მოედნების მიხედვით დახოცილია 10 მილიონზე მეტი მინდვრის თაგვი, ასე რომ აგრომინიმუმის გატარებით მიღწეულია უდიდესი გარდატეხა. შემოდგომაზე, მე მგონია, ჩვენ გადასახადის შემცირებით უფრო წავახალისებთ იმათ, ვინც მართლა იბრძოდა მავნებლების წინააღმდეგ და დავაჯარიმებთ იმათ, ვინც ბოროტი განზრახვით არ ანხორციელებდა დადგენილებას, და, მე ვფიქრობ, მომავალი წლიდან ჩვენ გვექნება უფრო წესიერი მუშაობა.

კონტრაქტაციის მხრივ ჩრდილოეთ-კავკასიაში ჩვენ ბევრად გადავაცილეთ იმას, რასაც ვაჭრობის სახალხო კომისარიატი გვავალებდა. ჩვენში კონტრაქტაცია შეეხო მთელი დათესილი მოედნის 42 პროცენტს, და ჩვენის ანგარიშით კონტრაქტაციით უნდა მივიღოთ ერთ მილიონ ტონამდე. უნდა მივიღოთ ეს საბაზრო ურთიერთობის გარეშე, მარტო ხელშეკრულებების წესით.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდას, ეს კოოპერაცია აერთიანებს მოსახლეობის 56 პროცენტს, ნაცვლად 41 პროცენტისა, რაც წარსული წლის 1 ოქტომბრისათვის იყო. მე არ მინდა განსაკუთრებულად შევეხო იმას, რომ ამ ხნის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში გვაქვს ხარისხობრივი მიღწევებიც: შეიქმნა საწარმოო კოოპერაციის ქვედა საფეხურის სრულიად ახალი ფორმა — მთესველთა ამხანაგობანი, რომლებიც აერთიანებენ სოფლის მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ჯგუფებს და სათეს მოედნებს.

ხარისხობრივი ზრდის მაჩვენებლები

რაც შეეხება სოციალისტური სექტორის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, აქ გვაქვს შემდეგი სურათი: მთელი 100 პროცენტით შევსძელით ჩვენი საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფა ხარისხოვანი თესლით. ზოგი რამ გავაკეთეთ იმ მხრივაც, რომ საბჭოთა მეურნეობები გადაქცეულიყვნენ მახლობელი მოსახლეობისათვის აგრონომიული და სხვა დახმარების მიწოდების ბაზისად. ყველა საბჭოთა მეურნეობასთან არსებობს გამქირავებელი პუნქტი მახლობელი მოსახლეობისათვის სამსახურის გასაწევად. „ხუტოროვკი“-ს საბჭოთა მეურნეობასთან მოხერხდა მოწყობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურისა 80 ტრაქტორით. სადგურმა გლეხობის ნათესი 8.000 ჰექტარით გაადიდა და მოაწყო მთელი რიგი კოლექტიური მეურნეობანი. იგივე ითქმის „გიგანტ“-ის შესახებ. მას არა აქვს სამანქანო-სატრაქტორო სადგური, მაგრამ თავისი ტრაქტორებით მან დაუხნა მიწები მახლობელი სოფლების გლეხობას.

კოლექტიურ მეურნეობათა ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ ჩვენ გვაქვს შემდეგი: ამჟამად ყურადღებას ვაქცევთ არა მარტო კოლექტიური მეურნეობების რიცხვობრივ ზრდას, არამედ იმასაც, თუ როგორ არის შიგნით მოწყობილი მათი მეურნეობა. ჩვენ დავიწყეთ კოლექტიური მეურნეობების გაფართოვება. კოლექტიურ მეურნეობაში 1928 წლის ოქტომბრისათვის საშუალოდ ირიცხებოდა 11 მეურნეობა, ეს რიცხვი 17 მეურნეობამდე ავიყვანეთ. ჩვენ გვაქვს 720 კოლექტიური მეურნეობა, თვითეული 500 ჰექტარზე მეტის ნათესით, 7 მეურნეობა 5.000 ჰექტარზე მეტით, ე. ი. გვაქვს 45 ათასი ჰექტარი განსაზოგადოებული სათესი მოედნით. შემდეგ, კოლექტიურ მეურნეობათა შიგნით გვაქვს ის უპირატესობა, რომ შეუჩერებლად იზრდება კოლექტიურ მეურნეობათა განსაზოგადოებული ნაწილი: 1928 წელს იგი უდრიდა 40 პროცენტს, ხოლო 1929 წელს — 63 პროცენტს. წარსულ პერიოდთან შედარებით, მცირდება უბრალო კოლექტიურ გაერთიანებათა სამანქანო ამხანაგობათა და სხვ. რიცხვი და იზრდება რთული გაერთიანებების — კომუნების, არტელების, შეერთებულად დამმუშავებელი ამხანაგობების და სხვათა რიცხვი. დაშლის მხრივ საინტერესო შედარებაა: 1927 წელს დაიშალა კოლექტიურ მეურნეობათა საერთო რიცხვის 30 პროცენტი, ხოლო წელს მარტო 7,5 პროცენტი.

საინტერესოა აგრეთვე „ველური“ კოლმეურნეობების შემცირება. ორი წლის წინად ველურ კოლმეურნეობათა პროცენტი ძალზე დიდი იყო, ახლა კი კოლექტიურ მეურნეობების 98 პროცენტი დაკავშირებულია ჩვენ კოოპერატიულ ქსელთან და მხოლოდ 2 პროცენტი რჩება ჯერ კიდევ ველურ მდგომარეობაში, ერთი წლის წინად კი ისინი შეადგენდნენ 70-დე პროცენტს.

რაც შეეხება სოციალურ შემადგენლობას, აქ ასეთ ცვლილებებს აქვს ადგილი: შარშან ღარიბები შეადგენდნენ 77 პროცენტს, წელს კი 71 პროცენტს; საშუალო გლეხები შარშან შეადგენდნენ 21 პროც-ს; წელს კი 27 პროც-ს. მე არ ვეხები კოლმეურნეობათადმი საორგანიზაციო სამსახურის გაწევას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუნდაც იმ აგრონომების რიცხვის მიხედვით, რომლებიც კოლმეურნეობებს ემსახურებიან; ამ აგრონომების რიცხვი შარშან შეადგენდა 269-ს, ეხლა კი 880-ს. ასეთია ჩატარებული ორი კამპანიის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლები.

რა საშუალებებით უზრუნველვყავით ყველა ეს შედეგი, როგორ განვახორციელეთ მთელი ეს პროგრამა საქმით, რა საშუალებებს და მეთოდებს მივმართეთ თვით მოსახლეობის შინაგან უნარის და მისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მობილიზაციის თვალსაზრისით? ამ თესვის კამპანიის, განსაკუთრებით გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს ჩვენ დიდი მუშაობა ჩავატარეთ სოფლის მეურნეობის შინაური ინვენტარის, გამწევი ძალის და სხვ. მობილიზაციისათვის, და სწორედ ამ გზით უზრუნველვყავით ღარიბთა ნათესის უდიდესი ზრდა — უზრუნველვყავით უმთავრესად არა იმიტომ, რომ ღარიბმა შეიძინა ცხენი, მანქანა და სხვ., არამედ იმიტომ, რომ დიდი დატვირთვა ჰქონდა მანქანას და გამწევ ძალას, რომელიც სოფლად იყო. ამგვარად, ჩვენ მოვახერხეთ ღარიბთა მეტი მიწის დათესვა. მწკრივად ნათესი შარშან უდრიდა 41 პროცენტს, წელს კი 81 პროც-ს. ტრიერები ჩვენ უდიდესად დავტვირთეთ — მარცვლის 77 პროცენტი წმენდაში გავატარეთ. იგივე უნდა ითქვას გამწევი ძალის შესახებ. ჩვენი ორგანიზაციის საშუალებით, — არა მარტო სტიქიურად, არამედ ჩვენი მეოხებით, — გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტმა, საწარმოო თათბირების საბჭოებმა და აგრორწმუნებულებმა ფართო მუშაობა გაშალეს.

შინაური რესურსების მობილიზაციის მხრივ ამ ორი კამპანიის განმავლობაში შევქმენით თესლეულის ფონდი 32.800 ტონას რაოდენობით. რაც შეეხება ფულადი თანხების მობილიზაციას, აქ ჩვენ ვერ გამოვნახეთ ისეთი გზები და ფორმები, რომელთა საშუალებითაც მოსახლეობის თანხები ფართოდ მიგვეზიდა სამეურნეო საჭიროების საქმისათვის. მაგრამ შემოდგომის, ზამთრის და გაზაფხულის განმავლობაში სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით მაინც შევაგროვეთ 10 მილიონი მანეთი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ხაზით — 2 მილიონი მანეთი.

საზოგადოებრივ ორგანოების როლი

როგორ იყო უზრუნველყოფილი ეს მუშაობა საზოგადოებრივი მხრივ, რა ზომები იყო მიღებული ამ მიმართულებით? ვფიქრობ, აქ საჭირო არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენი ოლქის ყველა ორგანიზაცია მაქსიმალური ენერგიით მუშაობდა ამ კამპანიების განმავლობაში. საბჭოთა, კოოპერატიული ორგანიზაციები — აღარაფერს ვამბობთ პარტიულ ორგანიზაციებზე, — უდიდესი ენერგიით, პირდაპირ გაფთრებულნი მუშაობდნენ. მუშაობის ძველი ფორმების გამოყენების გარდა, საზოგადოებრივობის ახალი ფორმების გამოყენება ძალიან ფართოდ განვითარდა. საწარმოო თათბირების ხაზით ჩავაბით 100 ათას კაცამდე. აგრორწმუნებულთა რიცხვი ამჟამად 52 ათას კაცს უდრის. ჩვენ ვავრცელებთ საზოგადოებრივობის ახალ ფორმას—ზოოორწმუნებულების ინსტიტუტის შემოღებას მესაქონლეობის დარგების მეთვალყურეობისათვის. მთელ ამ მუშაობას მეთვალყურეობას უწევენ აგრონომები. ამ რწმუნებულებს ჩვენ ვაგროვებთ, რასაკვირველია, გლეხობის ღარიბ-საშუალო ფენებს შორის. და ეს არ არის ის ხალხი, რომელიც უცებ იქნა დაყენებული ამ საქმეზე სამუშაოდ. მათ გაიარეს აუარებელი საოლქო და სარაიონო კურსები, ყრილობები და სხვ. მაგალითად, სოფლის ორკვირეული კურსები, აგრონომების ხელმძღვანელობით, წმინდა პრაქტიკული ცოდნის მისაღებად ამ ზამთრის განმავლობაში გაიარა 79 ათასმა კაცმა. ამაში შედის ჩვენი ქვედასაფეხურის აქტივი, როგორც, მაგალითად, რწმუნებულები და სხვ. ცხადია, აგრონომების დატვირთვა ამ მხრივ უდიდესი იყო. ამას გარდა, ჩვენ მოავწყვეთ ნებაყოფლობითი საზოგადოება აგრონომიული უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. ამ საზოგადოებას ეხლა ჰყავს 50 ათასი წევრი. გარდა ამისა, პარტიული, საბჭოთა და განათლების სახ. კომისარიატის სკოლების მთელ ქსელში უზრუნველვყავით სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება. პირველი საფეხურის სკოლებსაც ვუფარდებთ ჩვენს საჭიროებებს—მიიღონ ერთგვარი საწარმოო ცოდნა სოფლის მეურნეობაში. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ წარსული ზამთრის და გაზაფხულის განმავლობაში ოლქებიდან სოფლად გავგზავნეთ 8 ათას კაცზე არა ნაკლები. ვფიქრობ, რომ ეხლა, საზოგადოდ, ჩვენს მხარეში არ მოიძებნება ისეთი პარტიული მუშაკი, რომელიც არ ყოფილიყოს სტანიცაში, სოფელში და სხვ., თუ ასეთი კაცი მოინახება, ძალიან იშვიათად.

საერთოდ, შეუძლებელია მოხსენებაში ჩამოვთვალოთ საზოგადოებრივობის ის ფორმები, რომლებიც განვავითარეთ სხვადასხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად. ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენს ოლქში მთელი ძალები ავამოქმედეთ ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად; მეორეს მხრივ, მოვახერხეთ ახალი ფენების, ხალხის უდიდესი მასების ამოძრავება იმისათვის, რომ ისინი დახმარებოდნენ ჩვენი პარტიული, საბჭოთა და კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაკებს.

ზოგადი მიღწევები

რა საერთო შედეგებს მივაღწიეთ მთელი ამ კამპანიის განმავლობაში? პირველი შედეგია ის, რომ გვაქვს ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორის თვალსაჩინო შედეგები სოფლის მეურნეობის განვითარების და გარდაქმნის საქმეში; მეორე — ეს მუშაობა ჩავატარეთ არა მშვიდობიან, არამედ კულაკთან მეტად გამწვავებული ბრძოლის პირობებში. ყოველ ღონისძიებას, როგორც, მაგალითად, აგრომინიმუმი, სათესლე ფონდის შექმნა და სხვ. კულაკი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა, ასე რომ გვიხდებოდა ერთსა და იმავე დროს ამ წინააღმდეგობის დაძლევაც. ჩვენ ვმუშაობდით არა მშვიდობიან პირობებში, სამეურნეო მშენებლობას ვანხორციელებდით არა მშვიდობიანად, არამედ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში.

ვფიქრობ, მესამე შედეგია ის, რომ ჩვენ შევამცირეთ კულაკურ მეურნეობათა ხვედრითი ეკონომიური წონა. ის ფაქტი, რომ კულაკი ამცირებს ნათესის სივრცეს, ამ სივრცეს კი სავსებით იყენებს ღარიბ-საშუალო მეურნეობათა სექტორი, — ეს არის კულაკურ მეურნეობათა ხვედრითი წონის ნამდვილი შეზღუდვა იმგვარად, რომ მისი ნაყოფიერება არ იკარგება ჩვენი სოციალისტური ეკონომიკისათვის. კულაკის პოლიტიკური იზოლიაციის თვალსაზრისითაც დიდი შედეგები გვაქვს. ჩვენი ოლქის პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, ჩვენ გვაქვს ის შედეგი, რომ ამ კამპანიამ არაჩვეულებრივად, მუშაობის წარსულ ეტაპებთან შედარებით, განამტკიცა ყველა ჩვენი პოზიცია სოფლად ღარიბებსა და საშუალო გლეხებს შორის. ისტორიაში პირველად დაინახა გლეხმა, რომ ხელისუფლება ნამდვილად ზრუნავს სოფლის მეურნეობის განსავითარებლად. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ყოველ მეორე დღეს მიდის მინდორში მეთვალყურეობისათვის. ჩვენ დავდიოდით სტანიცებში, ვესაუბრებოდით გლეხებს და ვხედავდით, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლეხისათვის, როცა იგი ხედავს, რომ ხელისუფლება მიდის მასთან მინდორში და დიდის ინტერესით ეკიდება მის მეურნეობას. და ამან უდიდესად, ვიდრე რომელიმე აგიტაციამ, განამტკიცა ჩვენი პოზიციები სოფლად. ამიტომ პოლიტიკური მდგომარეობა საერთოდ კეთილსასურველია, მიუხედავათ იმისა, რომ კულაკი პურის უკანასკნელი დამზადების დროს კვლავ შეეცადა შეეშალა ხელი ჩვენთვის.

საერთო დასკვნა, ვფიქრობ, შეიძლება გამოვიყვანოთ იმ მხრივაც, რომ ჩვენი ორგანიზაციების ავტორიტეტი და უნარი საგრძნობლად გაიზარდა. მათ გაიარეს მუშაობის უდიდესი პრაქტიკული სკოლა და მოსახლეობის თვალში გაიზარდა მათი ავტორიტეტი საკუთარი გამოცდილებისა და უნარის თვალსაზრისითაც.

საერთო დასკვნებს უნდა მივაკუთვნოთ ის დიდი წარმატებაც, რომ ჩვენ ამ პერიოდის განმავლობაში უდიდეს შედეგებს მივაღწიეთ სოფლის მეურნეობაში სოციალისტურ ელემენტების განმტკიცების მხრივ. ის ფაქტი, რომ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა ხვედრითი წონა შეადგენს 14 პროც., სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებაა; ეს ისეთი საშუალებებია, რომელთა მეოხებითაც შეგვიძლია სერიოზული ზეგავლენა მოვახდინოთ წვრილ გლეხურ მეურნეობაზე, მით უფრო, რომ ეს მეურნეობა უფრო კულტურული და ნაყოფიერია.

უკანასკნელი საერთო დასკვნა არის ის, რომ სხვადასხვა მიდგომის საშუალებით შევძელით გეგმის განხორციელება, ზოგიერთ ნაწილში კი—გადამეტებით შესრულება. ეს მოწმობს, რომ ჩვენ სერიოზულად გამოვნახეთ წვრილბურჟუაზიული სტიქიის დაგეგმვის გზები; ეს უდიდესი პლიუსია ჩვენს მუშაობაში, ჩვენი გეგმა უკვე ხორციელდება ჩვენს პირობებში, გლეხურ წვრილბურჟუაზიული სტიქიის პირობებში.

რა აბრკოლებდა საქმეს

ჩვენი მუშაობის დეფექტების და თვითკრიტიკის თვალსაზრისით, რეზოლიუციის პროექტში ამ თვითკრიტიკას ვსახავთ საკმაოდ საფუძვლიანად, რადგან საერთო მიღწევებთან ერთად გვაქვს ძალიან ბევრი ნაკლი.

პირველი ნაკლი არის ის, რომ ჩვენ არ უზრუნველვყავით სისტემა მუშაობაში და განუწყვეტლობა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებათა გატარებაში. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველვყავით ჩვენი ღონისძიებების სწრაფად განხორციელება, აქედან—ხანგრძლივობა და საქმის გაჭიანურება; ჩვენ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველვყავით ჩვენი ღონისძიებების გატარების ნამდვილი შემოწმება,—აი პირველი ძირითადი ნაკლი, რომელიც ჩვენს მუშაობაში გვაქვს.

მეორე ნაკლი, რომელსაც მწვავედ განვიცდით, არის კადრების მეტად დიდი სისუსტე იმ უდიდეს ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან. ამხანაგებს, ალბად, ახსოვთ, რომ ჩემს მოხსენებაში ნოემბრის პლენუმზე მოვიყვანე მთელი რიგი ფაქტები. ვისგან შესდგებიან ჩვენი პარტიული უჯრედები სოფლად? ეს უჯრედები, ჯერ ერთი, ყველგან არ არსებობენ, მეორე, ისინი მცირერიცხოვანი არიან, მესამე, ისინი უმთავრესად შესდგებიან სოფლის თანამედროვე მუშაკებისაგან,—ამაშია უბედურება. მართალია, ჩვენ მოვახერხეთ ამ პერიოდში, ნოემბრიდან 8.000 მოჯამაგირის ჩაბმა პარტიაში, მაგრამ ეს მაინც ცოტაა იმ ამოცანებთან შედარებით, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან.

მესამე ნაკლი არის ის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ყველგან მკაფიოდ და სისწორით არ ვატარებთ პრაქტიკულად პარტიის ხაზს. კულაკის გააფთრებულ წინააღმდეგობასთან დაკავშირებით, გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ ყველგან არ არის საკმაოდ უზრუნველყოფილი შეტევა კულაკის წინააღმდეგ ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტიის ხაზი. ამან განსაკუთრებით იჩინა თავი პურის უკანასკნელ დამზადებაში და სასოფლო-სამეურნეო საკითხებში; მეორეს მხრით, ეს გარკვეულობა, სისწორე არ არის უზრუნველყოფილი ღარიბებსა და საშუალო გლეხთა შორის მუშაობაში და მოჯამაგირეთა ჩასაბმელად. საარჩევნო კამპანიის დროს, მაგალითად, ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ისეთ ფაქტებს, როცა საშუალო გლეხს ივიწყებდნენ და მთელი ყურადღება ექცეოდა ღარიბ გლეხებს; იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა საშუალო გლეხებს აძევებდნენ ღარიბთა კრებებიდან; ასე რომ აქ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო.

მეოთხე ნაკლია ის, რომ თუმცა საზოგადოება ძალიან განვავითარეთ, მაგრამ ზოგიერთ ადგილას არსებობს ფორმალური საზოგადოებრიობა. ოღონდ შეიქმნას საზოგადოებრივობის სქემა, ოღონდ გვქონდეს ფორმალურად ოქმები, გვქონდეს იმისათვის, რომ ვაჩვენოთ უფროსებს შემოწმების დროს—და მეტს აღარ დავეძებთ. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი სხვა უდიდესი დეფექტებიც, რომლებიც ჩამოთვლილია ჩვენი რეზოლიუციის პროექტში. მაგრამ უნდა ვსთქვა, ამხანაგებო, რომ ეს ამოძრავება სასარგებლოა კიდევ იმით, რომ ყველა ეს დეფექტი, რომელსაც ჩვენს ორგანიზაციაში აქვს ადგილი, როგორც ხელის გულზე, ისე სჩანს ამ დიდ მუშაობაში. ეს დეფექტები, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე, შეიძლება უცებ აღმოვაჩინოთ ყოველ ორგანიზაციაში.

სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები

ამგვარად, ამხანაგებო, ვათავებ ჩემი მოხსენების პირველ ნაწილს და გადავდივარ მეორე ნაწილზე—ჩვენს გეგმებზე. როგორია ჩვენი გეგმები მომავლისათვის? ამ გეგმების შესახებ გვსურს მოვისმინოთ ც. კ.-ის აზრი.

მარცვლეული კულტურა

პირველი ადგილი ჩვენს გეგმაში უჭირავს მარცვლეულის პრობლემის გადაჭრას. ჩვენ ავიღეთ ისეთი კონკრეტული გეზი, რომ 2 წლის განმავლობაში მარცვლეულის პურის სასაქონლო ნაწილი უნდა გავადიდოთ არა ნაკლებ 2,5 მილიონი ტონათი,—ეს ემატება იმას, რაც გვქონდა წელს. ამ ამოცანის გადაჭრა ხდება ნათესი სივრცის გაფართოვების ხაზით. ამასთან დაკავშირებით, წელს ამოცანად ვისახავთ—გადავაბიჯოთ ნათესის სივრცის ომის წინადროინდელ დონეს. მეორე საშუალებას ამ ამოცანის გადასაჭრელად წარმოადგენს მოსავლიანობის გადიდება. ამ წელს ჩვენ ვთვლით საცდელ წელიწადად, შემდეგი წელი იქნება ნამდვილი მუშაობის წელიწადი მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა გატარების მხრივ. ჩვენ უფრო მტკიცედ შეუდგებით აგრომინიმუმის გატარებას, მეტ მოთხოვნებს წავაყენებთ ამ აგრომინიმუმის გატარების ხარისხის მხრივ. ხარისხიანი თესლის გავრცელების ხაზით დასახული გვაქვს ამ მხრივ ნათესის გაფართოვება 1.200 ათას ჰექტარამდე. ჩვენ მიზნად ვისახავთ, არმავირის ოლქი გადავაქციოთ წმინდა ხარისხანი თესლის მასივის ოლქად; გარდა ამისა, ამ მიზნისთვის ვიღებთ მთელ რიგ სხვა რაიონებსაც.

მესამე საკითხი, რომელსაც ვისახავთ, არის მუშაობა მიწის მომჭირნეობის რეჟიმის ხაზით. ამხ. მიქოიანმა და ვოროშილოვმა ალბად იციან, როგორი გზები გვაქვს ჩრდილოეთ კავკასიაში, როგორ უყაირათოდ ვეპყრობით ისეთ საუცხოვო მიწას, როგორიც არის შავი მიწა ჩრდილოეთ კავკასიაში. ჩვენ ვისახავთ ღონისძიებებს მოვსპოთ ისეთი გზები, რომლებსაც უდიდესი მიწები უჭირავთ. ამ გზებზე მტვერის გარდა არაფერია, ისინი ავრცელებენ მავნებლებს. ჩვენ გამზრახული გვაქვს შევამციროთ გზები და ეს მიწები გამოვიყენოთ დასათესად. ამ მიზნით მოხდება გზების სტანდარტიზაცია ამ გზების სიგრძის გამორკვევით. ჩვენ ჩავატარებთ აგრეთე ღონისძიებებს რკინის გზის ზოლის შესამცირებლად. ჩრდილოეთ კავკასიის რკინის გზებთან შედარებით ბევრი თავისუფალი მიწაა, გვინდა გამოვიყენოთ ეს მიწები და ნათესი მივიყვანოთ რკინის გზის ლიანდაგთან, რადგან არსად, გარდა ჩვენი ქვეყნისა, ასეთი ფუფუნება არ არსებობს. ყველა ქვეყანაში ნათესი პირდაპირ მისულია რკ. გზ. ლიანდაგთან, ჩვენში კი ნათესი რკინის გზის ფარგლებს დაშორებულია 43 მეტრით იქით და 43 მეტრით აქეთ. ამ ღონისძიებათა განხორციელება მოგვცემს საუცხოვო მიწას არა ნაკლებ 1 მილიონ ჰექტარის რაოდენობით. ეს ნიშნავს 900 ათასი ტონა პურის მიღებას.

მეოთხე ღონისძიებაა—სოფლის სათესლე ფონდის შექმნა იმ მიზნით, რომ საჭირო აღარ იყოს თესლით დახმარება სახელმწიფოს მხრივ, მოსახლეობას თვითონ ჰქონდეს თესლი. ჩვენ გვინდა 1929—30 წელს მოვაწყოთ სათესლე ფონდი 180 ათასი ტონას რაოდენობით.

მეხუთე ღონისძიება. განზრახული გვაქვს საბჭოთა მეურნეობების ნათესის სივრცე 1929—30 წელს გავაფართოვოთ 820 ათას ჰექტარამდე, ხოლო ხუთწლიანი გეგმით—1 მილიონ ჰექტარამდე.

კოლექტივიზაცია

ეს მხოლოდ სათესი მიწები. საბჭოთა მეურნეობების მიმართ ჩვენ გვინდა ჩავატაროთ ისეთი ღონისძიებანი, რათა ისინი განვითარდნენ იმგვარად, რომ გადაიქცნენ ენერგეტიულ და აგრიკულტურულ ცენტრებად მახლობელი მოსახლეობისათვის და ყოველი საბჭოთა მეურნეობის წინაშე დაისვას ამოცანა, რომ მან განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში თავის ირგვლივ შექმნას მსხვილი კოლექტიური მეურნეობანი, განავითაროს არა მარტო საკუთარი მეურნეობა, არამედ აგრეთვე კოლმეურნეობანი, რათა იგი წარმოადგენდეს სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობის კომბინატს სამანქანო-ტრაქტორული დამუშავების და გადამმუშავებელი საწარმოების მოწყობის ნიადაგზე

კოლმეურნეობებისათვის გვაქვს დასახული ისეთი საკონტროლო ციფრები, რომ მათი ხვედრითი წონა 1929—30 წელს გადიდებულ იქნას 11,8 პრ.-დან 22 პროცენტამდე. ეს დიდი ციფრია და შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, რომ აქ გადავაჭარბეთ. არავითარ გადაჭარბებას არ აქვს ადგილი. კოლმეურნეობათა მშენებლობისათვის მოსახლეობის მომზადების მხრივ ეს მაჩვენებელი სავსებით კანონიერია. თუ თქვენ უზრუნველჰყოფთ პლენუმის დადგენილებას ტრაქტორების მიწოდების საქმეში, ეს პროცენტი შესრულებული იქნება, რადგან ჩვენ ყველანი ვრწმუნდებით, რომ ამ მხრივ არაჩვეულებრივად ხელსაყრელი პირობები გვაქვს. ერთად-ერთ დაბრკოლებას წარმოადგენენ ტეხნიკური შესაძლებლობანი. ჩვენ რომ მეტი ტეხნიკური შესაძლებლობანი გვქონდეს, პირდაპირ სასწაულებს მოვახდენდით კოლექტივიზაციის ტემპის და სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარების მხრივ. ობიექტიური შესაძლებლობანი უდიდესია. საშუალო გლეხი თვითონ ილტვის კოლმეურნეობისაკენ. კოლმეურნეობათა მშენებლობის ხაზით საჭიროდ ვსთვლით გავატაროთ ისეთი გეზი, რომ კოლმეურნეობათა განვითარება მომავალში გეგმის მიხედვით ხდებოდეს. კოლმეურნეობათა სტიქიურად წარმოშობის სტადია, ჩვენის აზრით, განვლილად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა კოლექტიური მეურნეობის გეგმიანად შენება. არ უნდა ჩავებღაუჭოთ წვრილ კოლექტიურ მეურნეობებს, რომლებიც ნაკლებ ეფექტს იძლევიან, რომელთაც საქონლიანობა აქვთ და რომელთა ხელმძღვანელობა ძნელია. ჩვენ გვესაჭიროება დიდი და მაღალ-საქონლიანი კოლექტიური მეურნეობანი, მათი შექმნა კი შეიძლება მხოლოდ გეგმის მეოხებით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ მმოვსპობთ კოლმეურნეობათა სტიქიურ მოძრაობას. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ძირითადი გეზია კოლმეურნეობათა გეგმიანად მოწყობა. აქ ჩვენ მივდივართ სამი მიმართულებით: პირველი მიმართულება—არსებული კოლმეურნეობების გაფართოვება მათი გაერთიანებით, ჯგუფურად შეკავშირებით; მეორე მიმართულება— უმარტივესი საწარმოო კოოპერატიული გაერთიანების გადაქცევა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობად; მესამე მიმართულება—მთელი სადგილმამულო საზოგადოებების ან, ყოველ შემთხვევაში, მათი საგრძნობი ნაწილის კოლექტივიზაცია. გამოცდილება ამ მხრივ ჩვენ ოლქს უკვე აქვს.

კოლექტიურ მეურნეობათა ხაზით უდიდესი მნიშვნელობა ექნება მუშაობას მათი შინაგანი მოწყობისათვის, რადგან კოლექტიური მეურნეობის დაშლას ზოგჯერ იწვევს ის, რომ ცუდია კოლმეურნეობის შინაგანი ორგანიზაცია. ამ თვალსაზრისით პირდაპირ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლექტიური მეურნეობების შინაგანი განწესრიგების ნორმალიზაციას, რაც ჯერ კიდევ არ არსებობს. არ არსებობს კოლმეურნეობათა სამეურნეო ელემენტების უბრალო მუდმივი აღრიცხვა, არ არსებობს მარტივი საანგარიშო ბუხჰალტერია და სხ. გლეხი კი ძალიან დიდი ყურადღებით ეკიდება იმას, თუ როგორ, რომელ აღრიცხვაზეა მისი მეურნეობა. შემდეგ, მესამე არის შრომის დაყენება სწორ ნიადაგზე კოლექტიურ მეურნეობებში, რადგან, თუ კოლექტიური მეურნეობა გადაგვყავს მიწის მანქანით დამუშავებაზე, შრომა თავისუფლდება და იგი უნდა გამოვიყენოთ მეურნეობის სხვა დარგებში. მიწადმოქმედებასთან, მესაქონლეობასთან და სხვასთან ერთად ყურადღება უნდა მიეცეს მეორეხარისხოვანი დარგების განვითარებასაც. კოლექტიურ მეურნეობის სოციალური შემადგენლობის მოწესრიგების საკითხში საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ამ მომავალ პერიოდში მეტი ყურადღება მიექცეს საშუალო გლეხების ჩაბმას კოლექტიურ მეურნეობაში, ე. ი. ვაწარმოებთ რა ენერგიულ მუშაობას ღარიბების ჩასაბმელად, ამავე დროს სერიოზულად უნდა შევეცადოთ საშუალო გლეხთა მასების ჩაბმას კოლექტიურ მეურნეობებში. კულაკის შესახებ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ კოლექტიური მოძრაობის განვითარების ეხლანდელ ეტაპზე მიზანშეუწონლად ჩაითვალოს მისი მიღება კოლმეურნეობაში. კოლექტიური მეურნეობა უნდა გავსწმინდოთ კულაკური ელემენტებისაგან, რომლებიც იქ შევიდნენ და ხრწნიან კოლმეურნეობას. საჭირო არ არის ფართო კამპანიის ჩატარება, მაგრამ აუცილებელია სისტემატიური მუშაობა კოლმეურნეობათა გასაწმენდათ. ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ ამ საკითხში.

მესაქონლეობა

მეშვიდე ღონისძიება, რომელიც ჩვენ განვიზრახეთ, არის მეურნეობის ახალი დარგების განვითარება, ვინაიდან მარცვლეულის საქმეში ზოგიერთი რამ უკვე გაკეთებულია და ჩვენ პირისპირ მივადექით სხვა დარგების განვითარების საჭიროებას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მესაქონლეობა, ჯერ-ერთი იმიტომ, რომ მესაქონლეობის საქმე ჩვენში, ჩრდილოეთ კავკასიაში, კარგად ვერ არის დაყენებული — მესაქონლეობა აქ აღდგენილია 75 პროცენტით ომის წინადროინდელ დონესთან შედარებით. მეორეს მხრივ, მესაქონლეობის პროდუქტიულობაც ჩამორჩება ომის წინადროინდელ ნორმებს. მუშა საქონელი გვყავს მხოლოდ 47 პროცენტი ომის წინადროინდელ ნორმისა. განსაკუთრებით ჩამორჩენილია მეცხენეობა, რომელიც ყველაზე უფრო დაზიანდა ომის დროს. განსაკუთრებით ძლიერ დაზიანდნენ შემდეგი დარგები: მეცხვარეობა—წმინდა მატყლიანი მეცხვარეობა, რომელიც ძალიან განვითარებული იყო ჩრდილოეთ-კავკასიაში, შემდეგ—მეღორეობა. ხოლო ის შესაძლებლობანი, რომლებიც მოეპოვება ჩრდილოეთ კავკასიას მესაქონლეობის განვითარების საქმეში, უდიდესია — ველებიანი რაიონების გამოყენება და, განსაკუთრებით, მესაქონლეობის განვითარება ნაციონალურ ოლქებში, სადაც იგი მეურნეობის ძირითად დარგს უნდა წარმოადგენდეს.

რა ღონისძიებების დასახვა შეიძლება ამ მხრივ? ჩვენ განვიზრახეთ შემდეგი ღონისძიებანი: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საქონლის საკვების საკითხს, ჩვენი მხარის საკვები ბაზისის შექმნას, მეორეს მხრივ—ბრძოლას საქონლის ხარისხისათვის სათანადო ზოომინიმუმის გატარების, საჯიშე მასალის შერჩევის თვალსაზრისით და სხვ. შემდეგ, ბრძოლა საქონლის შენარჩუნებისათვის, იმიტომ, რომ არსად არ ეპყრობიან ისე ბარბაროსულად საქონელს, როგორც სამხრეთში. ჩვენ გვინდა ვაიძულოთ მოსახლეობა —უკეთ მოეპყრას საქონელს თვით მოსახლეობის თვითმოქმედების საშუალებით. ამით

---

*) ჩრდილოეთ-კავკასიის სტატისტიკური სამმართველო.

ტრია, რის მაჩვენებელია მისი პროდუქციის შედარებით არაჩვეულებრივი ზრდა.

ხუთწლიანი გეგმა გულისხმობს სახალხო მეურნეობის შემადგენელ ნაწილების პროდუქციის ასეთ ზრდას:

სასოფლო მეურნეობის	50%-ით.
მსუბუქი მრეწველობის	180%-ით
მძიმე მრეწველობის	230%-ით

ეს ნიშნავს იმას, რომ მსხვილი მრეწველობა ხუთი წლის განმავლობაში ვითარდება იმდენად, რომ მისი წლიური პროდუქცია თავისი ღირებულებით 3,3-ჯერ მეტი იქნება ვიდრე ეხლა არის, როდესაც მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია გაიზრდება მხოლოდ 2,8-ჯერ. აქედან კიდევ უფრო ნათლათ სჩანს სახალხო მეურნეობის საერთო აღორძინება, მისი გაზრდა, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის ე. ი. იმ ნაწილის, რომელიც წარმოადგენს უმთავრეს პირობას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისათვის.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა განვითარებული საწ.-იარაღების, მანქანათმშენებლობის დარგი. რამდენადაა აგრეთვე განვითარებული ელექტრო-წარმოება, რადგან თანამედროვე მრეწველობაში ელექტრო-ენერგიის ფართოთ გამოყენების გარეშე შორს ვერ წავალთ, ისე როგორც შავი ლითონის ქვანახშირის და ქიმიურ მრეწველობის დარგების გაძლიერების გარეშე. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს აქ აღნიშნულ საწარმოო დარგების გაძლიერების სახით, მძიმე ინდუსტრიის ფართოთ განვითარებას.

ელექტრო-მშენებლობის დარგში გათვალისწინებულია ცენტრალურ მძლავრ ელექტრო-სადგურების ისეთი რაოდენობის აგება, რომ თუ მათი წარმოების ძალა 1927—28 სამეურ. წლისათვის შეადგენდა 5,1 მილიარდ კილოვატ საათს, 1932—33 სამეურნეო წლისათვის ელექტრო ენერგიის წარმოება აღწევს 22 მილიარდ კილ. საათს. ამ დიდი ძალოვნების ცენტრალურ მნიშვნელობის ელექტრო-სადგურებს თუ დაემატება ადგილობრივი ხასიათის ელექტრო-სადგურები, იმ შემთხვევაში ელექტრო-ენერგიის წარმოება კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. ელექტრო-ენერგიის როლი ქვეყნის სათბობ მასალაში იზრდება 9,5 პროცენტიდან 1927—28 სამ. წლისათვის, 20 პროცენტამდე 1932—33 სამეურნეო წლისათვის.

თუ ავიღებთ მანქანათმშენებლობის დარგს, აქაც მისი ზრდის მაგალითზე შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ მძიმე ინდუსტრიის განვითარება ე. ი. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესის სიმძლავრე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საფუძველზე. მანქანათმშენებლობის დარგი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილია მსხვილი ინდუსტრიის. მის სიმძლავრეზე არის დამოკიდებული არა მხოლოდ სასოფლო მეურნეობის მრეწველობის განვითარების საქმე. ჩვენი მეურნეობის შემდეგი განვითარების საქმე მოითხოვს სხვადასხვა სახის მანქანების დიდ რაოდენობას. ამიტომ ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მანქანათმშენებლობის მრეწველობის განვითარებას როგორც ქალაქის მრეწველობისათვის, ისე სას. მეურნეობისათვის. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამ. მანქანების დამზადება იზრდება უფრო მეტად, ვიდრე სხვა მანქანების, რაც აიხსნება სასოფლო მეურნეობის განსაკუთრებული მდგომარეობით, რასაც ქვემოთ შევეხებით. მე-16 პარტკონფერენციის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ძველი ქარხნების რეკონსტრუქცია და ახალი ქარხნების მშენებლობა მანქანათა მშენებლობის დარგში საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ მანქანათ-მშენებელი მრეწველობის საერთო პროდუქციის გადიდება 3,5-ჯერ, სასოფლო-სამეურნეო მანქანათ-მშენებლობის პროდუქციის გადიდება 4-ჯერ. ეს გულისხმობს იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამზადება და განსაკუთრებით ტრაქტორების, ღირებულების მხრივ, ერთი ორათ უნდა გაიზარდოს.

ასეთსავე მიღწევებს ექნება ადგილი შავი ლითონის მრეწველობის, ქვანახშირის დამზადების და ქიმიურ მრეწველობის დარგებშიაც. თუჯის მრეწველობა 3,5 მილ. ტონიდან 10 მილ. ტონამდე ავა; ქვანახშირის—35 მილ. ტონიდან 75 მილ. ტონამდე. ასეთი ცვლილებები შეაქვს ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას მძიმე ინდუსტრიის მდგომარეობაში. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესის სიძლიერის დამახასიათებელ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ქალაქების მცხოვრებთა და მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-ხელის ზრდა.

ქალაქების ზრდა დამოკიდებულია მრეწველობის ზრდაზე. ქალაქი მსხვილ მრეწველობის პირმშო შვილია. იქ, სადაც მრეწველობა სუსტათაა განვითარებული, ქალაქების არსებობასაც უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. ქალაქების ზრდის ტემპი შედეგია მრეწველობის ე. ი. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპით განვითარების. ქალაქების სწრაფი ზრდა განსაზღვრულ დროის განმავლობაში საუკეთესო მაჩვენებელია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპის არსებობის. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არ ახსოვს ქალაქების ასეთი ზრდა ჩქარი ტემპით, როგორც ამას ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში. გერმანიას, ინგლისს და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს 1900 წლიდან 1910 წლამდე ჰქონდათ ქალაქის მცხოვრებთა ზრდა 3,3 პროცენტით; საბჭოთა ქვეყნებში ქალაქის მცხოვრებთა ზრდა კი 1926 წ. უდრიდა — 5,5 პროც. ქალაქის ასეთი სწრაფი ნაბიჯით ზრდა მოსახერხებელია მხოლოდ იქ, სადაც ჩქარი ტემპით ტარდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

საბჭოთა ქვეყნებში წარმოების რეკონსტრუქცია, რაც ინდუსტრიალიზაციის გატარების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს, კაპიტალისტურ ქვეყნებიდან განსხვავებით ტარდება არა მუშა ხელის შემცირების ნიადაგზე, არამედ მას თან ახლავს მისი ზრდა. მეურნეობის აღორძინების პროცესთან შედარებით მუშა-ხელის ზრდა ჩვენს მრეწველობაში შედარებით შემცირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ხუთი წლის განმავლობაში მის ზრდას საშუალოთ 7 პროცენტით მაინც ექნება ადგილი. **მძიმე ინდუსტრიის ასეთი ზრდა ხელს უწყობს მისი ხელმძღვანელი როლის გაძლიერებას სახალხო მეურნეობაში. მრეწველობის სიძლიერეზეა დამოკიდებული დაქუცმაცებულ, წვრილ უბრალო საქონლის გლეხურ მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა.** ამ მხრივ მსხვილი მრეწველობის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მხოლოთ მის საშუალებით შეიძლება სოფლის დაკავშირება სოციალიზმის აღმშენებლობასთან; მხოლოდ მისი საშუალებითაა შესაძლებელი საერთო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა განვითარებულ ტეხნიკის საფუძველზე. რის გარეშე თავის მხრივ შეუძლებელი შეიქმნებოდა კაპიტალიზმის ძირიან-ფესვიანათ მოსპობა და სოციალიზმის განხორციელება. ლენინი ხშირად გამოსთქვამდა იმედს იმის შესახებ, რომ ჩვენი მძიმე ინდუსტრიის განვითარების ტემპი იქნება იმდენათ ძლიერი, რომ ის შესძლებს თავისი როლის შესრულებას სასოფლო მეურნეობის მიმართ; ხუთწლიანი გეგმის მიხედვით მძიმე მრეწველობა განვითარების ჩქარი ტემპით უზრუნველყოფილია იმდენად, რომ ის გვაძლევს სრულ შესაძლებლობას ლენინის მიერ დასმული პრობლემის („გლეხურ ცხენიდან“ მძიმე ინდუსტრიის ცხენზე „გადაჯდომის“ შესახებ) საგრძნობლად განხორციელებისას.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გატარება ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ხელს უწყობს აგრეთვე რევოლუციის თავდაცვითი უნარიანობის გაძლიერებას. ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის გაზრდა წარმოადგენს უმთავრეს პირობას ჩვენი შემდეგი წინსვლისათვის. ამ მხრივ ჩვენ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რადგან ერთ წუთითაც არ შეგვიძლია დავივიწყოთ ლენინის მიერ მოცემული გაფრთხილება იმის შესახებ, რომ პროლეტარულმა სახელმწიფომ ერთი-ორათ გააძლიეროს თავდაცვის საომარი საშუალებანი, ვიდრე ეს იყო სამოქალაქო ომის დროს, რადგან კაპიტალისტური სახელმწიფოების ომი ჩვენს წინააღმდეგ იქნება უფრო მძიმე და ჩვენგან მოითხოვს მეტ ძალღონეს ვიდრე ეს იყო წარსულში. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება პოულობს თავის კონკრეტულ გამოხატულებას არა მხოლოდ წარმოების იმ დარგების გაძლიერებაში, რომელიც უშუალოთ ომის საჭიროების საგნებს ამზადებენ, არამედ მთლიანათ სახალხო მეურნეობის და განსაკუთრებით კი მძიმე ინდუსტრიის გაზრდაში. ან, უკეთ თუ ვიტყვით, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაზრდის საუკეთესო მაჩვენებელია ჩვენი ეკონომიური დამოკიდებულების შემცირება მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობისაგან. ასეთ დამოკიდებულებას დღემდის ჩვენ განვიცდით განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის ხაზით. მაშასადამე თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება დამოკიდებული ყოფილა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესზე, იმაზე, თუ რამდენათ ჩქარი ტემპით იქნება მისი მსვლელობა და რამდენად ასწევს ამ ახლო დროის განმავლობაში ჩვენი ინდუსტრიის ხვედრითი წონას მსოფლიო მეურნეობაში. ხუთწლიანი გეგმა ამ მხრივ, ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებათა გატარების საფუძველზე, გვაძლევს დიდ მიღწევებს. მაგალითად ხუთი წლის ბოლოს ელექტრო-წარმოების ხაზით ჩვენ მივაღწევთ თანამედროვე გერმანიის დონეს. ფოლადის დამზადების მხრივ საბჭოთა კავშირი დაიჭერს ევროპის მოწინავე ქვეყნებს შორის მე-6-დან მესამე ადგილს, ქვანახშირის დარგში მეხუთედან მეოთხეს და სხვა.

ეს ცნობები საუკეთესოდ მოწმობენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის გაზრდას, ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპით გატარებას.

(გაგრძელება იქნება)

კ. გორდელაძე.

გლეხობის ფენებად დაყოფის საკითხი

საქართველოს კომპარტიის მე-6 ყრილობისათვის გაზეთ „კომუნისტში“ (30 ივნისი 1929 წ. № 148) გამოქვეყნებულ თეზისებში ნაჩვენები არის სოფლის მეურნეობისათვის შემოსავლის ნორმა, რომლის მიხედვით სოფლის მეურნეობა იყოფა ფენებად.

იქ ნათქვამია შემდეგი:

„მთელი რიგი გამოკვლევების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში ღარიბ მეურნეობათა ჯგუფს მიეკუთვნა ის მეურნეობანი, რომელთა შემოსავლის სიდიდე არ აღემატება 100 მანეთს, საშუალო მეურნეობის ჯგუფს მიეკუთვნა მეურნეობანი შემოსავლით 100 მანეთიდან 500 მანეთამდე და შეძლებულ მეურნეობათა ჯგუფს, ის მეურნეობანი, რომელთა შემოსავალი 500 მანეთს აღემატება.

დასავლეთ საქართველოში ღარიბ მეურნეობათა ჯგუფს მიეკუთვნა ის მეურნეობანი, რომელთა შემოსავალი არ აღემატება 75 მანეთს. საშუალო შეძლების ჯგუფს მიეკუთვნა მეურნეობანი შემოსავლით 75—350 მანეთამდე და შეძლებულ მეურნეობათა ჯგუფს კი ის მეურნეობანი, რომელთა შემოსავალი 350 მანეთს აღემატება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ამა თუ იმ ჯგუფის შემოსავალზე, მხედველობაში გვაქვს პირობითი წმინდა შემოსავალი, რომელიც თვითეულ მეურნეობისათვის წარმოადგენს მეურნეობის წლიურ შემოსავალს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე გაწეულ მიმდინარე დანახარჯების გამოკლებით (გარდა ოჯახის წევრთა შრომის ღირებულებისა).“

შემდეგ თეზისებში ნათქვამია:

„ღარიბ მეურნეობათა რაოდენობა საქართველოს არც ერთ ნაწილში არ სჭარბობს საშუალო შეძლების მეურნეობათა მასას. ღარიბ მეურნეობათა რაოდენობა უდრის აღმოსავლეთ საქართველოში —33,1 პროცენტს, დასავლეთ საქართველოში კი—31,3 პროც.-ს. საშუალო გლეხობის მეურნეობა აღმოსავლეთ საქართველოში შეადგენს მეურნეობათა — 61,3 პროცენტს, ხოლო დასავლეთ-საქართველოში—64,2 პროცენტს. შეძლებულ გლეხთა მეურნეობა აღმოსავლეთ-საქართველოში შეადგენს—5,6 პროცენტს, დასავლეთ-საქართველოში-კი —4,5 პროცენტს“.

შემდეგ კიდევ:

„მართალია, საშუალო შეძლების გლეხობა გადაიქცა ცენტრალურ ფიგურად გლეხთა საერთო მასაში, მაგრამ თავისი შემოსავლის სიდიდით საშუალო გლეხობის მეურნეობა ფაქტიურად სიღარიბის დონეზე სდგას“.

ყრილობაზე დარიგებულ თეზისებში ზემოხსენებული ნაწილი არ იყო მოყვანილი, მაგრამ მოხსენებაში, რომელიც მოთავსებულია „კომუნისტი“-ს 18 ივლისის 162 ნომერში, ყოველივე ზემოხსენებული განმეორებულია **და აშკარაა ეს ხაზი ეძლევა ადგილზე მომუშავე ორგანიზაციებს გლეხობის ფენების გამოსარკვევად და მისი მიხედვით უნდა იქნას მომავალში წარმოებული მუშაობა სოფლად.**

მე სწორად მიმაჩნია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სოფლების სხვადასხვა სახეობის და მათ შორის ეკონომიური განსხვავებების აღნიშვნა, სადაც ნათქვამია, რომ დასავლეთ-საქართველოს სოფელი უფრო ღარიბი და ეკონომიურად სუსტია, ვიდრე აღმოსავლეთ-საქართველოსი.

აშკარაა, ამისდა მიხედვით ცენტრალურ კომიტეტის მიერ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმ სოფელს, სადაც უფრო სიღარიბე და ეკონომიური ჩამორჩენილობა არის, როგორც კოლექტივების, საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საქმის და სხვ. ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

მე დაახლოვებით სწორად მიმაჩნია ის შეხედულება, რომ აღმოსავლეთ-საქართველოში გლეხობის მეურნეობათა მთავარ მასას წარმოადგენს საშუალო გლეხური მეურნეობა, რაც, რასაკვირველია, მტკიცდება შემდეგი ფაქტებით: 1) რომ აღმოსავლეთ-საქართველოში სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია 46 პროც. მეურნეობისა იმ დროს, როდესაც დასავლეთ-საქართველოში განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან მოსახლეობის 68,2 პროცენტი, 2) მიწის საერთო რაოდენობა ერთ კომლზე, აღმოსავლეთ-საქართველოში მოდის 5 ჰექტარი და ეს მიწები გაცილებით უფრო ნოყიერი და შემოსავლიანია, იმ დროს, როდესაც დასავლეთ-საქართველოში მიწის საშუალო რაოდენობა ერთ კომლზე მოდის 2,3 ჰექტარი და ისიც დიდძალი მათგანი მოუსავლიანი და მწირი მიწები არის.

საქართველოში, საშუალოდ ერთ მეურნეობაზე მოდის 3,44 ჰექტარი მიწა (სამოსახლო, ბაღი, ვენახი, სახნავ-სათიბი). ეს იმ დროს, როდესაც აზერბეიჯანში ერთ მეურნეობაზე მოდის 6,2 ჰექტარ და სომხეთში კი 5,4 ჰექტარი.

ჩვენის აზრით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადს და მიწის რაოდენობას და მის ვარგისიანობას გადამწყვეტი როლი უნდა მიენიჭოს სოფლის მეურნეობის ფენებად დაყოფის გამორკვევის დროს. უკვე დაახლოვებით გამორკვეული არის, რომ მიწადმოწყობის დამთავრების შემდეგ აღმოსავლეთ-საქართველოში კი მიწადმოწყობის დამთავრების შემდეგ სრული ნორმით დაკმაყოფილებულ იქნება მეურნეობათა მხოლოდ 29,5 პროცენტი.

უდავოდ მიმაჩნია ისიც, რომ მთელ საქართველოში საშუალოდ სოფლის მეურნეობის მთავარ მასას, როგორც რიცხობრივად, აგრეთვე ქონებრივადაც წარმოადგენს საშუალო გლეხობის მეურნეობა, მაგრამ მიუღებლად და პოლიტიკურად არა სწორად მიმაჩნია ის შეხედულება, რომ ღარიბ მეურნეობათა რაოდენობა საქართველოს არც ერთ ნაწილში არ სჭარბობს საშუალო გლეხობის მეურნეობათა მასას.

ასეთი მიდგომით, ადგილებს უკვე წინასწარ ეძლევა მითითება, რომ სოფლებში, რაიონებში, ან მაზრებში უსათუოდ მთავარ მასას უნდა წარმოადგენდეს საშ. გლეხობა. ხოლო თუ ყოველივე ამას მივუმატებთ იმასაც, რომ ზევით მათ ეძლევათ უკვე გლეხობის მეურნეობის ფენებად დაყოფის საზომი, რომლის თანახმად დასავლეთ-საქართველოში მეურნეობა 75 მანეთზე მეტი პირობითი წმინდა შემოსავლით, უკვე საშუალო მეურნეობად არის მიჩნეული—ჩვენ, ჩემის ღრმა რწმენით, მივიღებთ ღარიბი გლეხობის მეურნეობის მასიურად, მექანიკურად გადარიცხვას საშუალო გლეხობაში. შედეგად ამას ფაქტიურად მოჰყვება ის, რომ ღარიბ მოსახლეობას წაერთმევა შეღავათები, რომელიც მას მინიჭებული აქვს; ეს კი, ჩემის აზრით გამოიწვევს სოფლად დიდ გაუგებრობას.

როგორც ღარიბი, აგრეთვე საშუალო და კულაკი, სხვადასხვა რაიონში, სხვადასხვა ეკონომიური სიძლიერის არის, **მაგრამ მათი მეურნეობის საზომი და ეკონომიური ნიშნები, რომლიც მათ აკუთვნებს ამა თუ იმ ფენას, ყოველგან ერთნაირია, მაგალითად, ჩემის აზრით, ღარიბი მეურნეობა არის ისეთი მეურნეობა, რომლის წევრები მოსავლიდან მოსავლამდე ვერ აკმაყოფილებენ თავიანთ საცხოვრებელ მინიმალურ მოთხოვნილებებს და იძულებულნი ხდებიან გაქირავდნენ, ე. ი.** მათი მეურნეობა აიძულებთ მათ გავიდნენ და გაქირავდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ფიზიკური და თავიანთი არსებული მეურნეობის განადგურების წინაშე დგანან. ასეთი მეურნეობა—სადაც არ უნდა იყოს ის: სომხეთში, აზერბეიჯანში, რუსეთში, უკრაინაში, თუ ჩვენში,—ყოველგან ღარიბ მეურნეობად უნდა ჩაითვალოს.

საშუალო გლეხის მეურნეობათ უნდა ჩაითვალოს ისეთი მეურნეობა, რომლის წევრებს ყოფნით მოსავლიდან მოსავლამდე თავიანთი მეურნეობის შემოსავალი ყოველმხრივ საარსებო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და აგრეთვე რჩება კიდევ საჭირო საშუალებანი მისი არსებული მეურნეობის გასამაგრებლად და წინ წასაწევათ. საშუალო მეურნეობის წევრები მუშაობენ რა თავიანთ მეურნეობაში, შემთხვევისდა მიხედვით (სეზონურად) კიდევაც ქირაობენ დამხმარე მუშა ხელს და თითონაც გაქირავდებიან **მაგრამ ის გაქირავება არ ხდება მისი სურვილის წინააღმდეგ და სხვ. აი, ასეთი მეურნეობა ყოველგან ხასიათდება, როგორც საშუალო მეურნეობა. ის სხვადასხვა რაიონებში შეიძლება უფრო ძლიერი იქნეს, მაგრამ როგორც საშუალო გლეხის მეურნეობის დამახასიათებელი ნიშნები, ყოველგან ერთნაირია და ამის მიხედვით მას ეწოდება საშუალო მეურნეობა.**

ასევეა კულაკური მეურნეობაც. მას ყოველგან ახასიათებს სხვისი შრომის სისტემატიური ექსპლოატაციის საშუალებით გამდიდრება და სხვ., მაგრამ სხვადასხვა რაიონებში ის სხვადასხვა ეკონომიური სიძლიერის არის. მაგალითად, რუსეთის და უკრაინის ზოგი კულაკის ქონება შეიძლება უდრიდეს ორ-სამ ჩვენი კულაკის ქონებას და წინააღმდეგ. **მაგრამ ეკონომიური დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც აკუთვნებს მას კულაკურ მეურნეობას, ყოველგან ერთნაირია.**

ავიღოთ დასავლეთ-საქართველო.

როდესაც ასეთი საზომით მიუდგებით ჩვენ დასავლეთ საქართველოს, ჩვენ იქ დავინახავთ გლეხობის სამ ფენად დაყოფას, საშუალო და **კულაკურ ფენებს და არა ღარიბ, საშუალო და შეძლებულ ფენას, როგორც ეს თეზისებში და მოხსენებაშია ნათქვამი (შეძლებულ გლეხთა ფენა, როგორც ცალკე ხაზი, არ არსებობს), მაგრამ მათი რაოდენობა ყოვლად შეუძლებელია გამოვარკვიოთ იმ საზომით, რომელსაც იძლევა თეზისები და მოხსენება.** მე აქ ლაპარაკი მექნება ღარიბ და საშუალო გლეხობაზე განსაკუთრებით. გამოდის რომ დასავლეთ-საქართველოში მეურნეობათა 64,2 პროც. საშუალო გლეხობის მეურნეობის რაოდენობას უდრის, თუ ჩვენ საშუალო გლეხის მეურნეობად ჩავთვლით ისეთ მეურნეობას, რომელსაც პირობითი წმინდა შემოსავალი წლიურად აქვს 75 მანეთზე მეტი—350 მანეთამდე.

იძულებული არის თუ არა ასეთი გლეხის მეურნეობის ოჯახის წევრების დიდი ნაწილი გაქირავდეს, რომ მოსავლიდან მოსავლამდე თავი გაიტანოს და თავისი მეურნეობის არსებული დონე შეინარჩუნოს.

მე ვამბობ, ასეთი მეურნეობის 50 პროც.-დამატებით საარსებო წყაროების გამოსაძებნად იძულებულნი არიან მიმართონ თავიანთი მეურნეობის წევრთა გაქირავებით შრომას. ამგვარად, ესენი ეკუთვნიან ღარიბ მეურნეობას და მათი საშუალო მეურნეობათ ჩათვლა იქნებოდა დიდი პოლიტიკური შეცდომა.

როგორ მდგომარეობაშია საშუალო გლეხობის მეურნეობა დასავლეთ-საქართველოში ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ? ის, რასაკვირველია, თავისი რიცხობრივი რაოდენობით და ეკონომიური მნიშვნელობით, გაიზარდა და იზრდება, მაგრამ თქმა, რომ ის დასავლეთ საქართველოში შეადგენს მეურნეობათა 64,2 პროცენტს, ეს ჩემის აზრით იქნებოდა მეტის-მეტად ხელოვნურად შექმნილი რაოდენობა, ძალზე დაშორებული არსებული სინამდვილისაგან.

ნაწილობრივად ეს შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ საქართველოზედაც, სადაც საშუალო გლეხის მეურნეობათ ითვლება ისეთი მეურნეობა, რომელსაც პირობითი წმინდა შემოსავალი წლიურად იწყება 100 მანეთზე ზევით და არა 75 მანეთიდან, როგორც ეს ნათქვამია დასავლეთ საქართველოს შესახებ.

ჩემის აზრით, გაუგებარია ისიც, თუ რატომ დასავლეთ საქართველოსათვის მეურნეობა 75 მანეთის შემოსავლის ზევით უკვე საშუალოა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსათვის კი 100 მანეთის შემოსავლის ზევით იწყება საშუალო გლეხის მეურნეობა. **ასეთი მიდგომით, ჩვენ აღმოსავლეთ საქართველოშიაც მივიღებთ ფაქტიურად ღარიბ მეურნეობის ნაწილის მექანიკურად გადატანას საშუალო მეურნეობათა რიცხვში.**

როგორც ზევით ვსთქვი, დასავლეთ საქართველოში მეურნეობის 68,2 პროც. განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, ხოლო ღარიბი მეურნეობის რაოდენობა კი უდრის 31,3 პროცენტს, და საშუალო—64,2 პროცენტს. გამოდის, რომ ჩვენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ვანთავისუფლებთ დიდ ნაწილს საშუალო გლეხობისას.

არის თუ არა დასაშვები და პრინციპიალურად მისაღები საშუალო გლეხის მეურნეობის სრული განთავისუფლება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან?

რასაკვირველია, არა. საკითხი სდგას არა იმის შესახებ, რომ საშუალო გლეხობა გავანთავისუფლოთ გადასახადისაგან, არამედ გადასახადი შევუმსუბუქდეს მათ. განთავისუფლება გადასახადისაგან შეიძლება მხოლოდ უღარიბესი და ღარიბი გლეხობის მეურნეობისა.

როგორც მახსოვს, პარტიის უკანასკნელი დადგენილებით, უნდა სრულიად განთავისუფლდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ღარიბი მეურნეობის მქონე გლეხობის 35 პროც. დასავლეთ საქართველოში კი გამოდის, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია 68,2 პროც. თუ ჩვენ მიუდგებით თეზისების და მოხსენების მიხედვით დასავლეთ-საქართველოში გვყავს 64,2 პროც. საშუალო გლეხობის მეურნეობისა. ნუ თუ ჩვენ ასე მასიურად ვანთავისუფლებთ საშუალო გლეხობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან?

რასაკვირველია, არა. მათში 50 პროც.-ზე მეტი ღარიბი გლეხობაა, რომელიც განთავისუფლებულია გადასახადისაგან და არა საშუალო გლეხობა. აქ, რასაკვირველია, შეიძლება სხვა მაგალითების მოყვანაც, მაგრამ მე ვფიქრობ, ეს წინააღმდეგობაც საკმარისია იმისათვის, რომ ცენტრალურ კომიტეტის მიერ გადასინჯულ იქნას თეზისების და მოხსენების ის ნაწილი, სადაც გვაქვს, ჩემის აზრით, არასწორი მითითება და დირექტივა, რომელთა მიხედვით ადგილებზე უნდა შეუდგნენ გლეხობის ფენებად დაყოფის გარკვევას. ჩემის აზრით ამას შედეგად მოჰყვება უსათუოდ ღარიბ გლეხების მასიურად და მექანიკურად გადარიცხვა საშუალო გლეხობის ფენაში, რაც, რასაკვირველია, დიდ პოლიტიკურ ზიანს მიაყენებს ჩვენს სოფლად მუშაობის საქმეს.

ამბერკი ურუშაძე.

პასუხი

ამხ. ურუშაძის წერილი მთელ რიგ გაუგებრობაზეა აგებული.

პირველ ყოვლისა გაზეთ „კომუნისტი“-ს № 141 გამოქვეყნებულ თეზისებში სოფლის მეურნეობის განვითარების გზების შესახებ არ არის მოყვანილი:

ა) თუ შემოსავლის რა სიდიდის მიხედვით მიეკუთვნება ინდივიდუალური გლეხური მეურნეობანი ამა თუ იმ ქონებრივ ჯგუფს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში;

ბ) არ არის ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა შინაარსი არის ჩადებული პირობით წმინდა შემოსავლის ცნებაში;

გ) არ არის ნათქვამი, რომ „ღარიბ მეურნეობათა რაოდენობა საქართველოს არც ერთ ნაწილში არ სჭარბობს საშუალო შეძლების მეურნეობათა მასას“;

დ) არ არის მოცემული გლეხურ მეურნეობათა შორის ქონებრივ ფენებათ დანაწილების პროცენტები და

ე) არ არის ნათქვამი, რომ „თავისი შემოსავლის სიდიდით საშუალო გლეხობის მეურნეობა ფაქტიურად სიღარიბის დონეზე სდგას“. ეს ადგილები ამხ. ურუშაძის მიერ ამოწერილია „კომუნისტი“-ს იმავე ნომერში მოთავსებულ წერილიდან „საქართველოს გლეხობის დიფერენციაცია“ და ეკუთვნის არა თეზისების ავტორს, არამედ—ამხ. ჩხვაძეს.

არ არის მართალი არც ის, რომ „მოხსენებაში“, რომელიც მოთავსებულია გაზ. „კომუნისტი“-ს № 162-ში „ყოველივე ზემოხსენებული განმეორებული არის“. თეზისებში მარტივად არის ნათქვამი, რომ ხტატისტ. ცენტრალურ სამმართველოს მიერ ამ უკანასკნელ ხანებში ჩატარებულ მუშაობით გვაქვს დაახლოვებითი სურათი ჩვენი სოფლის კლასობრივ სტრუქტურის შესახებ.

მოხსენებაში, კი, რომელიც „კომუნისტი“-ს № 162-ში არის მოთავსებული, სრულიად არ არის განმეორებული ის ადგილები, რომლებიც ამხ. ჩხვაძეს ეკუთვნის.

სრულიად სხვა კონტაქტით და სხვა გამოთქმით მოხსენებაში მოყვანილი არის:

ა) პირობით—წმინდა შემოსავლის ის სიდიდე, რომლის მიხედვით ესა თუ ის მეურნეობა მიეკუთვნება ამა თუ იმ ქონებრივ ჯგუფს;

ბ) არის მოცემული ქონებრივ ჯგუფების პროცენტები და

გ) ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რატომ ავიღეთ სხვადასხვა ინტერვალები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსათვის.

მაშასადამე მოხსენებაში სრულიად არ არის ნათქვამი:

ა) თუ რა შინაარსით ხასიათდება პირობით—წმინდა შემოსავალი;

ბ) არ არის ნათქვამი, რომ საქართველოს არც ერთ ნაწილში ღარიბ მეურნეობათა რაოდენობა არ სჭარბობს საშუალო მეურნეობათა რაოდენობას და

გ) არ არის ნათქვამი, რომ შემოსავლის სიდი-

ხათვის სოფლებში არჩეულ უნდა იქნან კულტურული მეთვალყურენი — ზოორწმუნებულნი. შემდეგ, გვინდა გავაუმჯობესოთ სანიტარული ზედამხედველობა—ყოველ წლიურად ჩვენ ეპიზოოტიის გამო გვაკლდება 80 მილიონი მანეთი საქონელი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მესაქონლეობის საკითხში ზოგიერთი შესწორება უნდა შევიტანოთ ჩვენს საგადასახადო კანონმდებლობაში, ზოგიერთ რამეში წავახალისოთ მოსახლეობა, მაგალითად, რომ არ დაკლან ახალგაზრდა საქონელი, არ დაჭკლან ორი წლის ხბოები დასხვ.

მერვე—ჩვენ დღის წესრიგში ვაყენებთ საკითხს სამრეწველო მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარების შესახებ. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი სამისოდ გამოსადეგი რაიონები. ამ მხრივ ჩვენი შესაძლებლობანი თითქმის განუსაზღვრელია.

სასოფლო-სამეურნეო დარაიონება

მეცხრე საკითხი,—რომელიც საერთოდ თითქმის დასრულდა,—არის ჩვენი მხარის სასოფლო-სამეურნეო დარაიონება. ჩვენ გვსურს ამ ზომით ბოლო მოუღოთ იმ სიჭრელეს, რომელსაც ადგილი აქვს ამჟამად, როდესაც ყველა იმ საქმიანობას მისდევს, რაც შეხვდება—თესავს სელს, მარცვალს და სხვა კულტურებს განურჩევლად. ჩვენ გვინდა მივაღწიოთ იმას, რომ გარკვეულ რაიონს, გარკვეულ ოლქს ჰქონდეს ძირითადი მიმართულება ამა თუ იმ კულტურის განვითარების მხრივ და არ მისდევდეს იმას, რაც შეხვდება. ეს სასოფლო-სამეურნეო დარაიონება ჩვენ საერთოდ დავამთავრეთ და უკვე შემოდგომიდან უნდა შევუდგეთ ამ საქმის პრაქტიკულად გატარებას. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვმუშაობთ ისეთი აზრის ირგვლივ, რომელიც შეიძლება ბევრს საკმაოდ ახირებულ აზრად ეჩვენოს. ჩვენ ვმუშაობთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გეგმების შედგენის საკითხზე, რათა სოფელს ჰქონდეს თავისი სასოფლო სამეურნეო საწარმოო გეგმა, რათა აქ ადგილი არ ჰქონდეს გზააბნეულობას, რათა სოფელი მეურნეობის ძირითადი ელემენტებით ცოტა მიუახლოვდეს ჩვენს საერთო სამეურნეო გეგმებს. ამ მხრივ ჩვენ ნაწილობრივ ერთგვარი თაოსნობა უკვე გვაქვს, თესვის გეგმების გამოყენების სახით საადგილმამულო საზოგადოებებში, სტანიცებში და სხვ. მოსახლეობას რაიმე განსაკუთრებული აზრი თესვის გეგმების წინააღმდეგ არ გამოუთქვამს. ზოგიერთმა ეს გეგმები საკმაოდ გვარიანად შეასრულა. საერთოდ არსებული პირობები უფლებას გვაძლევენ გავაფართოვოთ ეს საქმე, რათა გვქონდეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გეგმები სოფლისათვის, რათა ეს გეგმები შეიცავდნენ ყველა ძირითად სამეურნეო ელემენტს იმისათვის, რომ ეს ელემენტები ჩამოყალიბებულ იქნან მთლიან გეგმად, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს სოფლის სამეურნეო განვითარება. ასეთი ელემენტების რიცხვს ეკუთვნის მიწის გამოყენების გეგმა, საწარმოო საშუალებათა გამოყენების გეგმა, მუშა საქონლის აღრიცხვა, მესაქონლეობის მიმართულების, სათესლე მასალის, მთელი მეურნეობის მიმართულების საკითხები და ცალკე ღონისძიებათა გატარება ამა თუ იმ სოფლის შიგნით, სოფლის მეურნეობის საქმეში (გადამუშავებული საწარმონი, საგრილობელი გასაქირავებელი, მარცვლის გამწმენდი პუნქტები, საგზაო საქმე, აგრონომიული დახმარება). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება გეგმიანი ხელმძღვანელობის თვალსაზრისით და იმ მხრივ, რომ თანდათან მიაჩვევს გლეხობას მათი მეურნეობის საზოგადოებრივ გეგმიან წარმოებას და შეჰქმნის სერიოზულ წინასწარ პირობებს ნამდვილი და საერთო, ყოვლის შემცველი, სახელმწიფოებრივი გეგმის შესადგენად.

მეორეს მხრივ, ეს საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ საკითხი თვით მოსახლეობის სახსრების მოზიდვის შესახებ სამეურნეო-კოოპერატიულ ბრუნვაში. ჩვენ დღემდე ვერ შევძელით რაიმე ზომის გამონახვა იმისათვის, რომ ნებაყოფლობით მოგვეზიდა გლეხური მოსახლეობის სახსრები, რათა ეს სახსრები სამეურნეო ბრუნვაში მოგვექცია. და როგორც ეტყობა, ეს საქმე ანაბარებით ვერ გადაიჭრება. ჩვენ აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ ეს საქმე, რათა დავძლიოთ მოსახლეობის მოხმარებითი ფსიქოლოგია, უნდა დავძლიოთ მოსახლეობის ის განწყობილება, რომ იგი მხოლოდ სახელმწიფოსაკენ იცქირება—დახმარება აღმომიჩინეო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აი ამ საშუალებით შევძლებთ მოვიზიდოთ მოსახლეობის სახსრები მისივე სამეურნეო საჭიროებებისათვის. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სოფლები, რომლებიც ამჟამად წარმოადგენენ ერთმანეთისაგან განკერძოებულ სამეურნეო გლეხურ მეურნეობებს, სოფლის სამეურნეო საწარმოო გეგმის საშუალებით თანდათან გადაიქცნენ მთლიან საზოგადოებრივ-სამეურნეო ერთეულად. სოფლის სამეურნეო-საწარმოო გეგმის გატარებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მოსახლეობის მომზადებისათვის მეურნეობის უფრო გაუმჯობესებულ საზოგადოებრივ კოლექტიურ ფორმებზე გადასასვლელად, ვინაიდან ასეთი გადასვლა გაადვილდება სოფლის მეურნეობის ძირითადი ელემენტების აღრიცხვით, მეურნეობის წარმოებაში საზოგადოებრივი ჩვეულებების თანდათანი ზრდით და იმ სარგებლობით, რომელიც ახასიათებს გეგმიან საზოგადოებრივ მეურნეობას. ხოლო რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანის (ტრაქტორი) გავრცელება წარმოადგენს მხოლოდ მომზადებული კოლექტივიზაციის დაგვირგვინებას. და, დასასრულ, ჩვენ ვფიქრობთ, მთავარი ის არის, რომ თუ შევძელით ამის გატარება, ჩვენ მაშინ ნამდვილ სამუშაოს მივსცემთ ჩვენს საბჭოებს. დღემდე ისინი მხოლოდ მოწმობებსა და ცნობებს სწერენ, მაშინ კი ნამდვილად უხელმძღვანელებენ მეურნეობას. ეს უდიდესი საქმე იქნება იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენი კომპერაცია, საბჭოები გადაყვანილ იქნან ნამდვილ სამშენებლო-სოციალისტურ მუშაობაზე, ამ ღონისძიებაში საშიშარი არაფერი არ არის, რადგან ჩვენ საქმე ისე მიგვყავს, რომ ამას გააკეთებს თითონ ღარიბი და საშუალო გლეხი და არა სხვა გარეშე ვინმე, იგი თითონ გააკეთებს ამას და მის სასარგებლოდ გაკეთდება ეს.

მეათე ღონისძიება, რომელიც ჩვენ ფართოდ დავისახეთ, არის საკითხი სოციალისტური შეჯიბრების, როგორც მუშაობის სისტემა, შემოღებისა სოფლად, სოფლის მეურნეობაში. ჩვენ ეს განვიზრახეთ ორი წლის ვადით, დაწვრილებით შევიმუშავეთ ამ შეჯიბრების გატარების ორწლიანი გეგმა. სოციალისტური შეჯიბრების გეგმა ითვალისწინებს, რომ შეჯიბრება უნდა მოედოს ყველა იმ ღონისძიებებს, რომელსაც ჩვენ გავატარებთ: ამ შემოდგომიდან შეჯიბრებაში ჩაბმულნი იქნებიან მოსახლეობის უდიდესი მასები და მთელი ჩვენი ორგანიზაციები. ჩვენ განზრახული გვაქვს ეს საქმე 2 წლის შემდეგ დავამთავროთ საოლქო გამოფენით, რომელიც ჯამს გაუკეთებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს.

და უკანასკნელი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელსაც ჩვენ ვისახავთ, არის განუწყვეტელი წლიური გეგმა ჩვენი ქვედა საფეხურის საბჭოების მუშაობის მიწადმოქმედების სფეროში, რათა ადგილი არ ჰქონდეს შეწყვეტას, კამპანიობით მუშაობას, არამედ გეგმის მიხედვით საბჭოებმა ამა და ამ პერიოდში უნდა განიხილონ ესა და ეს საკითხები, მოემზადონ ამა და ამ საქმისათვის. აი გეგმა და ამ გეგმის მიხედვით წლის განმავლობაში აწარმოებენ მუშაობას, ამ გეგმის მიხედვით ამოწმებენ მუშაობას. იგივე უნდა ითქვას საწარმოო თათბირებისა და აგრორწმუნებულების შესახებ—მათ უნდა ჰქონდეთ მუშაობის გეგმა იმ დროიდანვე, როდესაც მათ არჩევენ. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ განუწყვეტელი ენერგიული მუშაობა, იმიტომ, რომ მოსამზადებლად და ასამოძრავებლად ყოველთვის მეტად დიდ დროს და ენერგიას ვხარჯავთ. მომავალ ზამთარში ჩვენ უნდა ჩავატაროთ უდიდესი მუშაობა კადრების მოსამზადებლად. პურის დამზადება ისე უნდა დავაყენოთ, რომ წლიურმა გეგმამ სოფლამდე მიაღწიოს, როგორც კი გამოირკვევა საბოლოო ბალანსი. ამას მოითხოვს თვით მოსახლეობა, რათა ეს გეგმა მაქსიმალურად მოკლე ვადაში შესრულდეს,—ვთქვათ, ეს საქმე დამთავრდეს დეკემბრისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს აღარ შევაწუხოთ მოსახლეობა, გავანთავისუფლოთ ჩვენი კადრები, და ზამთრის პერიოდი გამოვიყენოთ უდიდესი მუშაობისათვის კადრების გადასამზადებლად. ჩვენ აგრონომებს გამოვიყენებთ კადრების გადასამზადებლად და ზამთარს ნამდვილ სკოლად გადავაქცევთ. აი ის ძირითადი ღონისძიებანი, რომლების გატარებაც ჩვენ განვიზრახეთ, და რომლებზედაც გვინდა მოვისმინოთ ცენტრალური კომიტეტის აზრი.

სამი პირობა გეგმის განხორციელებისათვის

რა პირობებში შეიძლება ამ გეგმის შესრულება? მე ვფიქრობ, ეს პირობები შემდეგია: ჯერ-ერთი ის, რომ საოლქო კომიტეტისათვის სავალდებულოდ გავხადოთ—შეეცადოს პარტიის ხაზის უფრო მკაფიოდ, უფრო თანმიმდევრობით გატარებას, იმიტომ, რომ მომავალი პერიოდი იქნება პერიოდი არანაკლებ გამწვავებული ბრძოლისა კულაკთან, ჩვენს მოწინააღმდეგესთან, რომელსაც ესმის, რომ ეს არ არის მოკლევადიანი კამპანია, რომ ეს სწორედ ის მუშაობაა, რომელიც საბოლოოდ სპობს მის ფესვებს. და კულაკი გააფთრებულ წინააღმდეგობას გაუწევს ამას. ამიტომ ჩვენ უნდა მოვამზადოთ ჩრდილოეთ-კავკასიის ორგანიზაცია ამ საქმისათვის, რათა ნამდვილად უზრუნველვყოთ პარტიის ხაზის გატარება.

მეორე პირობაა—არ შევანელოთ ტემპები, არ შევაფერხოთ მუშაობა, განუწყვეტლივ შევინარჩუნოთ ჩვენი ორგანიზაციის გამძაფრებული მუშაობა. რაც უნდა დაიღალნენ მუშაკები, აღებული ტემპი მაინც აუცილებლად უნდა დავიცვათ.

მესამე პირობას წარმოადგენს ჩვენი რიგების განმტკიცება კადრებით. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი ძალგვიძს, მაგრამ უნდა მოვსთხოვოთ ცენტრალურ კომიტეტს, რათა იგი დაგვეხმაროს კადრებით. საჭიროა მუშაკების გაგზავნა სამრეწველო რაიონებიდან, აქ კიროვმაც უნდა მოგვცეს ხალხი და მოსკოვმაც, ახ-ახი მაინც ჩრდილოეთ -კავკასიისათვის. სანამ სოფლად სამუშაოდ გაუშვებდეთ, ჩვენ მათ ცოტა ხანს შევამოწმებთ, შევასწავლით საქმეს და შემდეგ გავგზავნით სოფელში. მატერიალური პირობების თვალსაზრისით ჩვენ განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ გიყენებთ, მაგრამ გვინდა მივაღწიოთ იმას, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება სწორად სრულდებოდეს როგორც ტრაქტორების, ისე მანქანების მხრივ და სხვ. ის, რაც ამ ბოლო დროს ტრაქტორების მიწოდების საქმეში ხდება, გვაძლევს შიშით შევხედოთ იმას—განხორციელდება თუ არა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება. ჯერ ჩვენთვის 1.200 ტრაქტორი გაითვალისწინეს, ეხლა კი საერთოდ გამოურკვეველია, რამდენს მოგვცემენ. ეს არ ვარგა. მე მგონია, ჩვენი ცენტრალური ორგანიზაციები ისევ შეცდომას სჩადიან, როდესაც სურთ ტრაქტორები მთელ ჩვენს ქვეყანაში გაანაწილონ. რა საჭიროა ეს? ჩვენ ვთხოულობთ, რომ ჩვენში უზრუნველყოფილ იქნას 20 სამანქანო-სატრაქტორო სადგურის გაფართოვება, ამას ეთანხმება და ამას მოითხოვს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ცენტრალური ორგანიზაცია. ჩვენ ვთხოულობთ, რომ „სელმაშსტროი"-მ გააფართოვოს სალეწი მანქანების საამქრო, იმიტომ, რომ ამჟამად განვიცდით სალეწი მანქანების მწვავე ნაკლებობას. ჩვენ ვთხოულობთ, რომ „სელმაშსტროი"-სთან მოეწყოს არა ქარხანა, არამედ საამქრო, რათა გამოვიყენოთ ის შესაძლებლობანი, რომლებიც მოეპოვება ქარხანას ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სხვა საამქროების საშუალებით. ამ საქმეს კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, იმიტომ, რომ აქ ძალიან ბევრს ვკარგავთ.

ჩვენ ვთხოულობთ აღმოგვეჩინოს დახმარება საცდელი საქმის განსავითარებლად ჩვენს მხარეში, იმიტომ, რომ ეს საქმე მეტად ცუდად არის დაყენებული, ამ საქმეს ყაზახები არასოდეს არ მისდევდნენ, რადგან მიწა კარგ მოსავალს იძლეოდა. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საცდელ საქმეს და სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებანი.

უკანასკნელი საკითხი. ჩვენ ვთხოულობთ აღმოგვეჩინოს დახმარება კონკრეტულ მშენებლობაში. ვთხოულობთ აღმოგვეჩინოს დახმარება ალხანჩურის მშენებლობაში, რათა იგი ვადაზე დამთავრდეს. იქ ჩვენ უნოყიერესი მიწები გვაქვს, მაგრამ ამ ადგილებში სრულებით არ არის წყალი. წყალი 35 კილომეტრის მანძილზეა, ეხლა იქ არხი გაგვყავს. ეს არის უნოყიერესი მიწა და თუ მისი მორწყვა მოვახერხეთ, ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმ ნაციონალური რაიონებისათვის, რომლებსაც ეს მშენებლობა ეხება. იქ შეიძლება დაითესოს ბრინჯი და სხვა ძვირფასი კულტურები. ამ რაიონში დაახლოვებით არის 200 ათასი ჰექტარი საუცხოვო მიწა. შემდეგ, ჩვენ ვთხოულობთ დახმარება აღმოგვეჩინოს მუშაობის საწარმოებლად აზოვის ზღვის პირის და უბანის, აგრეთვე მცირე ყაბარდოს მშენებლობაში.

შემდეგ, „გიგანტ"-ის შესახებ. ჩვენ ვთხოულობთ თქვენს დახმარებას, რათა ეს საქმე უზრუნველყოფილ იქნას. კარგი იქნება, რომ ეს ჩაიწერებოდეს ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციაში, იმიტომ, რომ „გიგანტ"-ის სახით ჩვენ გვაქვს მსოფლიო უნიკუმი—150 ათასი ჰექტარი, ეს უნახავი სიდიდის მეურნეობაა. შემდეგ ჩვენ ვთხოულობთ უზრუნველყოფილ იქნას „სელმაშსტროი"-ს ვადაზე აგება. „სელმაშსტროი"-ს მიმართ ჩვენ გავატარეთ ღონისძიება, რომლის მიზანსაც შედგენს ის, რომ მთელი წარმოების ნახევარი მაინც მიმართულ იქნას მსხვილი მანქანათ-მშენებლობის ხაზით. პირველად „სელმაშსტროი"-ს წარმოება ნავარაუდევი იყო მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ გამოეშვა მანქანები წვრილი გლეხური მეურნეობისათვის. ეხლა ჩვენ იგი სანახევროდ მეტად გავაკეთოთ მსხვილი მანქანების დასამზადებლად. მაგრამ იქნებ შეიძლება, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამ ქარხნის მშენებლობის უფრო ჩქარა დამთავრება?

ვემზადოთ დელეგატ-ქალთა გადარჩევისათვის

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ცირკულიარი

საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, სამაზრო კომიტეტებს და თბილისის კომიტეტს

მომავალი მოწვევის სადელეგატო კრებების გადარჩევის კამპანიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში, იმ რეკონსტრუქციის პერიოდში, რომელიც პარტიის წინაშე აყენებს საკითხს მთელი მასიური მუშაობის ამ ამოცანის განხორციელებასთან შეფარდების შესახებ. ამ საფუძველზე უნდა გარდაიქმნას აგრეთვე სადელეგატო კრებების მუშაობა როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

1928-29 წლის მოწვევის სადელეგატო კრებებმა თავიანთ მუშაობაში მრავალ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ამასთან, როგორც მთავარი ნაკლი, უნდა აღინიშნოს, რომ სადელეგატო კრებების საერთოდ, და, კერძოდ თვითეული დელეგატის მუშაობა არ იყო საკმაოდ დაკავშირებული იმ ღონისძიებათა პრაქტიკულად გატარებასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციას.

სადელეგატო კრებების მუშაობა მაქსიმალურად უნდა შეუფარდდეს მუშა ქალებისა და გლეხი ქალების ფართო მასების გაზრდილი აქტივობის დარაზმვას და ორგანიზაციულად განმტკიცებას. ამასთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა ეძლევა სადელეგატო კრებების გადარჩევის კამპანიას; ამ კამპანიამ ხელი უნდა შეუწყოს პარტიას სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების გარშემო მუშა ქალთა და გლეხ ქალთა ფართო მასების დარაზმვის საქმეში, გამოამჟღავნოს ქალთა მასების პოლიტიკური სულისკვეთება და ანგარიში გაუწიოს იმ პრაქტიკულ საკითხებს, რომელთაც ეს მასები აყენებენ პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე.

სადელეგატო კრებების გადარჩევის კამპანიას პოლიტიკური ხასიათი უნდა მიეცეს: იმ შემთხვევებში, როდესაც გადარჩევა მასების სათანადო მობილიზაციის გარეშე მოხდება, კრებები უნდა გაუქმებულ იქნას.

სადელეგატო კრებების გადარჩევის კამპანიის სახელმძღვანელოდ სამაზრო კომიტეტისა და საოლქო კომიტეტების სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებებთან უნდა შესდგეს კომისიები, რომლებშიაც შევლენ: სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების გამგე, მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების გამგე, საორგანიზაციო განყოფილების გამგე და სამაზრო პროფბიუროს და კომკავშირის წარმომადგენელნი.

მოსამზადებელი მუშაობის დროს — ქალაქად 10 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე, ხოლო სოფლად 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე—პარტკომებში მოსმენილ უნდა იქნას სადელეგატო კრებების მიერ წარსული წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შედეგები, უნდა აღინიშნოს წარსული მუშაობის ყველა ნაკლი, წარმოებულ უნდა იქნას აგრეთვე ფართო ახსნა - განმარტებითი მუშაობა; საკითხები სადელეგატო კრებების ამოცანების შესახებ და ამ კრებების მუშაობის პრაქტიკული გეზის შესახებ უნდა დაისვას უჯრედების ღია კრებებზე, კომკავშირისა და ძველი დელეგატ ქალების მონაწილეობით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირებზე—საკითხის გადარჩევაში მათი მონაწილეობისა და მიმაგრებული დელეგატი ქალების ხელმძღვანელობის შესახებ, ღარიბთა კრებებზე ღარიბ ქალთა აუცილებელი მონაწილეობით და სხვ.

1928-29 წლის სადელეგატო კრებების გამოშვება უნდა შეუფარდდეს სადელეგატო კრების გადარჩევის მოსამზადებელ მუშაობას. გამოსაშვებ კრებებზე საჭიროა დაისვას ქალთა ორგანიზაციებისა და უჯრედის მდივნის მოხსენება წლიური მუშაობის შესახებ და თანამოხსენება მიმაგრებული დელეგატი ქალისა თავისი პრაქტიკული მუშაობის შესახებ.

სადელეგატო კრებები უნდა ჩატარებული იქნას ფართო თვითკრიტიკისა და ამ კრებების მუშაობის დეფექტების აღნიშვნის საფუძველზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, საბჭოებისა, პროფკავშირებისა, კოოპერაციისა და სხვ. წარმომადგენლების აუცილებელი მონაწილეობით. გადარჩევა უნდა დაწყებული იქნას ქალაქში არა უგვიანეს 10 სექტემბრისა, ხოლო სოფელში არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა იმ მოსაზრებით, რომ მეცადინეობა ქალაქში დაწყებული იქნას 1-ლი ოქტომბრიდან, ხოლო სოფელში 1-ლი ნოემბრიდან.

კანდიდატი - ქალები სადელეგატოდ უნდა დასახელებული იქნან კომუჯრედებში და განხილული იქნან ღარიბი გლეხების კრებებზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პარტორგანიზაციამ იმას, რომ სადელეგატო კრებებში ჩაბმული იქნან მუშა ქალები, სოფლის მოჯამაგირე ქალები და გლეხი ქალები ნაციონალურ უმცირესობათაგან.

სადელეგატო კრებები უნდა მოეწყოს აგრეთვე მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სადელეგატო პუნქტების ქსელი და ხელმძღვანელთა შემადგენლობა უნდა დამტკიცებული იქნას სამაზრო კომიტეტების პრეზიდიუმების მიერ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მდივანი
მ. კახიანი.

მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების გამგე
გეგეშიძე

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის

საქ. სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ ცირკულიარული წერილი დაუგზავნა ადგილებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. ცირკულიარში ნათქვამია, რომ სასოფლო-სამეურნეო მუშების მიერ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის გატარება სოფლად შეუძლებელია, თუ მათში არ იქნება აღმოფხვრილი წერა-კითხვის უცოდინარობა. სასოფლო-სამეურნეო მუშებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს ორი წლის განმავლობაში. ამ დიდ ამოცანის განხორციელებას კავშირის ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ უდიდესი ყურადღება.

გასულ წელს კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს კავშირის ცენტრ. გამგეობის დადგენილება 1000 მოჯამაგირეთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის შესახებ.

წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებში არ იყო ჩაბმული სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და მოჯამაგირეთა საკმაო რაოდენობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლაში შესულ მუშებისა და მოჯამაგირეების ძალიან მცირე ნაწილი სწავლობდა წერა-კითხვას. ასე მაგ. კახეთში 800 მოჯამაგირეში სალიკ. სკოლა დაამთავრა მხოლოდ 200 მოჯამაგირემ. საგრძნობლად მოისუსტებდა მოჯამაგირეთა დასწრება სკოლაში მეცადინეობაზე, ზოგჯერ კავშირის ორგანიზაციების უმოქმედობის გამო, მათ ვერ შესძლეს დამქირავებლებისაგან მოჯამაგირეთა განთავისუფლება მეცადინეობის დროს. არ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული სალიკვიდაციო სკოლების სასწავლო და სხვა საჭირო ნივთებით მომარაგების საქმე. ასეთი მდგომარეობა კი გულ უცრუებდა სწავლაზე სკოლაში მოსიარულე მოჯამაგირეებსა და მუშებს. პოლიტგანათლების ორგანოები არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას მასწავლებელთა კადრის თავის დროზე შერჩევის საკითხს. ყველა ამ მიზეზებით აიხსნება ის გარემოება, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა შესრულებული იქნა მხოლოდ 75 პროცენტით.

ამჟამად კავშირის ყველა ორგანოების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მომავალ სასწავლო წელში სრულიად აღმოფხვრილ იქნას წერა-კითხვის უცოდინარობა კავშირის ყველა წევრებში და ამასთანავე მივიზიდოთ და ჩავაბათ სალიკვიდაციო სკოლებში არა კავშირის წევრი სასოფლო-სამეურნეო მუშები. დღესდღეობით სას.-სამ. და ტყის მუშაკთა კავშირში ითვლება 6 ათასი წერა-კითხვის უცოდინარი. ამ რაოდენობის ლიკ-სკოლებში მიზიდვა შესაძლებელია, თუ კავშირის ორგანოები მიიღებენ სათანადო ზომებს.

ამ მიზნით უნდა ჩატარდეს მობილიზაცია წერა-კითხვის ცოდნა კავშირის ყველა წევრების, მასწავლებლების, საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების, მედსანშრომის კავშირის წევრების, აგრონომების, სატყეო სპეციალისტების, მიწის მზომელების, საბჭოთა მეურნეობების, გამგეების და სხვ. განსაკუთრებით ამ მუშაობაში უნდა გამოყენებულ იქნან წერა-კითხვის მცოდნე კომკავშირისა და პარტიის წევრები. ლიკ-სკოლების მეცადინეობა და საერთოდ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში მუშაობა უნდა შეგუებულ იქნას მოჯამაგირეთა და სასოფლო - სამეურნეო მუშების თავისუფალ დროსთან. საჭიროა მეჯოგეებისათვის მოეწყოს მოძრავი ლიკ-სკოლები შირაქში, ყარაიაში, სარვანის რაიონში და ყველა იმ რაიონებში, სადაც მეჯოგეთა დაგროვების ადგილებია.

ამ მუშაობისათვის სამზადისი უნდა დაიწყოს დღეიდანვე. აღრიცხვაზე უნდა იქნას აყვანილი წერა-კითხვის უცოდინარნი და სხვ.

არა მშრომელთა გამოსახლება

მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებიდან

სრ. საქართველოს ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაციაქმნილ სახლებიდან არა მშრომელ ელემენტების გამოსახლების შესახებ.

ამ დადგენილების ძალით, იმ პირებს, რომლებიც ეკუთვნიან არა მშრომელთა კატეგორიას, დაბეგრილნი არიან საშემოსავლო გადასახადის მესამე ცხრილის მიხედვით და მათი საშემოსავლო გადასახადი წლიურად აღემატება 3000 მანეთს, მუნიციპალიზაცია - დე ნაციონალიზაციაქმნილ სახლებში საცხოვრებელ ბინების დაქირავების ვადა არ შეიძლება გაუგრძელდეთ ამა წლის 1 ოქტომბრის შემდეგ.

ასეთები მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ დადებული ხელშეკრულება სახლების მმართველობებთან ბინებში უფრო ხანგრძლივად ცხოვრების შესახებ, გამოსახლებულნი უნდა იქნენ 1 ოქტომბრიდან ადმინისტრატიული წესით, სამაგიერო ბინების აღმოუჩენლად.

საარჩევნო ხმის უფლების უქონლობა არ შეიძლება იყოს გამოსახლების საფუძველი, თუ საარჩევნო უფლებას მოკლებულნი არ უთანაბრდებიან თავიანთი მდგომარეობით აღნიშნულ კატეგორიის პირთ.

აგრეთვე ეს დადგენილება არ ვრცელდება შინამრეწველებზე და ხელოსნებზე, არც მოიჯარადრეებზე და სამრეწველო დაწესებულებების მეპატრონეებზე. ამ უკანასკნელთა გამოსახლება ადმინისტრატიული წესით შეიძლება გამონაკლისს შემთხვევაში ადგილობრივ აღმასკომის პრეზიდიუმის დასტურით.

თუ გამოსასახლებელ პირს, სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, გაწეული აქვს რაიმე ხარჯი ბინის კაპიტალურ შეკეთებაზე, ან მმართველობისათვის წინასწარ მიცემული აქვს რაიმე თანხა, ამ შემთხვევაში გამოსახლებულის პრეტენზიები და დავა მის მიერ გაწეულ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, წყდება სასამართლოს წესით.

მუნიციპალიზაცია და ნაციონალიზაცია ქმნილ სახლებში აკრძალულია თავისუფალ მოედნებზე, შემდეგში, არა მშრომელ ელემენტების ჩასახლება. აგრეთვე აკრძალულია მათი ჩასახლება სახლებში ბინების გადაცვლის წესით.

შეიძლება აგრეთვე ადმინისტრატიული წესით გამოსახლებული იყვნენ ყოფ. სახლის მეპატრონეები (თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად) იმ სახლებიდან, რომლებიც მათ ეკუთვნოდათ ჩამორთმევამდე.

ყოფ. სახლის მეპატრონეთა და მათი ოჯახის წევრთა გამოსასახლებელ სიას ადგენს ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმი და ამტკიცებს სახ. კომისართა საბჭო.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ შეიძლება იქნენ გამოსახლებულნი: ის პირი, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციამდე იყო მუშა, თუ ამჟამად ის არ ცხოვრობს არა შრომითი შემოსავლით; ის ყოფილი სახლის მეპატრონე, რომლის საცხოვრებელი ფართობი არ აღემატება 120 კვ. მეტრს; აგრეთვე არ შეიძლება გამოსახლებულნი იქნენ ის პირნი, რომლებიც მიუძღვით განსაკუთრებული დამსახურება სახელმწიფო და რევოლიუციის წინაშე, დაჯილდოვებულნი არიან წითელი ორდენით, ან შრომის ორდენით; ღებულობენ პერსონალურ პენსიას; ხელოვნების და მეცნიერების დამსახურებული მუშაკები; სახალხო არტისტები; შრომის გმირები; ყოფ. პოლიტიკური კატორღელები; საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრები; პროფესორები და უმაღლეს სასწავლებლების მასწავლებლები; სამეცნიერო და სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტების წევრები; ის პირები, რომლებიც სამოქალაქო ომის დროს იყვნენ წითელ არმიაში, წითელ გვარდიაში და წითელ პარტიზანებს შორის. არ შეიძლება გამოსახლებულნი იქნენ სამოქალაქო ომში დაღუპულთა ოჯახები, ოჯახის იმ წევრთა გამოკლებით, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად არიან განწყობილნი, (რაც დადასტურებული უნდა იქნას სათანადო ორგანოების მიერ) და არც ის პირები და მათი ოჯახები, რომლებიც ამჟამად არიან სამხედრო სამსახურში.

ჩამოთვლილ პირთა გარდა, ადგილობრივ აღმასკომების პრეზიდიუმებს შეუძლიათ არ გამოასახლონ სხვა კატეგორიის პირნიც თავიანთი შეხედულებისამებრ.

გამოსახლებულ ყოფ. სახლის მეპატრონეებს უნდა მიეცეთ სამაგიერო საცხოვრებელი ფართობები ქალაქის ფარგლებში და ბარგის გადასაზიდი საშუალებები.

სამჭედლოში

ქურა ხურს, ცეცხლი გიზგიზებს,
ნაკადებს სცემენ ალები;
სამჭედლო ლხენით გულს მივსებს,
ზედ ელვებს მკრიან თვალები...
ურო სცემს, გრდემლი ზანზარე
ზანთმაც ისროლა შხეფები:
ეცა იმ კარებს, ამ კარებს,
სინორჩით ანაჩქეფები!
ვინ შეაკავოს ეს ძალა?
ვინ დახშას მის წინ კარები?
შორს: ნისლი, ზამთრის ეს წალა,
ეს ბნელ დროთ ოწინარები!..
კარი აქ ყველგან ღიაა:
სიო ხალისით სისინებს,
ის მშრომელ გულის იაა
და, ვით ეს, არც ის იძინებს...
მჭედლის მარჯვენა — ზამბარი
მარგალიტებმა შემოსა,
შუბლი თაფლშია დამბალი,
ჰგავს ხორბალ-მოყრილ მდელოსა!..
მკერდზე დასხმული ხვითქები
მზის ჭიატებათ ქცეულა,
რომ ღელავს, თითქოს ინთქები:
ზღვის ბუფათ ამოწეულა!..
საკინძე-გადაღეღილი
ყელი გამოსჩანს ალყადა,
კუნთებზე ძლევის ჯეჯილი
ყველგან ახვია ყალყადა!
სჩანს, უტეხარი რამეა
ჩვენი ჭაბუკი მჭედელი:
გარს რომ ჟანგ-მური ღამეა
და მჭვარტლ-დაყრილი კედელი.
მისი თვალები-ისრები
შორით შორს ჭკვეთენ სივრცესა!..
მასთან შენც რწმენით ივსები:
გულში გრძნობ მის სიმტკიცესა,
რომ გაჭედილი რგოლები
აისხმის ძლევის ჯაჭვათა...
მტერს ყველას შეებრძოლება,
ღირს ის სამჭედლო დაცვათა!
სამჭედლო ჩემი მხარეა,
საბჭოთა დიდი-კავშირი;
ქურა-მზე პირ-მცინარეა,
ათას იმედათ გაშლილი;
ურო და გრდემლი, ხმოვანი,
ეს ხომ მთლად ჩვენი წარმოა;
მჭედელიც, კუნთ-ზამბროვანი,
არის მშრომელი არმია...
ბევრი აქვს გასაჭედელი,
მის წინ ურიცხვი ზანთია,
მიტომ სულ ფხიზლობს მჭედელი,
ქურაშიც ცეცხლი ანთია...
ის მჭვარტლებ- დაყრილ კედლებზე
ხვითა ძნებს კვერად ატარებს:
ვაფებს სდგამს შრომის ბელლებზე,
მტერს ახლოს რომ არ აკარებს!
ბევრმა მოშინჯა კედელი
უტიფარ, მაგარ შუბლითა:
მიუვალია მჭედელი,
სამჭედლოც — თავის ზღურბლითა!
კარი აქ ყველა ხშულია,
ვინც მოდის ავი ზრახვითა!
შიგნით კი — შრომის ხნულია,
უმზერ, ვერ ვძლები ნახვითა...
ქურა ხურს, ცეცხლი გიზგიზებს,
ზანთი ილერება შხეფებათ,
მჭედელიც რკალს გრდემლს უმიზნებს
სიცოცხლის ასაჩქეფებლათ!
მისი მარჯვენა — ზამბარი
მარგალიტებმა შემოსა,
შუბლი თაფლშია დამბალი,
ჰგავს ხორბალ-მოყრილ მდელოსა!
ონავარ - მტაცებლებისთვის
მიუვალია მაინცა:
მშვიდათ თუ სდნება შრომისთვის,
ბრძოლებსაც უხდის მაინდსა...

ნ. ზომლეთელი.

როგორი უნდა იყოს ინდუსტრიალურ-ტექნიკური სკოლა

(საკავშირო საგეგმო კომისიის პროექტი)

საკავშირო საგეგმო კომისიამ შეიმუშავა და საკავშირო სახკომსაბჭოში შეიტანა დასამტკიცებლად ინდუსტრიალურ-ტექნიკური განათლების უნიფიკაციის პროექტი.

პროექტი სახავს იმ საფუძვლებს, რომელზედაც აგებული უნდა იქნეს ინდუსტრიალურ-ტექნიკური განათლების სისტემის მთლიანობა.

ინდუსტრიალურ-ტექნიკური განათლების თითეულმა საფეხურმა მოსწავლეს უნდა მისცეს დასრულებული და სავსებით გარკვეული მომზადება.

მუშებისა და სპეციალისტების ძირითადი ტიპები

პროექტი სახავს თუ სპეციალისტებისა და სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშების რა ძირითადი ტიპები უნდა მომზადდეს სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებთან და რეკონსტრუქციასთან შეფარდებით. სპეციალისტების მომზადება უნდა სწარმოებდეს პირველ რიგში მუშებიდან და აგრეთვე მათი შვილებიდან და ღარიბ და საშუალო გლეხობიდან.

ამ პროექტის მიხედვით სპეციალისტთა ძირითადი ტიპებია:

ინჟინერები. მომზადებული უნდა იქნეს ინჟინერების ორი ძირითადი ტიპი. უნდა სჭარბობდეს მტკიცე საწარმოო სპეციალიზაციის მქონე ინჟინერების ტიპი. ამასთან ერთად გამოშვებული უნდა იქნას უფრო ფართე საინჟინერო-ტექნიკური და მეცნიერული მომზადების მქონე ინჟინერები (ამასთანავე იგულისხმება, რომ უფრო ფართე მომზადება არავითარ შემთხვევაში არ იძლევა უმაღლესი რანგის ინჟინერის ხარისხს ერთბაშად მიღების უფლება).

უმაღლესი ხელმძღვანელი ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალი—წითელი დირექტორები, მსხვილი საწარმოების და ტრესტების განყოფილებათ, სინდიკატების და სხვ. ხელმძღვანელები.

ტექნიკოსები მტკიცე საწარმოო სპეციალიზაციით, რომლებიც შესძლებენ მუშაობის ხელმძღვანელობას მსხვილი საწარმოების ცალკე ცეხებში ან დამოუკიდებელ ტექნიკური ხელმძღვანელის პოსტზე მუშაობას წვრილი ან საშინამრეწველო საწარმოებში.

დაბალი ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალი—ოსტატები, მუშაობის მწარმოებლები, კონტროლიორები და სხვ., მტკიცე საწარმოო კვალიფიკაციით (იმუშავებენ ინჟინერების ხელმძღვანელობით).

კვალიფიციური მუშები—სხვადასხვა ტიპის: განსაზღვრულ საწარმოო პროცესების დამოუკიდებლად შემსრულებლები, ზეინკლები, ხარატები და სხვ. დამხმარე მუშები მსხვილი და საშუალო და აგრეთვე წვრილი და საშინამრეწველო საწარმოებისთვის.

მომზადების ძირითადი ფორმები

პროექტი ითვალისწინებს მომზადების და გადამზადების სამ ძირითად ფორმას: 1) სკოლა, 2) დამატებითი მუშური განათლება და 3) დაუსწრებლად სწავლება.

გათვალისწინებულია ინდუსტრიალურ-ტექნიკური სასკოლო დაწესებულებების შემდეგი ტიპები:

უმაღლესი ტექნიკური შკოლა—ამზადებს სპეციალისტ-ინჟენრების კადრებს.

უნივერსიტეტების ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტები—ამზადებს მუშაკებს მეცნიერულ-ტექნიკურ და საკვლევ დაწესებულებებისათვის.

სამრეწველო აკადემია—უნდა გახდეს სკოლად კვალიფიკაციის ასამაღლებლად ხელმძღვანელ კადრებისათვის (სწავლების ვადა 2—3 წელიწადი).

საშუალო ტექნიკური სკოლა ანუ ტექნიკუმი ამზადებს საშუალო ტექნიკურ პერსონალს (სწავლა—4 წელიწადი, 7 წლედის ბაზაზე).

საშუალო პროფტექნიკური სკოლა—უმცროს და საშუალო ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალის მოსამზადებლად განსაზღვრული საწარმოო პრაქტიკის საფუძველზე (2—3 წ.)

საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის სკოლა—კვალიფიციურ მუშების მოსამზადებლად მსხვილ მრეწველობაში და სპეციალურ საწარმოებში (სწავლება—2-3 წელიწადი შვიდწლედის ბაზაზე).

პროფტექნიკური სკოლა—მუშაკების მოსამზადებლად წვრილი და საშინამრეწველო წარმოებისათვის (სწავლება 2—3 წელიწადი 4 წლედის ბაზაზე).

პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე დამატებითი მუშათა განათლების სისტემის ძირითად სკოლებს: კურსები არაკვალიფიციურ მუშებისათვის, კურსები კვალიფიკაციის ასამაღლებლად მუშათა საღამოს პროფტექნიკური სკოლა და სხვ.

ინდუსტრიალურ ტექნიკური სკოლების ორგანიზაცია და მმართველობა

პროექტით გათვალისწინებულია, რომ საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო ქმნის ერთ მმართველობას მის ქვემდებარე ინდუსტრიალურ-ტექნიკური სამოსწავლო დაწესებულებების სახელმძღვანელოთ.

დამატებით მუშათა განათლების ორგანიზაცია უნდა დაეკისროს კუთვნილებისამებრ ს. მ. უ. ს.- კადრების მოსამზადებლად მრეწველობისათვის და გზათა კომისარიატს—ტრანსპორტისათვის.

ყველა იმ პირებმა, ვინც ინდუსტრიალურ ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებს დაამთავრებს, არა ნაკლებ სამი წლისა უნდა იმუშაონ განსაზღვრულ საწარმოებში შრომის სახალხო კომისარიატის განაწილებით. ეს შეეხება არა მარტო იმ პირებს, ვინც უმაღლესი სკოლა დაამთავრა, არამედ ყველა დანარჩენ ინდუსტრიალურ-ტექნიკური ტიპის სკოლების კურსდამთავრებულებს.

დასასრულ, პროექტი ითვალისწინებს მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს: სპეციალისტების გეგმიან განაწილებას, მოსამზადებელ სპეციალისტების კონტიგენტის დაწესებას და სხვ..

ქალთა სადელეგატო ჯგუფების მუშაობის შედეგები

მშრომელ ქალთა კულტურული დონის ამაღლება მთავარი პირობაა ქალთა ჩასაბმელად სოციალისტურ აღმშენებლობაში. ქალთა კულტურული დონის ამაღლების მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მუშაობა ამ მიმართულებით თანდათან ღრმავდება და უმჯობესდება, რომლის შედეგათ მიღწევებიც უკვე თვალსაჩინო გვაქვს. დღეს მშრომელ ქალთა მთელი რიგი კადრებია ჩაბმული საბჭოების, კოოპერაციის, პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში.

მშრომელ ქალთა კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ქალთა სადელეგატო ჯგუფების მუშაობაც. როგორც თბილისში, ისე პროვინციაშიაც არსებობენ ქალთა სადელეგატო ჯგუფები, რომელთა მუშაობას ხელმძღვანელობს პარტიული კომიტეტების და ცეკას ქალთა განყოფილებები.

ამ წერილში ჩვენ შევეხებით თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილებასთან არსებულ სადელეგატო ჯგუფების მუშაობას.

ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილებასთან 1928—29 წელში ჩამოყალიბებული იყო 5 ქალთა სადელეგატო ჯგუფი: ქართული, სომხური და რუსული. ამ ჯგუფებში გაერთიანებული იყო 274 ქალი, მათ რიცხვში წარმოებაში ჩაბმული მუშა-ქალები შეადგენდა 13 პროცენტამდე, დაწესებულებების თანამშრომლები 42 პროცენტამდე, დიასახლისები—23,4 პროცენტს, ხოლო ხელზე მოსამსახურენი—21,5 პროცენტს.

სადელეგატო ჯგუფების მეცადინეობა დაიწყო გასული წლის ოქტომბერში, რომელიც დამთავრდა მიმდინარე წლის ივნისის ბოლო რიცხვებში. სადელეგატო ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ რაიკომის მიერ გამოყოფილი პროპაგანდისტები. ჯგუფების თეორიული მეცადინეობა დაკავშირებული იყო პრაქტიკულ საკითხებთან. გათვალისწინებულ პროგრამის გარდა სადელეგატო ჯგუფებმა დაამუშავეს სხვადასხვა საკითხები, როგორიც მაგალითად საბჭოთა არჩევნების კამპანიის მნიშვნელობა, ქალთა განყოფილების 10 წლის თავი, დედათა და ბავშვთა დაცვის საქმე საბჭოთა რესპუბლიკებში და სხვ.

საბჭოთა არჩევნების კამპანიის დროს დელეგატი ქალები მიმაგრებული იყვნენ მუშათა სახლებში მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისათვის, რამაც ნაყოფიერი შედეგი მოგვცა დიასახლის - ქალთა დასწრების და აქტივობის მხრივ საბჭოების საანგარიშო და საარჩევნო კრებებზე.

სადელეგატო ჯგუფებთან ჩამოყალიბებული იყო იურიდიული, პროფესიონალური და კოოპერატიული სექციები. იურიდიულ სექციაში ჩაბმული იყო 13 დელეგატი ქალი, პროფესიონალურ სექციაში—11, ხოლო კოოპერატიულში—23. განსაკუთრებული აქტივობით მიმდინარეობდა იურიდიული სექციის მუშაობა, სადაც დელეგატი ქალები ეცნობოდნენ ერთმანეთის ყოფა-ცხოვრებას და საერთოდ მშრომელ ქალთა საჭირბოროტო საკითხებს.

პროფსექციაში დელეგატი ქალები ეცნობოდნენ პროფესიონალურ მუშაობის საკითხებს.

შედარებით სუსტად მუშაობდა კოოპერატიული სექცია. სექციის მუშაობა გამოიხატებოდა კოოპერატიული მოძრაობის პროგრამის გაცნობით, ხოლო პრაქტიკული საქმიანობა რამოდენიმე ექსკურსიის მოწყობით. დელეგატი ქალები არ იყვნენ მიმაგრებული კოოპერატიულ სამუშაოზე, არ იყო კავშირი სადუქნო კომისიებთან და კოოპერატიულ რწმუნებულებთან. არ სწარმოებდა დელეგატი ქალების წამოყენება კოოპერატიულ სამუშაოებზე.

თბილისის საბჭოს სექციებზე მიმაგრებული იყო 35 დელეგატი ქალი. წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა დაამთავრა 37 დელეგატ-ქალმა, პოლიტცოდნის კურსები კი 36 ქალმა.

სადელეგატო ჯგუფებს მეცადინეობის დამთავრებამდე ჩამოსცილდა 53 დელეგატი ქალი. მათ შორის უმრავლესობას მოსამსახურე და დიასახლისი ქალები შეადგენდა. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ დიასახლისი ქალები დატვირთულნი იყვნენ წვრილმანი ოჯახური საქმიანობით და თავისუფალი დრო არ რჩებოდათ მეცადინეობისათვის.

დელეგატი ქალებისათვის მოეწყო აგრეთვე რამდენიმე ექსკურსია: 26 კომუნართა ქარხანაში, ამიერ-კავკ. კომ. უნივერსიტეტში, სტამბებში, დედათა და ბავშვთა სახლში, სოც. ჰიგიენის მუზეუმში და სხვ.

სადელეგატო ჯგუფების ხელმძღვანელობა ხდებოდა რაიკომის ქალთა განყოფილების შტატ გარეშე ინსტრუქტორების მონაწილეობით, რამაც გასულ წელთან შედარებით ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. რაიკომის პრეზიდიუმი ყოველმხრივ ცდილობდა გაეუმჯობესებინა სადელეგატო ჯგუფების მეცადინეობა.

საერთოდ ქალაქის რაიკომის ქალთა სადელეგატო ჯგუფების მუშაობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. პროგრამა თავის დროზე და მთლიანად არის დამუშავებული. ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მოხსენებების ჩატარება საუბრების სახით.

სადელეგატო ჯგუფების უფრო ნაყოფიერ მუშაობას ხელს უშლიდა მთელი რიგი შემაბრკოლებელი მიზეზები. მათ შორის ჩვენ აღვნიშნავთ რამოდენიმეს, ესენია: მუდმივი სამეცადინო ბინის უქონლობა, სახელმძღვანელოების ნაკლებობა განსაკუთრებით ნაციონალურ ენებზე, უჯრედების და ქალორგანიზატორების სუსტი ხელმძღვანელობა, დელეგატ ქალების სუსტად ჩაბმა პრაქტიკულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში.

მომავალ მუშაობისათვის აუცილებელია ყველა ზემოხსენებულ ნაკლის გამოსწორებისათვის თავის დროზე ზრუნვა და ხელმძღვანელობის საქმის კიდევ უფრო გაუმჯობესება. ამასთან ერთად სადელეგატო ჯგუფები უნდა დაიყოს არა მარტო ეროვნების მიხედვით, არამედ მათი ცოდნა-მომზადების მიხედვითაც, რაც საშუალებას მოგვცემს სადელეგატო ჯგუფების საქმიანობა გადავაქციოთ ერთ-ერთ მძლავრ იარაღათ მშრომელ ქალთა კულტურული დონის ამაღლებისა და მათი ჩაბმისათვის როგორც პარტიის რიგებში, ისე სოციალისტურ აღმშენებლობაში.

მ. მღებრიშვილი.

დით საშუალო გლეხობა სიღარიბის დონეზე სდგას.

მაშასადამე, ამხ. ურუშაძემ თეზისებში ავტორს და მომხსენებლებს თავს მოახვია ის აზრი, რომელიც ამხ. ჩხვაძის კერძო წერილში იყო გამოთქმული. ამ წერილში გამოთქმულ საერთო დებულებებს, რასაკვირველია, ეყრდნობოდა მომხსენებელიც (ვინაიდან ამხ. ჩხვაძის წერილი ცეკას მასალებით იყო შედგენილი), მაგრამ ყრილობაზე არ გამოუტანია სამი ზემოხსენებული დებულება.

არ არის მართალი ამხ. ურუშაძე, როდესაც ლაპარაკობს, თითქოს მოხსენებულ ინტერვალების მიხედვით ადგილზე მომუშავე ორგანიზაციებს ეძლევა ხაზი, რომლის მიხედვით მომავალში წარმოებულ უნდა იქნეს მუშაობა სოფლადო.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ „ქონებრივ დიფერენციაციის განსაზღვრის დროს ჩვენ გამოვდივართ იქედან, თუ როგორია აღებულ რაიონებში მეურნეობის სტრუქტურა და შეძლებულება. დასავლეთ საქართველოში მეურნეობის სტრუქტურა სხვანაირია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში".

„დაყოფის მეთოდი მეურნეობის სტრუქტურის მიხედვით სავსებით სამართლიანია და მხოლოდ ის არის მისაღები".

მაშასადამე, მომხსენებლის აზრით, აუცილებელია დიფერენციაციის რაიონობრივი შესწავლა, მაგრამ ასეთი რაიონები ჩვენ არა გვაქვს გამოყოფილი და ამის შესახებ არის ნათქვამი მოხსენებაში. „მოხსენება, ძირითადი საკითხის—სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ არ იძლევა სოფლის მეურნეობის მდგომარეობის სრულ სურათს, არ იძლევა ძირითად მასალებს და იმ მტკიცე ქარგას, რომელიც საჭიროა საკითხის გადასაწყვეტად. საით უნდა მივმართოთ ჩვენი ძალები, რომ ავსწიოთ სოფლის მეურნეობა". „რა შეუძლია ადასაგვებო მოგვცეს ზრდის ზოგადმა სურათმა? საყურადღებო არის ვიცოდეთ, თუ რაგვარი ზრდა სწარმოებს, რომელ დარგში და სხვ. ჩვენ ვლაპარაკობთ პროდუქტიულ მესაქონლეობის უმნიშვნელო ზრდაზე და ესეც სრულებით არაფერს გვეუბნება, ვინაიდან არ ვიცით, რომელ რაიონში ხდება ეს ზრდა". „ჩვენ ახლო მომავალში უნდა მივიღოთ იმის ნათელი სურათი, თუ საქართველოს რომელ რაიონში რა მოიპოვება და რას უნდა მივაქციოთ მომავალში მეტი ყურადღება, ამა თუ იმ რაიონის განვითარების მიზნით".

ორგანოებმა, „რომლებიც მიწათმოქმედების დარგში მუშაობენ, უნდა შესძლონ სასოფლო-სამეურნეო გეგმის დეტალიზაცია და სოფლის მეურნეობის დარაიონება".

ეს ამონაწერები, რომლებიც ამოღებულია მოხსენების სხვადასხვა ადგილიდან, ნათლად ამტკიცებენ, რომ მოხსენებაში წითელი ზოლივით არის გატარებული იმის მტკიცება, რომ არ შეიძლება საქართველოს ყველა რაიონებისათვის ერთნაირი საზომით მიდგომა პრაქტიკულ მუშაობის დროს.

მოხსენება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენ არა გვაქვს მკვეთრად გამოყოფილი და შესწავლილი რაიონები და ამიტომ ვკმაყოფილდებით მსჯელობით მთლიანად საქართველოს შესახებ.

ასეთივე ბედი ეწვია გლეხობის დიფერენციაციის შესწავლას, რომლის დამუშავება რაიონების მიხედვით შეუძლებელი შეიქნა. ჩვენ არ შეგვეძლო დავკმაყოფილებულიყავით დიფერენციაციის სურათის მოსაცემად მთელი საქართველოს მასშტაბით, ერთნაირი საზომით, ვინაიდან ეს დაამახინჯებდა სინამდვილეს. ჩვენ რაიონობრივ დაყოფის პირველი ცდა მაინც მოვახდინეთ და შევისწავლეთ ქონებრივი დიფერენციაცია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მიხედვით, აეკონომიურ ერთეულების გამოყოფით. ეს გამოწვეული იყო მით, რომ ამ ნაწილებს შორის არსებობს ეკონომიური განსხვავება, რასაც ამხ. ურუშაძეც ეთანხმება.

მაგრამ განა მოხსენების რომელიმე ადგილას არის ნათქვამი, რომ აღმოსავლეთ ან დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის გამოდგება მათი მთლიანი ინტერვალები? მოხსენების არც ერთი ადგილით არ იგულისხმება, რომ ჩვენ ყველა ორგანიზაციებს და ყოველ რაიონში ვურჩევთ გლეხების ფენებათ დაყოფით ისარგებლონ იმ ერთიან ინტერვალებით, რომლებიც შემუშავებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსათვის. პირიქით მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ასეთი შესწავლა უნდა სწარმოებდეს თვითეულ რაიონის მიხედვით, მისი საწარმოო სტრუქტურასთან შეფარდებით. მაშასადამე, ამხ. ურუშაძე სრულიად უმართებულო ბრალდებას უყენებს როგორც მომხსენებელს, ისე ყრილობას, თითქოს მათ სოფლად მომუშავე ორგანიზაციებს განსაზღვრულად მიუთითეს, რომ გლეხობის ფენებად დაყოფის დროს მთლიან საზომებით ისარგებლოს.

ამხ. ა. ურუშაძე სრულიად დაბნეული არის ამ საკითხის გარკვევაში, წარმოადგენს თუ არა ივენი გლეხობის საერთო მასაში ცენტრალურ ფიგურას საშუალო გლეხობა.

პირველი: ის ლაპარაკობს, რომ „დაახლოებით სწორად მიაჩნია ის შეხედულება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გლეხობის მეურნეობათა მთავარ მასას წარმოადგენს საშუალო გლეხობა" და ამტკიცებს ამას ციფრებით ხელში.

მეორე: უდავოთ მიაჩნია ისიც, „რომ მთელ საქართველოში საშუალოდ—სოფლის მეურნეობის მთავარ მასას, როგორც რიცხვობრივად, აგრეთვე ქონებრივათაც, წარმოადგენს საშუალო გლეხობის მეურნეობა".

მესამე: არ მიაჩნია სწორად ის დებულება, რომ დასავლეთ საქართველოში გლეხურ მეურნეობათა საერთო მასაში ცენტრალურ ფიგურას საშუალო გლეხობა წარმოადგენს და ამტკიცებს, რომ იქ ღარიბი მეურნეობანი სჭარბობენ საშუალო მეურნეობებსო.

ამ სამი დებულების შორის არსებითი წინააღმდეგობაა.

როგორ შეიძლება კაცს სჯეროდეს, რომ დასავლეთ საქართველოში საშუალო გლეხობა ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს, დაახლოებით სწორედ მიაჩნდეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო გლეხობა არის ცენტრ. ფიგურა და აქედან უდაოთ მიიჩნიოს, რომ საქართველოში მთლიანად საშუალო გლეხობა ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს.

თუ ამხ. ურუშაძეს უდაოთ მიაჩნია, რომ საშუალო გლეხობა ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს მთელ საქართველოში და უმცირესობას დასავლეთ საქართველოში, მას არა დაახლოებით, არამედ . სრულიად უნდა სჯეროდეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში აბსოლიუტურად უმრავლესობა გლეხობისა საშუალო გლეხობის ფენას ეკუთვნის, თორემ ისე არ გამოვა, რომ საშუალო გლეხი მთელ საქართველოში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდეს.

ეს უბრალო არითმეტიკის საკითხი არის.

რით აიხსნება ამხ. ა. ურუშაძის დაბნევა?

მისთვის გაუგებარია, „თუ რატომ დასავლეთ საქართველოსათვის მეურნეობა 75 მანეთის შემოსავლის ზევით უკვე საშუალოა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსათვის კი 100 მანეთის შემოსავლის ზევით იწყება საშუალო გლეხობის მეურნეობა".

ამ გაუგებრობის გასაფანტავად მოვიყვანოთ თვით ამხ. ურუშაძის შემდეგ სიტყვებს:

„მე სწორად მიმაჩნია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სოფლების სხვადასხვა სახეობის და მათ შორის ეკონომიური განსხვავების აღნიშვნა, სადაც ნათქვამია, რომ დასავლეთ საქართველოს სოფელში უფრო ღარიბი და ეკონომიურად სუსტია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში".

იმის გამორკვევა, თუ რატომ იქნა აღებული მაინცა და მაინც 75 და 100 მანეთი, ამხ. ა. ურუშაძეს შეუძლია ამხ. ჩხვაძის წიგნით—„საქართველოს სოფლის სოც. ეკონ. სტრუქტურა"-ს გადათვალიერებით, სადაც მოყვანილია დაჯგუფებათა დასაბუთება.

ამხ. ა. ურუშაძე უშვებს შეცდომას (რომელიც ნაროდნიკებს ახასიათებდა) როდესაც ამბობს, რომ „სასოფლო-სამეურნეო გადასახადს და მიწის რაოდენობას და მის ვარგისიანობას გადამწყვეტი როლი უნდა მიენიჭოს სოფლის მეურნეობის ფენებათ დაყოფის გამორკვევის დროს"-ო. გლეხობის დიფერენციაციის ამ ნატურალური ნიშნით სარგებლობა, უკუგდებულია მარქსისტულ აზროვნების მიერ. მას სასტიკი კრიტიკა გაუკეთა ვ. ლენინმა თავის წიგნში „Развитие капитализма в России" ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებში, და ამჟამად კი კომუნისტური აკადემიის მეთოდოლოგია გლეხურ მეურნეობათა დიფერენციაციის ფაქტორებად სთვლის: მუშახელის დაქირავება-გაქირავებას, საწარმოო საშუალებათა დაქირავება-გაქირავებას და შემოსავლის პირველ წყაროს ტიპოლოგიურ ხასიათს.

ამხ. ურუშაძეს „მიუღებლად და პოლიტიკურად არასწორად მიაჩნია ის შეხედულება, რომ ღარიბ მეურნეობათა რაოდენობა საქართველოს არც ერთ ნაწილში არ სჭარბობს საშუალო გლეხობის მეურნეობათა მასას".

ეს შეხედულება არ ყოფილა არც თეზისებში და არც მოხსენებაში (ყრილობაზე) და ამის წინააღმდეგ ტყუილ-უბრალოთ იბრძვის ამხ. ურუშაძე. ამხ. ჩხვაძის წერილში კი ეს დებულება წამოყენებულია იმის შემდეგ, რაც გახსნილია ჯგუფების შეფარდება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში და ავტონომიურ ერთეულებში. მართლაც—მთლიანად ამ რაიონებში ღარიბ მეურნეობათა რაოდენობა არ სჭარბობს საშუალო მეურნეობათა რაოდენობას და ასეთი დებულების წამოყენება არავითარი პოლიტიკურ შეცდომას არ წარმოადგენს. პოლიტიკურად ასეთი დებულების წამოყენება სრულიად სწორია და ის გამოხატავს იმ პროცესებს, რომლებსაც რეალურ სინამდვილეში აქვს ადგილი.

სრულ გაუგებრობაზე არის აგებული ამხ. ურუშაძის შემდეგი დებულება: „როგორც ღარიბი, აგრეთვე საშუალო და კულაკი სხვადასხვა რაიონში, სხვადასხვა ეკონომიური სიძლიერის არის. მაგრამ მათი მეურნეობის საზომი და ეკონომიური ნიშნები, რომელიც მათ აკუთვნებს ამა თუ იმ ფენას, ყოველგან ერთნაირია.

მაგალითად, ჩემის აზრით, ღარიბი მეურნეობა არის ისეთი მეურნეობა, რომლის წევრები მოსავლიდან მოსავლამდე ვერ აკმაყოფილებენ თავიანთ საცხოვრებელ მინიმალურ მოთხოვნილებებს და იძულებულნი ხდებიან გაქირავდნენ". „საშუალო გლეხის მეურნეობათ უნდა ჩაითვალოს ისეთი მეურნეობა, რომლის წევრებს ჰყოფნით მოსავლიდან-მოსავლამდე თავიანთი მეურნეობის შემოსავალი, ყოველმხრივი საარსებო მოთხოვნილების შემოსავალი, ყოველმხრივი საარსებო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და აგრეთვე რჩება კიდევ საჭირო საშუალებანი, მისი არსებული მეურნეობის გასამაგრებლად და წინ წასაწევად". „კულაკი კი..., „ყოველგან ახასიათებს სხვისი შრომის სისტემატიური ექსპლოატაციის საშუალებით გამდიდრება და სხვ..."

ასეთი გამარტივებული მეთოდოლოგიური მიდგომით ამჟამად არავინ არ სწავლობს გლეხობის დიფერენციაციას საბჭოთა კავშირში. ეს წარმოადგენს დიფერენციაციის საკითხებისადმი ზერელე მიდგომის ნიმუშს.

გლეხურ მეურნეობათა ტიპების განსაზღვრის საფუძვლად იღებენ თვისობრივ ნიშანთა მთელ სისტემას, რომლებიც საშუალებით გამოირკვევენ ერთის მხრით შემოსავლის წარმოების ხასიათს და მეორეს მხრით შეფარდებას თავის საკუთარ სამუშაო ძალასა და საკუთარ საწარმოო საშუალებათა შორის.

დიფერენციაციის მეთოდოლოგიის საუკეთესო მცოდნე თეორეტიკოსი ლ. კრიცმანი აყენებს შემდეგ სახელმძღვანელო დებულებას:

„Только собственные средства производства без собственной рабочей силы —капитал; только собственные средства производства и только собственная рабочая сила—мелкая буржуазия. Без собственных средств производства и только с собственной рабочей силой—пролетариат. Между этими чистыми классовыми типами лежат промежуточные смешанные формы" (Л. Крицман „О статистическом изучении классового расслоения деревни" Журнал „На аграрном фронте" № 2 1926 г.).

ამ საკითხის მეორე თეორეტიკოსი ამხ. ნემჩინოვი, გამოსული ამ დებულებიდან, დაასკვნის:

„В отношении выбора признаков в основу положена резолюция по аграрному вопросу, написанная В. И. Лениным и принятая вторым Конгрессом Коминтерна в 1920 году. В качестве важнейших признаков в этой резолюции фигурируют: а) источники средств существования, б) наем рабочей силы и в) капиталистический тип отношений... „возможность получить известный излишек, способный, по крайней мере в лучшие годы, превращаться в капитал". (В. Немчинов—„Опыт классификации крестьянских хозяйств" Журнал „Вестник Статистики" № 1—1928 г.).

აი ის სახელმძღვანელო დებულებები, რომელთა მიხედვით საბჭოთა კავშირში სწავლობენ გლეხობის დიფერენციაციას. ამხ. ურუშაძის სქემა კი უკვე მოძველებულ თეორიების ნაგვეთია და მას შეცდომაში შეჰყავს ავტორი.

ამხ. ურუშაძის მთავარი პრინციპიალური შეცდომა იმაშია, რომ მას გლეხობის დიფერენციაცია ყველა რაიონებისათვის ერთნაირად წარმოუდგენია და ვერ ამჩნევს საზომთა განსხვავების აუცილებლობას. ერთის მხრით ის აღიარებს, რომ ღარიბ, საშუალო და შეძლებულ გლეხების ეკონომიური სიძლიერე სხვადასხვაგვარია ამა თუ იმ რაიონში და ამავე დროს მას მიაჩნია, რომ „საზომი და ეკონომიური ნიშნები მათი მეურნეობისა, რომელიც მათ აკუთვნებს ამა თუ იმ ფენას, ყოველგან ერთნაირია".

ამ განმარტების მთავარი შეცდომა პირველ ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ სხვა და სხვა რაიონებისათვის ჯგუფების განსაზღვრის მხრივ ერთნაირია არა ეკონომიური, არამედ მხოლოდ სოციალური ნიშნები.

ეკონომიური ნიშნები გულისხმობენ მეურნეობათა სიმძლავრეს და ეს სიმძლავრე კი თვით ამხ. ურუშაძის მოწმობით არ არის ერთნაირი ყველა რაიონისათვის. მეორეს მხრით, როგორ შეიძლება ყველგან ერთნაირი იყოს ეკონომიურ სიმძლავრის ის საზომი, რომლითაც გლეხობის სამ ჯგუფად დანაწილება სწარმოებს. რომ ეს ასე იყოს, მაშინ სიმძლავრის ერთნაირი საზომით უნდა [illegible] ისე იმერეთის [illegible] და ღარიბი მეურნეობა.

საზომის ერთნაირობა უარჰყოფს ამა თუ იმ რაიონის დიფერენციაციისათვის თავისებურ მიდგომას. ასეთი თვალსაზრისი ახასიათებდათ ნაროდნიკულ მოაზროვნეებს, მაგრამ მარქსისტ-ეკონომისტების წრეში ასეთი თვალსაზრისზე ამჟამად არავინ არ სდგას.

ამ ყალბათ გაგებულ დებულებათაგან გამომდინარეობს ყველა ის პოლიტიკური შეცდომები, რომლებიც ამხ. ურუშაძის წერილშია დაგროვილი. ის აღნიშნავს, რომ ხშირად არსებობს კულაკური ფენა, „შეძლებულ გლეხთა ფენა, როგორც ცალკე ფენა, არ არსებობს" და „მათი რაოდენობა ყოვლად შეუძლებელია გამოვარკვიოთ იმ საზომით, რომელსაც იძლევა თეზისები და მოხსენება"-ო.

ამხ. ურუშაძეს ვერ შეუმჩნევია, რომ როგორც თეზისებში, ისე, განსაკუთრებით, მოხსენებაში გარკვევით იყო ნათქვამი, რომ ჩვენ გვაქვს მასალები, ერთის მხრივ, ქონებრივ და მეორეს მხრით—კლასიურ დიფერენციაციის შესახებ.

გაზ. „კომუნისტ"-ში დაბეჭდილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ „ჩვენ ჩავატარეთ მთელი რიგი მუშაობა, რომ გამოგვერკვია სოფლის ქონებრივი და კლასობრივი დაყოფა". შემდეგ: „ქონებრივ უზრუნველყოფის ხარისხით სოფელში ჩვენ გვყავს სამი ჯგუფი: მცირე შეძლების, საშუალო შეძლების და შეძლებული გლეხობა". ამის შემდეგ კიდევ ნათქვამია: „დინამიური აღწერით მიღებული ცნობები გვაძლევენ სოციალურ კლასობრივ ფენებათ დანაწილების სურათს".

რომ ეს აზრი შეეთვისებია ამხ. ურუშაძეს, მისთვის ნათელი იქნებოდა, რომ ჩვენს სოფელში შეძლებულ გლეხთა ფენა არსებობს ქონებრივ დიფერენციაციის მიხედვით და კულაკურ გლეხთა ფენა კი კლასიურ დიფერენციაციის მიხედვით. პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ეკონომიურ კატეგორიასთან, მხოლოდ მეორე შემთხვევაში კი—სოციალ-კლასიურ კატეგორიასთან. მაშასადამე, გლეხობის სამ ფენად დაყოფა შეიძლება ერთის მხრით ეკონომიურ თვალსაზრისით (ქონებრივი დიფერენციაცია) და მეორეს მხრით სოციალური თვალსაზრისით (კლასიური დიფერენციაცია).

თავის თავად ცხადია, რომ კულაკურ ფენის გლეხების რაოდენობის გამოსარკვევად ვერ მოგვცემს ცნობები ქონებრივ დიფერენციაციის შესახებ და ასეთ დებულების მტკიცება ჩვენს წინააღმდეგ საჭირო არ იქნებოდა ამხ. ურუშაძისათვის, რომ ნათლად შეეთვისებინა მოხსენების ის ნაწილი, რომელშიაც გლეხობის დიფერენციაციაზე არის ლაპარაკი. საერთოდ კი, შეიძლება თუ არა ქონებრივ დიფერენციაციის შესასწავლად ვისარგებლოთ ჩვენ მიერ მოყვანილ საზომებით? ამის შესახებ ზედმეტი არის ამხ. ურუშაძის რწმუნება მანამ, სანამ არ შეითვისებს იმ მეთოდოლოგიურ ხერხებს, დებულებებს, რომელთა გამოყენებით მიღებულ იქნა ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობები. არ შეიძლება ზეპირად ლაპარაკი, არამედ საჭიროა მეცნიერულად უარყოფა მეცნიერულადვე მიღებულ ცნობებისა.

ამხ. ურუშაძე არ სწამს, რომ დასავლეთ საქართველოში საშუალო გლეხობა უმრავლესობას წარმოადგენს და ამის დასასაბუთებლად მოჰყავს ის ფაქტი, რომ იქ სას. სამ. გადასახადისაგან განთავისუფლებულია მეურნეობის 68 პროც.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ მეურნეობანი მას ყველა ღარიბ მეურნეობათ მიაჩნია. ეს არ არის მართალი, ვინაიდან გადასახადისაგან განთავისუფლებულთა შორის მრავალი მოიპოვება საშუალო გლეხობა, რომელსაც გადასახადი არ ეწერება არა იმიტომ, რომ ის საშუალო გლეხი არის, არამედ იმიტომ, რომ მთელ რიგ შემოსავლის წყაროები არ იბეგრება ჩვენში და ამიტომ მრავალ საშუალო გლეხის პირობითი წმინდე, შემოსავალი (საშუალო გლეხობის დაბალი ფენის) დასაბეგრ მინიმუმზე ნაკლები გამოდის. ამაში დარწმუნდება ყველა ის, ვინც კარგად იცნობს საგადასახადო დაბეგვრის პრაქტიკას ჩვენში.

ამხ. ურუშაძეს ჰგონია, რომ დაბეგვრის სიდიდის მიხედვით შეიძლება გლეხობის კლასიურ ფენებათ დაყოფის შესწავლა. არც ეს არის სწორი, თუ ამის შესახებ ზემოთ ნათქვამს მივიღებთ მხედველობაში.

საერთოდ კი სრულიად დაუსაბუთებელი არის ის აზრის მტკიცება, რომ სას.-სამ. გადასახადისაგან განთავისუფლებულ გლეხი ღარიბთა ფენას ეკუთვნის და ამ ყალბი მტკიცების საფუძველზე დაიწყო ისეთი პოლიტიკური დავა საშუალო გლეხობის მიმართ ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის შესახებ, როგორც ამას ამხ. ურუშაძე სჩადის.

გამოსულმა თავის დებულებების ყალბი საფუძვლებიდან, ამხ. ურუშაძემ სრულიად ვერ გაიგო ყრილობაზე წაკითხული მოხსენება და ის სრულიად უსაფუძვლოდ ეძებს ამ მოხსენებაში წინააღმდეგობებს. ამხ. ურუშაძეს ჰგონია, რომ მას შეეძლო სხვა მაგალითების მოყვანაც, მაგრამ ამასთანავე ფიქრობს, რომ „ეს წინააღმდეგობაც საკმარისი არის იმისათვის, რომ ცენტრალურ კომიტეტის მიერ გადასინჯული იქნეს თეზისები და მოხსენების ის ნაწილი, სადაც ჩვენ გვაქვს, ჩემის აზრით, არასწორი მითითება და დირექტივა (?), რომლის მიხედვით უნდა დაყონ ფენებად გლეხები (?)", რასაც მისი „აზრით უსათუოდ შედეგად მოჰყვება ღარიბ გლეხების მასიურად და მექანიკურად გადარიცხვა საშუალო გლეხობის ფენაში (?), რაც, რასაკვირველია დიდ პოლიტიკურ ზიანს მიაყენებს ჩვენს სოფლად მუშაობის საქმეს".

რატომ არ სთქვა ყველაფერი ეს ამხ. ა. ურუშაძემ პარტყრილობაზე და მხოლოდ ყრილობის დამთავრების შემდეგ გამოდის მისი დადგენილების რევიზიის ცდით?

ამხ. ურუშაძეს არავითარი საბუთი არ ჰქონდა გაეკეთებია ასეთი განცხადება და მოეთხოვა ყრილობის დადგენილების გადასინჯვა იმ ნაწილში, რომელიც მას არ მოსწონს. დიდ პოლიტიკურ ზიანს მოგვიტანს არა თეზისებში და მოხსენებაში მოყვანილი მტკიცება იმის შესახებ, რომ საქართველოში და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, საშუალო გლეხობა ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს, არამედ მტკიცება იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში ჩვენ საქმე გვაქვს ღარიბ გლეხების უმრავლესობასთან, წინააღმდეგ ყრილობის მიერ აღიარებულ დებულებისა. ამასთანავე დიდი ზიანის მოტანა შეუძლია სრულ გაუგებრობაზე აგებულ იმ დებულების წამოყენების, თითქოს თეზისები, ან მოხსენება ფართო დირექტივას აძლევდეს ადგილობრივ პარტორგანიზაციებს ჩვენ მიერ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსათვის მიღებულ, არა დიფერენციაციაქმნილ ინტერვალებით დაყონ „ფენებათ გლეხობა".

ჩვენ ზემოთ ნათელვყავით, რომ ასეთი დირექტივა არ არის მოცემული არც თეზისებში, არც მოხსენებაში და არც ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში.

ყოველივე ზემოთ-თქმული რომ ნათლად გაეთვალისწინებია ამხ. ა. ურუშაძეს ის არ წამოაყენებდა უსაფუძვლო პოლიტიკურ ბრალდებებს მომხსენებლის წინააღმდეგ და თითონაც არ დაუშვებდა არსებით პოლიტიკურ შეცდომას ჩვენი სოფლის სინამდვილის სოციალურ შეფასების საკითხში.

ლ. ღოღობერიძე.

სოციალისტური შეჯიბრება

შრომის ნაყოფიერების აღრიცხვა ჭიათურის მაღაროებში ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე

სა ოფლო-სამეურნეო კოოპერაცია სოციალისტურ შეჯიბრებაში

შეჯიბრება ფერხდება

(ჭიათურის მაღაროები)

მიუხედავად იმისა, რომ პროფკავშირის ძირითადი ორგანოები დიდ მუშაობას აწარმოებენ სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით ჩასატარებლად (ეწყობა ახსნა-განმარტებები შეჯიბრების მნიშვნელობაზე ჩვენი წარმოების გაჯანსაღების საქმეში და სხვა), ზოგიერთმა ადმინისტრატორმა უკულმა გაიგო ყველაფერი ეს. მას შეჯიბრება წარმოდგენილი აქვს როგორც დროებითი კამპანია, რომელიც დაკვრითი წესით მიმდინარეობს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სექციების და სამმართველოების უმრავლესობა არ აწარმოებს შრომის ნაყოფიერების სწორ აღრიცხვას, გაცდენებს, სამუშაოს დაგვიანებას, ლოთობას და სხვა მახინჯ მოვლენებს. ხშირად შეუძლებელი ხდება შრომის ნაყოფიერების ცვალებადობის გაგება.

ამას გარდა უფროსი მუშები და ათისთავები მართლაც რომ ეჯიბრებიან ერთი მეორეს კონკლაობაში. ხშირია მაგალითი, რომ რათა ერთი მეორეზე მეტი გამომუშავება უჩვენონ და ჯილდო მიიღონ, მაღაროში სტოვებენ მიწას იმ მიზნით, რომ მეორე ცვლას ხელი შეუშალონ. მარხავენ ქვას მიწაში, არ გამოაქვთ იგი სიძნელის გამო და სხვა, რაც ერთი მეორეში იწვევს ჩხუბს, ინტრიგას და ჯამში კი ვღებულობთ წარმოების დაზარალებას, ცუდი ხარისხის ქვის გამოტანას და ათასგვარ სიმახინჯეს. ზოგიერთი უფროსი მუშები არც მუშების შინაურულად მიღებას ერიდებიან. ვინ იცის, ვის ვინ მოჰყავს სამუშაოზე და რამდენად ერთგულია იგი წარმოებისათვის.

საქმისადმი გულგრილობა, იარაღების და მასალების თავის დროზე მოუმარაგებლობა და ასეთების არა რაციონალურად გამოყენება და მათდამი უყურადღებობა, დღეების გამცდენთა და სამუშაოზე გვიან მოსულელთა შინაურულად დაფარვა ბევრს ადმინისტრატორს თავის „წმინდა" მოვალეობად მიაჩნია.

წარმოებაში, სადაც ათასობით მუშა ხელი ტრიალებს, ბევრი იქნება „ნათლიმამობით" შემოპარული მომუშავე და არის კიდეც. საჭიროა მარგანეც-ტრესტმა ამ გარემოებას მიაქციოს დროზე ყურადღება.

საწარმოო თათბირების მითითებებისადმი ყურადღებით მოპყრობა, შრომის ნაყოფიერების სწორი აღრიცხვა და დისციპლინის განმტკიცება, თავდებია შეჯიბრების წარმატებით ჩატარებისა.

მეგობარი.

შეჯიბრება საქართველოსა და აზერბეიჯანის ინჟენერ-ტეხნიკოსებს შორის

9 აგვისტოს საღამოს ჩოდრიშვილის და კეცხოველის სახელობის ტრამვაელთა კლუბში მუშათა ფართო აქტივის თანდასწრებით მოხდა საზეიმო ხელისმოწერა საქართველოს და აზერბეიჯანის კომუნალური მეურნეობის ინჟენერ-ტეხნიკოსთა რესპუბლიკანურ ბიუროებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა იკისრეს ვალდებულება გაუწიონ კულტურული სამსახური სოციალისტურ შეჯიბრებას საქართველოს და აზერბეიჯანის კომუნალური მეურნეობის საწარმოებში, მოსპონ ტეხნიკური უცოდინარობა მუშათა ფართო მასებში და ხელი შეუწყონ ტეხნიკური ცოდნის პოპულარიზაციას მათ შორის სისტემატიურად გააკეთონ მოხსენებები მეცნიერებისა და ტეხნიკის უახლოესი მიღწევების შესახებ.

ხელშეკრულების განხილვა გადაიქცა მუშებისა და ინჟენერ-ტეხნიკოსების ნამდვილ დაკავშირებად.

ხელშეკრულების მუხლების განხილვაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ მუშებიც. ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა მუშების ბევრი წინადადებანი.

სას.-სამეურნეო კოოპერაცია შეჯიბრებაში

(საქართველო - აზერბეიჯანი)

საქართველოს „სოფლის კავშირმა" სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აზერბეიჯანის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია „კიბირლიგი". შეჯიბრების ხელშეკრულების დასადებად ამ დღეებში ბაქოდან ჩამოვიდა „კიბირლიგი"-ს თანამშრომელთა დელეგაცია სამი კაცის შემადგენლობით. პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულება განხილული და მუხლობრივ დამუშავებული იქნა „სოფლის კავშირი"-ს თანამშრომელთა გაფართოებულ კრებაზე. თანამშრომლებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ხელშეკრულების განხილვაში და შეიტანეს მრავალი შესწორებები და დამატებანი.

გუშინ, „სოფლის კავშირი"-ს შენობაში მოხდა საზეიმო ხელის მოწერა შეჯიბრების ხელშეკრულებაზე. შეჯიბრებაში გათვალისწინებულია შემდეგი მუხლები: ღარიბის გლეხობის და მოჯამაგირეების რიცხვის გადიდება კოოპერაციაში 30 პროცენტით; ყველა სისტემის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში წევრთა რიცხვის გადიდება არა ნაკლებ 12 პროცენტისა; საპაიო გადასახადების აკრეფის გადიდება 25 პროცენტით; ვადაგასული ვალების შემცირება 50 პროც.; ღარიბებს გლეხობაზე სამეურნეო დახმარების გაუმჯობესება; ანგარიშწარმოების გაუმჯობესება ისე, რომ წლიური ბალანსები ადგილებიდან წარმოდგენილ იქნეს სათანადო ორგანოში არა უგვიანეს პირველ იანვრისა; სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში ჩაბმულ წევრთა სოციალურ შემადგენლობის შესწავლა; კოოპერაციის წევრთა შორის სასოფლო მეურნეობის განვითარების ხუთ წლიანი გეგმის განხილვა და მისი პოპულარიზაცია ღარიბებს გლეხთა შორის და სხვ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი ორივე მხარე მთელი ასი პროცენტით შეასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებას.

ნაკლი ამთავითვე გამოვასწოროთ

(გორის კონსერვის ქარხანა)

ამჟამად გორში შენდება კონსერვების დიდი ქარხანა. ამ ქარხანაში უნდა დამზადდეს ყოველგვარი კონსერვები, როგორც ხილის, აგრეთვე ბოსტნეულის, პომიდორის და ხილის პიურეები. ქარხანამ უნდა დაამზადოს ყოველ სეზონურად 2.000 ტონა დაკონსერვებული პროდუქცია. აქედან 800 ტონა ხილის კონსერვები, 800 ტონა ბოსტნეულის კონსერვები და 400 ტ. სხვადასხვა პიურეები და სხვ. 2.000 ტონა დაკონსერვებულ პროდუქციისათვის საჭირო იქნება 1.000 ტონა ხილი და 2.000 ტონა ბოსტნეული, სულ 3.000 ტონამდე ნედლი მასალა.

რასაკვირველია ასეთი დიდი ქარხნის აშენება-მოწყობას გორის მაზრისათვის და მის სასოფლო მეურნეობის ტეხნიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხსენებული ქარხანა ყოველთვის იქნება უზრუნველყოფილი დასამუშავებელი მასალებით.

1928 წელს მთელს საბჭოთა კავშირში, მუშაობდა კონსერვების 56 ქარხანა, ამათში მხოლოდ 12 ქარხანაა მეტი საწარმოო ძალისა, ვიდრე გორის ახალი ქარხანა; სამაგიეროდ უკანასკნელი ხილის კონსერვების დამზადებაში, როგორც საწარმოო ძალით, ისე მექანიკურ მოწყობილობითაც პირველი იქნება მთელს კავკასიაში.

ქარხანა მოწყობილი იქნება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მაგრამ ამავე დროს მას აქვს მეტად მნიშვნელოვანი ტეხნიკური დეფექტებიც, რომლის გამოსწორებას ამთავითვე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ეს დეფექტები გამოიხატება შემდეგში: როგორც საექსპორტო, აგრეთვე შინაური ბაზრისათვის კონსერვების დასამზადებლად საჭიროა ნედლი მასალის ქიმიური შემადგენლობის გამოკვლევა და შესწავლა. ამასთან ერთად ქარხანას მოუხდება მთელი რიგი ახალი სახის საექსპორტო კონსერვების დამზადება, რისთვისაც საჭიროა უცხოეთის კონსერვების შემადგენლობის და დამზადების ტეხნიკის შესწავლა. ამას გარდა გორის ქარხანამ, თავის ნაწარმოების ასორტიმენტის გასაძლიერებლად და ბაზრის გასაფართოებლად უნდა შემოიღოს აზიური გემოვნების კონსერვების დამზადება და ჩვენებური ტყის გარეული ხილის დამუშავება (შინდი, მაყვალი, ტყემალი, კვრინჩხი, მოცვი და სხვა), რომელსაც დიდი მოთხოვნილება ექნება სხვადასხვა ტეხნიკური მიზნებისათვის.

ყველა აღნიშნულ ექსპერიმენტარული მუშაობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ქარხანასთან მოწყობილი იყოს საჭმელ პროდუქციის ქიმიური და ტეხნიკური ლაბორატორია. ასეთი ლაბორატორიები მოწყობილია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ისეთ საწარმოო ძალის ქარხნებთან, როგორი ძალისაც შენდება და ეწყობა გორის კონსერვების ქარხანა. როგორც საამშენებლო პროექტიდან სჩანს, ასეთი ლაბორატორია გორის ქარხანასთან არ იქნება მოწყობილი, რაც წარმოების მეცნიერულად მოწყობის თვალსაზრისით დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

გორის კონსერვების ქარხანას დასჭირდება 2.000 ტონა სხვადასხვა ხილი და ბოსტნეული, რომელიც დამუშავებისას მისცემს საშუალოდ 15 პროც. ნარჩენს (ქერქი, გული, დამპალი და სხ.), რაც შეადგენს წონით 300 ტონას. ახალი ქარხნის საამშენებლო პროექტით სრულებით გამოტოვებულია ასეთი ნარჩენების საუტილიზაციო მოწყობილობანი (ხილის ნარჩენებისაგან სპირტის გამოხდა, ბოსტნეულის ნარჩენებისაგან საქონლის საკვების და სასუქის პროდუქციების დამზადება და სხვა), რაც უნდა ჩაითვალოს ახალი ქარხნის დიდ მნიშვნელოვან ნაკლად, რაციონალიზაციის მხრივ.

კონსერვების ქარხნის საამშენებლო პროექტში სრულებით გამოტოვებულია აგრეთვე ბოსტნეულის [illegible] საწყობი იმ მოსაზრებით, რომ ბოსტნეული ყოველდღიურად უნდა მიდიოდეს ქარხანაში დასამუშავებლად. ჩვენი მეურნეობის სინამდვილიდან კი, როდესაც საქმე გვაქვს კერძო სოფლის გლეხურ მეურნეობასთან და ავდრიანობის დროს უგზოობასთან, ქარხანას აუცილებლად დასჭირდება ბოსტნეულის 2—3 დღის მარაგი. ასეთი მარაგი ყოველ შემთხვევაში უნდა იქონიოს ისეთი ბოსტნეულის მაინც, როგორიც არის ხახვი, სტაფილო, ნიორი, გამხმარი წიწაკა და სხვა, რომელიც დიდი ხნობით ინახება და არ ფუჭდებიან. ასეთი ნაკლი, რასაკვირველია, უარყოფითი გავლენას მოახდენს ქარხნის საექსპლოატაციო საქმიანობაზე.

ქარხანაში მომუშავეთ საქმიანი დამოკიდებულება აქვთ ზეთთან, შაქრის წვენთან, ხილის წვენთან, რომლითაც ზოგიერთა კვალიფიკაციის მომუშავენი (კოლოფების მზებდავები, ბოსტნეულის მჭრაკავები, სტერილიზაციაზე მომუშავენი და სხვა) ისე ისვრებიან, რომ მათი დაბანვა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამისათვის კონსერვების ქარხანასთან მოწყობილი უნდა იყოს აბანო. (საამშენებლო პროექტში ასეთი მოწყობილობანი არ არის გათვალისწინებული).

ქარხნის შენობები შედგება მხოლოდ საწარმოო შენობებისაგან, მასთან არ იქნება მოწყობილი მუშებისათვის არც სასადილო, არც კულტურული და ფიზიკური დასასვენებელი ბინები, რის გამოც ტეხნიკური და ადმინისტრატიული ძალა არ იქნება მთლიანად დაკავშირებული ისეთ სეზონურ და დღე და ღამ სამუშაო წარმოებასთან, როგორიც არის საკონსერვო ქარხანა.

რასაკვირველია, მოთხოვნა იმისა, რომ ქარხანასთან გაიმართოს საცხოვრებელი ბინები, რომელსაც დასჭირდება ძალიან დიდი თანხა, დღევანდელ ეკონომიურ პირობებში, შეუძლებელია და ამიტომ ქარხანა უბინაოთ ჯერჯერობით იოლათ უნდა წავიდეს. მაგრამ ლაბორატორიის, საუტილიზაციო მოწყობილობის და ბოსტნეულის საწყობების გაუმართავათ ახალ ქარხნის ამუშავება რაციონალურ ნიადაგზე შეუძლებელია და თუ ეს ნაკლი არ გამოსწორდა, მისი საუკეთესო მექანიზაცია დაკარგავს თავის მნიშვნელობას.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას დასჭირდება არა უმეტეს 25.000 მანეთისა, რომელი თანხაც შედარებით ქარხნის საამშენებლო ხარჯთ-აღრიცხვაში გათვალისწინებულ 700.000 მან. ჯამთან უმნიშვნელოდ უნდა ჩაითვალოს. საკონსერვო ქარხნის მთლიანი მექანიზაციისათვის და მის წარმოების რაციონალიზაციის შესაძლებლად, ეს უმნიშვნელო თანხა აუცილებლივ უნდა გამოინახოს.

ეშ. ბერიტაშვილი.

ხელს უწყობთ ფაბრიკის რეკონსტრუქციას

(ქუთაისის მაუდის ფაბრიკა)

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის რეკონსტრუქციისათვის ხელის შეწყობის მიზნით 2 აგვისტოს ამავე ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო საწარმოო თათბირზე მოხსენება გააკეთა საფეიქრო ტრესტის მმართველმა ამხ. რუხაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა სხვადასხვა დამაბრკოლებელი მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის რეკონსტრუქციის განხორციელებას და მოუწოდა თათბირს საწინააღმდეგო ღონისძიებათა გამონახვისაკენ.

თათბირმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელიც ხელს შეუწყობს ფაბრიკის რეკონსტრუქციას. მუშები თანდათანობით ეცნობიან რეკონსტრუქციის გენერალურ გეგმას. შეჰქვთ მათში თავიანთი დამატებითი შესწორებანი და სხვა.

ირკვევა, რომ ფაბრიკის რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ, ფაბრიკის მანქანების დალაგება და საწარმოო განყოფილებათა მოწყობილობა მეტი რაციონალური იქნება, ვიდრე თბილისის მაუდის ფაბრიკის საწარმოო განყოფილების მოწყობილობა. ფაბრიკის რეკონსტრუქცია ტრესტს უჯდება დიდი თანხა.

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ახალ ფაბრიკა-ქარხნების აგებას, ძველების რეკონსტრუქციას, სოფლის მეურნეობის გაფართოებას და სხ. მოითხოვს ახალი სახსრების გამონახვას საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასების აქტიური მატერიალური დახმარების საფუძველზე. ეს სახსრები კი არის შინაური სესხი.

ჩვენი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა კარგად შეიგნეს, რომ საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის ძირითადი საფუძველია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ამიტომ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ამავე საწარმოო თათბირმა ერთხმად დაადგინა მოაწერონ ხელი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე თითო თვის ხელფასის რაოდენობით. ამ კამპანიის ჩასატარებლად თათბირმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელიც თავის მუშაობას უკვე შეუდგა.

მესამე სესხზე ხელის მოწერის კამპანიის განვითარების მიზნით თათბირმა გამოიწვია ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოსაწერად განჯის მაუდის ფაბრიკის მუშები.

ყველა ეს მოწმობს იმას, რომ ფაბრიკის რეკონსტრუქციის დაწყებული საქმე იქნება ბოლომდე დაყვანილი. მხოლოდ ადგილობრივად საჭიროა მეტი ფხიზელი ხელმძღვანელობა და ყველა ჩვენგანის მეტი ძარღვების დაჭიმვა.

ალ. შენ—ძე.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

ფინმუშაკების ამოცანები სესხის რეალიზაციაში

ა. კ. ფინსახკომმა მოწოდებით მიმართა ყველა ფინორგანოების, საკრედიტო დაწესებულებების, შემნახველ სალაროების და სხვა ორგანიზაციების მუშაკებს, რომლებსაც მინდობილი აქვთ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციისათვის ხელის შეწყობა. მოწოდებაში ნათქვამია, რომ სესხის წარმატებით რეალიზაციის უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღების და აქტივობის მობილიზაციას ამ საქმის გარშემო. ფინორგანოების მუშაკებმა კამპანიის განმავლობაში მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. წარმოება-დაწესებულებებში დასაყრდენ წერტილს წარმოადგენენ სესხის ხელის შემწყობი კომისიები. კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ შეჯიბრებას რესპუბლიკებს, ქალაქებს, წარმოებებს, მაზრებს, თემებს და სოფლებს შორის; სესხზე ხელის მოწერა, ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, წარმოადგენს ძირითად ლოზუნგს, მაგრამ ამ ლოზუნგის შესრულებისათვის არ შეიძლება დარღვეული იქნეს ნებაყოფლობითი პრინციპი. ფინმუშაკებმა ყოველივე ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ მშრომელთა შორის ფართე ახსნა-განმარტებები იქნეს ჩატარებული ამ სესხის მნიშვნელობაზე. განსაკუთრებით სერიოზული მუშაობა ამ მხრივ სოფლად უნდა ჩაატარონ სა.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებმა, რომლებიც თავიანთ რაიონში უნდა გადაიქცნენ ოპერატიულ ცენტრად სესხის განაწილების საქმეში.

ახალი სესხის რეალიზაციის დროს ფინმომუშავეებს უნდა ახსოვდეს, რომ მესამე სესხის წარმატებით ჩატარება ჰკარგავს თავის მნიშვნელობას იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება წინა სესხების ობლიგაციების არ შენახვას, ამიტომ მესამე სესხის რეალიზაციასთან ერთად ფინმომუშავეებმა სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით უნდა განმარტონ მშრომელთა შორის წინა სესხების შენახვის საჭიროება.

როგორ მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია

თბილისი

● „განათლების მუშაკი"-ს თანამშრომელთა გამოწვევის თანახმად, გაზეთ „ენიკენდ"-ის თანამშრომლები ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელს აწერენ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით—სულ 1340 მანეთზე.

● თამბაქოს ტრესტის მუშა-მოსამსახურეებს შორის უკვე დაიწყო ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. არიან ისეთი თანამშრომლებიც, რომლებმაც თვე-ნახევრის ხელფასით მოაწერეს ხელი. ერთ-ერთმა თანამშრომელმა, მესამე სესხის გარდა, განმეორებით მოაწერა ხელი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე. ამჟამად ხელმოწერა აღწევს 8,500 მანეთს.

● „გუტ-ტრანსპორტი"-ს თანამშრომელთა გამოწვევის თანახმად ახალ „სან-ტრანსპორტ"-ის თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით (2345 მანეთზე).

● თბილისის დეპოს მემანქანეთა თანაშემწენი: გრ. ქუთათელაძე და შ. ნიკოლაიშვილი ხელს ვაწერთ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე თვიური ორასი მანეთის რაოდენობით და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს: ი. მაღლაკელიძეს, ი. კაკაბაძეს, კ. კაკაბაძეს, ი. სალარეიშვილს, ს. კონიაშვილს ,მ. ივანელაშვილს და კ. მინაშვილს.

ხელს ვაწერთ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე თვიური ორასი მანეთის რაოდენობით და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს დეპოთიდან: სიგუას, ბ. კვაჭაძეს, სიკო ხუციშვილს, ნ. ვაჩნაძეს, გ. გოჯოევს, სიომნ ნანომრაძეს, ვ. ბაზარელს, გრიშა მანდენოვს, ეპ. ართვაძეს, ქრისტეფორე თათანეიშვილს, ცხოვრებოვს, გრიგოლ დურგლიშვილს, ნიკო ჩიხელს, ვლ. იურგენს, ეპიფ. გელეყვას, სერგო ბრეგვაძეს, ვ. ცქიტიშვილს, არკ. ათაბეგოვს, რეზ. კორინთელს სიმონ მახარაშვილს, ზენია მუხუხლას, მან. ნინიძეს, გიორგი ბოძაშვილს, ვანო გეჯაძეს, გიგო ცატუროვს, ნანო გვრიტიშვილს, ერმილე დადანიძეს, გიორგი აბაზაძეს და გ. გვარამაძეს— თბილისიდან ამხ. გრიგოლ კარანაძეს, ხაძაგლიშვილი, მ. ჭინჭველეიშვილი, დ. კუტაძე, მ. აფციაური, ი. კარიაული, ვ. მანჯგალაძე და შიო ყარსიმაშვილი.

კოლექტიურად ინახავენ ობლიგაციებს

სხვადასხვა კოლექტივების მიერ სახელმწიფო ბანკში შესანახად შეტანილია ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის 35.000 მანეთის ობლიგაციები.

ადგილებზე

● სახელმწიფო ბანკის ზესტაფონის სააგენტოს თანამშრომლებმა (8 კაცმა) ხელი მოაწერეს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე 1150 მანეთის რაოდენობით („მათი თვიური ხელფასი კი უდრის 880 მანეთს) და იწვევენ: სახელმწიფო ბანკის ჭიათურის სააგენტოს, ზესტაფონის სას.-სამ. ბანკის, საზოგადოება „იმერეთის" და სამაზრო აღმასკომის თანამშრომლებს.

სოფელ ავლევის გლეხობის დევიზი

ამხ. ფ. მახარაძეს, გორის მაზრის სოფელ ავლევის მშრომელი გლეხები გავეცანით ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის მნიშვნელობას, შეგნებულად ვიგებებით მას, ვიძენთ ობლიგაციებს და ვიწვევთ სხვა სოფლებს.

კრების დავალებით გრძელიშვილი.

ახალი სამუშაოები სამთო მრეწველობაში

დასავლეთ საქართველოდან დაბრუნდა სამთო-ქიმიური ტრესტის მმართველი ამხ. ი. ჭელიძე, რომელმაც ჩაიბარა და დაათვალიერა ბარიტის მადნისა და გუმბრის თიხის სამუშაოები. ამხ. ი. ჭელიძის გადმოცემით, ამჟამად ბარიტის მადნის მაღაროების რაიონში დაწყებულია ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის ხაზების გაყვანა, რომლის საშუალებითაც იწარმოებს მადნის მაღაროებიდან ამოღებული მადნის გადაზიდვა საჰაერო რკინის გზის სადგურამდე. საჰაერო რკინის გზის გაყვანა დაწყებულია სოფ. მექვენნასა და ნამახვანს შორის მდ. რიონზე წყლტარის რაიონში.

ვიწროლიანდაგიან რკინის გზებზე პატარა ვაგონებით მიზიდულ ბარიტს თავს მოუყრიან რიონის მარცხენა მხარეზე მთის იმ მწვერვალებზე, საიდანაც იწყება საჰაერო რკინის გზა. აქედან მას საჰაერო რკინის გზის საშუალებით მექანიკურად გადასცემენ რიონის მარჯვენა ნაპირზე, სადაც აგებული იქნება მცირე ძალოვანი ელექტრო სადგური და ბარიტის მექანიკურად სარეცხი ქარხანა. ვიწროლიანდაგიან გზებზე მოძრაობა და საჰაერო რკინის გზის ამუშავება დაიწყება სექტემბერიდან.

უკვე ამუშავებულია აგრეთვე ქუთაისში ახლად აგებული ბარიტის საფქვავი ქარხანა, რომელიც იძლევა მაღალხარისხოვან ფქვილ ბარიტს.

სამთო-ქიმიურ ტრესტს დასახული აქვს მიზნათ, რომ ფართო ლიანდაგზე დააყენოს გუმბრის თიხის დამუშავების საქმე.

გუმბრის თიხას, ანუ გუმბრინს, როგორც მას ოფიციალურად უწოდებენ, ხმარობენ ნავთის მრეწველობაში, ვაზელინის ნავთის პროდუქტების გასაწმენდათ. ასეთი მადანი მოიპოვება მხოლოდ ამერიკაში (ფლორიდაში) და დღემდე აღნიშნულ მადნის გავრცელება-გასაღებაში ამერიკას ჰქონდა მონოპოლიური მდგომარეობა. ამ რამოდენიმე თვის წინათ მოხდა გუმბრინის და ამერიკიდან შემოტანილი ასეთივე თიხის საბოლოო გამოცდა ამერიკულ ნავთის მრეწველთა საზოგადოებაში „სტანდარტ ოილ"-ის ქარხნებში. გამოცდამ ცხადყო, რომ გუმბრინი თავის ღირსებით სჯობია ამერიკულ თიხას (ფლორიდინს) 75 პროცენტით. ამის გამო სამთო-ქიმიურმა ტრესტმა მიიღო მრავალი წინადადებები გუმბრინის შეძენის შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ტრესტს არა აქვს საშუალება დააკმაყოფილოს ყველა შემკვეთელი ორგანიზაციები და საზოგადოებები.

მიმდინარე სამეურნეო წლის ბოლომდე ტრესტმა გადაწყვიტა ამოიღოს და დაამზადოს 4.000 ტონა გუმბრინი, რომ შესაძლებელი გახდეს, როგორც საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობის ნაწილობრივი დაკმაყოფილება, ისე ამერიკულ საზ-ბა „სტანდარტ ოილ"-ისათვის თიხის მარაგის მიწოდება.

სამთო მრეწველობის დარგში დაწყებულ სამუშაოთა ასეთი გაფართოების გამო, ტრესტმა მოახდინა ქუთაისში არსებულ მადნეულობის დამუშავების სამმართველოს რეორგანიზაცია და ცალ-ცალკე ჩამოაყალიბა—ბარიტის მადნეულობის და გუმბრინის სამუშაოთა სამმართველოები. ცალკე ერთეულათაა გამოყოფილი აგრეთვე ბარიტის საფქვავი ქარხანა.

ზაჰეს-რიონჰესის ენერგიის გადამცემი ხაზი

ზაჰეს-რიონჰესის ელექტრო-ენერგიის გადამცემი ხაზის აგება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. 1025 ანძიდან, რომელიც საჭიროა გადამცემი ხაზისათვის, საქართველოს ლითონტრესტის ანძების საამშენებლო ქარხნის მიერ უკვე დამზადებულია—800. ადგილებზე უკვე მიტანილია 600 ანძა და დადგმულია—300.

ანძების დამზადება და მათი დადგმა ხელშეკრულების თანახმად უნდა დამთავრდეს ამ წლის 1 ოქტომბრისათვის.

1930 წლის მარტიდან სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის ბიურო შეუდგება ხაზზე სამონტაჟო სამუშაოებს. ხაზისათვის საჭირო იზოლიატორები დაკვეთილი აქვს სახელმწიფო ელექტროტეხნიკურ ტრესტს და მათი გამოგზავნა დაიწყება ამა წლის ნოემბრიდან.

პირველ რიგში ხაზი გამართული იქნება—40 კილომეტრის მანძილზე ზაჰესიდან—სად. კასპამდე და მთელი ხაზის დამთავრებამდე ამ უბანზე იწარმოებს ზაჰესის ენერგიის გადაცემა კასპში, ადგილობრივი ცემენტის ქარხნისათვის.

ენერგიის გადამცემი ხაზის გამართვით ამ უბანზე საჭირო აღარ არის გათვალისწინებული, კასპის ცემენტის ქარხნისათვის საჭირო ცალკე ხაზის გაყვანა და ამით შესაძლებელი გახდება 300.000 მანეთის დაზოგვა.

საქ. ცაკში

ამიერ-კავკ. საადგილმამულო და სატყეო კომისიაში

ამიერ-კავკ. ცაკთან არსებულ საადგილმამულო და სატყეო კომისიაში საქართველოს წარმომადგენლებათ, საქართველოს ცაკმა დანიშნა — ამხ. ს. ჯუღელი, ვ. ვაშაკიძე და ვიქ. სიხარულიძე.

აღნიშნული კომისიის კომპეტენციაში შედის ამიერ-კავკასიაში საადგილ-მამულო და სატყეო საკითხების მოგვარების საქმე.

ბინები ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთათვის

საქართველოს ცაკმა დააკმაყოფილა ქუთაისის აღმასკომის შუამდგომლობა, გასულ წელს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთათვის 150 საცხოვრებელი ოთახის გამოყოფისა და გადაცემის შესახებ.

ამას წინეთ ქუთაისის აღმასკომს უფლება მიეცა ამავე მიზნით შეექმნა ასი ოთახისაგან შემდგარი საცხოვრებელი ბინების ფონდი, რაც უნდა გადაცემოდა ხანძრისაგან დაზარალებულებს. სულ, ამჟამად ხანძრისაგან დაზარალებულებს მიეცათ 250 ოთახი.

თემის სახელწოდების შეცვლა

საქართველოს ცაკმა დააკმაყოფილა ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა მიქელ-გაბრიელის თემის სახელწოდების შეცვლის შესახებ. მიქელ-გაბრიელის თემს ამიერიდან ეწოდება შრომის თემი.

სამრეწველო მშენებლობის ტრესტის დაარსება

15 აგვისტოდან თბილისში არსდება „სამრეწველო მშენებლობის ტრესტი", რომელიც შეასრულებს ამჟამად არსებული ს.მ.უ.ს. ახალმშენებათა სამმართველოს ფუნქციებს. ს.მ.უ.ს ახალმშენებათა სამმართველო ამავე რიცხვიდან გაუქმებული იქნება.

ახალი ტრესტის მმართველად ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. მ. გარინი, ხოლო მის მოადგილეთ და ტრესტის მთავარ ინჟენერათ —ინჟ. მიხ. ჩიკვაიძე.

საქ. სახკომსაბჭოში

დაწესებულებებში საამხანაგო სასამართლოების მოწყობის შესახებ

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მოიწონა პროექტი დადგენილებისა სახელმწიფო, კოოპერატიული და საამხანაგო სასამართლოების დაარსების შესახებ.

ეთხოვა პროფკავშირთა საბჭოს მიიღოს ზომები ამ საქმის პოპულარიზაციისათვის.

ამხ. გ. დევდარიანის დანიშვნა

მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილედ დაინიშნა ამხ. გ. დევდარიანი.

გადასახლების საქმის გამომკვლევი კომისია

დაევალა კომისიას ამხ. ს. ჯუღელის (თავმჯდომარე), დევდარიანის (მ.-გ. ინს.), მესხის (ფინსახკომი), ჩხეიძის (სტატ. სამმ.), ათოევის (შრომის ს.კ.), გოგიას (წყალთა სა.მ.), და ინჟ. ალშიბაიას შედგენილობით შეისწავლოს საკითხი საქართველოს ფარგლებიდან გლეხების გადასახლების საჭიროებისა და მიზანშეწონილობის შესახებ.

საამშენებლო კრედიტებიდან რეზერვის დასაარსებლად საჭირო 750.000 მან. განაწილება

ადგილობრივ ბიუჯეტის საამშენებლო კრედიტებიდან რეზერვის დასაარსებლად საჭირო 750.000 მან. განაწილებულ იქნა შემდეგი სახით: ახალციხის მაზრას—9.770 მან., გორის მაზრას—3.580 მან., კახეთის მაზრას—9.320 მან., ქუთაისის მაზრას—84.650 მან., შორაპნის მაზრას—14.240 მან., რაჭა-ლეჩხუმის მაზრას—7.020 მან., ზუგდიდის მაზრას—7.250 მან., სენაკის მაზრას—7.300 მ. ოზურგეთის მაზრას—3.250 მან., სვანეთის—3.030 მან., ქ. ფოთს—16.140 მან., სამხრეთ-ოსეთს—3.720 მან. აჭარისტანს—146.180 მან. აფხაზეთს—47.890 მან. და თბილისს—376.730 მან.

ოზურგეთის მაზრაში ინვენტარიზაციისათვის გაღებული 30.000 მან. გამოყენების შესახებ

ოზურგეთის მაზრის ინვენტარიზაციისათვის გაღებული კრედიტი — 30.000 მან. რაოდენობით განაწილებულ იქნა შემდეგი სახით: ლანჩხუთის საკრედიტო ამხანაგობას მეფრინველეობისათვის 5.000 მან., ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობას მეღორეობისათვის 7.000 მან., მეფრინველეობისათვის—10.000 მან. და ღვინის სარდაფის ასაგებად ([illegible]) 8.000 მან.

რა ხდება ადგილებზე

პროფკავშირთა კონფერენცია

ფოთი, 9 აგვისტო. დამთავრდა პროფკავშირთა მეცხრე სამაზრო კონფერენცია. დღის წესრიგში იყო: საქართველოს პროფსაბჭოს, ადგილობრივი პროფბიუროს სალაროს ანგარიშები და სხვ.

კონფერენციას 173 დელეგატი დაესწრო.

ადგილობრივ ბიუროს მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 30 ამხანაგმა, რომლებიც წინადადებას იძლეოდნენ—გაძლიერდეს მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების ხაზით, რომელიც საერთოდ ფოთში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. გამოითქვა აგრეთვე აზრი თვითკრიტიკის გაფართოვების საჭიროების შესახებ და სხვ. ყველა დელეგატი, რომელმაც შრომის ინსპექტორის მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღო, აღნიშნავდა, რომ შრომის ინსპექტორი სუსტად აკმაყოფილებს ფოთის საჭიროებებს შრომის დარგში, რადგან მას მუშაობა უხდება სენაკის მაზრაშიაც და ფოთშიაც. წინადადებას იძლეოდნენ, რომ ფოთისათვის ცალკე ინსპექტორი დაინიშნოს.

დადგენილ იქნა—ყოველთვიურად ერთი დღის ნამუშევარი გადაირიცხოს სპეციალურ ფონდში აეროპლანის „ფოთის პროლეტარის" ასაგებად. ახალ გამგეობაში აირჩიეს 21 წევრი და 7 კანდიდატი. (ადს).

პარტგანათლების ძირითადი ქსელის პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსები

ს.კ.პ. (ბ) ც.კ. აგიტპროპბეჭდვითი განყოფილება და პოლიტგანათლების მთავარსამმართველობა იუწყება, რომ ა.-წ. 15 აგვისტოდან დაიწყება მეცადინეობა პარტგანათლების ძირითადი ქსელის პროპაგან. ერთთვიან კურსებზე. ძველი შემადგენლობის პროპაგანდისტებიდან მოწვეულია მხოლოდ ზოგიერთები (რომელთა გადამზადება აუცილებლობას წარმოადგენს). გარდა ამისა მოწვეული არიან ახალი მუშაკებიც, სახელდობრ:

1) არკადი სტურუა, 2) ილია ტატიევი, 3) გიორგი ჯიბლაძე, 4) თეოფანე ქითანავა, 5) ნიკოლოზ ხუბულავა, 6) ნოე მექვაბიშვილი, 7) ამბროსი დონდუა, 8) სიმონ ბერუთაშვილი, 9) ვარდენ ჯატიევი, 10) ლევან ზარკალაია, 11) გიორგი ლობჟანიძე, 12) სერგო მეტრეველი, 13) სერგო კალანდაძე, 14) კარპეზ შეყლაშვილი, 15) ივანე კარიაული, 16) პანტელეიმონ კვინტრაძე 17) პეტრე კახიძე, 18) გეურქ ტატარიანი, 19) შიხლინსკი ([illegible]), 20) არტ აირაპეტიანი, 21) ივანე [illegible], 22) თედავოზ გალუსტიანი, 23) ალი ხიეიძე, 24) მამედ გასანოვი, 25) გრიგოლ ქელიძე, 26) არჩილ ცუცქირიძე, 27) გიორგი თაყაური, 28) ზაქრო სვიმონიშვილი, 29) კაპიტონ ქადიაშვილი, 30) მიხეილ კვაშალი, 31) ხესტორ ჯიბაშვილი, 32) კოტე პერანიძე, 33) ყოიდენ მაისურაძე, 34) იოსებ გაბრიჩიძე, 35) გიორგი ლობჟანიძე, 36) ზაქრო ქოჩორაშვილი, 37) ოსმან ჯაყელი, 38) ვასილ მაღრაძე, 39) ბონდო ცხაკაია, 40) შალვა კუხალეიშვილი, 41) გიორგი გვარამაძე, 42) ნიკოლოზ დოსტუტაძე, 43) გრიგოლ გოგიაშვილი, 44) კოლია მირცხულავა, 45) ვარდენ კიკნაძე, 46) იროდი ხეფარიძე, 47) იაკობ ელიოზაშვილი, 48) სარქის ქალანტარი, 49) გალაქტიონ ხოშტარია, 50) ელია გვენცაძე, 51) იოსებ გულიაშვილი, 52) [illegible].

გარდა ზემოაღნიშნული ამხანაგებისა ქვემოთ ჩამოთვლილმა მაზრებმა და ოლქკომებმა უნდა შეარჩიონ და გადმოგზავნონ:

1) აჭარისტანის ოლქკომმა—4 აჭარელი, 1 ბერძენი და 1 ქართველი;
2) აფხაზეთის ოლქკომმა—3აფხაზი, 1 ბერძენი, 1 სომეხი,1 რუსი და 1 ქართველი;
3) ოსეთის ოლქკომმა—3 ოსი;
4) თბილისის ოლქკომმა—2 თურქი, 1 სომეხი, 1 ბერძენი, 1 რუსი;
5) ახალციხის მაზრკომმა—1 თურქი;
6) ახალქალაქის მაზრკომმა—1 სომეხი, 1 თურქი;
7) გორის—1 ოსი;
8) კახეთის ოლქკომმა—1 ოსი, 1 რუსი და 1 თურქი;
9) ქუთაისის ოლქკომმა—1 ებრაელი;
10) წითელი არმია—[illegible] დივიზიიდან ორ-ორი კაცი.

კურსებზე მივლინებული აუცილებლად უნდა იყვნენ პარტ. წევრები ან კანდიდატები. განათლების მხრივ კი უნდა ჰქონდეთ დამთავრებული არა ნაკლებ მეორე საფეხურის პარტიული სკოლისა.

კურსანტები უნდა გამოცხადდნენ 15 აგვისტოს ც. კ.-ს აგიტპროპ. ბეჭდვითი განყოფილებაში (ოთახი № 13) ამხ. დ. კომახიძესთან (ან კურსების საერთო საცხოვრებელში. ენგელსის ქუჩა № 28).

კურსანტებმა თან უნდა იქონიონ საზაფხულო საბნები, ბალიშები და თეთრეული.

მუშათა ბრიგადების გაგზავნა სოფლად

ქალაქის რაიონის საშეფო ორგანიზაციამ უკვე დაამთავრა წინასწარი სამზადისი საშემოდგომო თესვისათვის და გუშინ უკვე გაგზავნა სოფლად მუშათა სარემონტო ბრიგადები. ჯერ-ჯერობით გაგზავნილია 7 სარემონტო ბრიგადა. მომავალ კვირას გაიგზავნება დამატებით სამი სარემონტო მუშათა და სამი აგრონომთა ბრიგადა. ამჟამად გაგზავნილთა შორის არიან ექიმები, აგრონომები და კვალიფიციური მუშები: ზეინკლები, მჭედლები, კალატოზები და სხვ. ბრიგადები გაემგზავრნენ შემდეგ ადგილებში: ალბულაღში, ყარაიაზში, მუხროვანში, ბაზალეთში, გომბორში, საგურამოში და მჭადიჯვარში.

პურის წიგნაკების ბოროტად გამოყენება

თბილისში თავი იჩინა პურის წიგნაკების ბოროტად გამოყენებამ. ბოროტი პირები ათას გვარ მაჰინაციებს მიმართავენ იმისათვის, რომ კოოპერაციას როგორმე წაგლიჯონ ზედმეტი შაქარი ან პური.

მუშკოოპთან არსებული პურის წიგნაკების გამნაწილებელი სექცია ენერგიულად ებრძვის ბოროტმოქმედების ამ ახალ სახეს. სექციაში უკანონოდ გამოყენებისათვის ჩამორთმეული წიგნაკების მთელი გროვა მოიპოვება.

წიგნაკების ბოროტად გამოყენების მრავალი ფორმებია, მაგრამ უმეტესად გავრცელებულია სამი ფორმა: პირველი მდგომარეობს იმაში, რომ წიგნაკებში აკერებენ ახალ, გამოუყენებელ ფურცლებს და ამგვარად წიგნის პატრონს შაქარი ულუფა გამოაქვს თვეში ორჯერ. ჯერ ჯერობით ასეთი ბოროტმოქმედების 20 შემთხვევაა გამორკვეული.

შემდეგ ძალიან გავრცელებულია წიგნაკებში მკვდარი, არ არსებული ოჯახის წევრების, ან სოფლად მოსიარულე წევრების ჩაწერა. ასეთი 150-ზე შემთხვევაა გამორკვეული.

არის აღმოჩენილი აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ერთ პირს რამოდენიმე წიგნაკი აქვს გატანილი. ასეთი 60 შემთხვევაა გამორკვეული.

ასანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი მოსამსახურეები, რომლებიც დებულებით ეკუთვნით „ბ" ჯგუფის წიგნაკები, სარგებლობენ „ა" ჯგუფის წიგნაკებით. ამ შემთხვევაში უმთავრესი ბრალი მიუძღვით საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებს, რომლებიც ნაკლებ ყურადღებით ეპყრობიან წიგნაკების განაწილების საქმეს. ამ შემთხვევაში უსათუოდ ადგილი აქვს „ნათლი-მამობასაც".

ბოროტმოქმედების აღმოჩენისთანავე წიგნაკები მეპატრონეებს ერთმევათ და მათი საქმე ეგზავნება პროკურორს და მილიციას დამნაშავის ადმინისტრატიული წესით დასასჯელად.

პურის წიგნაკების ბოროტად გამოყენება, როგორც ჩვენს თანამშრომელს აცნობებს ხსენებულ სექციაში, მასიურ ხასიათს ღებულობს და ამისათვის საჭირო ხდება მის წინააღმდეგ განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლის წარმოება. ამ შემთხვევაში აუცილებელია თვითი ფართო მშრომელი მასის დახმარება. ამ დახმარებას სექცია ნაწილობრივ უკვე გრძნობს. მას სამხილებელი ბარათები მისდის იმის შესახებ, თუ ვინ იყენებს ბოროტად პურის წიგნაკს და ამის მიხედვით სექციაც ღებულობს სათანადო ზომებს. არც ერთი ბარათი, თუნდაც ხელმოუწერელიც კი, უყურადღებოდ არ რჩება ასეთი დახმარების უფრო გაფართოება დიდ სარგებლობას მოუტანს საერთო საქმეს.

რკინის გზებზე

პურის გადაზიდვის უზრუნველსაყოფად

ახლო მომავალში გათვალისწინებულია მომდინარე დამზადების პურის გადაზიდვა. განზრახულია პურის გადაზიდვა არა ტომრებში, არამედ მარცვლეულის პირდაპირ ვაგონებში ჩაყრის სახით.

რომ ადგილი არ ექნეს ასეთი სახით დატვირთულ პურის გზაში დანაკლისს, რკინის გზებს მიცემული აქვთ წინადადება მოახდინონ ვაგონების შეკეთება, რომლებითაც იწარმოებს პურის გადაზიდვა.

ამასთანავე იმ პუნქტებში, სადაც იწარმოებს პურის მასიური ტვირთვა, მოეწყობა ვაგონების შემკეთებელთა სპეციალური გუნდები, რომლებიც აწარმოებენ ვაგონების გასინჯვა-შეკეთებას.

დაუშვებელი უყურადღებობა

სალოღლიდან დაიძრა მატარებელი № 3007. მატარებელი, რომ სადგურს გასცდა, სადგურის მორიგემ შეამჩნია, რომ უკანასკნელ ვაგონზე არ იყო მიმაგრებული გამაფრთხილებელი ნიშნები.

მან დაუყოვნებლივ მიიღო ზომები მატარებლის გასაჩერებლად, აძლევდა ამის შესახებ სიგნალებს, განზრახ სემაფორიც კი გააღებინა, რომ მატარებელი გაჩერებულიყო, მაგრამ არასფერმა არ უშველა. მემანქანეებმა და კონდუქტორებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და განაგრძეს გზა.

ფოილოში ჩასვლისას გამოირკვა, რომ სალოღლის მახლობლად მათ გზაში „დაჰკარგვიათ" მატარებლის ნაწილი ოთხი ცისტერნის შემადგენლობით. რასაკვირველია მიიღეს ზომები „დაკარგულ" ცისტერნების მოსაძებნად. მოსძებნეს, შეუერთეს მატარებელს და გაუშვეს, მაგრამ ამ ძებნაში დრო გავიდა, ხაზი დაკავებული იყო და ამან გამოიწვია მთელ რიგ მატარებლების გაჩერება და გზაში დაგვიანება.

მატარებელი პიონერებისათვის

ამ ახლო მომავალში მოსკოვში ეწყობა ნორჩ-პიონერთა სრულიად საკავშირო შეკრება. შეკრებაზე მიემგზავრებიან ამიერ-კავკ. პიონერებიც.

პიონერების მოსკოვში გადასაყვანად ინიშნება სპეციალური მატარებელი № 17, რომელიც თბილისიდან გავა 11 აგვისტოს ღამის 10 საათზე და 55 წუთზე.

სპირტმა იმსხვერპლა

8 აგვისტოს, ღამით სადგ. გურჯაანში იფეთქა ცისტერნამ, რომელშიაც ჩასხმული იყო სპირტი. ცისტერნის თავი ამოთხეულმა ალმა ჰაერში ამოსტყორცნა. ცეცხლის ალში გახვეული აღმოჩნდა მესისრე ბენდექტე ჭეჭინაძე. მძიმედ დაშავებულ ჭეჭინაძეს აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება, მაგრამ უშედეგოთ. ის რამოდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

ცეცხლი სასწრაფოდ ჩააქრეს ცეცხლის მქრობელებმა.

როგორც გამოირკვა, ცისტერნიდან გადმოუტვირთავთ სპირტი. მესისრე ჭეჭინაძე ამის შემდეგ შესულიყო ცისტერნაში სპირტის ნარჩენების მოსაგროვებლად და სიბნელის გამო ასანთი აენთო.

ასეთ გაუფრთხილებლობას შედეგად მოჰყვა ხსენებული შემთხვევა.

შემადგენლობის გაწყვეტა

სადგ. გინგეჩაურში, გასასვლელ ისრებზე ორთქლმავლის გაფუჭების გამო გაჩერდა მატ. № 4006. მატარებლის წასაყვანად გაფუჭებული ორთქლმავალი შესცვალეს ვარგისით და როდესაც უკმაწყრელმა დასძრა მატარებელი, შემადგენლობა გაწყდა. მატარებელი ჩაიყვანეს მინგეჩაურში ორ ნაწილად.

ამ შემთხვევის გამო ხაზი დაკავებული იყო ორი საათის განმავლობაში და გზაში დაიგვიანეს მატარებლებმა.

ნიუ-იორკი

(შთაბეჭდილებანი)

— ნიუ-იორკს აქვს ფოსტა და მერე როგორი; მართლაც, რომ ღირს მისი ნახვა, მისი დათვალიერება, მისი შესწავლა, მითხრა მისტერ სმიტმა.

ეს ჩემი შეკითხვის პასუხი იყო; მე დაზღვეული ამანათის გამოგზავნა მინდოდა და არ ვიცოდი როგორ მომეხერხებია.

— არა, ფოსტა ფოსტას გაჩნია. ფოსტა ყოველ ქვეყანას აქვს, მაგრამ ამერიკის ფოსტა საუცხოო რამ არის.

— თქვენ, ალბად, ტეხნიკურ მხარეს გულისხმობთ, ხომ?

— რასაკვირველია! ისე, წერილებში ჩახედვა და სხვისი მიწერ მოწერის გადაკითხვა ჩვენც იციან. იციან; ეცოდინებათ, უეჭველია; სხვა არ უნდა, ეს საქმეც ჩინებულათ აქვთ მოწყობილი! ამერიკის „დემოკრატიაც" იმავე ცოდვით არის მოხელილი, როგორც ევროპისა; იგივე სული უდგია, იმავე ღმერთებს სცემს თაყვანს. მაშასადამე, თქმა არ უნდა, კერძო მიწერ-მოწერის საიდუმლოება—ეს ჩვეულებრივი მიქარვაა და მეტი არაფერი!

— მესმის, არც მიკვირს, მაგრამ მე მაინც ეს ამანათი უნდა გავაგზავნო და ამაში მჭირდება თქვენი დახმარება.

— კეთილი და პატიოსანი, მაგი ჩემზე იყოს—წავიდეთ!

გავუდექით გზას. რასაკვირველია, ისევ მიწის ქვეშ ჩავძვერით, ამოვძვერით ხან განის მიმართულებით ვიმგზავრეთ, ხან სიგძეს გავყევით. ბოლოს ისევ ქუჩის ზედაპირზე ამოვყავით თავი.

— ესეც ფოსტა! მანიშნა სმიტმა, როდესაც ერთ ძველ ბერძნულ ხუროთმოძღვრების იერით აშენებულ სახლს მივადექით. შუბლი და გვერდები გძელი მაღალი სვეტებით იყო გარშემორტყმული. არ ვიცი; ვერ ვიტყვი ბეჯითად, მაგრამ ეს სვეტები მარმარილოსი უნდა ყოფილიყო.

— გიკვირთ განა? მართლაც გასაკვირველია! დღევანდელი ნიუ-იორკის სახეს კი ეს შენობა აღარ უხდება და აღარც უდგება. ეს სახლი დიდი ხნის აშენებულია, ამიტომ მას გარეგნობაც სხვანაირი აქვს. დღეს ჩვენი ხუროთმოძღვრები სახლის გარეგნულ შელამაზებას ყურადღებას არ აქცევენ. დღეს, ასე ვსთქვათ, მთავარი და პირველი შინაარსია.

— არ მესმის, რას ჰქვია სახლის „შინაარსი"?

— მე აი რას ვამბობ: როცა სახლს აშენებენ, პირველ ყოვლისა, იმას ანგარიშობენ, თუ რა დანიშნულება აქვს ამ სახლს. სადგომათა და სამუშაოთ რომ სახლი გამოდგება, ის სახლი დაწესებულებისათვის არ ივარგებს და პირიქით. გარდა ამისა, თვით დაწესებულებებშიაც ბევრი და დიდი განსხვავებაა. საშუამავლო კონტორას რომ შენობა გამოადგება, ის შენობა, ვთქვათ, ბანკისა და, თუნდა, ბირჟისათვის არ ივარგებს.

— ყოჩაღიანი ხალხია ამერიკელები, ვეთანხმები მე მისტერ სმიტს, მაგრამ მას ეს ჩემი თანხმობა, თითქოს არ მოსწონს.

— არც იმდენი, თქვენ რომ გგონიათ! აქაც ბევრი რამაა უთავბოლო; მაგრამ ეხლა რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია—სხვა დროისათვის გადავდოთ. აი ფოსტა—ჩვენ უკვე შიგა ვართ. მაგ თქვენი ამანათის გაგზავნას კიდევ მოვასწრებით, დამაცადეთ!

ჩემი პასუხისათვის აღარც კი მოუცდია, სადღაც გაჰქრა თვალსა და ხელს შუა, მოკლეთ დამიბარა:

— ეხლავე მოვალ, მანდვე მომიცადეთო.

ის მაღალ კიბეს აჰყვა. ჩქარა უკან დაბრუნდა, თან ვიღაც ჩინოვნიკი მოჰყვებოდა, ალბათ ამ დაწესებულების მოსამსახურე.

— აი ამ მისტერს, მიუთითა სმიტმა ჩემზე, უნდა თქვენი დაწესებულების დათვალიერება.

— სიამოვნებით, აი აქედან დავიწყოთ. თავიდან ორიოდე სიტყვა ჩვენი მუშაობის შესახებ. აქ გხლავთ ქალაქ ნიუ-იორკის მთავარი ფოსტა. ჩვენ გვყავს ამ შენობაში და სხვაგან—ერთი სიტყვით მთელს ნიუ-იორკში ოთხმოცი ათასი მოსამსახურე...

— ოთხმოცი ათასი? გამიკვირდა. ხელმეორედ გავიმეორე და შევეკითხე. მე, ალბათ, კარგათ ვერ გავიგონე, ოთხმოცი ათასი არა?

— დიაღ, მაგდენი, არც მეტი არც ნაკლები!

გამახსენდა ერთი ამბავი; მას უკან კარგი ხანი დრო გავიდა. მე ერთ დროს ერთ საბჭოთა დაწესებულებაში ვმსახურობდი. ერთხელ მომადგა კარზე ერთი ფრიად დიდი უფლებით აღჭურვილი ამხანაგი და გამომიცხადა:

— უნდა შეგამოკლოთ.

შეიქნა ჩვეულებრივი, ასეთს შემთხვევებში აუცილებელი კამათი. მე ვუმტკიცებდი —შემოკლება შეუძლებელია, საქმე ბევრი გვაქვს, ხალხი ისედაც არ გვყოფნის და სხვ. და სხვ.

ჩემ მოკამათეს არ ეჭაშნიკა ჩემი ამდენი ლაპარაკი და ბოლოს გულმოსულმა მითხრა:

— მე მინდოდა მხოლოდ 120 პროცენტით შემემოკლებინე, მაგრამ რადგან შენ ამდენს ლაპარაკობ, ეხლა უსათუოდ 150 პროცენტით შეგამოკლებ.

მაშინ ბევრი ვიცინე ამის თაობაზე. ვერაფერის გზით ვერ გავაგებიე და ვერ მივახვედრე ეს ჩემი „შემმოკლებელი", რომ არამც თუ 150 პროცენტით, თუნდა 101 პროცენტითაც არ შეიძლება შემოკლება.

ის ამხანაგი, რამდენადაც ვიცი, ეხლა თვითონ მსახურობს რომელიღაც ერთს დიდ დაწესებულებაში და, ალბათ, თვითონ ამტკიცებს, რომ 150 პროცენტით შემოკლება ბუნების ყოველივე კანონს აღემატება.

ეს ამბავი გამახსენდა და უნებლიეთ გამეცინა. ჩვენ გამყოლს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ჩვენ წერილების დამტარებლებსაც ვთვლით რასაკვირველია, განაგრძო მან. წერილები კი ჩვენ ბლომად მოგვდის. მიღებული და დასარიგებელი წერილები რომ ვიანგარიშოთ, ჩვენ ხელში ყოველდღიურად 15 მილიონი უბრალო წერილი გაივლის. დაზღვეული წერილები კიდევ სხვაა, ესეც იანგარიშეთ 200.000 ყოველდღიურად. ყოველივე ამის გარეშე გვაქვს გაზეთები, ფასიანი და დაუზღვეველი ამანათები.

— რამდენი იქნება ამანათები? შევეკითხე მე

— არც ისე ბევრი, მაგრამ დაახლოებით ესეც იქნება დღეში 70—80 ათასი. მე, რასაკვირველია საშუალო რიცხვს ვამბობ. არის მეტი, არის, თუმცა უფრო იშვიათად, ნაკლებიც.

— გაზეთები?

— გაზეთებიც არ არის მაინცა და მაინც ბევრი. საქმე ისაა, რომ გაზეთებს ამერიკელი ხელის მოწერით კი არ ღებულობს, ის პირდაპირ ყიდულობს გაზეთს ქუჩაში. ფოსტითაც იგზავნება, რასაკვირველია, მაგრამ შედარებით ცოტა. ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, გაზეთებს ცალობით არ ვანგარიშობთ. გაზეთებს წონით ვღებულობთ და წონით ვაგზავნით. დღეში გამოვა დაახლოებით 200—250 ათასი კილო.

ჩვენ ლაპარაკის დროს რამოდენჯერმე აგვიარ-ჩამოგვიარეს გვერდი წერილების დამტარებლებმა. რაზმებათ დადიან, თვითეულ რაზმში უკანასკნელი 200 კაცი მაინც იქნება. როგორც ეტყობა შერჩეული ბიჭებია, ახალგაზრდა, განიერი მხარ-ბეჭი, მაგარი კუნთები. თვითეულს გადაკიდებული აქვს ტყავის ჩანთა. სიმძიმე არ გამისინჯავს, მაგრამ მათ მოხრილ წელს და მძიმე ნაბიჯს ეტყობა, რომ შიგ უკანასკნელი 30—40 კილო არის მოთავსებული.

ჩვენი გამყოლი მოხელე საშუალო ტანის ადამიანია. ვერც სახეზე, ვერც მოყვანილობაში ვერაფერს უნახავ ისეთს, რომ თვალი შეაჩერო, ყურადღება რომ მიაქციო. ძნელია ასეთი სახის დამახსოვრება. არავითარს კვალს მეხსიერებაში ასეთი სახე არ სტოვებს. პირი გაპარსული აქვს ისე, როგორც თვითეულ და ყოველ ამერიკელს—არც წვერი და არც ულვაში. თმა ხორცის ფერი აქვს. თმაც ამგვარად აქვს მოშვებული და იმ წესზე დავარცხნილი, როგორც თვითეულს ამერიკელს. მოსამსახურე ამერიკელს ვგულისხმობ. მათ აქ „თეთრი საყელოს" ხალხს ეძახიან. მართლაც, რომ წარმოუდგენელია ამერიკელი მოხელე და მოსამსახურე ისე, რომ თეთრი საყელო არ ჰქონდეს გაკეთებული. თეთრი საყელო (საყელოს ყოველდღე იცვლიან), მოკლეთ მოპარსული თმა, ძირში მოხვისნილი წვერი და ულვაში, ზედაწელის მარცხენა მხარეს ზევითა ჯიბიდან ორი თითის დადებაზე ირიბულათ თავამოყოფილი თეთრი ცხვირ-სახოცი, ასეთია აქაური მოხელე. ეს, თუ გნებავთ, იგივე „სტანდარტია" მოხელის, როგორც რომელიმე მანქანისათვის განსაზღვრული მოყვანილობის რგოლები და მორგვები.

გამყოლი გველაპარაკება—გვიხსნის აქაურ მოწყობილობას და წესს მუშაობისას. ლაპარაკობს ისე, როგორც ბეჯითი მოწაფე კარგათ დაზეპირებულ გაკვეთილს. თუ დააცლით ის თვითონ გეტყვით ყველაფერს, თუ შეკითხვას მისცემთ, გიპასუხებს, მაგრამ აჯობებს, თუ თავს დაანებებთ.

არც მეტად თავდაბალი, არც უზრდელი, არც ცივი, არც ცხელი—ისე საშუალო—ნელთბილია მისი კილო.

— ჩვენ საქმეში მთავარი სიჩქარეა. წერილი მიმღებს დროით უნდა მიუვიდეს, ამიტომ ჩვენ მთელი დღის სამუშაოს ერთად არ ვაგროვებთ. წერილებს და ამანათებს დღეში ოთხჯერ-ხუთჯერ ვარიგებთ ხოლმე. დაგვიანება ამ შემთხვევაში შეუწყნარებელია!

— ალბათ, გაქვთ ისეთი შემთხვევა, როდესაც მისატან წერილს მისამართი სავსებით და სწორათ არ აქვს დაწერილი? რას შვრებით ასეთს შემთხვევაში?

— რატომაც არა! მაგისთანა შემთხვევებიც არის, მაგრამ ეს ჩვენ იმდენად არ გვაბოკოლებს. მთავარი ისაა, რომ სახელი და გვარი მაინც იყოს დაწერილი, მეტადრე გვარი—მისამართს კი ჩვენ თვითონ მოვნახავთ.

ეს დასტურ გასაკვირალი ამბავია. ამერიკაში „მისამართის მაგიდა" არ არსებობს, პოლიციამ საბუთების მოთხოვნა და გაწერა არ იცის, მაშ საიდან ახერხებენ მისამართის გამორკვევას?

— როგორ ახერხებთ მაინც მისამართის გაგებას?

— ვახერხებთ კი, ოღონ როგორ, ეს სხვა საქმეა!

გამყოლი მეტს არაფერს ლაპარაკობს. სმიტი თავისებურათ ფრუტუნობს. მიხვდა, თქმა არ უნდა, რაშიაც არის საქმე.

— მარჯვე ხალხია! ცბიერება მთავარი სამკაულია ამერიკული თავისუფალი „დემოკრატიის", ბუზღუნობს მისტერ სმიტი. აქ არავინ კითხულობს პასპორტს, აქ არავინ იძიებს თქვენს გვარსა და სახელს. არ არსებობს ისეთი დაწესებულება, რომელიც ამ საქმეებს იკვლევდეს, მაგრამ, მაგრამ—ვინ იცის რამდენი ათასი კაცი „ჭამს პურს" აი იმით, რომ თვითეული ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც დაუდგამს ფეხი ნიუ-იორკის რომელიმე ქუჩაზე. ხელის გულზე ჰყავდეთ დასმული. მეტადრე უცხოელი, მეტადრე საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული.

— მაგათაც სიმარჯვე უნდა!

—ოღონდაც! მაგრამ არც იმდენი სიმარჯვე, რამდენიც ფული. ფულით ყველაფერი კეთდება. თქვენ გახსოვთ, როდის იყავით უკანასკნელად კინოში, შემომიბრუნდა სმიტი.

— ბეჯითად აღარ მახსოვს; მგონი სამი, თუ ოთხი დღის წინად.

— ქუჩა, სურათის სახელი?

— გამიჭირდება ყოველივე მაგის გახსენება.

— თქვენ გაგიჭირდებათ, და მაგათ კი ზედმიწევნით იციან, სად, როდის, რამდენჯერ ყოფილხართ მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც აქ ცხოვრობთ.

— ვინ? ფოსტას რას ეკითხება მე სად დავდივარ და რას ვაკეთებ?

— არა! ფოსტას კი არა!! ის დაწესებულება სხვაგანაა, მას სხვა სახელი ჰქვია, ხალხის შესახებაც სხვა საქმეს აკეთებს, მაგრამ...

ამასობაში ჩვენ უკვე შევედით იმ განყოფილებაში, სადაც საფოსტო ყუთებიდან ამოღებულ ბარათებს ანაწილებდენ და მარკებზე ბეჭედს ასვამდენ.

ვისაც ჩვენში უნახავს ეს მუშაობა, აქაურ მუშაობის წარმოდგენაც კი გაუჭირდება. როგორც ყველაფერში, ამ საქმეშიაც მანქანა პირველ რიგშია წამდგარი; მთავარი სიმძიმე მანქანაზეა გადატანილი. ადამიანი ამ მანქანის ხელის-შემწყობი და გზის მაჩვენებელია — მეტი არაფერი.

ჯერ ერთი, რომ მთელს ამერიკაში კონვერტი ერთი ზომისაა. სიგრძე და სიგანე ერთხელ და სამუდამოთ დაკანონებულია. გარდა ამისა, ამერიკაში ყველამ იცის, რომ მარკა სწორეთ მარჯვენა ყურეში უნდა დააკრა ზემო მხარეს. ეს აადვილებს მუშაობას. ამის გამოა შესაძლებელი მანქანით მუშაობა. მოტანილ წერილებს ერთ ვეებერთელა ყუთში ყრიან, რომელიც თავისთავათ ერთი მეტად რთული მანქანის ნაწილს წარმოადგენს. მანქანა თანდათან აძლევს ამ წერილების კიბორჩხალივით აწყობილ ღვედებს, რიგ-რიგობით გაწკაპული წერილები პირდაპირ მიეშურება მანქანის იმ ნაწილთან, სადაც სწრაფად ტრიალობს ბეჭედის დამსმელი რვოლი.

— ეს მანქანა საათში 30.000 მარკაზე დაასვამს ბეჭედს, გვითხრა გამყოლმა. ასეთი მანქანა რამოდენიმე ალაგას სდგას, თორემ ერთი და ორი მანქანა, რასაკვირველია ამ საქმეს ვერ მოერევა.

გული დამწყდა. ჩვენში ამ საქმეს უმოწყალო დრო სჭირდება. ჩვენში ჯერ არ გვიფიქრია, რომ ერთი ზომის კონვერტები შემოვიღოთ. მარკის დაწებება ხომ კიდევ უარესი ჩვენში იშვიათად ნახავთ, რომ მარკა მაინცა და მაინც ზურგზე არ დააკრან წერილს. შუა ადგილას, სადაც კონვერტის ზედა ღრანჭი ქვედას ეხება, სწორეთ აქ იციან მარკის დაწებება. მომუშავესათვის ეს ნამდვილი უბედურებაა, წერილს საგანგებოთ სჭირდება გადაბრუნება, ამაში კი დიდი დრო მიდის.

— ბეჭედი აღნიშნავს ქალაქის სახელს, წელს, თვეს რიცხვს და საათს! განაგრძობს ჩვენი გამყოლი.

მანქანა ხმაურობს.

როცა ყური ეჩვევა ამ ხმაურს, თითქოს ატყობ, რომ ეს ხმაც ერთგვარ ჰანგზეა აწყობილი. თითქოს, სადღაც აღმართს ეძალება, ოხრავს და სწუხს მანქანა; მისი ხმაური დაღალული კაცის ქშენას წააგავს. მაგრამ აჰა, თითქოს, მიაღწია მწვერვალს, და ვაკეს გაუდგა, მანქანაც მოდუნებით წყნარად ხმაურობს. ბოლოს აი, დაღმართიც, კვლავ აჩქარებული ხმაური, მაგრამ უფრო იოლი და ადვილი. შემდეგ ყოველივე თავიდანვე განმეორდება, კიდევ და კიდევ!

ამბობენ, ღმერთმა ადამიანი რომ გააჩინა თავისი მგზავსება და ხატება დაატანაო. ჩვენ ვფიცით, რომ ეს თქმულება მხოლოდ მაშინ შეიცავს სიმართლეს, როცა მას პირუკუმა შეაბრუნებთ. ბუნების მძლავრი და უცნობი ძალებით შეშინებულმა ადამიანმა ღმერთი გამოიგონა და ის თავისი საკუთარი თვისებებით შეამკო.

ეხლანდელი ადამიანი ღმერთს აღარ იგონებს!

რისი მაქნისია დღევანდელი ადამიანისათვის ღმერთი?

მას უკვე ნაპოვნი აქვს ბუნების ძალთა საიდუმლოების გასაღები. ეს გასაღები ღვთაებების და ღმერთების დახმარებისა და შემწეობის გარეშე იპოვა მან. მაგრამ გამოგონებისათვის ადამიანს თავი მაინც არ დაუნებებია; ის დღეს მანქანებს იგონებს, და ამ მანქანებს, იქნებ უნებურათაც, მშრომელი ადამიანის მზგავსებით ამკობს.

მე [illegible] მესმის ამ მანქანების ხმაურში მშრომელი ადამიანის კუნთების დაჭიმვა, სიმძიმით და ტვირთით მოღალული ფილტვების სუნთქვა.

— თქვენ ყმაწვილო, რაღაც ფიქრებს გაჰყევით, როგორც გატყობთ, შემომეხმაურა სმიტი. რითმების წყალობა თუ გიყვართ, პოეზიისათვის აქ, მართლაც რომ ბევრი მასალაა!

— არ შემარცხვება მაგი ხელობა, თორემ უსათუოდ დავწერდი იმ ადამიანის ქებას, ვინც ეს მანქანა გამოიგონა!

— გამოიგონა და ამ ძაღლთა-პირებს ჩაუგდო ხელში ადამიანის საწყალებლად, ასე არა?

— არა!! მე მაგი არ მითქვამს. მე ვამბობ, რომ მანქანამ ადამიანი შრომის სიმძიმისაგან უნდა გაანთავისუფლოს!

— ოღონდაც, მაგრამ აქ?

— აი ვუყუროთ, სულ მაგრე ხომ არ დარჩება. სამაგიეროთ, იცით, რა იქნება მშრომელი ადამიანი, როდესაც თვით გახდება თავისი ცხოვრების ბატონიცა და პატრონიც?!

— ვიცი, როგორ არ ვიცი, მაგრამ ჩვენ, თუ თქვენც დამეთანხმებით, ჩვენ მგონი ამ სასარგებლო დაწესებულების დასათვალიერებლად მოვედით აქ და არა პოეზიისა და პოლიტიკის საკითხების შესახებ კამათის გასამართავად. უნდა დავანებოთ მაგ მუსაიფს თავი. ჩვენი გამყოლი—არსება როგორც მოგეხსენებათ, სულიერი და გონიერი, რომელიც, მიუხედავათ ამისა, უფრო ჰგავს მანქანას, ვიდრე თვით მანქანა, ამიტომ აღარ მოგვიცდის. უკმაყოფილოა, რომ ჩვენ შევჩერდით ამ ადგილას იმაზე მეტს დროს, ვიდრე ეს არის დაკანონებული.

— მე რომ მკითხოთ, მანქანას დამგვანებულ ადამიანს, ადამიანის უმაღლესი თვისებებით შემკული მანქანა მირჩევნია.

გამყოლი გასასვლელ კარებშია ატუზული. ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენ უნდა გავყვეთ მას, რომ აქ მოცდა მეტი აღარ შეიძლება.

— აქ ჩვენ გვაქვს ის განყოფილება, სადაც ვყიდით საჯარო ვაჭრობის წესით იმ ნივთებს, რომლებიც ეწყო იმ ამანათებში...

— უკაცრავად, ჩამოართვა მას სიტყვა სმიტმა, მაშასადამე, ზოგიერთი წერილია, თუ ამანათი მაინც რჩება პატრონისათვის ჩაუბარებელი?

— რასაკვირველია! ჩვენ ასეთს ამანათებს ვინახავთ მთელი ერთი წლის განმავლობაში. ეს საკმარისი დროა, რომ გულმავიწყმა გამგზავნმა გაიხსენოს თავისი შეცდომა და მიიღოს ზომები გაგზავნილის ამოსაგებათ.

— არის, მაშასადამე შემთხვევები, როდესაც სრულებით მისამართი არ არის: არც სახელი არც გვარი?

— არის, დიაღ! აი ასეთი ამანათები ერთი წლის განმავლობაში, თუ არ მოიკითხა პატრონმა, მაშინ ჩვენ იმას ვხსნით და ნივთებს ვყიდით!

— შემოსული ფული?

— შემოსული ფული ხაზინის სასარგებლოთ ჩაირიცხება.

— და ვის ხმარდება?

— რა მოგახსენოთ! მაგი არ ვიცი აი დღეს სწორეთ საჯარო ვაჭრობის დღეა. შევიხედოთ იმ დარბაზში, სადაც ამ ნივთებს ჰყიდიან.

დარბაზი ვიწრო და დაბალ ჭერიანი ოთახი გამოდგა. დახლისებურ გრძელ ფიცრებზე დალაგებული იყო სხვადასხვა საგნები. იყო ბროლის თხელი ჭიქებიც და ძველი ძირ-გაცვეთილი ფეხსაცმელებიც; ათასნაირი საგნები და ნივთები, რომლებიც ერთი მეორეს სრულებით არ უდგება. ისინი, ალბათ, პირველად შეხვდნენ აქ ერთმანეთს ასე პირისპირ ამ აზირებული და უღიმღლო მოგზაურობის გამო.

მაღალ სკამზე შემდგარიყო ახალგაზრდა, რომელიც ხრინწიანი ხმით იძახოდა:

— გამოცხადებულია 200 დოლარი, ვინ იტყვით მეტს?

— მოგიცია 220, დაიძახა ვიღაცამ

— იძლევიან 220, ვინ ხართ მეტის მომცემი?

ერთ ხანს სიჩუმე იყო.

— ვინ იძლევით მეტს, თორემ ვთქვი „ერთი!"

— მოგიცია 250, მეტი არ ღირს, გადააწვდინა ხმა ჭაღარამ.

— იძლევიან 250, ვინ იძლევით მეტს? ვამბობ „ერთი!" ვინ იძლევით მეტს? ვიტყვი „ორი!"

— ეს ამბავი კარგა ხანს გაგრძელდება მითხრა სმიტმა, წავიდეთ!

დავემშვიდობეთ ჩვენს გამყოლს, მადლობა გადაუხადეთ. წავედით.

— ამ სულ-წაწყმენდილმა მეათედიც არ გაიფიქრა იმისი, რისი ჩვენებაც შეიძლებოდა. არ ეჭაშნიკა მაგას დღეს ჩვენი მოქცევა. ასე იციან! ამბობს მისტერ სმიტი.

მოსაღამოვებულია. ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებიან დამტარებლები ცარიელი ჩანთებით.

— ესეც ფოსტა. ეს საქმე მართლაც რომ გვარიანათაც და ჩინებულათაც აქვთ მოწყობილი. სიჩქარე მართლაც გასაკვირალია. ეხლა კი არა, მე რაც მახსოვს სულ ასეა! ერთი ამბავი უნდა გითხრათ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მაშინ მე კიდევ მყავდა ნაცნობები და მეგობრები რუსეთში; წერილებს მიგზავნიდნენ ხოლმე, მეც თავდაპირველად ერთხელ კი მივსწერე მისამართი—მეტი აღარ მიმიწერია. მე თვითონ კი ერთი ათი ბინა მაინც გამოვიცვალე მის შემდეგ, მაგრამ წერილები მაინც მომდიოდა. მოჰქონდათ, მნახულობდნენ. ეხლა აღარავის ვახსოვარ და არც აღარაფერი მომდის—მაგი, ხომ, ფოსტის ბრალი არ არის.

— ერთი ეს მითხარით, მაგალითად ფოსტის მოხელე, ვთქვათ, რომ იმსახურა ათი წელი თუნდა ოცი, ამის შემდეგ მას რამე პენსიას დაუნიშნავენ, თუ არა?

— რაც არ ვიცი—არ ვიცი! მგონი რომ არა! საზოგადოთ, აქ პენსიები და მაგისთანა რამეები არ არის მოწონებაში. ისინი ასე მსჯელობენ...

— ვინ ისინი? გავაწყვეტიე მე.

— ვინ და ისინი, ვინც აქაურ კანონს სწერს, ვინც აქ განაგებს და ბრძანებას იძლევა. ისინი ასე მსჯელობენ, ვისაც თავისთვის სიყვარული აქვს, მან თვითონ უნდა მოიტოვოს და მოირჩინოს, უნდა გამოიზოგოს იმდენი, რომ სიბერისათვის ეყოს.

— თუ ვერ მოირჩინა?

— თუ ვერ მოირჩინა და მაშინ მისი საქმეც მორჩენილი და გათავებულია; სიმშილისა და გაჭირვების მეტი მას არაფერი მოელის!

— მაგეც კარგი იმედია, არა?

— იმედია, თუ უიმედობა, ასე კია და სხვა თქვენ იცოდეთ!

სახლში რომ მივბრუნდი, კარებში ფოსტალიონი შემომხვდა.

— დაზღვეული ბარათი მაქვს თქვენთვის ჩასაბარებელი. ინებეთ, აქვე ხელი მომიწერეთ უწყებაზე!

ოთახის კარი გავაღე, ბარათი ჩამოვართვი, უწყებასაც ხელი მოვაწერე და უკან დაუბრუნე. ცივათ, სიტყვის უთქმელად გამომართვა, სიტყვა არ უთქვამს და წავიდა აშკარა იყო, რომ გულდაწყვეტილი დარჩა.

— რატომ, რა ეწყინა ჩემგან, რისთვის წავიდა ჩემგან ასე გაბუტული? ვეკითხებოდი თავს და მიზეზისათვის ვერ მიმეკვლია.

— უნდა გეჩუქებიათ რამე, მითხრა სმიტმა რამოდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მას ეს ამბავი გადავეცი.

—განა საჭიროა მაგი აქ?

— არის და მერე როგორ! აბა, როგორ ფიქრობთ, მაგათ, განა თავისი ჯამაგირი ეყოფათ? აი სინჯეთ, როდესაც შემდეგში მოგიტანსთ წერილი თუნდა 10 სენტი აჩუქეთ—შეხედეთ, როგორ მხიარულად და გულღიათ მოგეკიდებათ. ასეა, ჩემო კარგო, აკი გითხარით:—არც იმდენი ყოჩაღიანი ხალხია ამერიკელები, ამერიკული ბურჟუაზია. აქ მოწონება და პატივისცემა მანქანას აქვს და მანქანათ გადაქცეულ ადამიანს. ადამიანის პატივისცემა განისაზღვრება და განიზომება იმითი და იმდენად, რამდენათაც ის მანქანას ჰგავს, მას არ ჩამორჩება. სწორი ანგარიშია, მაგრამ ერთი „იალლიში" მოსდით, ერთი დღეც იქნება მანქანისებური ადამიანიც ამოიღებს ენას, გაანძრევს ხელს. არა, თავის სანუგეშოთ კი არ ვამბობ—მე ეს მწამს, მე ეს მჯერა, მე ამას მოველი.

მეც მგონია, რომ მისტერ სმიტის იმედები უსაფუძვლო არ არის.

პ. მ. საქვარელიძე.

ქრონიკა

ცვალებად შემადგენლობის საყურადღებოდ

ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე მსროლელ ქართულ დივიზიის შტაბი აცხადებს დივ. სამმართველოს ცვალებად შემადგენლობის საყურადღებოდ, რომ საერთო ტერიტორიალურ შეკრებაზე გამოცხადება სამსახურისათვის სავალდებულოა: უფროს შემადგენლობისათვის—ა. წ. 17 აგვისტოს 10 საათამდე.

უმცროსთა რიგის წითელ-არმიელთა შემადგენლობისათვის—ა. წ. 31 აგვისტოს დილის 8 საათზე. შესაკრები პუნქტი: ქ. თბილისი, დივიზიის შტაბის შენობა (ჯორჯიაშვილის ქ. № 10).

ახალი ბაღების გაშენება

თბილისის აღმასკომმა დაადგინა თანდათან გააფართოვოს თბილისში ბაღების სივრცე. ამ მიზნით კეთილმოწყობის განყოფილებას დაევალა შეადგინოს ქალაქში ახალი ბაღების გაშენების 5 წლიანი გეგმა. ამასთანავე აღმასკომმა დაადგინა სასტიკად აიკრძალოს მცენარეულობის გაშენებულ ფართობების გამოყენება სახლების ასაგებათ კეთილმოწყობის განყოფილებას ევალება აღრიცხოს ქალაქში მდებარე თავისუფალი მოედნები, რომლებზედაც მიზანშეწონილი იქნება ბაღების გაშენება.

საქ. სას.-სამეურნეო ბანკში

საქ. სას.-სამეურნეო ბანკმა სთხოვა ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს, რათა მის სისტემას დაეთმოს ერთი ადგილი საბანკო მუშაკების ცენტრალურ კურსებზე.

ყულაბების შეკვეთა

საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა 1000 ცალი ყულაბა შეუკვეთა ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკს, აღნიშნული ყულაბები დაურიგდება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს გლეხებში გასავრცელებლად.

სხვადასხვა

◆ მელითონეთა კავშირის ცენტრ. გამგეობა ორშაბათს, 12 აგვისტოს, საღამოს 8 ს. მელითონეთა კლუბში აწყობს მუშა-მწერლის ა. ბიბიკას შეხვედრას მელითონეებთან. ა. ბიბიკა წაიკითხავს მოხსენებას: „როგორ გავხდი მე მწერალი“. შემდეგ წაიკითხავს თავის ახალ ნაწერებს.

◆ სოცჰიგიენის ინსტიტუტში, დღეს, 11 აგვისტოს, დღის 12 საათზე, პროფ. მარციონოვი წაიკითხავს მოხსენებას: „დენგეს ციება“, „პელაგრა“ და „კუჭ-ნაწლავების დაავადების ეტიოლოგია და ტერაპია“.

◆ **სახალხო სახლი სოფ. ბუკნარში.** სოფ. ხიდისთავის და მის ახლო მდებარე სოფლებისათვის კულტურულ-საამშენებლო საქმეში ხელის შესაწყობად გამოყოფილმა კომისიამ ე. ბუკიას ხელმძღვანელობით თბილისში შეაგროვა 500 მანეთი და გადაგზავნა სოფ. ბუკნარში (გურიაში) სახალხო სახლის ასაგებათ.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

ექსპერიმენტალური რევოლიუციონური თეატრი

თბილისში მუშაობა განაახლა „ექსპერიმენტალურ რევოლიუციონურმა თეატრმა“ (ყოფ. პროლეტარული დრამატიული სახელოსნო), დ. კობახიძის ხელმძღვანელობით. თეატრთან არსებობს აგრეთვე სტუდია-სახელოსნო, რომელშიაც სწარმოებს ახალ მსმენელთა განცხადებების მიღება საკონკურსო გამოცდებით.

◆ **კვირას, 11 აგვისტოს,** დღის 12 საათზე საქ. პროფსაბჭოს დარბაზში გაიხსნება ამერიკელი მხატვარის ე. ოჭარას სურათების (აკვარელი) გამოფენა, გამოფენა გასტანს ორი დღე (ღია იქნება დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე)

განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღება

სამთო მრეწველობაში

საქართველოს სამთო-ქიმიურ ტრესტში მიღებული ცნობებით, პირველი აგვისტოდან განუწყვეტელი საწარმოო წელიწადი შემოღებულია სამთო მრეწველობის შემდეგ სამუშაოებზე:

ბარიტის მაღაროებში, გუმბრის თიხის (ფლორიდინი) სამუშაოებზე, ბარიტის ახალ ქარხანაში და დიატომიტის მადნის (ახალციხის მაზრაშია) სამუშაოებზე. ბარიტის ამოსაღებ მაღაროებში განუწყვეტელი მუშაობა სწარმოებს სამ ცვლათ დღე-ღამის განმავლობაში, ბარიტის ქარხანაში მუშაობა სწარმოებს ორ ცვლათ და გუმბრის თიხის კარიერებზე—ორ ცვლათ.

განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღებამდე სამთო-ქიმიურმა ტრესტმა ყველა რაიონებში ჩაატარა მუშათა ფართო კონფერენციები და საწარმოო თათბირები, სადაც დასმული იყო განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღების საკითხი. მუშები ყველგან ესალმებოდნენ ასეთი რეფორმის ცხოვრებაში გატარებას და მოითხოვდნენ, რომ რეფორმა, რაც შეიძლება დაჩქარებით ყოფილიყო განხორციელებული.

განუწყვეტელი მუშაობის შემოღებასთან დაკავშირებით ჭართლ ბარიტის სამუშაოებზე დაბანდებული მუშა-ხელის რიცხვი გაიზარდა 400-დან 700 კაცამდე. ამასთან დაკავშირებით გაუმჯობესება ემჩნევა აგრეთვე დამუშავებული პროდუქციის ხარისხს და იზრდება ამოღებული მადნის რაოდენობა.

განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე გადასვლის პირველი შედეგების შესახებ ტრესტი ცნობებს მიიღებს აგვისტოს ბოლოს.

სასამართლო

სოფლის ყოფა-ცხოვრებიდან

სოფელ საქარაში (შორაპნის მაზრა) ცხოვრობდა ქვრივი ქალი პილასი მარკოზის ასული არაბიძე. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ამასთანავე ჰქონდა მშვენიერი კარმიდამო.

მრავალი მაჭანკალი მისდიოდა პილასის, მაგრამ ყველას უარს ეუბნებოდა. შვილი არ ჰყავდა პილასის, ამიტომ მალე მოსწყინდა მარტო ცხოვრება, თანაც ოჯახს დაეტყო უკაცობა. პილასიმ განიზრახა ეშვილა ვინმე, რომელიც ოჯახს მომავალში დაეხმარებოდა და ჯაფას შეუმსუბუქებდა, იმ პირობით, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მთელი ქონება დარჩებოდა ნაშვილევს.

ბევრი არჩია ქვრივმა, მაგრამ ვერავინ ნახა შესაფერი, მსურველი კი ბევრი იყო. ბოლოს თავის არჩევანი შეაჩერა სოფელ კლდეთში მცხოვრებ დავით დუგლაძეზე.

გაიმართა მოლაპარაკება, მისვლა-მოსვლა და მალე ორივე მხარე შეთანხმდა. დავით დუგლაძე ჩასახლდა პილასის ოჯახში. ღვიძლ დედაშვილივით შეეთვისნენ ერთმანეთს. გადიოდა დრო, მათ ტკბილ ცხოვრებას არაფერი არ არღვევდა. ერთხელ პილასი წავიდა მეზობლის გასვენებაზე. აქ მას გააცნეს თირჯოლელი ირაკლი ქოჩიაშვილი, რომელსაც ძლიერ მოეწონა ქვრივი. ქოჩიაშვილმა პილასის სიტყვა ჩამოუგდო გათხოვებაზე, მაგრამ თავისი სურვილი აშკარად ვერ გაუმჟღავნა. იმავე დღის გაჩნდნენ მაჭანკლები, შეუჩნდნენ ქვრივს, უქეს ქოჩიაშვილი, მისი გარეგნობა და ხასიათი. ქვრივი ყოყმანობდა.

ეს ამბავი გაიგო მისმა შვილობილმა, დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ ჩაეშალა დედობილის გათხოვების საქმე. დუგლაძემ თავისი დარდი გაუმჟღავნა პილასის პირველი ქმრის ახლო ნათესავებს—კოწია და ლავრენტი არაბიძეებს.

თუმცა ისინი კმაყოფილი არ იყვნენ დუგლაძით, რადგან თვითონ უნდოდათ ჩაეგდოთ პილასის ქონება. მაგრამ დახმარებას მაინც შეჰპირდნენ. სამაგიეროთ დუგლაძემ არაბიძეებს აღუთქვა, რომ პილასის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებიდან მათ მისცემდა წილს.

მაჭანკლებმა დაითანხმეს პილასი და ერთი კვირის შემდეგ გაიმართა „ნიშნობა“, რომელსაც დაესწრნენ კოწია და ლავრენტი არაბიძეები და დუგლაძის მამა, კარგად რომ დალიეს, არაბიძეები შეეკითხნენ სიძეს, მისცემდა თუ არა ის წილს დუგლაძეს, რაზედაც ქოჩიაშვილმა დადებითად უპასუხა. ცოტა ხნის შემდეგ არაბიძეებმა ქოჩიაშვილი გაიხმეს გარეთ, მათ თან გაჰყვა დუგლაძე. ავიდნენ თუ არა აივანზე, ქოჩიაშვილს ეცნენ ლავრენტი არაბიძე და დავით დუგლაძე და ხელები გაუკავეს.

კოწია არაბიძემ ქოჩიაშვილს მუცელში ჩასცა დანა. ჭრილობისაგან ქოჩიაშვილი იქვე გარდაიცვალა. შემდეგ კოწია არაბიძე შეუვარდა პილასის და მასაც მიაყენა რამდენიმე ჭრილობა, დაჭრილ ქალს დუგლაძის მამამ თავში დაარტყა სკამი. შეიქნა ხმაური, კივილი, ყვირილი. შეიძრა სოფელი. ხმაურზე მოცვენილ გლეხებს საშინელი სურათი წარმოუდგათ წინ: აივანზე ეგდო ნაწლავებ გადმოყრილი ქოჩიაშვილი, პილასი კი სახლში სიკვდილს ებრძოდა.

პილასი სიკვდილს გადაურჩა. ყველა დამნაშავენი იმავე დღეს დააპატიმრეს. მათი საქმე გაარჩია ზესტაფონის საუბნო სასამართლომ. კოწია არაბიძეს, რომელიც წინადაც ყოფილა პასუხისგებაში მიცემული ყაჩაღობისათვის, სასამართლომ მიუსაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით სამოქალაქო უფლებების აყრა. დავით დუგლაძეს და ლავრენტი არაბიძეს მიესაჯათ 5—5 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და 3 წლით უფლებების აყრა, ხოლო დუგლაძის მამას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სასამართლომ მხედველობაში მიიღო მისი ღრმა მოხუცებულობა და დაპატიმრება შეუცვალა პირობით სასჯელად 5 წლის ვადით.

კასიო.

შემთხვევები

დაჭრა

მეორე სამილიციო რაიონის განყოფილების შენობაში უმცროსმა მილიციონერმა შარაშენიძემ, სამსახურის ასრულების დროს, წინააღმდეგობის გაწევის გამო რევოლვერით ფეხში დასჭრა მოქ. გრიგორ გეგაური. დაჭრილი მოთავსებულია რკინის გზის საავადმყოფოში.

დახრჩობა

7 აგვისტოს, დღით, მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო წითელ-არმიელი ნიკოლოზ მურგა. გვამი ჯერ არაა აღმოჩენილი.

მსხვილი ქურდობა

გუშინწინ გაქურდეს რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სახელმწიფო კინო-მრეწველობის მაღაზია, საიდანაც წაიღეს 5000 მანეთის ნივთები.

ივანე მარკოზის ძე მეტრეველს, შორაპნის მაზრიდან თბილისში დროებით ჩამოსულს, კინო „აპოლოს“ წინ ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 1000 მანეთი ფულად და 100 მანეთის ობლიგაციები. (

1167 მანეთის ნივთების მოპარვა

გაქურდეს ღენტორ ნადარეიშვილის ბინა (კალინინის ქ. № 102); წაიღეს 1167 მანეთის საოჯახო ნივთები, ტანსაცმელი და იარაღი. როგორც ირკვევა, ქურდობა ჩაუდენია ლიდა პავლეს ასულ დავითაიას და გერასიმე (იგივე კარაპეტ) ასატურის ძე გალუსტოვს, რომლებიც მიიმალნენ. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა შესაპყრობად და ნაქურდალი ნივთების აღმოსაჩენად.

შეპყრობა

ქურდობისათვის შეიპყრეს ყარამან ოღლი (მცხ. გრაფის ქუჩა № 4). დააპატიმრეს ბესიკა ფოჩხაძე, რომელმაც განიზრახა მოქ. ჯანგულოვისათვის ფულის ამოცლა.

ჯიბგირობა

გიორგი ალექსანდრეს ძე თუმანიშვილს სინდიკატში რიგში დგომის დროს ამოაცალეს 20 მანეთი. დავით სერგოს ძე მაჭავარიანს ზებუთოვის ქუჩაზე ჯიბიდან ამოაცალეს 40 მანეთი

ბიბლიოგრაფია

А. ЛЕОНТЬЕВ.

БОРЬБА ЗА ИНДУСТРИАЛИЗАЦИЮ.

რუსეთის სახელგამის გამოცემა, გვ. 175, ფასი 40 კაპ., 1929 წ.

სარეცენზიო წიგნაკზე გვსურს მკითხველთა ყურადღების შეჩერება, რადგან ქართულ ენაზე მეტად მცირე ლიტერატურა არსებობს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ. ამხ. ლეონტიევის შრომა წარმოადგენს პარტიის მიერ ჯერ კიდევ მე-15 პარტ-კონფერენციაზე დასახულ ინდუსტრიალურ განვითარების გენერალური ხაზის თეორიულ დასაბუთებას, ინდუსტრიალიზაციის საწინააღმდეგო აზრების კრიტიკას და იმ სიძნელეთა განმარტებას, რომელნიც წინ ეღობებიან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპს.

ავტორი თავდაპირველად იხილავს ბაზრის წონასწორობის პირობებს და გეგმის როლს ჩვენს სახალხო მეურნეობაში. სავსებით სამართლიანად ანვითარებს ამ ნაწილში ავტორი იმ აზრს, რომ ყველა სიძნელე სამეურნეო სფეროში მჟღავნდება საბაზრო გართულებათა სახით, რომ დასახული გეგმის კონკრეტულად გატარების დროს წამოჭრილი ეს თუ ის დაბრკოლება უპირველესად გვევლინება ბაზრის წონასწორობის დარღვევით. „მანამდე, ლაპარაკობს ავტორი,—სანამ არსებობს სამეურნეო დაკავშირების და სამეურნეო ურთიერთობათა საბაზრო ფორმა, კლასთა დამოკიდებულების და კლასთა ბრძოლის ცალკე პერიპეტიები გამოხატულებას ჰპოულობენ საბაზრო ურთიერთობაში. ძირითადი სამეურნეო გართულებანი გვევლინებიან პირველ რიგში როგორც საბაზრო შეუთანხმობანი, როგორც დეზორგანიზაცია და დისპროპორცია ბაზარზე“ (12). ჩვენში მსჯელობენ კლასთა ბრძოლაზე, კლასთა შორის ურთიერთობის გამწვავებაზე და არ სურთ იმის აღიარება, რომ არ შეიძლება ამ პროცესის დროს საბაზრო დამოკიდებულებათა დავიწყება, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ საბაზრო ურთიერთობათა უკან კლასთა ურთიერთობანი იმალებიან, რომ ბაზარი წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების მოწინააღმდეგე კლასთა შორის არსებულ დამოკიდებულების სპეციფიურ გამოხატულებას. არ შეიძლება ამ მომენტს გვერდი აუაროთ. ავტორის თქმით, სწორედ იმიტომ, რომ „ბრძოლა გეგმასა და სტიქიას შორის ჩვენს პირობებში წარმოადგენს რეალურ კლასიური ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას, ამიტომ გეგმისა და სტიქიას შორის არსებულ ბრძოლის მიჩქმალვა საბოლოო ანგარიშში ხუფავს ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ რეალური კლასობრივ ბრძოლის მიჩქმალვის ცდას.

ამასთან დაკავშირებით ავტორი იხილავს გეგმის მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში, „შესწორებებს“, რომელნიც ხშირად სტიქიას, ბაზარს შეაქვს გეგმაში, რომ გეგმა ხშირად იძულებულია ილაპარაკოს საბაზრო ენით—გეგმის მნიშვნელობას გადაჭარბებული შეფასება ავტორის აზრით მეტად მავნებელია, რადგან მას თან სდევს მთელი რიგი უარყოფითი შედეგებისა. შეუძლებელია ამის გამო ისეთი გეგმის დასახვა, რომელიც ვითომდა მოგვცემს პერსპექტივაში რეალურად სავსებით სწორ სახალხო მეურნეობის ბალანსს, რომელიც სრული სისწორით შეათანხმებს მეურნეობის ცალკე დარგების განვითარების ტემპს და ამგვარად, ვითომდა აცილებს ჩვენს მეურნეობას ყოველგვარ დისპროპორციასა და გართულებას. მაგრამ მეორეს მხრივ არ აფასებენ გეგმის უდიდეს სახალხო სამეურნეო მნიშვნელობას, ხშირად ვერ ითვალისწინებენ სახალხო სამეურნეო ბალანსის მიღწევისათვის მეურნეობის ცალკე ელემენტების განვითარების საჭირო ტემპს, ცდებიან ცალკე დარგთა შორის „პროპორციის“ დამყარებაში და ყოველი შესაძლებელი გართულება, სამეურნეო მშენებლობის ესა თუ ის უმნიშვნელო დაბრკოლება, სოციალისტური მშენებლობის პრინციპად გამოჰყავთ.

ასეთი ხასიათისაა ავტორის თქმით ამხ. ფრუმკინის და საერთოდ მთელი მემარჯვენე ბანაკის თეორია ე. წ. „შესაძლებლობებზე“ და „მოთხოვნილებებზე“. თეორია „შესაძლებლობათა“, მიუხედავათ „მოთხოვნილებათა“ დაკმაყოფილებისა, არის ნამდვილად თეორია ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის შეკვეცისა, ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებისა. მემარჯვენენი მოითხოვენ, რათა არ გავშალოთ, არ გავაფართოვოთ აღმშენებლობა ისე, თუ წინასწარ არ გვაქვს საკმაო საშუალება ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის; არ ავაგოთ ახალი სამრეწველო წამოწყებისათვის შენობა თუ ამისათვის საჭირო აგური, კირი აქედანვე არ მოგვეპოვება, ერთი სიტყვით არ უნდა დავისახოთ მრეწველობის განვითარების ისეთი გეგმა, რომელიც ჩვენ საშუალებათა დაჭიმვას გამოიწვევს ამგვარად, ლაპარაკობენ მემარჯვენენი, არ უნდა გაუწიოთ წინააღმდეგობა სიძნელეებს, არ უნდა შევებრძოლოთ დაბრკოლებებს, არამედ უნდა ვიხელმძღვანელოდ ე. წ. „ვიწრო ადგილებით“.

ასეთი შეხედულება ყოვლად მიუღებელია პარტიისათვის. ასეთი პასიური მოქმედება დამღუპველია სოციალისტური აღმშენებლობის პერიოდში, როდესაც მიზნად ვისახავთ საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარების დონის იმ სიმაღლემდე აწევას, რათა „შედარებით უმნიშვნელო დროის განმავლობაში დავეწიოთ, ხოლო შემდეგ კიდევაც გავასწროთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ინდუსტრიალური განვითარების დონეს“. ჩვენ, ლაპარაკობს ამხ. ლეონტიევი, ვერ მივიღებთ ამხ. ფრუმკინის რჩევას, რომ თითქოს მომავალის აგურებით არ შეიძლება შენობის აშენება“. პირიქით, ჩვენ შევეცდებით (და ეს არ იქნება სრულიადაც უტოპია), რათა ეს აგურები გამოიძებნოს, დავამზადოთ იმდენი, რამდენიც დღეს დღეობით არ [illegible] და მოვიპოვოთ იქ, სადაც ს, ჩვენი ნაკლები ამოძრავების გამო, დღესდღეობით არ მზადდება, ან როგორც მეტად მოხდენილად უპასუხა ამხ. ფრუმკინს „ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა“-მ. „ჩვენ ვგეგმავთ მშენებლობის მომავლის აგურების იმედით. ვადგენთ რა 1928—29 წლის გეგმას, ჩვენ ამით გვაქვს იმ აგურების, რომელნიც ჯერ კიდევ არ არსებობს, მაგრამ რომელნიც უნდა იქნას და იქნებიან კიდეც დამზადებული იმ ქარხნებში, რომელნიც ჯერ არ გვაქვს, მაგრამ, რომელნიც უნდა იქნან და კიდეც იქნებიან აშენებულნი“.

წიგნის შემდეგ ნაწილში ავტორი არკვევს მემარჯვენე პროგრამის სხვა დებულებებს ინდუსტრიალიზაციის საკითხში, როგორიცაა საქონლის ნაკლებობის აღმოფხვრა უახლოეს წლებში მსუბუქი ინდუსტრიის განვითარებით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობა, შორის არსებულ დისპროპორციის მოსპობა სოფლის მეურნეობის დაჩქარებით განვითარებით და მრეწველობის ტემპის შენელების ხარჯზე, უსაფუძვლო ლაყბობა სოფლის მეურნეობის ეგრედ წოდებულ დეგრადაციის შესახებ, პურის ნაკლებობის აღმოსაფხვრელად ხელის შეწყობა კულაკურ მეურნეობისათვის (ფრუმკინის აზრი „ჩვენთვის სულერთია, ვინც მოგვცემს პურს“), დაყრდნობა საბოლოოდ სოფლად ინდივიდუალურ მეურნეობაზე და კოლექტივიზაციაზე უარის თქმა, რადგან კოლექტივები არ მოსწონს შეძლებულ გლეხს და სხვ.

ავტორი ამტკიცებს სათანადო ადგილების მოყვანით საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა უცხოეთის პრესიდან, რომ მემარჯვენეთა პროგრამა არაფრით არ განირჩევა მენშევიკების პროგრამისაგან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კერძოდ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე. ამიტომ მემარჯვენეთა აზრებს უნდა შევებრძოლოთ როგორც საერთოდ მენშევიკურ, რეაქციონურ აზრებს.

პარტია, როგორც ეს კიდევ ზედმეტად დაამტკიცა მე-16 კონფერენციაზე, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებს მემარჯვენეთა ვერც ერთ მოთხოვნილებას სოციალისტური აღმშენებლობის საკითხებში, ის ვერ შეანელებს ხუთწლიანი გეგმით დასახულ განვითარების ტემპს და შეეცდება ყოველმხრივ, რათა ზრდის მოხებით წარმოშობილი დაბრკოლებანი დაძლეულ იქნას ამ დაბრკოლებათა ზედმიწევნითი შესწავლით და მთელი პარტიის ყურადღების აქეთკენ მიპყრობით, ხოლო ყოველგვარი პასივობა ამ დაბრკოლებებისადმი გადაჭრით იქნება უკუგდებული.

დ. გ.

ჟურ. „სოფლის კომუნისტი“

გამოვიდა ჟურნალი „სოფლის კომუნისტი“ № 7—8 (50) ივლისი-აგვისტო, შემდეგი შინაარსით:

საქ. კ. პ. (ბ) მეექვსე ყრილობის შედეგები.

გრ. არუთინოვი—სოფლის მეურნეობის ნაწარმოების დამზადების კამპანია და პარტუჯრედები.

გალ. ვაშაძე—საინდუსტრიალიზაციო სესხი და გლეხობა.

აკ. ჭყონია—ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე.

ამხ. ურუშაძე—გლეხობის ფენების დამახასიათებელი ნიშნები.

ნ. ლაჭყეპიანი—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაცია.

პლ. შიშნიაშვილი—კოოპერაციის მონაწილეობა პურის დამზადებაში.

გ. კიაშაური—საბჭოთა აპარატის წმენდა სოფლად.

•. ჟვანია—საშემოდგომო თესვის კამპანია ზუგდიდის მაზრაში.

შ. ტატიშვილი—კოლმეურნეობის ხელმძღვანელ სამაზრო ორგანოს დაარსების შესახებ.

ფ. ლაბაძე—შრომის დაცვის დავიწყებული ადგილი სოფლად.

ქ. გორდელაძე—მემარჯვენე გადახრა სოფლად და პარტუჯრედების ამოცანები.

პარტიული აღმშენებლობა

სოფლის პარტუჯრედების წმენდის დროს დაშვებული შეცდომების შესახებ.

ს. მინდაძე—მოხსენების ხასიათის შესახებ.

დ. ორაგველიძე—ანტირელიგიური მუშაობა სოფლად.

დ. დეკანოსიძე—სოფლის კომუნისტი და კოლმეურნეობის წევრობა.

ბ. ბუაჩიძე—რისთვის არის კომუნისტისათვის სავალდებულო კოლმეურნეობის წევრობა.

საერთაშორისო მიმოხილვა

თ. სიხარულიძე—საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები.

ადგილობრივი ცხოვრება

კულტმუშაკი — კულტურული ლაშქრობა მთისკენ.

დ. ხარაგოულელი— ვადა გადაცილებულ სესხის შესახებ.

ი. ძიძიგური —წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია სამ წელში.

შ. მაღლაკელიძე—როგორია პარტხელმძღვანელობა.

ა. გოლიაძე—აჭარისტანის აგროტეხნიკუმი

•. კიოცხალია—ბალალეთურის კომუნა.

დ. მოდებაძე—პარტსაბჭოთა მუშაობა თავასის თემში.

ჭადრაკი

გ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) ა. დოგორჯგინიძე (აბასთუმანი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) დ. კვესელავა (თბილისი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

მოჭადრაკეთა შეჯიბრება ბაქოში

ივლისის ბოლო რიცხვებში ბაქოში ჩატარებული იქნა სავარჯიშო შეჯიბრება, შეჯიბრების თითეული მონაწილე თავის მოწინააღმდეგესთან თამაშობდა 2 პარტიას. შეჯიბრების შედეგი: მაესტრო მაკოგონოვი + 5 ექვსიდან, სოროკინი + 3 ½, აბრამიანცი + 3 და ბაქოს ჩემპიონი როსტოვცევი + ½ მოგვყავს ამ შეჯიბრების ერთეული პარტია.

პარტია № 28 (ლაზიერის პაიკთა დებიუტი)

თეთრები: ნ. სოროკინი—შავები: გ. როსტოვცევი

1. d4, d5 2. მc3, მf6 3. კg5, კf5 4. კ:f6 e:f 5 e3, ეc6 6. კd3, კe6 (ანტიპოზიციონური სვლაა, აქ საჭირო იყო გაცვლა d3-ზე, ან ლd7 თამაში?) 7. a3, a6 8. მge2, f5 9 მf4. მe7? (რატომ არ შეიძლებოდა ლd7 თამაში?) 10. მ:e6, f:e 11 მe2, g5! (შავები ალბად ფიქრობდნენ მხოლოდ ერთ სვლაზე, ყურადღების ღირსი იყო თეთრების მუქარა h4; შავების პარტია უკვე ცუდ მდგომარეობაშია, ასე რომ მისი გადარჩენა შეუძლებელია) 12. c4, c6 13. ლb3, ეb8 14 h4!, g:h 15. მf4! მფf7 16. ე:h4, მg6 17. მg6 მფ:g6 18. ეh3, მფf7 19. c:d, c:d (სჯობდა ლ:d5) 20. ეac1, კd6 21. მფd2, ლg5 22. g3, მფg7 23. f4, ლe7 24. ეch1, ეbg8 25. g4, მფf8 26. g:f, ეg2 + (უკანასკნელი უაზრო ქიშობა) 27. მფc2 ლg7 28. მფb1!, ე:g + 29. ე:g1, ლ:g1 + 30 მფa2, ლg2 31. ეh6., ლg7 32. ე:e6 და შავები დანებდნენ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტწმენდა იწარმოებს შემდეგ უჯრედებში

11 აგვისტოს, ცენტრ. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის უჯრედში, ინსპექციის ბინაზე (ეზოში), რუსთაველის პროსპ. № 24. დილის 10 სათზე და საღამოს 6 საათზე, შემმოწმებელი კომისიის წევრები: პევცოვი, ზურაბოვი და მესხი.

12 აგვისტოს, სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის საბორბლე და სახარატო ცეხების უჯრედის, პლეხანოვის სახელობის კლუბში, საღამოს 5 საათზე. შემმოწმებელ კომისიის წევრები. ლელაშვილი, ყამარაული და პოპოვი.

12 აგვისტოს, თურქული უჯრედის. ნარიმანოვის სახელობის კლუბში, საღამოს 6 საათზე. შემმოწმებელი კომისიის წევრები: ზაკომოლდინი, შახსუვაროვი და სალამიანი.

13 აგვისტოს, გემო-კვების უჯრედის, სასახლის ქ. № 5—4, გემოკვების კავშირის ჯგუფკომი, საღამოს 6 საათზე. შემმოწმებელი კომისიის წევრები: ფურცხვანიძე, სტეფანოვი და ლავრენტიევი. (

—:—

საქ. კომპარტიის ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება, ორშაბათს, 12 აგვისტოს, დილის 10 საათზე იწვევს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ კომისიის სხდომას. ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: ძამანაშვილი (კოლმეურნეობის ცენტრი), ნასიძე (სასოფლო-სამეურნეო ბანკი), ქურდაძე (სოფლის კავშირი) და ჯუღელი (მიწადმოქმედების კომისარიატი).

—:—

საქ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ორშაბათს, 12 აგვისტოს, საღამოს სრულ 5 საათზე კომკავშირის თბილისის კომიტეტის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 20) შესდგება მიმღებ კომისიის სხდომა, კომისიის წევრთა და იმ ამხანაგების დასწრება, რომლებიც უნდა ჩაირიცხონ კომკავშირში, სავალდებულოა.

ღრმა მწუხარებაში მყოფი დედა ანეტა სულაქველიძე კოტრიკაძისა, მამა ირაკლი კოტრიკაძე და უახლოესი მეგობარი მიშო თევდორაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გაგრაში? გარდაიცვალა მათთვის ერთადერთი ნუგეში

შუშიკო

პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე. გამოსვენება პლეხანოვის პრ. № 136, კვირას, 11 აგვისტოს, ნაშუადღევის 5 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2—2 2829

რკ. გზის მე-8 შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო უღრმეს მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ აბასთუმანში გარდაიცვალა დაუვიწყარი

შუშიკო კოტრიკაძე

2830

თბილისის რ. გ. მე-8 სკოლის მშობელთა დამხმარე კომიტეტი გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე სკოლის გამგის ანეტა სულაქველიძის ერთად ერთი ქალიშვილის

შუშიკოს

უდროოთ გარდაცვალებას. 843

თბილისის რ. გ. მე-1 სკოლის პედაგოგიური საბჭო და დამხმარე კომიტეტი გულითადი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას რ. გ. მე-8 სკოლის გამგის ანეტა სულაქველიძის ერთად ერთი ქალიშვილის

შუშიკოს

უდროოთ გარდაცვალებას. 2844

ბებია თეკლე, ბიძები კონსტანტინე, ვლადიმერ, სერგო, ილია და ივანე სულაქველიძეები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ მეგობართ უძვირფასესი და უსაყვარლესი

შუშიკო კოტრიკაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება პლეხანოვის პროსპ. № 136-დან კვირას, ნაშუადღევს 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 2—2 2839

უღრმესი მწუხარებაში მყოფი ბიძა ივანე სულაქველიძე აუწყებს ნაცნობ-მეგობართ თავის უსაყვარლესი დისწულის და საუკეთესო მეგობრის

შუშიკოს

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება პლეხანოვის პრ. № 136-დან ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს ნაშუადღევის 5 საათზე. (ე)

ბიძა ილია ამბაკოს-ძე სულაქველიძე და ანა დიმიტრის ასული მამულია სულაქველიძისა აუწყებენ ნაცნობთ მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

შუშიკო კოტრიკაძე

2855

შუშანა, თენგიზ, თამარა, მადლენა, კოკი და ფუშუტი ყღენტები. [illegible] ვანიძენი და ქეთო აბაშიძე გამოვსთქვამთ უღრმეს მწუხარებას ჩვენი საყვარელი

შუშიკო (სუსანა) ირაკლი კოტრიკაძის [illegible]

უდროოთ დაკარგვის გამო. ნ. 3097

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი თამარი ქმრით კოლია ლონდაძე, იულია ქმრით ანტონ გაიდარენკო და ლოლა ქმრით ზაქარია გოგუაძე აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასი დისწულის

შუშიკო კოტრიკაძის

უდროოდ გარდაცვალებას. (ე)

გულდათუთქული მეგობარი შალვა თევდორაძე იუწყება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ აბასთუმანში გარდაიცვალა ირაკლი კოტრიკაძის ასული

კეკლუცი შუშიკო

გამოსვენება და დაკრძალვა დღეს, საღამოს 5 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 136-დან, ვერის ახალ სასაფლაოზე (ს)

გულითადი მეგობრები ანიკო გერმ ხოზიშვილი, ცაცა გულუტაშვილი და პოლო დემეტრაშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 7 აგვისტოს უდროოდ გამოაკლდა მათ რიცხვს ყველასათვის საყვარელი, სიცოცხლით აღსავსე და იშვიათი მეგობარი

შუშიკო

2854

ნატაშა და ფილიპე გოცირიძეები, კოკია ჩავავა, კატო და რენო [illegible]. შურა და აკაკი გოცირიძეები ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ ანეტა და ირაკლი კოტრიკაძეებს, საყვარელი

შუშიკოს

დაკარგვის გამო (ე)

გულმოკლულნი კატო ფხაკაძე, კატუშა ჯაფარიძე, აგრაფენა [illegible], ნინო მენგელ[illegible], გალინა ჩხეიძე და ქენია გიგაური დავსტირით ნორჩ და სიცოცხლით სავსე ჩვენს პატარა მეგობრის

შუშიკო კოტრიკაძის

დაკარგვას. 2849

ღრმად დამწუხრებულნი საშა დარახველიძე, ნინო დიდიძე, გიორგი მარო [illegible] და ლევან გვარამაძე აუწყებენ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი—ნორჩ

შუშიკოს

უდროოდ დაკარგვას. 2835

მგლოვიარე მიშა ვარლამის-ძე თევდორაძე თავისი მშობლებით, ძმებით და დით, ნათესავებით და ამხანაგებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ოთხშაბათს, 7 აგვისტოს, დილის 4 საათზე, აბასთუმანში გარდაიცვალა მისი უძვირფასესი მეგობარი

შუშიკო (ჩემო)

2831

დამწუხრებული მამა და ლიზა, და ლიდა კუხიანისა, მამიდა ესიკო [illegible], შალვა, ელენე და მარო ებრალიძეები იუწყებიან, რომ ა. წ. 13 აგვისტოს, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

დიომიდე ბესარიონის-ძე ებრალიძეს

[illegible] აღსანიშნავად 2825

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მშობლები დედა ეკატერინე და მამა დავითი, მეუღლე ლიზა, სიმამრი ივანე [illegible], და ლიზა პაპიძისა, სიძე დომენტი და დისწული ნაზულა აუწყებენ ნათესავ მეგობართ საყვარელ

ლევან დავითის-ძე ხუციშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან მალაკნის ქ. № 9, კვირას, 11 აგვისტოს დღის 2 ს. 30 წუთზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი კვირას დღის 12 საათზე. 2848

თავზარდაცემული ბიძები: ბეჟან, გიორგი, ნიკოლოზი, სოლიკო, დავით, ვერა და ეფემია, რძლები თამარი და იულია, და ძმისწული პატარა მედიკო აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს ძვირფასი დაუვიწყარ

ლევან დავითის-ძე ხუციშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება საკუთარი ბინიდან მალაკნის ქ. № 9, 11 აგვისტო, 2 საათ. და 30 წ. კუკიის სასაფლაოზე. სამოქ. პანაშ. დღეს 1 საათზე. 2847

მარიამ ნიკოლოზ ჩხეიძის ასული დებით და ძმებით მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ, რომლებმაც გაიზიარეს მათი მწუხარება ძვირფასი დედის

ევა გიორგის ასული ჩხეიძის

დაკარგვის გამო. (ს)

დამწუხრებული შვილები მიხეილ ახსიაშვილი ოჯახით, ნინო ბოჭორიძისა ქმარშვილით აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ეფემია შიოს ასული ახსიაშვილისა

დაკრძალვა 12 აგვისტოს. 2853

ღრმათ დამწუხრებული მაზლი სოლომონ სტატეს ძე ჯანდაკაშვილი, მეუღლე მარო, შვილი ნინა თავისი ქმრით, ვანო გოგიდეზიანი, შალიკო ოთარით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს მუდამ დაუვიწყარის, პირველი რძლის, უკანასკნელების ბიცოლასი

ანა ალექსანდრეს ასული ჯანდაგაშვილისა

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 საათზე, მიცვალებულის ბინაზე პრესის (ყოფ. დიდი ვანქის ქ. 21. გამოსვენება 13 აგვისტოს, 4 საათზე, ავლაბრის სასაფლაოზე რკინის გზის გადაღმა. 2851

ღრმად დამწუხრებული ქმარი დავით ესტატეს ძე, შვილებით: ელიკო, გოგი და ქეთოთი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ

ანა ალექსანდრეს ასული ჯანდაგაშვილისა-გულუსაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 საათზე, მიცვალებულის ბინაზე პრესის ქუჩა № 21 (ყოფ. დიდი ვანქის). გამოსვენება 13 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზე ავლაბრის სასაფლ. რკინის გზის გადაღმა. 2—1 2850

გულდათუთქული დედა ეკატერინე და ძმა ალექსანდრე ცოლშვილით აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი

ვახტანგ ზაქარიას-ძე კოპილაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 11 აგვისტოს, 2 საათზე ვახტანგის ქუჩა № 16. 2852

საზაფხულო ბაღი (ყოფ. არტო) ესტრადა
დღეს, კვირას 11 აგვისტოს
ერთად ერთი საბჭოთა კავშირში ამა-ჯაზი ა. ცფასმანის ხელმძღვანელობით
ინნა როუზ—ანნა რედელ და მიხეილ ხრუსტალევი
დანიილ ოლენინი არკადინი და გრ. დოვი
კონფერანსიე ქ. ი. კარევი დასაწყისი საღ. 10 საათზე. ნ. 3099

სახკინმრეწველობის კინოები

საზაფხულო აპოლო	ახალი 3 ოთახი სამზარეულოთი კომედია რეჟისორი შპიკოვსკი, ოპერატორი [illegible]
საზაფხულო ეთერი	უცხოეთის მხატვრული სურათი მოის გალდა
საზაფხულო პალასი	მარიელა ალბანი და ვერნერ კრაუსე სურათში კულისებს იქით
მინიონი	ხანუმა (ქეთო და კოტე) რეჟისორი ა. წუწუნავა. ოპერატ. – დიღმელოვი

0—6

იყიდება
70
ნახმარი სასკოლო
პარტა
ხელმისაწვდენ ფასებში.
მისამართი საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ. № 130. რკ. გზ. მე-67 სკოლა. 3—1 2845

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ კვირას, 18 აგვისტოს, დილის 10 საათზე ლომბარდის შენობაში, პლეხანოვის ქ. № 8
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინ. აგკომისარიატის დავალიანებათა ასანაზღაურებლათ გაიყიდება როზალია ტერ-ოგანეზოვის კუთვნილი 1/3 სახლისა, მდებარე კალინინის ქუჩა № 31. საჯარო ვაჭრობის დროს დაცული იქნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311 და 312 მუხლები. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებით 2000 მანეთიდან. ნ 3098

იყიდება
ჩუგუნის ამერიკული
პლიტა
ოთხი „დუხოვკით“, ორი „კუბით“. ნახვა და პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: კიროჩნის ქ. № 33, ყასაბ ედიშერაშვილთან. ნ. 3094

პროფესორი
გ. მ. მუხაძე
წასულია კისლოვოდსკში და დაბრუნდება ენკენისთვეში.
2579 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
253325—15

ქ. ქობულეთში
ბავშვების ექიმი
ალ. მაღალაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათამდე ქესხეთის ქ. № 14. 2838 25—1

„ზარია ვოსტოკა“-ს გამომცემლობა
გამოვიდა, იყიდება და ეგზავნება ხელისმომწერთ
ჟურნალ „ნა რუბეჟე ვოსტოკა“-ს
(ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანოს)
ორმაგი № 6—7

ამხ. ალაზანის, ბ. ბუაჩიძის, გ. ვანანდეცის, ნ. დაბაღიანის, პ. იონოვის, გ. კრეიტანის, გ. ხაზრის, გ. ტატულოვის, დ. რონდელის, ა. შარიფოვის, ს. რუსტამის რედაქციით (რედაქცია: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ხელოვნების სასახლე).

შინაარსი:

ხელოვნების მუშაკთა ძალების შეკავშირებისათვის. ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში. პროლეტარული შეტევით. კულტურული მშენებლობა და ამიერ-კავკასიის საბჭოთა მწერლობის ამოცანები (ამხ. მიხ. კახიანის სიტყვა). იდეოლოგიური ფრონტი (ამხ. კახიანის მოხსენებიდან საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-6 ყრილობაზე). სურათი—საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაცია ბაქოში.

გეგამ სარიანი — გულნარა; ელიზბარ პოლუმორდვინოვი — რკინის ძმები; ოვანეს თუმანიანი — საქართველოს პოეტებს; ეს. ხაბიბ-ვაფა — პოეტი; მიხ. იურინი — შეხვედრები; ალაზანი — გზაში; აკოფ აკოფიანი—პეტროპავლოვკა; ხანილი — ოქტომბრის სიხარული; ს. ჩანბა — ო, ალაჰ, ალაჰ! ნური—ღარიბი ქურთების განთიადი; ირემი (ჩანური სიმღერა); მ. მაკსუდი — შვილო ხმამაღლა ნუ იცინი; ლ. ვორონკოვა — ზელიმხანი; შ. ბრონშტეინი — ჩილვადარის სიმღერა; ს. მელიქსეტიანი — ერთი უცხოთაგანი; მიხ. იურინი — კირილე და მეთოდე; არკადი სიტკოვსკი — რიონჰესში.

ნარკვევები: დემნა შენგელაია—ბაქო.

სალიტერატურო დღიური: ილ. ვარდიანი — მწერალთა კულტურული დაკავშირება და ჩვენი ამოცანები; გ. ტატულოვი—„ამიერ-კავკასიის მწერალთა კულტურული კავშირი“ და ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია; ბენ. ბუაჩიძე — ადგირახსნილი დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ; ღია წერილი ალ. აბაშელს.

თეორია და კრიტიკა: ილ. ბარაშკო—ბელორუსული ლიტერატურის შესახებ; შალვა რადიანი — ელიზბარ პოლუმორდვინოვი.

ხელოვნება: გახან-ხაზრი — თანამედროვე თურქული თეატრი; ა. დუდუჩავა—ქართველი მხატვრები (ლ. გუდიაშვილი); ა. დანილჩუკი — სრულიად საქართველოს მომღერალთა გუნდების პირველი ოლიმპიადა.

ბიბლიოგრაფია: გ. ტატულოვი—ალაზანი — „გზაში“; გ. ლუარსამიძე — ვ. ბარნოვი — „თბილისის აჩრდილები“; შ. რადიანი—ლეო ქიაჩელი — „სისხლი“; ა. სიტკოვსკი — „რჩეული“; გ. კ—ბ. სმირენსკი— „ზაჰესი“; პ. მაგერი — ა. პერვომაისკი — „ტერეკი იბლუბა“; ი. კულიკი „ჩორნა ეპოპეია“; პ. მაგერი — „უიტნია ი რევოლიუცია“ და „მოლოდინაკ“. გ. — ბაბა-ბეგ-შაქირი.

ხელოვნების ქრონიკა

ნომერშია 176 გვერდი ტექსტი და ილუსტრაციები ცალკე ფურცლებზე.

გარეკანზე — ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის რუკა.

ხელის მოწერის ფასი: 1 თვით—50 კაპ., 3 თვით—1 მან. 50 კაპ., 5 თვით—2 მან. 50 კაპ. ორმაგი ნომრის ფასი ყველგან 75 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში—„ზარია ვოსტოკა“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროსპ. № 36); გამომცემლობის ექსპედიციებში ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ყველა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში და საკავშირო „ბეჭდვითი სიტყვის საკონტრაგენტო“ რკინის გზის კიოსკებში. ხელის მოწერას მიიღებენ აგრეთვე გამომცემლობის სათანადო მოწმობებით აღჭურვილი სპეციალური რწმუნებულნი და გამომცემლობის კონტრაგენტები. ნ. 3100

ვცვლი 2 ოთახს
41 კვ. მეტრ. ყოველგვარ მოწყობილობით. მზიან მხარეზე 2 ოთახზე 30—35 კვ. მეტრ. ცალკე შესავლით მე-8 სამილიციო უბანში ან და 3 ოთახზე 45—60 კვ მ., ორჯონიკიძის ქ. № 59. ბინა 3, 3—7 საათამდე. 2841

გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მის გართულებანი) და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან). 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიქინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი („914“ შეშხაპ.) ვენერიული მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და კანის სნეულება.
მიღება: დილ 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-თათრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ. 2578 25—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ხალების და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

დაიკარგა: მუდმივი პირადობის მოწმობა, კავშირის წიგნაკი, [illegible] თამასუქები 600 მან. [illegible] ქარხანაში, (საბა წულუკიძის ქუჩა № 6). მიიღებს გასამრჯელო.
2846 მიშა მახარაშვილი.

ანა ვასილის ასული
მექაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის
ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანნები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპორის) 19 იღებს დილით 10-დან 4-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1 2561

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის (ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპაას“ ყოფ. „ნოეს“ პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ა. 10 25 1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. (სასტუმრო „ნოეს“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 12, საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ. 12 67 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ ის კაბინეტის
ასწორებს
ლოგოპათიებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, ატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 6—01.
2468 13—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ვალერიან პავლეს-ძე [illegible] სახელზე. ჩ. გ. 2842

დაიკარგა: პარტიული ბილეთი № 0869244 კავშირის წიგნაკი № 341712 და მეტრიკული მოწმობა [illegible] სახელზე. ჩ. გ.

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 611427 აკაკი [illegible] სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი გაცემული გიორგი [illegible] საგინაშვილის სახელზე. ჩ. გ.

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის მოწმობა გაცემული მე 2 [illegible] ლეგიონიდან კონსტანტინე [illegible] სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 24393 ტარასი [illegible] სახელზე ჩ. გ.

ტირაჟი—45,108
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68
მთავლიტი № 904.